

178
1970 / 3



178 / 3

სახჭოთა სამართალი

საქართველოს კვლევითი კომიტეტი, გამომცემლობა

1970

1

საბჭოთა სამართალი

№ 1
 პარლამენტის
 ბიულეტენი

იანვარი—თებერვალი

1970 წელი

გამოცემის XVII წელი

**საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს, პროკურატურისა და
 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთანაკისებული იურიდიული კომისიის ორგანო
 ო რ თ ვ ი უ რ ი ქ ე რ ნ ა ლ ი**

ზ ი ნ ა ა რ ს ი

3. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავისათვის

ა. შუშანაშვილი — სოციალისტური კანონიერების ლენინური პრინციპები	3
ბ. ბალათურია — ადგილობრივი საბჭოები სოციალისტური კანონიერების დაცვის სადა- რაჯოზე	15
ს. გორბენაძე — ჯანმრთელობის დაცვის კანონმდებლობის ჰუმანიზმი	21
ო. გაშყრელიძე — ქმედობის საზოგადოებრივი საშიშროება და დანაშაულის სუბიექტური მხარე	30
ე. მაკაშვილი — მექრთამეობა და მასთან ბრძოლა	39
ვ. კურაშვილი — ხე-ტყისა და ხის მასალის გატაცების იურიდიული კვალიფიკაცია ოფიციალური მასალა	47
	56

ახალი უცხოეთის კანონმდებლობაში

ა. ნიკიფოროვი — ზოგიერთი უენიშენა აშშ სისხლის სამართლისა და გამასწორებელი კოდექსის შესახებ	69
ბ. ხარატიშვილი — ქართველი ადვოკატები—სამეცნიერო და მხატვრული ლიტერატურის მთარგმნელები	75

სასამართლო პროცესის ისტორიიდან

შ. ჭაფარიძე, გ. კობრიძე — დ. ჩქოტუას გასამართლება მეფის სასამართლოში	84
--	----

მოწინავეთა კორტრეტები

წ. რატინი, მ. კომახიძე — დეაწლმოსილი იურისტი — მ. ლომიძე 70 წლისა	91
კანონი და ადამიანი	94
ექსპროლოგი	96



11-707



СО ДЕРЖАНИЕ

К 100-ЛЕТИЮ СО ДНЯ РОЖДЕНИЯ В. И. ЛЕНИНА

А. Шушанаშვილი — Ленинские принципы социалистической законности	3
М. Багатурია — Местные советы на страже социалистической законности	15
С. Джорбенадзе — Гуманизм здравоохранительного законодательства	21
О. Гамкрелидзе — Общественная опасность деяния и субъективная сторона преступления	30
В. Макашвили — Взятничество и борьба с ним	39
Г. Курашвили — Юридическая квалификация хищений леса и лесоматериалов	47
Официальный материал	56

НОВОЕ В ИНОСТРАННОМ ЗАКОНОДАТЕЛЬСТВЕ

А. Никифоров — Некоторые замечания к Уголовному и исправительному кодексу США	69
Г. Харатишвили — Грузинские адвокаты-переводчики научной и художественной литературы	75

ИЗ ИСТОРИИ СУДЕБНОГО ПРОЦЕССА

Ш. Джапаридзе, Г. Кохреидзе — Судебный процесс над Д. Чкотуа	84
--	----

ПОРТРЕТЫ ПЕРЕДОВЫХ ЛЮДЕЙ

З. Ратиани, М. Комахидзе — Заслуженному юристу М. К. Ломидзе — 70 лет	91
Закон и человек	94
Некролог	96

სარედაქციო კოლეგია

შპ. № 938
ტირაჟი 20.200
შპ 02044

თ. კაციტაძე (მთ. რედაქტორი), გ. აბაშმაძე,
ო. ბაკურაძე, ბ. ბარათაშვილი, პ. ბერძენიშვილი,
თ. დადიანი, გ. ინწკირველი, მ. ლომიძე,
გ. მაისურაძე, თ. წერეთელი, ს. ჯორბენაძე.

რედაქციის მისამართი: თბილისი, ათარბეგოვის ქ. № 32. ტელეფონი—99-09-62

გადაეცა წარმოებას 19/III-70 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 14/IV-70 წ., ქალაქის ზომა 70X108 1/16; ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 6, პირობითი ნაბეჭდი ფურცელი 8,4.

საქ. კვ ტვ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. № 14.
Типография изд-ства ЦК КП Грузии, Тбилиси, ул. Ленина, 14.



სოციალისტური კანონიერების ლენინური პრინციპები

აღ. ზუზანაშვილი,

იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი

გ. ი. ლენინის უკვდავ მემკვიდრეობაში დიდი ადგილი უკავია სოციალისტური კანონიერებისა და მართლწესრიგის საკითხებს. გ. ი. ლენინმა ახსნა კანონიერების კლასობრივი ბუნება, ჩამოაყალიბა სოციალისტური კანონიერების ძირითადი პრინციპები, ყოველმხრივ დაასაბუთა კანონიერების როლი და მნიშვნელობა კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის საქმეში, დასაბა სოციალისტური კანონიერების უზრუნველყოფისა და მისი შემდგომი განვითარების გზები. სოციალისტური კანონიერების შესახებ ლენინური იდეების ღრმად შესწავლა და ცხოვრებაში გატარება წარმოადგენს საბჭოთა მართლწესრიგის განმტკიცების გარანტიას, მისი შემდგომი განვითარებისა და სრულყოფის საფუძველს.

* * *


სოციალისტური კანონიერების ლენინური თეორიის ძირითადი ნიშანია კანონის, სამართლებრივი ნორმების ზუსტად და განუხრელად დაცვა. გ. ი. ლენინი გვასწავლიდა, რომ კანონიერების აუცილებელი პირობაა კანონის არსებობა, კანონის გარეშე კანონიერება არ არსებობს, ესა თუ ის მოქმედება კანონიერია ან კანონსაწინააღმდეგოა სწორედ მოქმედი კანონის თვალსაზრისით. მაგრამ კანონის არსებობა ჯერ კიდევ არ ნიშნავს კანონიერებას. გ. ი. ლენინი მიუთითებდა, რომ არც ერთ ქვეყანაში არ ყოფილა კანონების ისეთი სიტუაცია, როგორც მეფის რუსეთში, მაგრამ იქ კანონიერების ნატამალიც კი არ არსებობდა¹.

კანონიერება ნიშნავს კანონის განხორციელებას, რეალიზაციას, კანონის მოთხოვნათა პრაქტიკულად შესრულებას. გ. ი. ლენინს სწორედ ასე ესმოდა სოციალისტური კანონიერების არსი, მისი მთავარი და ძირითადი მოთხოვნა. „საჭიროა, — აღნიშნავდა გ. ი. ლენინი, — საბჭოთა ხელისუფლების კანონებისა და ბრძანებების წმინდად დაცვა და თვალყურის დევნება, რომ მათ ყველა ასრულებდეს“².

საბჭოთა კანონებში გამოხატულია მშრომელთა სახელმწიფოებრივი ნება-კომუნისტური პარტიისა და მთავრობის პოლიტიკა. კანონით რეგულირებულია საბჭოთა სახელმწიფოს ეკონომიური, პოლიტიკური, სამეურნეო-ორგანიზატორული და კულტურულ-აღმზრდელობითი საქმიანობის ძირითადი საკითხები, განსაზღვრულია სახელმწიფო ორგანოებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების ამოცანები, მათი საქმიანობის ფორმები და მეთოდები. კანონი ადგენს ყველა თანამდებობის პირისა და მოქალაქის უფლება-მოვალეობებს, მათი განხორციელების წესსა და გარანტიებს.

კანონით ხორციელდება საზოგადოებისადმი სახელმწიფოებრივი ხელ-

1 იხ. გ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 4, გვ. 492; ტ. 18, გვ. III; ტ. 20, გვ. 258.
2 გ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 29, გვ. 659—660.




მძღვანელობა, სახალხო მეურნეობის გვერდობითი განვითარება, კომუნისმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნა. კანონი იცავს ყოველგვარი ხელყოფისაგან საბჭოთა სახელმწიფოებრივ და საზოგადოებრივ წყობილებას, მეურნეობის სოციალისტურ სისტემას და სოციალისტურ საკუთრებას, საბჭოთა მოქალაქეების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების კანონიერ უფლებებსა და ინტერესებს. კანონი ზრდის საბჭოთა ადამიანებს კოლექტივიზმის, შრომისადმი პატიოსანი დამოკიდებულების, კომუნისმის საქმისადმი ერთგულების სულისკვეთებით. მაგრამ კანონი მხოლოდ მაშინ შეასრულებს ამ კეთილშობილურ მისიას, როდესაც მისი მოთხოვნები ზუსტად სრულდება, როდესაც იგი ნამდვილად წარმოადგენს საზოგადოებრივი ურთიერთობების რეგულიატორს, ადამიანთა ქცევის ბარომეტრს.

ყველა დაწესებულება და ორგანიზაცია, ყველა თანამდებობის პირი და მოქალაქე ვალდებულია ემორჩილებოდეს კანონს, ზუსტად ასრულებდეს მის მოთხოვნებს. კანონის დაცვის, კანონის შესაბამისად მოქმედების მოთხოვნა წარედგინება ყველას ვისზეც ეს კანონი ვრცელდება. არავითარი თანამდებობრივი მდგომარეობა თუ საზოგადოებრივი დამსახურება არ აძლევს პირს უფლებას კანონს გარეთ წარმოიდგინოს თავი, გვერდი აუაროს კანონს, არ შეასრულოს მისი მოთხოვნები.

უკანონობა და თვითნებობა შეუთავსებელია სოციალისტური საზოგადოების ეკონომიურ და პოლიტიკურ წყობასთან. წარმოების იარაღებზე სოციალისტური საკუთრება, სახელმწიფოებრივი ცხოვრების ყველა დარგში მოქალაქეთა სრული თანასწორობა განაპირობებს ყველას თანაბარ ვალდებულებას შესასრულოს სახელმწიფოში დადგენილი ქცევის წესები, იბრძოდეს უკანონობისა და თვითნებობის წინააღმდეგ.

საბჭოთა კანონების მოთხოვნათა ღრმად ცოდნა და დაცვა მოეთხოვება ყველას და უწინარეს ყოვლისა სახელმწიფო აპარატის მუშაკებს, თანამდებობის პირებს, მათ ვისაც უშუალოდ დავალებული აქვთ კანონიერებისათვის ბრძოლა. ვ. ი. ლენინი გვასწავლიდა, რომ სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მოვალეობის შესრულებაში უდიდესი აღმზრდელი მნიშვნელობა აქვს პირად მაგალითს. სახელმწიფო აპარატის თანამდებობის პირი პირველ რიგში თვითონ უნდა იცავდეს კანონს, პირადი მაგალითით ზრდიდეს მოქალაქეებს საბჭოთა კანონების განუზრვლად დაცვისა და პატივისცემის სულისკვეთებით. ვ. ი. ლენინს განსაკუთრებით აღშფოთებდა საბჭოთა ორგანოს თანამდებობის პირის მიერ კანონის დარღვევის, კანონისადმი აგდებული დამოკიდებულების ფაქტები. 1918 წლის 21 აპრილს ვ. ი. ლენინმა დებეშა გაუგზავნა არხანგელსკის გუბარნამსკომის თავმჯდომარეს, რომელმაც საბჭოთა მთავრობის ერთ-ერთ განკარგულებას უაზრობა უწოდა. ასეთი განცხადებისათვის, — წერს ვ. ი. ლენინი, — ოფიციალურად გიცხადებთ საყვედურს და გაფრთხილებთ, რომ თუ უკან არ წაიღებთ ამ დაუშვებელ გამოთქმას დავაყენებ საკითხს სამართალში თქვენი მიცემის შესახებ, რადგანაც თუ მუშებსა და გლეხებს კეთილსინდისიერად ვასწავლით დისციპლინას, ვალდებული ვართ ეს დავიწყოთ საკუთარი თავიდან³.

ვ. ი. ლენინი, რომელიც სარგებლობდა განუსაზღვრელი სიყვარულითა და ავტორიტეტით, უდიდეს პატივისცემას იჩენდა საბჭოთა კანონების მიმართ, მთელი თავისი პრაქტიკული საქმიანობით იძლეოდა კანონების ღრმა პატივის-



ცემის და დაცვის მაგალითს. 1918 წლის 23 მაისს ვ. ი. ლენინმა სასტიკი საყვედური გამოუცხადა სახკომსაბჭოს საქმეთა მმართველს ვ. დ. ბონჩ-ბრუევიჩს, რომელმაც დაარღვია კანონით დადგენილი ტარიფი და სახკომსაბჭოს თავმჯდომარეს ვ. ი. ლენინს თვითური ხელფასი გაუზარდა 500 მანეთიდან 800 მანეთამდე⁴.

შეტად საგულისხმოა აგრეთვე შემდეგი ფაქტი: 1919 წლის მარტში სახკომსაბჭოს აპარატში სამუშაოდ უნდა მიეღოთ ახალი მუშაკი: მიღებას აბრკოლებდა დეკრეტი, რომელიც ზღუდავდა საბჭოთა დაწესებულებებში ნათესავეების გროვად მუშაობას. სახკომსაბჭოს მდივანმა სთხოვა ვ. ი. ლენინს სანქცია მიეცა აღნიშნული მუშაკის სამუშაოდ ჩარიცხვაზე. თხოვნა მთავრდებოდა შეკითხვით: ნუთუ არ შეიძლება გვერდი ავუაროთ დეკრეტს? ვ. ი. ლენინმა უპასუხა, რომ დეკრეტის გვერდის ავლა არ შეიძლება და ის ვინც ასეთ წინადადებას წამოაყენებს სამართალში უნდა მიეცეს⁵.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია, რომელიც განუზრელად ხელმძღვანელობს ვ. ი. ლენინის მითითებებით, განსაკუთრებით დიდ ყურადღებას აქცევს სახელმწიფო აპარატის საქმიანობაში კანონიერების დაცვას. სკკპ პროგრამაში მითითებულია, რომ „სოციალისტური სახელმწიფოს აპარატი ემსახურება ხალხს და ანგარიშვალდებულია ხალხის წინაშე. მუშაკის არაკეთილსინდისიერება, ძალაუფლების ბოროტად გამოყენება, ბიუროკრატიზმი გადაჭრით უნდა აღიკვეთოს და სასტიკად დაისაჯოს პიროვნებათა მიუხედავად. საბჭოთა ადამიანების მოვალეობაა იდგნენ კანონიერებისა და მართლწესრიგის სადარაჯოზე, იჩენდნენ შეუწყნარებლობას ბოროტმოქმედებისადმი და ებრძოდნენ მათ“⁶.

სოციალისტური კანონიერება ნიშნავს როგორც კანონების, სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოების მიერ გამოცემული ნორმატიული აქტების შესრულებას, ასევე კანონის შესაბამისად, კანონის საფუძველზე მიღებული კანონქვემდებარე აქტების დაცვასა და განხორციელებას. 1917 წლის 5 ნოემბერს „პასუხში გლეხების შეკითხვებზე“ ვ. ი. ლენინი წერდა: „ვოლოსტის საადგილმამულო კომიტეტის ყველა განკარგულება, მიღებული გლეხთა დეპუტატების სამაზრო საბჭოების თანხმობით, წარმოადგენს კანონს და უეჭველად და დაუყოვნებლივ უნდა განხორციელდეს“⁷. სახელმწიფო ორგანოების მიერ კანონის შესაბამისად მიღებული აქტების შესრულება ისევე აუცილებელი და სავალდებულოა, როგორც თვითონ კანონის.

სოციალისტური კანონიერების ლენინურ პრინციპს წარმოადგენს კანონიერების ერთიანობა. ცნობილ წერილში „ორმაგი“ დაქვემდებარებისა და კანონიერების შესახებ“ ვ. ი. ლენინმა ყოველმხრივ დაასაბუთა კანონიერების ერთიანობის პრინციპი. „კანონიერება, — წერდა ვ. ი. ლენინი, — შეუძლებელია არსებობდეს კალუგისა და ყაზანისა, არამედ უნდა იყოს ერთიანი სრულიად რუსეთისა და ერთიანი საბჭოთა რესპუბლიკების მთელი ფედერაციისათვისაც კი“⁸.

კანონიერების ერთიანობის არსი მდგომარეობს იმაში, რომ კანონები ერთ-

4 იხ. ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 35, გვ. 353.

5 იხ. **В. И. Ленин**, Полн. собр. соч., т. 50, стр. 266.

6 საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამა, თბილისი, 1961, გვ. 116.

7 ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 26, გვ. 345.

8 ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 33 გვ. 428.



ქართული
ენების
სწავლის
სამეცნიერო
ცენტრი

გვარად იყოს გაგებული და გამოყენებული სახელმწიფოს მთელ ტერიტორიაზე. არავითარი ადგილობრივი თავისებურება, ტრადიცია, ჩვეულება არ იძლევა კანონის სხვადასხვაგვარად განმარტებისა და გამოყენების საფუძველს.

კანონიერების ერთიანობა გულისხმობს სახელმწიფოს მთელ ტერიტორიაზე ერთიანი, საერთო პრინციპებითა და იდეებით გამსჭვალული კანონმდებლობის არსებობას. სამართლებრივი რეგულირების სფერო უაღრესად მრავალმხრივია, კანონით მოწესრიგებულია სხვადასხვა, ხშირად შინაარსით სრულიად განსხვავებული საზოგადოებრივი ურთიერთობები. მაგრამ საერთოდ საბჭოთა კანონმდებლობა, საბჭოთა სამართალი წარმოადგენს ერთ მთლიან, შინაგანად შეკავშირებულ მწყობრ სისტემას, რომელიც აგებულია ერთიან პრინციპებზე, ემსახურება ერთ საერთო ამოცანას — კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის ამოცანას. კანონმდებლობის ერთიანობას განაპირობებს საბჭოთა სახელმწიფოს ერთიანი პოლიტიკური და ეკონომიური წყობა, კომუნისტური პარტიის ერთიანი პოლიტიკა, საზოგადოების, მთელი საბჭოთა ხალხის მონოლითური ერთიანობა, საერთო ნება და ინტერესები.


სოციალისტური კანონიერების ერთიანობა ნიშნავს, აგრეთვე, სამართლებრივი აქტების იერარქიაში კანონის უზენაესობას. კანონი სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს ნორმატიული აქტია, რომელსაც აქვს უმაღლესი იურიდიული ძალა. ყველა სხვა სამართლებრივი აქტი კანონქვემდებარეა, გამოიცემა კანონის საფუძველზე და კანონის შესასრულებლად. ამიტომ კანონიერების ერთიანობა გულისხმობს იმასაც, რომ ყველა კანონქვემდებარე აქტი შეესაბამებოდეს კანონს.

კანონის უზენაესობა განაპირობებს საერთო-საკავშირო კანონის პრიორიტეტს. სსრ კავშირის კონსტიტუციის ძალით, საერთო-საკავშირო კანონს ერთიანი ძალა აქვს მოკავშირე რესპუბლიკების მთელ ტერიტორიაზე და მასთან მოკავშირე რესპუბლიკის კანონის შეუსაბამობის შემთხვევაში მოქმედებს საერთო-საკავშირო კანონი.

კანონიერების ერთიანობის პრინციპი არ გამოირიცხავს მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობაში განსხვავებათა არსებობას. ხელისუფლების რესპუბლიკური და ადგილობრივი ორგანოები გამოსცემენ კანონებს და სხვა სამართლებრივ აქტებს, რომლებიც ასახავენ, გამოხატავენ ადგილობრივ თავისებურებებს. პარტიის VIII ყრილობაზე ვ. ი. ლენინი ამბობდა „შეცდომა იქნებოდა, ჩვენ რომ უბრალოდ შაბლონურად გადაგვეწერა დეკრეტები რუსეთის ყველა ადგილისათვის, ბოლშევიკ კომუნისტებს, საბჭოთა მუშაკებს უკრაინასა და დონში, განურჩევლად, ხელადებით რომ გაეგრცელებინათ ისინი სხვა ოლქებზედაც. ბევრი თავისებურების გადატანა მოგვიხდება, ჩვენ არავითარ შემთხვევაში არ ვიბოჭავთ თავს ერთგვაროვანი შაბლონით, არ ვწყვეტთ ერთხელ და სამუდამოდ, რომ ჩვენი გამოცდილება, ცენტრალური რუსეთის გამოცდილება, მთლიანად შეიძლება გავავრცელოთ ყველა განაპირა მხარეზე“⁹. მოკავშირე რესპუბლიკის კანონმდებლობა შეიძლება შეიცავდეს ამა თუ იმ თავისებურებას, მაგრამ არ უნდა სცილდებოდეს საერთო-საკავშირო კანონის ფარგლებს, არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს მას.

კანონიერების ერთიანობის ლენინური პრინციპის დაცვა განსაკუთრებით საჭიროა თანამედროვე პირობებში, როდესაც მნიშვნელოვნად გაფართოვდა მო-

⁹ ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 29, გვ. 173.



კავშირე რესპუბლიკების საკანონმდებლო ფუნქციები, გაიზარდა ხელისუფლებისა და მმართველობის ადგილობრივი ორგანოების უფლებები და კონსპენტეციები.

სოციალისტური კანონიერების ლენინური პრინციპია კანონიერებისა და მიზანშეწონილობის ერთიანობა, მათი ურთიერთდაპირისპირების დაუშვებლობა.


სოციალისტური კანონიერება, კანონის მოთხოვნათა დაცვა და ზუსტად შესრულება ნიშნავს მიზანშეწონილობის განხორციელებასაც, რადგან მიზანშეწონილობა გამოხატულია, ჩაქსოვილია თვითონ კანონში. საბჭოთა სახელმწიფოს საკანონმდებლო, სამართალშემოქმედებითი საქმიანობა დაფუძნებულია მიზანშეწონილობის პრინციპზე. ამა თუ იმ კანონის მიღებისას კანონმდებელი ხელმძღვანელობს სახელმწიფო და საზოგადოებრივი მიზანშეწონილობით. კანონი მხოლოდ მაშინ შეასრულებს თავის სოციალურ დანიშნულებას, როდესაც იგი სწორად გამოხატავს საზოგადოებრივი განვითარების ობიექტურ მოთხოვნებს, შეესაბამება სოციალიზმის მშენებლობის ამოცანებს, სახელმწიფოს, საზოგადოებისა და მოქალაქეთა ინტერესებს. მაშასადამე, მიზანშეწონილობა ახასიათებს, ყოველ შემთხვევაში, უნდა ახასიათებდეს კანონს. ამიტომ, თუ კანონი ძალაშია და მოქმედებს, იგულისხმება, რომ იგი მიზანშეწონილია. არავის არ შეუძლია მიზანშეწონილად ცნოს ის, რაც კანონს ეწინააღმდეგება. ყოველად დაუშვებელია მოქმედი კანონის მიმართ საკითხის ასე დაყენება: მიზანშეწონილია თუ არა მისი შესრულება, ხომ არ აჯობებს მოცემულ კონკრეტულ შემთხვევაში გვერდი ავუაროთ კანონს, არ შევასრულოთ მისი მოთხოვნები? კანონის, სამართლის ნორმის მოთხოვნა უნდა სრულდებოდეს უსიტყვოდ. ვიდრე კანონი მოქმედებს არავითარი გარემოებით, არავითარი მიზანშეწონილობით მისი დარღვევის გამართლება არ შეიძლება. კანონი კანონია და მისი შესრულება სავალდებულოა რა შედეგიც არ უნდა მოსდევდეს ამას.

რასაკვირველია, კანონი არ წარმოადგენს რაღაც მუდმივმოქმედ კატეგორიას. ცხოვრება არ დგას ერთ ადგილზე, კანონით რეგულირებული საზოგადოებრივი ურთიერთობები იცვლება, ვითარდება. შესაძლოა, რომ კანონი, ესა თუ ის სამართლებრივი ნორმა აღარ შეესაბამებოდეს ცხოვრების მოთხოვნებს, აბრკოლებდეს, ხელს უშლიდეს საზოგადოებრივი განვითარების მოთხოვნებსა და ინტერესებს. როგორ უნდა მოვიქცეთ ასეთ შემთხვევაში? ამ კითხვას ვ. ი. ლენინმა გასცა ნათელი და ამომწურავი პასუხი: „თუ კანონი აბრკოლებს რევოლუციის განვითარებას, ის გაუქმდება ან შესწორდება“¹⁰.

მაშასადამე, თუ კანონი ხელს უშლის საზოგადოებრივი ურთიერთობების განვითარებას, ეწინააღმდეგება კომუნისტური მშენებლობის ინტერესებს უნდა მოხდეს მისი საკანონმდებლო წესით შეცვლა ან შესწორება. მაგრამ ვიდრე ეს არ მომხდარა, ყოველად დაუშვებელია კანონის შესრულებაზე უარის თქმა, კანონის გვერდის ავლა, კანონის დარღვევა. სჯობს უფარგისი კანონი შესრულდეს, ვიდრე სამართლის სუბიექტს ჰქონდეს ნორმის შესრულების მიზანშეწონილობის განსაზღვრის უფლება.

რასაკვირველია, კანონიერების მდგომარეობისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს კანონის შინაარსს, მის ავკარგიანობას. მტკიცე კანონიერების უზრუნველსაყოფად აუცილებელია როგორც მოძველებული კანონის დროულად შეც-

¹⁰ ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 27, გვ. 637.



ლა, ასევე იმის მიღწევა, რომ არ დაეშვათ უვარგისი კანონის მიღება. ვ. ი. ლენინი არაერთხელ მიგვითითებდა, რომ აღგვეკვეთა კანონის მოუმზადებლად, ნაჩქარევად მიღება, რომ კანონმდებლობის საქმეში საჭიროა სამკეცი ყურადღება, შვიდჯერ გაზომვა¹¹.

ხელმძღვანელობს რა ვ. ი. ლენინის მითითებებით, პარტია დიდ ყურადღებას აქცევს საკანონმდებლო ორგანოების საქმიანობის გაუმჯობესებისა და სამართალშემოქმედებითი მექანიზმის სრულყოფის საკითხებს. სკკპ პროგრამაში მითითებულია: „სისტემა უნდა გახდეს მშრომელთა მიერ როგორც საერთო-სახელმწიფოებრივი, ისე ადგილობრივი მნიშვნელობის კანონთა და სხვა გადაწყვეტილებათა პროექტების განხილვა. უმნიშვნელოვანესი კანონპროექტები უნდა გამოვიტანოთ საყოველთაო-სახალხო კენჭის საყრელად (რეფერენდუმი)“¹².

სოციალისტური კანონიერებისა და მიზანშეწონილობის ერთიანობა არ ნიშნავს სამართლის ნორმის მექანიკურ შესრულებას, კანონიერების ფორმალურ განხორციელებას. ვ. ი. ლენინი სასტიკი წინააღმდეგი იყო კანონის ყოველგვარი ფორმალური განხორციელებისა. იგი მოითხოვდა იმ თანამდებობის პირთა სასამართლო წესით დასჯას, რომლებიც ფორმალურად ვითომ სწორად, მაგრამ არსებითად უსულგულოდ ეკიდებოდნენ მშრომელთა კანონიერ მოთხოვნებსა და საჩივრებს. „სად არის სახალხო სასამართლოების განაჩენები იმისათვის, რომ მუშა ან გლეხი, რომელიც იძულებულია ოთხჯერ თუ ხუთჯერ მივიდეს დაწესებულებაში, ბოლოს, იღებს ფორმალურად რაღაც სწორს, მაგრამ არსებითად კი აბუჩად ადგება გამოდის?“¹³.

მიზანშეწონილობა ახასიათებს არა მარტო კანონს, არამედ კანონიერებასაც. საქმე იმაშია, რომ სამართლებრივი ნორმა, როგორც წესი, ადგენს ქცევის ოპტიმალურ ვარიანტებს, სუბიექტს ანიჭებს მიზანშეწონილი ქცევის შესაძლებლობას. ნორმის ფარგლებში მოქმედება მიზანშეწონილიც შეიძლება იყოს და მიზანშეუწონელიც. კანონის ფარგლებში მიზანშეწონილი გადაწყვეტილებების მიღება სოციალისტური კანონიერების სწორად განხორციელების აუცილებელი პირობაა.

სოციალისტური კანონიერების ლენინური პრინციპია მისი თანმიმდევრული დემოკრატიზმი. ვ. ი. ლენინი გვასწავლიდა, რომ კანონიერება დემოკრატიული პოლიტიკური რეჟიმის ელემენტია. დემოკრატიის გარეშე კანონიერება არ არსებობს, ხოლო კანონიერების გარეშე შეუძლებელია დემოკრატია.

კანონიერება წარმოადგენს სოციალისტური დემოკრატიის განხორციელების საშუალებას. სოციალისტურ საზოგადოებაში კანონების საშუალებით ხდება დემოკრატიული უფლებების დადგენა, დემოკრატიის განვითარება და სრულყოფა. საბჭოთა კანონები მოქალაქეებს ანიჭებს ფართო დემოკრატიულ უფლებებს, ადგენს ამ უფლებათა დაცვის სამართლებრივ გარანტიებს. კანონი განსაზღვრავს პიროვნების სამართლებრივ მდგომარეობას, ადგენს მის უფლებებსა და მოვალეობებს. ნამდვილი დემოკრატია, მოქალაქეთა სრული თანასწორუფლებიანობა შესაძლებელია მხოლოდ კანონიერების რეჟიმის პირობებში, მხოლოდ მაშინ, როდესაც ნამდვილად ხორციელდება კანონით გათვალისწინე-

¹¹ იხ. **В. И. Ленин**, Полн. собр. соч., т. 54, стр. 191.

¹² საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამა, თბილისი, 1961, გვ. 115.

¹³ ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 32, გვ. 545.

ბული დემოკრატიული უფლებები. რა დემოკრატიულ ინსტიტუტებსაც არ უნდა ადგენდეს კანონი, ნამდვილ დემოკრატიაზე ლაპარაკი არ შეიძლება თუ ამ კანონის მოთხოვნები ზუსტად და განუხრელად არ სრულდება. ამიტომ, მტკიცე კანონიერების უზრუნველყოფა, სოციალისტური კანონიერების განმტკიცება წარმოადგენს სოციალისტური დემოკრატიის არსებობისა და განვითარების აუცილებელ პირობას.

სოციალისტურ კანონიერებასა და დემოკრატიას შორის განუყრელი კავშირი მდგომარეობს იმაშიც, რომ დემოკრატიის გარეშე შეუძლებელია მტკიცე კანონიერების უზრუნველყოფა. მხოლოდ ნამდვილი დემოკრატია, მოქალაქეთა თანასწორუფლებიანობა, სახელმწიფო საქმეების მართვაში მშრომელთა ფართო მასების მონაწილეობა უზრუნველყოფს სოციალისტურ კანონიერებას, საბჭოთა კანონების მოთხოვნათა დაცვასა და შესრულებას. სოციალისტური დემოკრატიის ყოველმხრივი განვითარება წარმოადგენს კანონიერების განმტკიცების გარანტიას, იმის აუცილებელ პირობას, რომ შეგნებულად, ნებაყოფლობით სრულდებოდეს საბჭოთა კანონები.

საბჭოთა ხელისუფლების განვითარებას, ჩვენს ქვეყანაში სოციალისტური მშენებლობის წარმატებებს ვ. ი. ლენინი განუყრელად უკავშირებდა კანონიერებისა და მართლწესრიგის განმტკიცებას. ვ. ი. ლენინი გვასწავლიდა, რომ საბჭოთა სახელმწიფოს განვითარების პარალელურად იზრდება სოციალისტური კანონიერების როლი და მნიშვნელობა. „რაც უფრო მეტად შევდივართ ისეთ პირობებში, რაც მტკიცე და მაგარ ხელისუფლებას შეეფერება, რაც უფრო მეტად ვითარდება სამოქალაქო აღებ-მიცემობა, მით უფრო აუცილებელია წამოვაცენოთ მეტი რევოლუციური კანონიერების განხორციელების მტკიცე ლოზუნგი“¹⁴.

კანონიერების განმტკიცება წარმოადგენს სოციალისტური საზოგადოების განვითარების ობიექტურ კანონზომიერებას. მტკიცე კანონიერებისა და მართლწესრიგის გარეშე წარმოუდგენელია სოციალისტური საზოგადოების ნორმალური ფუნქციონირება, სახელმწიფო და საზოგადოებრივი დისციპლინის უზრუნველყოფა, სოციალისტური დემოკრატიის განვითარება, კომუნისტურ თვითმმართველობაზე გადასვლისათვის აუცილებელი ეკონომიური და იდეოლოგიური წინამძღვრების მომზადება. კანონიერების ყოველმხრივი განვითარება და განმტკიცება სოციალისტური წყობილების იმანენტური თვისებაა.

სოციალისტური კანონიერების განვითარების ობიექტური აუცილებლობა არ ნიშნავს, რომ ეს განვითარება რაღაც მექანიკური, ავტომატური პროცესია. „დეკრეტებიდან შესრულებამდე საკმაო სიდიდის დისტანციაა“¹⁵. მტკიცე კანონიერების უზრუნველსაყოფად მართო კარგი კანონების გამოცემა როდია საკმარისი. მთავარია კანონის პრაქტიკულად განხორციელების ორგანიზაცია, იმის მიღწევა, რომ ნამდვილად სრულდებოდეს კანონის მოთხოვნები. ვ. ი. ლენინი წერდა: „ის, რაც ჩვენ დეკრეტით უკვე შემოვიღეთ, ჯერ სრულიად არასაკმარისად გვაქვს ცხოვრებაში გატარებული, და მომენტის მთავარ ამოცანას წარმოადგენს სწორედ მთელი ძალ-ღონის მიმართვა იმ გარდაქმნათა საფუძვლების საქმიანი, პრაქტიკული განხორციელებისაკენ, რომლებიც კანონად იქცნენ (მაგრამ ჯერ კიდევ არ ქცეულან რეალობად)“¹⁶.

14 ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 33, გვ. 199.

15 ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 29, გვ. 196.

16 ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 27, გვ. 296.



საბჭოთა კანონების მოთხოვნები, როგორც წესი, სრულდება ნებაყოფლობით. საბჭოთა ადამიანების დიდი უმრავლესობა გამსჭვალულია სოციალისტური შეგნებისა და მორალის მაღალი პრინციპებით, კანონების, საზოგადოებრივი ცხოვრების წესების დაცვა და პატივისცემა წარმოადგენს მათ შინაგან მოთხოვნილებას. სსრ კავშირში დიდი ხანია მოსპობილია სამართალდარღვევების სოციალური ფესვები: მშრომელი მასების ექსპლოატაცია, უთანასწორობა, ჩაგვრა, სიღატაკე, უმუშევრობა, ხალხის გაუნათლებლობა და კერძო საკუთრებაზე დაფუძნებული ექსპლოატატორული წყობილების სხვა საშინელებანი. ჩვენს ქვეყანაში შექმნილია ყველა ობიექტური პირობა სამართალდარღვევების სრული და საბოლოო ლიკვიდაციისათვის. სამართალდარღვევების შემცირებასა და აღმოფხვრას ხელს უწყობს სამეურნეო და კულტურულ დარგში მოპოვებული წარმატებები, ხალხის მატერიალური და კულტურული დონის განუზრელი ზრდა. მაგრამ არ იქნებოდა სწორი გვეფიქრა, რომ კანონიერებისათვის ბრძოლის პრობლემა მთლიანად გადაწყვეტილია და მატერიალური წარმოების სფეროში მოპოვებული წარმატებები ავტომატურად გამოიწვევენ სამართალდარღვევების მოსპობას. ვ. ი. ლენინი გვასწავლიდა, რომ ხელახალი აღზრდა ადამიანებისა, რომლებიც საუკუნეების მანძილზე იზრდებოდნენ ექსპლოატატორული წყობილების შეხედულებათა ჩვევებით, უაღრესად რთული საქმეა და დიდ დროს მოითხოვს¹⁷.

ქვეყნის შიგნით მომხდარი დიდი სოციალური და ეკონომიური გარდაქმნების მიუხედავად საბჭოთა ადამიანების ერთი ნაწილის შეგნება ვერ განთავისუფლებულა წარსულის მავნე გადმონაშთებისაგან. ჩვენში ჯერ კიდევ არიან ადამიანები, რომლებიც არ ემორჩილებიან სახელმწიფოებრივ და საზოგადოებრივ დისციპლინას, უხეშად არღვევენ საბჭოთა კანონების მოთხოვნებს, ჩადიან საშიშ დანაშაულს. რა მცირერიცხოვანიც არ უნდა იყოს სოციალისტური კანონიერების დარღვევის ფაქტები, არ შეიძლება თვითდამშვიდებას მივეცეთ და შევასუსტოთ მათ წინააღმდეგ ბრძოლა.

სამართალდარღვევების თავიდან აცილებისა და აღმოფხვრისათვის აუცილებელია, რომ კანონიერების არცერთი დარღვევა არ დარჩეს სათანადო რეაგირების გარეშე, კანონიერების დამრღვევი ყველა პირი დროულად გამოძულავნდეს და რაც მთავარია ღირსეულად დაისჯოს. კანონის დარღვევის ფაქტზე სახელმწიფო ორგანოების დროული რეაგირება, დამრღვევთა სამართლიანი დასჯა უდიდეს გამაფრთხილებელ ზემოქმედებას ახდენს ცალკეულ მერყევ ელემენტებზე, ხელს უწყობს კანონიერების დარღვევათა წინააღმდეგ საზოგადოებრივი ძალების გააქტიურებას, უზრუნველყოფს თვითონ დამრღვევთა გამოსწორებასა და ხელახლა აღზრდას.

სოციალისტური კანონიერების განმტკიცებისათვის ბრძოლა გულისხმობს არა მარტო სამართალდამრღვევთა მხილებასა და სამართლიან დასჯას, არამედ აგრეთვე ყველა იმ აღმზრდელობითი და პროფილაქტიკური ღონისძიებების ფართოდ გატარებას, რომლებიც მიმართულია კანონის დარღვევათა თავიდან აცილებისა და აღმოფხვრისაკენ. ჩვენი სახელმწიფო და საზოგადოება დაინტერესებულია პირველ რიგში იმით, რომ არ ირღვევოდეს კანონი, რომ თვითოეული მოქალაქე თუ თანამდებობის პირი ზუსტად იცავდეს საბჭოთა სამართლისა და კომუნისტური მორალის ნორმებით დადგენილ ქცევის წესებს.

სოციალისტური კანონიერების დარღვევათა მოსპობის, ადამიანთა შეგნებიდან წარსულის მავნე გადმონაშთების აღმოფხვრის აუცილებელი პირობაა მშრომელი მასების განათლებისა და კულტურის დონის ამაღლება, კომუნისტური იდეოლოგიის სულისკვეთებით მოქალაქეთა აღზრდა, „განათლების მუშაკებისათვის და კომუნისტურ პარტიისათვის, როგორც ავანგარდისათვის ბრძოლაში, ძირითად ამოცანას უნდა შეადგენდეს ის, რომ დახმარება გაუწიოს მშრომელი მასების აღზრდა-განათლებას, რათა დაძლეული იქნას ძველი წყობილებისაგან მემკვიდრეობით გადმოცემული ძველი ზნე-ჩვეულებანი, ძველი ჩვევები, მესაკუთრული ჩვევები და ზნე-ჩვეულებანი, რომლებიც მასებს ძვალ-რბილში გაჯდომია“¹⁸.

მარქსიზმ-ლენინიზმის სულისკვეთებით ადამიანთა აღზრდა საბჭოთა სახელმწიფოებრიობის განვითარების თანამედროვე ეტაპზე წარმოადგენს კომუნისტური მშენებლობის შემადგენელ ნაწილს, პარტიის იდეოლოგიური მუშაობის ძირითად უბანს. რაც უფრო მაღალია საზოგადოების წევრთა შეგნება, რაც უფრო სრულად და ფართოდ ვითარდება საბჭოთა ადამიანების შემოქმედებითი აქტივობა, მით უფრო წარმატებით შესრულდება კომუნისმის მშენებლობის პროგრამა.

კომუნისმის მშენებელ საზოგადოებაში ადგილი არ უნდა ჰქონდეს დანაშაულსა და სხვა სამართალდარღვევებს. სკკპ პროგრამით დასახული ამ ამოცანის გადაწყვეტა მოითხოვს, რომ ყველა პარტიული, საბჭოთა და საზოგადოებრივი ორგანიზაცია ზრდიდეს საბჭოთა მოქალაქეებს კომუნისტური შეგნების მაღალი პრინციპებით, გადაჭრით ებრძოდეს კერძომესაკუთრულ გადმონაშთებსა და მემჩანურ განწყობილებებს, თვითუფლ ადამიანს უნერგავდეს საზოგადოებრივი საკუთრებისადმი მზრუნველობით მოპყრობის ჩვევებს.


სოციალისტური კანონიერების განმტკიცებისა და მოსახლეობის მართლშეგნების ამაღლების საქმეში ვ. ი. ლენინი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა სამართლის პროპაგანდას. ვ. ი. ლენინი მოუწოდებდა იუსტიციის ორგანოებს გაეძლიერებინათ მოსახლეობაში იურიდიული პროპაგანდა, ფართოდ გამოეყენებინათ ამ მიმართულებით მასობრივი ინფორმაციის საშუალებანი¹⁹.

სამართლის პროპაგანდა წარმოადგენს სოციალისტური კანონიერებისა და მართლწესრიგის განმტკიცების მნიშვნელოვან გარანტიას, კანონისადმი პატივისცემის სულისკვეთებით მშრომელთა ფართო მასების აღზრდის ეფექტურ საშუალებას. ზოგჯერ თანამდებობის პირის ან მოქალაქეთა მიერ კანონის დარღვევა გამოწვეულია არა რაიმე ბოროტი განზრახვით, არამედ კანონების, თავიანთი უფლება-მოვალეობების უცოდინარობით ან არასათანადო ცოდნით. კანონის ცოდნა ჩვენს სინამდვილეში ყველასათვის ხელმისაწვდომია. კანონის ტექსტები გარდა სპეციალური კრებულებისა ფართოდ ქვეყნდება პერიოდულ პრესაში, გადაიცემა რადიოთი, ტელევიზიით და ა. შ. მაგრამ მარტოდენ კანონის ტექსტის მოსმენითა და წაკითხვით ყველას როდი შეუძლია სწორად გაიგოს კანონის მოთხოვნები, ღრმად ჩასწვდეს ამ მოთხოვნათა აზრსა და არსს.

იმისათვის, რომ ფართო საზოგადოებრიობა არა მარტო იცნობდეს კანონის ტექსტს, არამედ იცოდეს მისი არსიც, რომ სამართლის ნორმის შესრულება და კანონიერების განმტკიცებისათვის ბრძოლა გადაიქცეს თვითუფლ მოქალაქის

¹⁸ ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 31, გვ. 444—445.

¹⁹ იხ. В. И. Ленин, Полн. собр. соч., т. 54, стр. 166.



შინაგან მოთხოვნილებად, საჭიროა საბჭოთა კანონების სისტემატური და კვალიფიციური პროპაგანდა. განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს ახალი საკანონმდებლო აქტების პროპაგანდას, რათა კანონის სიახლენი თავიდანვე სწორად გაიგოს და ათვისოს ფართო მოსახლეობამ.

კანონის სწორი განხორციელება დიდად არის დამოკიდებული კანონიერების განხორციელებაზე უფლებამოსილი თანამდებობის პირის მართლშეგნებაზე. მის პარტიულ შეგნებულობასა და შინაგან კულტურაზე. რა სრულყოფილი კანონიკ არ უნდა მივიღოთ, მაინც ვერ უზრუნველვყოფთ მის ზუსტად განხორციელებას თუ პირი, რომელსაც დაკისრებული აქვს ამ კანონის განხორციელება, ფორმალურად და არაკეთილსინდისიერად ასრულებს თავის მოვალეობას.

ვ. ი. ლენინი მიუთითებდა, რომ „ყოველი კანონის გვერდის ავლა შეიძლება თვით მისი შესრულების მოჩვენებითაც“²⁰. ამიტომ კანონიერებისა და მართლწესრიგის განმტკიცებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს კადრების სწორად შერჩევას, მათ იდეურ წრთობას, თეორიული ცოდნისა და პროფესიული ოსტატობის დონის ამადლებას. გულისხმიერება, კეთილსინდისიერება, მუშაობის მაღალი კულტურა სოციალისტური კანონიერების აუცილებელი კომპონენტია. მიუთითებდა რა სოციალისტური კანონიერებისა და კულტურის მკვიდრო კავშირზე ვ. ი. ლენინი მოითხოვდა, რომ საბჭოთა ორგანოებს ესწავლათ კანონიერებისათვის კულტურულად ბრძოლა. კანონიერებისათვის კულტურულად ბრძოლა ნიშნავს საბჭოთა კანონების ღრმად ცოდნას, მათ სწორად გაგებასა და გამოყენებას, უკანონობასთან, კანონის ყოველგვარ დარღვევასთან შეურიგებელ ბრძოლას. აუცილებელია ბოლომდე აღმოვფხვრათ სოციალისტური კანონიერების განხორციელებასთან შეუთავსებელი ისეთი მახინჯი მოვლენები, როგორცაა: ბიუროკრატიზმი, საქმის გაჯანჯლება, მშრომელთა განცხადებებისა და საჩივრებისადმი ფორმალური, უსულგულო დამოკიდებულება და ა. შ.

კანონიერების განმტკიცების, კანონის დარღვევათა თავიდან აცილებისა და აღმოფხვრისათვის ბრძოლას დიდი წარმატება და ეფექტი არ შეიძლება ჰქონდეს, თუ ამ საქმეში სახელმწიფო და ადმინისტრაციულ ორგანოებთან ერთად აქტიურად არ მონაწილეობს ფართო საზოგადოებრიობა. ვ. ი. ლენინი მიუთითებდა, რომ „მხოლოდ მუშათა და გლეხთა მასის ნებაყოფლობით და კეთილსინდისიერად, რევოლუციური ენთუზიაზმით გაწეულ თანამშრომლობას აღრიცხვისა და კონტროლში, მდიდრების, გაიძვერების, მუქთახორების, ხულიგნების მიმართ, შეუძლია მოსპოს კაპიტალისტური საზოგადოების ეს გამომონათები“²¹. 1921 წლის 17 ოქტომბერს პოლიტგანების სრულიად რუსეთის II ყრილობაზე ვ. ი. ლენინი აღნიშნავდა, რომ სამართალდარღვევების წინააღმდეგ ბრძოლას „მართლოდენ პროპაგანდით ვერ გამოიწვევ, მისი დამთავრება კი შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ თვით ხალხის მასა გვეხმარება“²².

პარტიისა და მთავრობის მიერ უკანასკნელ წლებში გატარებული ღონისძიებების შედეგად მნიშვნელოვნად გაიზარდა საზოგადოებრიობის როლი სოციალისტური კანონიერების განმტკიცების საქმეში. ამ ღონისძიებათა შესაბამისად საზოგადოებრივი ორგანიზაციების განმგებლობაში სულ უფრო მეტად გადის მართლწესრიგის დაცვისა და უზრუნველყოფის საკითხები. სოციალის-

20 ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 30, გვ. 228—229.

21 ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 27, გვ. 477.

22 ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 33, გვ. 68—69.

ტური კანონიერების დაცვისა და განმტკიცების დარგში დიდი როლი აკისრიათ მშრომელთა საზოგადოებრივ ორგანიზაციებს: სახალხო რაზმეულებს, ამხანაგურ სასამართლოებს, არასრულწლოვანთა საქმეების კომისიებს და ა. შ. მათი მთავარი ამოცანაა კანონიერების დაცვის უზრუნველყოფა, მოქალაქეთა აღზრდა სოციალისტური თანაცხოვრების წესების დაცვისა და პატივისცემის სულისკვეთებით, საბჭოთა ადამიანებში კოლექტივიზმისა და ამხანაგური ურთიერთდახმარების, მოქალაქეთა ღირსებისადმი პატივისცემის გრძნობის განვითარება.

რასაკვირველია, კანონიერების განმტკიცების დარგში საზოგადოებრიობის როლის ამადლება არ ნიშნავს, რომ კანონიერებისა და მართლწესრიგის დაცვის ფუნქციამ დაკარგა პოლიტიკური, სახელმწიფოებრივი ხასიათი, არ ნიშნავს, რომ სახელმწიფო ორგანოებმა, რომელთა პირდაპირი ვალდებულებაა კანონიერების დაცვის უზრუნველყოფა, შეასუსტონ თავიანთი საქმიანობა, გამოიჩინონ დამრღვევთა მიმართ ლოიალობა და შემწყნარებლობა. სასამართლო, პროკურატურისა და მილიციის ორგანოები სასტიკ ბრძოლას უნდა აწარმოებდნენ მათ მიმართ, ვინც არღვევს კანონიერებას. მაგრამ ყოველთვის უნდა გვახსოვდეს, რომ ამ ბრძოლის წარმატების საწინდარია საზოგადოებრიობაზე დაყრდნობა, სამართალდამრღვევთა წინააღმდეგ სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი ძალებით ფართო ფრონტის შექმნა, ამ საქმეში მშრომელთა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების აქტივობის განვითარება.


სოციალისტური კანონიერების განმტკიცებისა და განვითარებისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობას, კანონიერებისა და მართლწესრიგის საკითხებისადმი პარტიის განუწყვეტელ და მუდმივ ზრუნვას.

განუხრელად ხელმძღვანელობს რა ვ. ი. ლენინის უკვდავი მითითებებით პარტია დიდ ყურადღებას აქცევს კანონიერების დაცვას, საბჭოთა კანონმდებლობის სრულყოფას, სახელმწიფო და საზოგადოებრივი საქმიანობის ყველა სფეროში დისციპლინისა და მართლწესრიგის განმტკიცებას. სოციალისტური კანონიერების საკითხი ბევრჯერ ყოფილა უმაღლესი პარტიული და საბჭოთა ორგანოების მსჯელობის საგანი. სოციალისტური კანონიერების თაობაზე პარტიას და მთავრობას არაერთხელ მიუღიათ სპეციალური დადგენილებები და რეზოლუციები.

სოციალისტური კანონიერების განმტკიცების საქმეში განსაკუთრებით დიდი როლი შეასრულა პარტიის XX ყრილობამ, რომელმაც ლენინური პრინციპულობით დაგმო წარსულში არსებული კანონიერების უხეში დარღვევების ფაქტები, დასახა სოციალისტური დემოკრატიისა და კანონიერების შემდგომი განვითარების კონკრეტული ღონისძიებანი.

სკკპ XX ყრილობის შემდეგ პარტიამ და მთავრობამ დიდი მუშაობა ჩაატარეს წარსულში დაშვებული კანონიერების დამრღვევთა გამოსავლინებლად და აღმოსაფხვრელად: გაუქმდა 1934 წლის 1 დეკემბრისა და 1937 წლის 14 სექტემბრის კანონები, რომლებიც მთელი რიგი სახელმწიფო დანაშაულის საქმეებზე მნიშვნელოვნად ზღუდავდნენ პროცესუალურ გარანტიებს, გადაისინჯა არასწორად გადაწყვეტილი სისხლის სამართლის საქმეები, მოხდა უდანაშაულოდ მსჯავრდებულ პირთა რეაბილიტაცია და ა. შ.

მოიწონა რა სოციალისტური კანონიერების განმტკიცებისათვის პარტიისა და მთავრობის მიერ გატარებული ღონისძიებანი სკკპ XXI ყრილობამ



მიუთითა, რომ კანონიერებისა და დისციპლინის დაცვა წარმოადგენს საბჭოთა სახელმწიფოს განმტკიცების საშუალებას, კომუნისტური მშენებლობის წარმატების აუცილებელ პირობას. ყრილობამ დასახა ღონისძიებანი კანონიერების დარღვევათა წინააღმდეგ ბრძოლაში საზოგადოებრიობის როლის ამაღლებისა და გააქტიურებისათვის.

სოციალისტური კანონიერების განმტკიცების თაობაზე მნიშვნელოვანი დებულებებია მოცემული პარტიის XXII ყრილობის დოკუმენტებში. ყრილობის მიერ მიღებულ სკკპ პროგრამაში ნათქვამია: „პარტია აყენებს ამოცანას უზრუნველყოფილ იქნეს სოციალისტური კანონიერების ზუსტად დაცვა, აღმოჩენვას მართლწესრიგის ყოველგვარი დარღვევა, მოხდეს დამნაშავეობის ლიკვიდაცია, აღიკვეთოს მისი წარმომშობი ყველა მიზეზი“²³.

სოციალისტური კანონიერების საკითხებს დიდი ადგილი დაეთმო პარტიის XXIII ყრილობაზე. სკკპ ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენებაში აღინიშნა, რომ საბჭოთა ორგანოების მთელ საქმიანობას, მოქალაქეთა ფართო შემოქმედებით მონაწილეობას ჩვენი ქვეყნის საქმეების მართვაში საფუძვლად უნდა ედოს სოციალისტური კანონიერების უმკაცრესი დაცვა. შრომის დისციპლინის განმტკიცება, მოქმედი კანონებისა და წესების განუხრელად დაცვის მოთხოვნა არა თუ ეწინააღმდეგება საბჭოთა წყობილების დემოკრატიულ საფუძვლებს, არამედ, პირიქით, განაპირობებს სოციალისტური დემოკრატიის განვითარებასა და გაფართოებას.

კანონიერებისა და მართლწესრიგის დაცვის დარგში პარტიის ხელმძღვანელი, მორგანიზებელი და წარმმართველი როლი უზრუნველყოფს სოციალისტური კანონიერების ლენინური პრინციპების ყოველმხრივ განმტკიცებასა და განვითარებას, ჩვენს ქვეყანაში სამართალდარღვევების აღმოჩენვასა და ლიკვიდაციას, კომუნისტური მორალისა და შეგნების სულისკვეთებით ყველა მოქალაქის აღზრდას.

²³ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამა, თბილისი, 1961, გვ. 117.

ადგილობრივი საბჭოები სოციალისტური კანონიერების დაცვის სალაკაჯოზე

მ. ბალათურიძე,

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საბჭოების განყოფილების გამგე

სსრ კავშირის კონსტიტუციის 97-ე მუხლის თანახმად „მშრომელთა დებუ-
ტატების ადგილობრივი საბჭოები უზრუნველყოფენ სახელმწიფო წესრიგის
დაცვას, კანონთა დაცვასა და მოქალაქეების უფლებათა დაცვას“, ე. ი.
საბჭოები ახორციელებენ სოციალისტური სახელმწიფოს ყველა კანონის ზუს-
ტად და განუხრელად გატარებას. გადამწყვეტი ძალა, რომელსაც უნარი შეს-
წევს დაიცვას კანონიერება, უზრუნველყოს საზოგადოებრივი წესრიგის დამყა-
რება, — ეს არის მშრომელთა დებუტატების ადგილობრივი საბჭოები, მათი აღ-
მასრულებელი კომიტეტები, დებუტატები, მუდმივი კომისიები და საბჭოების
ვარსემო დარაზმული მრავალრიცხოვანი აქტივი.

ადგილობრივი საბჭოები მილიციის, პროკურატურის, სასამართლო ორგა-
ნოებთან ერთად, დებუტატების, მუდმივი კომისიებისა და საზოგადოებრივ ორ-
განიზაციების მხარდაჭერით უკანასკნელ პერიოდში მნიშვნელოვან ღონისძიე-
ბებს ატარებენ კანონიერების განმტკიცების საქმეში. მართლწესრიგის დაცვის
საკითხები რეგულარულად განიხილება სესიებსა და აღმასრულებელი კომიტე-
ტების სხდომებზე, სოფლის მოსახლეობის კრებებზე.

გასულ წელს 15 რაიონულ საბჭოს სესიაზე განხილულ იქნა სოციალისტუ-
რი კანონიერებისა და საზოგადოებრივი წესრიგის განმტკიცების საკითხი. მომხ-
სენებლად ძირითადად რაიონის პროკურორები გამოვიდნენ. გასულ წელს ამ სა-
კითხზე 976 სოფელში მოეწყო მოსახლეობის საერთო კრება, რომელსაც 320
ათასზე მეტი კაცი დაესწრო. საკითხის განხილვაში მონაწილეობა მიიღო 9.000-
ზე მეტმა კაცმა.

ადგილობრივ საბჭოებთან შექმნილია სოციალისტური კანონიერებისა და
საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მუდმივი კომისიები, რომელთა უმრავლესობა
ნაყოფიერ მუშაობას ეწევა, მაგრამ ეს საქმიანობა საკმარისი არ არის.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამაში ხაზგასმით აღნიშ-
ნულია, რომ „მთავარი ყურადღება უნდა მიექცეს დანაშაულის თავიდან აცი-
ლებას“. ჩვენი რესპუბლიკის 32 რაიონის ტერიტორიაზე არ არის არც ერთი სა-
სოფლო საბჭო, სადაც უკანასკნელ 2-3 წლის განმავლობაში ადგილი არ ჰქონო-
და დანაშაულობის ან საზოგადოებრივი წესრიგის უხეში დარღვევის ფაქტებს.
დანარჩენ რაიონებში კი თითო-ოროლა საბჭოა, სადაც ადგილი არ ჰქონია საზო-
გადოებრივი წესრიგის დარღვევის ფაქტს. ნაკლებ პასუხისმგებლობას გრძნო-
ბენ ამ საქმეში აღმასრულებელი კომიტეტები, დებუტატები, მუდმივი კომისი-
ები, აქტივი, საწარმო-დაწესებულებებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელები.
ისინი ყოველი ღონისძიებით უნდა ცდილობდნენ ძირშივე აღმოფხვრან და-
ნაშაულობათა წარმომშობი მიზეზები, ხოლო ყოველი, თუნდაც მცირე, დარღვე-
ვა დაუყოვნებლივ გახადონ საზოგადოებრიობის მსჯელობის საგნად. მაგალი-



თისათვის შემიძლია მოვიყვანო რამდენიმე დანაშაული, რომელთა აცილება თავისუფლად შეეძლოთ საბჭოს, დეპუტატებსა და ორგანიზაციების ხელმძღვანელებს.

განა არ იცოდნენ ასპინძის რაიონის ნაქალაქევის სასოფლო საბჭოს აღმასკომმა და დეპუტატებმა, რომ ამავე სოფლის მცხოვრებ კოლმეურნე მაისურაძეს ეკვიანობის გამო უკმაყოფილება ჰქონდა თავის ცოლთან. ბოლოს ამ ნიადაგზე მან გასულ წელს მოკლა ფერმის გამგე მაისურაძე და თავისი ცოლი.

მთელი რიგი საწარმო-დაწესებულებების, სასწავლებლების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელები არასაკმაოდ მონაწილეობენ სოციალისტური კანონიერებისა და საზოგადოებრივი წესრიგის განმტკიცების საქმეში, ურიგდებიან ხულიგნობას, ლოთობას და სხვა ანტისაზოგადოებრივ მოვლენებს.

თიანეთის რაიონის ყველისა და კარაქის მთავარი ქარხნის მუშამ ე. ჯერვალაძემ განცხადებით მიმართა ქარხნის დირექტორს ჭინჭარაულს, რომ მას ავიწროებდა ამავე ქარხნის ხელოსანი ა. დუმიკიანი და სთხოვდა მის მიმართ მიეღო შესაფერისი ზომები, მაგრამ ამ საჩივრისადმი ადმინისტრაციის უყურადღებობის შედეგად ე. ჯერვალაძე იძულებული გახდა თავი დაენებებინა მუშაობისათვის და ამის შესახებ ეთქვა ქმრისათვის, რომელმაც დანით დასჭრა ა. დუმიკიანი. მეორე დღეს ხელჩანთით ხელში საავადმყოფოს ადმინისტრაციამ ა. დუმიკიანის სანახავად შეუშვა ე. ჯერვალაძე, რომელმაც ცუდით მოკლა ა. დუმიკიანი საავადმყოფოში.

ცხაკიას რაიონის ნაფიჩხაოს სავაჭრო მაღაზიის გამგემ გ. დარსალიამ გასული წლის აგვისტოში მაღაზიაში დახლთან მიიპატიჟა ოთხი ახალგაზრდა და არაერთ გაუმასპინძლდა მათ. ერთმა მათგანმა, ნასამართლევმა ს. დარსალიამ იქვე დანით დაჭრა თავისი ამხანაგი შ. დარსალია.

მრავალი ასეთი მაგალითის მოყვანა შეიძლება, მაგრამ მოვიყვან კიდევ ერთ მაგალითს, რომლის თავიდან აცილება სულ თავისუფლად შეიძლებოდა, თუ დეპუტატები და აქტივი ყურადღებას გამოიჩენდნენ. ლანჩხუთის რაიონის სოფელ ლაშისდელეში ამ ორი თვის წინათ ქორწილში მყოფმა დ. ყიფიანმა დაიწყო რევოლვერის სროლა და როგორც ეზოში, ისე ქუჩაში დაამსხვრია ელექტროხათურები. მას არავინ არ მოუწოდა წესრიგისაკენ და ზომები არ მიიღეს, რომ ჩამოერთმიათ ცეცხლსასროლი იარაღი, რომლის ტარების უფლება მას არა ჰქონდა. ყოველივე ამის გამო გათამამებულმა დ. ყიფიანმა მეორე დღეს რევოლვერით მოკლა ოჯახის სიძე ინჟინერი ხუხუნაშვილი.

სწორად მოაქცა სამტრედიის რაიონის ხელმძღვანელობა, რომ სამუშაოდან მოხსნა ბაშის სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ხ. კაშია იმის გამო, რომ გასულ წელს კინოსურათის ჩვენების დროს ჯ. ცქვიტინიძემ ცემით მოკლა სტუდენტი მ. გერაძე. თავმჯდომარე ამ ამბის შემდეგ დამშვიდებული წავიდა შინ, მაგრამ საქმე ამით არ დამთავრებულა. დაიწყო შუღლი მოკლულის მამასა და მკვლელის ძმას შორის. მოკლულის მამამ ჯ. ცქვიტინიძის ნაცვლად შეცდომით მოკლა სრულიად უდანაშაულო მ. გოდუაძე, რის შემდეგ თვითონ გაგიჟდა.

ასეთი მაგალითების მოყვანა კიდევ შეიძლება, მაგრამ იმის უფრო ბევრი მაგალითი შეიძლება მოვიყვანოთ, თუ საბჭოების, დეპუტატების, აქტივისა და საწარმო-დაწესებულებების ხელმძღვანელების მიერ როგორ იქნა აცილებული

დანაშაულობის ჩადენისა და საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევის შემთხვევებში.

ბევრი დანაშაულობა იქნა აცდენილი გეგეჟკორის რაიონის დიდი ჯყონის ჩაის საბჭოთა მეურნეობის დირექტორის დეპუტატ მ. მანას, დოშაყის სასოფლო საბჭოს აღმასკომისა და საბჭოს დეპუტატების, წულუკიძის რაიონის სასოფლო საბჭოს დეპუტატების დ. სულაბერიძის, მ. შავლაძის, ლ. მელაძისა და სხვათა მიერ.

დანაშაულობანი ძირითადად გამოწვეულია ლოთობის, მეზობლური და ოჯახური არაჯანსაღი დამოკიდებულების ნიადაგზე. მისაბაძია ჩხოროწყუს რაიონის პარტიული და საბჭოთა ორგანოების ინიციატივა, სადაც დეპუტატებისა და აქტივის საშუალებით აღრიცხული ჰყავთ პირები, რომლებიც სისტემატურად სვამენ მაგარ სასმელებს, ვინ როგორ დამოკიდებულებაშია მეზობლებთან, ამხანაგებთან, ოჯახში და სხვ. ყოველ ასეთ პირთან ეწევია ინდივიდუალურ მუშაობას, მართავენ საუბრებს და სხვ. ამის შედეგია, რომ რაიონის მთელი რიგი სასოფლო საბჭოების (ნაკიანის, ლეწურწუმეს და სხვ.) ტერიტორიებზე უკანასკნელი წლების განმავლობაში არ მომხდარა დანაშაულობისა და საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევის არც ერთი შემთხვევა.

საჭიროა გადაჭრით ამაღლდეს ადგილობრივი საბჭოების როლი სოციალისტური კანონიერებისა და საზოგადოებრივი წესრიგის განმტკიცების საქმეში.

სესიაზე და აღმასრულებელი კომიტეტის სხდომაზე სოციალისტური კანონიერების განმტკიცებისა და სანიმუშო საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის საკითხის განხილვას, როგორც წესი, წინ უნდა უსწრებდეს საქმის მდგომარეობის დაწვრილებითი შესწავლა საწარმო-დაწესებულებებში, ორგანიზაციებში, დასახლებულ ადგილებში. საკითხის შესწავლაში აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღონ დეპუტატებმა, მუდმივმა კომისიებმა, პროკურატურის, სასამართლოს, მილიციის ორგანოების თანამშრომლებმა. ასეთი პრაქტიკა არა მარტო ავლენს კანონიერების დარღვევის ფაქტს, არამედ მათი თავიდან აცილების საშუალებასაც იძლევა.

აქვე მინდა მოვიყვანო მაგალითი, თუ როგორ ჩატარდა ამ საკითხზე გეგეჟკორის რაიონული საბჭოს სესია:

რაიონული საბჭოს აღმასკომმა 20 დღით ადრე აცნობა დეპუტატებს და სახლეობას სესიის ჩატარების დრო და დღის წესრიგი. ამავე დროს დეპუტატებს მიმართა თხოვნით შეესწავლათ კანონიერების დარღვევის მდგომარეობა თავიანთ საარჩევნო ოლქებში და მონაწილეობა მიეღოთ სესიაზე საკითხის განხილვაში. აღმასკომში მოსახლეობიდან შემოვიდა 83 წინადადება და შენიშვნა. სესიისათვის საკითხის მომზადებაში მონაწილეობდნენ რაიონული საბჭოსა და სასოფლო საბჭოს დეპუტატები, სოციალისტური კანონიერებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მუდმივი კომისიები და საზოგადოებრივი ორგანიზაციები. აღსანიშნავია ისიც, რომ სესიისათვის საკითხის მომზადებაში აქტიური მონაწილეობა მიიღეს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის პროფესორებმა ვ. აბაშმაძემ, გ. ერემოვმა და ნ. ლომსაძემ. ისინი ერთი კვირით ადრე ჩავიდნენ რაიონში, მოიარეს კოლმეურნეობები, საბჭოთა მეურნეობები, სასოფლო საბჭოები, ესაუბრნენ მშრომლებს სოციალისტური კანონიერებისა და საზოგადოებრივი წესრიგის საკითხებზე, გაუწიეს იურიდიული კონსულტაცია, მოაწყეს კითხვა-პასუხის საღამოები, სესიის გახსნამდე რამდენიმე დღით ადრე რაიონულ გაზეთში გამოაქვეყნეს მეტად საინტერესო ვრცელი

სტატია — „სოციალისტური კანონიერება საბჭოთა ხალხის კეთილდღეობის საწინდარია“.

სესიაზე საკითხის განხილვაში, მონაწილეობის მიღებისათვის წინასწარ რაიონე გაფრთხილების მიუხედავად, ჩაეწერა 18 დეპუტატი, მონაწილეობა მიიღო 13 დეპუტატმა.

სესიის მუშაობა მარტო გადაწყვეტილებების მიღებით არ დამთავრებულა. რაიონული საბჭოს აღმასკომმა, დარწმუნებულმა იმაში, რომ მხოლოდ მოსახლეობის ფართო მონაწილეობით შეიძლება რაიონში საზოგადოებრივი წესრიგის დამკარება, სტამბური წესით გაამრავლა სესიის გადაწყვეტილება და დაურიგა დეპუტატებს, რომლებმაც ფართოდ გააცნეს თავიანთ ამომრჩეველებს.

რაიონის კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ შედგენილ იქნა მოსახლეობაში საზოგადოებრივი წესრიგის დაცვისა და სოციალისტური კანონიერების საკითხებზე ლექცია-მოხსენებების ჩატარების განრიგი. სესიის შემდეგ სასოფლო საბჭოების აღმასკომების თავმჯდომარეებმა სურვილი გამოთქვეს ჩატარებულყო ამ საკითხზე სოფლის ყრილობები. ლეხაინდრას სასოფლო ყრილობაში მონაწილეობა მიიღეს ზემოდასახლებულმა მეცნიერებმა. ყრილობაზე მოხსენებით გამოვიდა ლეხაინდრას სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე შ. დანელია. ყრილობამ მიიღო კონკრეტული საქმიანი დადგენილება სოციალისტური კანონიერებისა და საზოგადოებრივი წესრიგის განმტკიცების უზრუნველყოფისათვის. ასეთმა ღონისძიებამ მნიშვნელოვნად შეამცირა საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევის შემთხვევები.

საჭიროა აღმასრულებელმა კომიტეტებმა რეგულარულად შეამოწმონ სესიის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულების მიმდინარეობა, მოისმინონ ქვემდგომი აღმასრულებელი კომიტეტების თავმჯდომარეებისა და საწარმო-დაწესებულებათა ხელმძღვანელების ინფორმაციები, თუ რა ღონისძიებებს ახორციელებენ დანაშაულობათა და საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევათა აღკვეთისათვის. არა მარტო დეპუტატები და აქტივი, არამედ მთელი მოსახლეობა რომ ჩაებას სოციალისტური კანონიერებისა და საზოგადოებრივი წესრიგის განმტკიცების საქმეში, საჭიროა ფართოდ დავნერგოთ, რა თქმა უნდა, სადაც ამას საქმე მოითხოვს, აღნიშნულ საკითხზე მოსახლეობის საერთო კრებების ჩატარება.

ედვილობრივმა საბჭოებმა რომ შეძლონ სოციალისტური კანონიერებისა და საზოგადოებრივი წესრიგის განმტკიცების საქმეში თავიანთი მოვალეობის შესრულება, საჭიროა მუშაობის ახალი ორგანიზაციული ფორმა, რომელიც დეპუტატებსა და აქტივს დარაზმავდა სანიმუშო საზოგადოებრივი წესრიგისათვის საბრძოლველად. ამ საქმეში მნიშვნელოვანი როლი უნდა შეასრულონ სოციალისტური კანონიერებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მუდმივმა კომისიებმა. ამჟამად რესპუბლიკაში არსებული 1.098 საბჭოდან სოციალისტური კანონიერებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მუდმივი კომისიები შექმნილია მხოლოდ 134 საბჭოსთან.

აღნიშნულმა კომისიებმა, მიუხედავად თავიანთი არსებობის ხანმოკლე ისტორიისა, საკმაოდ დიდი ავტორიტეტი მოიპოვეს. მიზანშეწონილია სოციალისტური კანონიერებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მუდმივ კო-

მისიებში არჩეულ იქნან ამ დარგში გამოცდილი დეპუტატები და კომისიის მუშაობაში ჩაებას ფართო აქტივი.

აქვე უნდა აღვნიშნო, რომ ჩვენს რესპუბლიკაში ჯერჯერობით შემუშავებული არა გვაქვს ამ კომისიის საქმიანობის დებულება. ვფიქრობ, ამ კომისიამ თავისი საქმიანობა უნდა წარმართოს შემდეგი ძირითადი მიმართულებებით:

კომისია უნდა ამოწმებდეს, თუ როგორ ებრძვიან საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევის ფაქტებს საბჭოს ტერიტორიაზე განლაგებული საწარმო-დაწესებულებები და ორგანიზაციები, კონტროლს უწევდეს იმ ორგანოების საქმიანობას, რომლებიც მოწოდებული არიან იბრძოდნენ წესრიგის დამრღვევთა წინააღმდეგ, კერძოდ, მილიციის ორგანოები, ადმინისტრაციული კომისიები, ამხანაგური სასამართლოები, ნებაყოფლობითი სახალხო რაზმეულები და ა. შ.

კონტროლს უწევდეს, თუ როგორ ასრულებენ საწარმო-დაწესებულებები, ორგანიზაციები, კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები კანონიერებას. კერძოდ, როგორ ასრულებენ საბჭოებისა და მათი აღმასრულებელი კომიტეტების გადაწყვეტილებებს, რომლებიც ეხება სოციალისტური კანონიერების გატარებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის საკითხებს.

კომისია თვალყურს უნდა ადევნებდეს მშრომელთა განცხადებებისა და საჩივრების განხილვის მდგომარეობას, როგორ სრულდება შრომის კანონმდებლობა საწარმოებსა და დაწესებულებაში, მან უნდა გამოავლინოს სოციალისტური საკუთრების და მოქალაქეთა პირადი საკუთრების გატაცების გამომწვევი მიზეზები და დარაზმის აქტივი ამ ნაკლოვანებათა აღმოფხვრისათვის საბრძოლველად.

მუდმივი კომისია ყველა საბჭოთა მოქალაქეს ყოველდღიურად უნდა შეახსენებდეს კონსტიტუციურ მოთხოვნას, რომ „იგი ვალდებულია გაუფრთხილდეს და განამტკიცოს საზოგადოებრივი, სოციალისტური საკუთრება, როგორც საბჭოთა წყობილების წმიდათა წმიდა ხელშეუხებელი საფუძველი, როგორც სამშობლოს სიმდიდრისა და ძლიერების წყარო, როგორც ყველა მშრომელის შეძლებული და კულტურული ცხოვრების წყარო“. საჭიროა მუდმივი კომისიების მუშაობაში ფართოდ დაინერგოს საწარმო-დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში გამსვლელი სხდომების ჩატარება, რაც ხელს შეუწყობს მშრომელებთან კავშირის განმტკიცებას. ამასთან ერთად აღმასრულებელმა კომიტეტებმა მკვეთრად უნდა გააუმჯობესონ ხელმძღვანელობა და დახმარება საბჭოებთან და აღმასკომებთან შექმნილი დეპუტატთა ჯგუფებისადმი, არასრულწლოვანთა, სამეთვალყურეო და ადმინისტრაციული კომისიებისადმი და, სადაც ამას საჭიროება მოითხოვს, რაიონული საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების ნებართვით, სასოფლო საბჭოებთან შეიქმნას ადმინისტრაციული კომისიები.

საჭიროა აგრეთვე მკვეთრად ამაღლდეს დეპუტატების როლი და პასუხისმგებლობა სოციალისტური კანონიერებისა და საზოგადოებრივი წესრიგის განმტკიცების საქმეში. ჩვენს რესპუბლიკაში არსებულ 1.098 საბჭოში არჩეულია 48.750 დეპუტატი. საბჭოების დეპუტატებისა და უშუალოდ საბჭოების საქმიანობაში ჩაბმულ აქტივისტთა რიცხვს თუ გადავხედავთ, დავინახავთ, რომ რესპუბლიკის ყოველი მეექვსე თუ მეშვიდე მოქალაქე საბჭოების მუშაობაში მონაწილეობს. რესპუბლიკაში არ მოაპოვება საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის, კოლმეურნეობის, საბჭოთა მეურნეობის, ჯანმრთელობის დაცვის, კულტურის, განათლების, ვაჭრობის, საყოფაცხოვრებო მომსახურების და სხვა დარ-

გების არც ერთი უბანი და რგოლი, სადაც ადგილობრივი საბჭოს დეპუტატი არ მოღვაწეობდეს. რამდენი რამის გაკეთება შეუძლია ჩვენი ხალხის ამ მოწინავე არმიას, თუ მის მუშაობას აღმასრულებელი კომიტეტები საქმიანად წარმართავენ და თუ თვითეული დეპუტატი პირნათლად შეასრულებს თავის სადეპუტატო მოვალეობას, აქტიურად იბრძოლებს სოციალისტური კანონიერებისა და საზოგადოებრივი წესრიგის განმტკიცებისათვის. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ 48.750 დეპუტატიდან 35 ათასზე მეტი სასოფლო საბჭოს დეპუტატია და თვითეული საარჩევნო ოლქის მცხოვრებთა რაოდენობა 75-ს არ აღემატება, ნათლად წარმოვიდგინოთ, რომ თვითეული დეპუტატი თავის ამომრჩევლებს შორის ცხოვრობს, საქმიანობს და ყოველდღიურ კავშირშია მათთან, იცნობს თვითეულის ოჯახს, ამიტომ მას ბევრი რამის გაკეთება შეუძლია წინასწარ დანაშაულობისა და საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევის აღკვეთის საქმეში.

დეპუტატის საქმიანობისა და მისი მუშაობის შეფასების ერთ-ერთი ძირითადი მაჩვენებელი უნდა იყოს ის, თუ რა ღონისძიებები განახორციელა მან თავის საარჩევნო ოლქში დანაშაულობათა და საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევათა აღკვეთის საქმეში.

სოციალისტური მართლწესრიგის განმტკიცების მთავარი პირობაა ამ საქმეში მასების დარაზმვა. ადგილობრივი საბჭოების მუშაკები, დეპუტატები ფართო პროპაგანდისტულ მუშაობას უნდა ეწეოდნენ მოსახლეობაში. კანონების ღრმა ცოდნა და მათი განუხრელად შესრულება ადგილობრივი საბჭოების ყველა მუშაკის უპირველესი მოვალეობაა.

ჩვენი ცხოვრების სინამდვილეში, სოციალისტური საზოგადოების პირობებში დამნაშავეობის გამომწვევი მიზეზები არ არსებობს. კომუნიზმის მშენებელ საზოგადოებაში მართლწესრიგი არ უნდა ირღვეოდეს. მატერიალური კეთილდღეობის, კულტურული ღონისა და მშრომელთა შეგნებულობის ზრდა დამნაშავეობის აღმოფხვრის ყველა პირობას ქმნის.

ჯანმრთელობის დაცვის კანონმდებლობის კუმანიზმი

პროფ. ს. ჯორჯანაძე

ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დაცვა ყოველთვის იყო და იქნება მედიცინის მოვალეობა. ადამიანებს მედიცინა არ შეიძლება ანსხვავებდეს სხვა ნიშნით გარდა ავადმყოფობისა. იგი ყველას მიმართ თანაბრად უნდა ზრუნავდეს. ამაშია მედიცინის უკვდავი ჰუმანიზმი.


საბჭოთა მედიცინის წარმატებები მეტად დიდია. ბევრს კარგად ახსოვს მოარულ სენად მოდებული სოციალური დაავადებანი, რომელიც მუსრს ავლებდა მოსახლეობას. 1920 წელს ივანე ჯავახიშვილი წუხილით წერდა: „ჩვენი კურთხეული ქვეყნის რისხვას, როგორც ცნობილია, დამპალი ციება ანუ მალარია და ზოგიერთი ცხელი ქვეყნის ავადმყოფობა შეადგენს: განსაკუთრებით ეს პირველია მოდებული საქართველოში და მრავალს მსხვერპლს იწირავს, ამ ცხელ ქვეყნების ავადმყოფობის წინააღმდეგ ბრძოლაც ჩვენი ერის კეთილდღეობისა და ჯანმრთელობის აუცილებელი მოთხოვნილებაა“. იგი ოცნებობდა გაეხსნათ უნივერსიტეტის სასანიტრო ინსტიტუტთან მალარიასთან ბრძოლის განყოფილება.

დღეს კი ძნელია სამედიცინო ინსტიტუტის სტუდენტებმა პრაქტიკულად შეისწავლონ მალარიით დაავადებული, იმდენად იშვიათია ეს და სხვა მსგავსი ადრე ფართოდ გავრცელებული ავადმყოფობანი.

მედიცინისა და ფარმაცევტიკის მსახურთა საქმიანობა მეტად მრავალმხრივია, რისკითა და პასუხისმგებლობით არის აღსავსე. გასაგებია, რომ ამ საქმიანობას სახელმწიფოს მიერ დადგენილი ნორმატიული აქტები აწესრიგებენ. ამასთან მედიცინისა და ფარმაცევტიკის მუშაკთა უფლება-მოვალეობის განსაზღვრით სრულიად არ ამოიწურება ნორმატიული აქტები ჯანმრთელობის დაცვის შესახებ.

ხალხის ჯანმრთელობის დაცვა საბჭოთა სახელმწიფოს უმნიშვნელოვანეს ამოცანად არის გამოცხადებული. ხალხის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფოებრივი სისტემა, რომელიც უზრუნველყოფილია და ხორციელდება სოციალურ-ეკონომიური და სამედიცინო-სანიტარიულ ღონისძიებათა ფართო კომპლექსით. ჩვენი საზოგადოების უდიდესი მონაპოვარია. ჯანმრთელობის დაცვის კანონმდებლობა მოწოდებულია მოაწესრიგოს საზოგადოებრივი ურთიერთობანი მოსახლეობის ჯანმრთელობის დარგში, რათა უზრუნველყოს მოქალაქეთა ფიზიკური და სულიერი ძალების ჰარმონიული განვითარება, ჯანმრთელობა, შრომისუნარიანობის მაღალი დონე და ხანგრძლივი აქტიური ცხოვრება. მის მოვალეობას შეადგენს უზრუნველყოს მოქალაქეთა დაავადების თავიდან აცილება, ინვალიდობისა და სიკვდილიანობის შემცირება, აღმოფხვრას ის ფაქტორები და პირობები, რომლებიც მავნებელია მოქალაქეთა ჯანმრთელობისათვის.

ამ ამოცანის განხორციელებისათვის ჯანმრთელობის დაცვის კანონმდებლობას უხდება სამართლის სრულიად სხვადასხვა დარგებსა და ინსტიტუტებში



„შეჭრა“, რათა არ იქნეს დაშვებული მოსახლეობის ან საზოგადოების ცალკეული წევრის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საზიანო მოქმედება. ამგვარი შეჭრა ყოველთვის უნდა ემყარებოდეს საბჭოთა სახელმწიფოს უმაღლეს ნორმატიულ აქტებს. აქამდე ჯანმრთელობის დაცვის კანონმდებლობა უმთავრესად ცალკეულ დებულებებითა და ინსტრუქციებით იყო განსაზღვრული, რაც ზოგჯერ აძნელებდა მათ გამოყენებას. ამასთან ეს დაქსაქსული აქტები სხვადასხვა დროს და სხვადასხვა უწყების მიერ მიღებული არა მარტო მოძველდნენ, არამედ მნიშვნელოვნად ეწინააღმდეგებოდნენ ერთმანეთს. სსრ კავშირის კონსტიტუციის მე-14 მუხლის „ს“ პუნქტით დადგენილია, რომ სსრ კავშირის სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის უმაღლესი ორგანოების გამგებლობას მიეკუთვნება ჯანმრთელობის დაცვის საქმეში საფუძვლების დადგენა.

საყოველთაო-სახალხო განხილვის შემდეგ სსრ კავშირის მეშვიდე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეშვიდე სესიამ 1969 წლის 19 დეკემბერს მიიღო „სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების ჯანმრთელობის დაცვის კანონმდებლობის საფუძვლები“.

ჯანმრთელობის დაცვის კანონმდებლობის საფუძვლების ერთიან საერთო-საკავშირო აქტის სახით ჩამოყალიბება არა მარტო კონსტიტუციის მოთხოვნის განხორციელებაა, არამედ ამასთან ერთად სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს პირით არის იმის აღიარებაც, რომ ყველა ორგანიზაცია და დაწესებულება, მედიცინისა და ფარმაცევტიკის ყველა მუშაკი ვალდებულია უფრთხილდებოდეს მოქალაქეთა ჯანმრთელობას, ისევე როგორც თითოეული მოქალაქე უნდა ზრუნავდეს როგორც თავის, ისევე სხვის ჯანმრთელობის დაცვაზე.

„საფუძვლების“ მე-3 მუხლით „მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა ყველა სახელმწიფო ორგანოს, საწარმოს, დაწესებულებისა და ორგანიზაციის მოვალეობაა“. ასევე განსაზღვრულია პროფესიული კავშირების, კოოპერაციული ორგანიზაციების და სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციათა მოვალეობა მონაწილეობა მიიღონ მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის უზრუნველყოფაში. მასასადამე, უკლებლივ ყველა ორგანიზაციასა და დაწესებულებას ევალება იზრუნოს მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვაზე, მიუხედავად მისი მუშაობის სპეციფიკისა. ეს მეტად მნიშვნელოვანი ვალდებულება კანონით არის განსაზღვრული და „საფუძვლების“ სხვა მუხლებშიც არის დადგენილი. „საფუძვლების“ 37-ე მუხლით საწარმოებში, დაწესებულებებში და ორგანიზაციებში ჯანმრთელობის დაცვის დაწესებულებათა მოწყობისათვის აღმინისტრაცია ვალდებულია გამოყოს საჭირო სათავსოები და ტრანსპორტი, აგრეთვე ექიმებსა და მედიცინის სხვა მუშაკებს ხელი შეუწყოს პროფესიული მოვალეობის შესრულებაში.

მშრომელთა დებუტატების ადგილობრივი საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტები, საწარმოთა, დაწესებულებათა და ორგანიზაციათა ხელმძღვანელები და სხვა თანამდებობის პირები ვალდებული არიან ხელი შეუწყონ მედიცინის მუშაკებს აღმოუჩინონ მოქალაქეებს გადაუდებელი სამედიცინო დახმარება, მისცენ მათ ტრანსპორტი, კავშირგაბმულობის საშუალებანი, გაუწიონ სხვა საჭირო დახმარება. ამგვარი დახმარების გაუწევლობა მარტო მორალურ პასუხისმგებლობას როდი იწვევს. ამასთან გასაგებია, რომ საქმე ეხება, არა მარტო მოცემული დაწესებულების და საწარმოს მუშაკისათვის დახმარების აღმოჩენას. გადაუდებელი სამედიცინო დახმარების აღმოჩენა საყოველთაო ხასიათისაა და არ შეიძლება უწყებრივი კუთვნილების გამო რაიმე გადახვევის დაშვება.

ამიტომაც თუ სამკურნალო-პროფილაქტიკურ დახმარებას ჯანმრთელობის დაცვის ორგანოები ახორციელებენ საცხოვრებელი ადგილისა და სამუშაო ადგილის მიხედვით, „საფუძვლების“ 32-ე მუხლით პირებს, რომლებიც უბედური შემთხვევის გამო დაშავდნენ ან უეცარი დაავადების შედეგად აღმოჩნდნენ ისეთ მდგომარეობაში, რომელიც სასწრაფო სამედიცინო დახმარებას მოითხოვს, — ამ დახმარებას დაუყოვნებლივ უწევს უახლოესი სამკურნალო-პროფილაქტიკური დაწესებულება, მისი საუწყებო დაქვემდებარების მიუხედავად. უბედური შემთხვევის შედეგად სიცოცხლისათვის წარმოშობილი საფრთხე ყველა საშუალებით უნდა იქნეს ლიკვიდირებული.

ადამიანის სიცოცხლე ყველაზე დიდი სიკეთეა, მისი გადარჩენისათვის ყველა ზომა უნდა იქნეს მიღებული. არავის არა აქვს უფლება თავი იმართლოს სხვა გადაუდებელი საქმეებით, თუ კი დრო არ ითმენს და მოქალაქის სიცოცხლეს და ჯანმრთელობას რეალური საფრთხე ემუქრება. ამ დროს გულცივობა არავის არ ეპატიება. ახლა იძულება შეიძლება განხორციელდეს მაგალითად იმ პირის მიმართ, რომელიც არ აჩერებს მანქანას, ან არ თმობს მას განსაზღვრული დროით, რომ გადაყვანილ იქნეს პირი, რომელიც სისხლიდან იცლება, ან ქალი, რომელსაც მშობიარობის რთული პროცესი დაეწყო. „საფუძვლების“ 37-ე მუხლში ვკითხულობთ: „იმ შემთხვევაში, როცა ავადმყოფის სიცოცხლეს საფრთხე ემუქრება, ექიმს ან მედიცინის სხვა მუშაკს შეუძლია უფასოდ გამოიყენოს ამა თუ იმ ვითარებაში არსებული ყოველი სახეობის ტრანსპორტი ავადმყოფთან მისასვლელად ან უახლოეს სამკურნალო-პროფილაქტიკურ დაწესებულებაში მისი ტრანსპორტირებისათვის“.

სხვისი სიცოცხლის გადარჩენის მიმართ გულგრილობის გამოჩენა არა მარტო მორალურ-ეთიკური, არამედ სამართლებრივი ნორმით გათვალისწინებულ მოვალეობის შეუსრულებლობა არის. განა იშვიათია, როცა უბედურ შემთხვევაში მოხვედრილი პირის დაუდევრობით დაგვიანებით მიყვანა საავადმყოფოში მისი დაღუპვის მიზეზი გამხდარა. საბჭოთა კანონი ყოველთვის ებრძოდა ადამიანის სიცოცხლის მიმართ ჩადენილ ამგვარ გულგრილობასა და დაუდევრობას. საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 130-ე მუხლი ამისათვის ითვალისწინებს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას. აი ამ მუხლის შინაარსი: „სიცოცხლისათვის საშიშ მდგომარეობაში მყოფი პირისათვის აუცილებელი და აშკარად გადაუდებელი დახმარების აღმოუჩენლობა, თუ ამ დახმარების აღმოჩენა დამნაშავეს შეეძლო თავისი თავისათვის ან სხვა პირისათვის სერიოზული საშიშროების გარეშე, აგრეთვე სათანადო დაწესებულების, ან პირისათვის დახმარების საჭიროების შეუტყობინებლობა, — ისჯება გამასწორებელი სამუშაოებით ვადით ექვს თვემდე ან საზოგადოებრივი გაკიცხვით“.

საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 131-ე მუხლი ითვალისწინებს მედიცინის მუშაკების სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას საპატიო მიზეზის გარეშე ავადმყოფობისათვის დახმარების აღმოუჩენლობისათვის. „საფუძვლები“ უფრო მეტს მოითხოვს. ადამიანის სიცოცხლისათვის ზრუნვა ექიმის წმინდა პროფესიული მოვალეობაა. ეს მოვალეობა მას თან სდევს ყველგან და ყველა ვითარებაში. ამიტომ „საფუძვლების“ 33-ე მუხლით მედიცინისა და ფარმაცევტიკის მუშაკები ვალდებული არიან პირველი გადაუდებელი დახმარება აღმოუჩინონ მოქალაქეებს გზაში, ქუჩაში, საზოგადოებრივ ადგილებსა და შინ. ეს იურიდიული ვალდებულება კიდევ უფრო საპატიოსა და საპასუხისმგებლოს ხდის ექიმისა და ფარმაცევტის კეთილშობილურ პრო-

ფესიას. ექიმის პროფესია ახლობელი და ძვირფასია მოსახლეობის მილიონებში-საოვის. ექიმისათვის ასევე ახლობელია მშრომელთა ჭირ-ვარამი. ექიმის ტაქტსა და გულისხმიერებას ავადმყოფისა და მისი ოჯახის წევრებისათვის უაღრესი დადებითი როლის შესრულება შეუძლია. ექიმის ტკბილი, გულთბილი სიტყვა საშუალოდ საშუალებაცაა. ეს საექიმო ეთიკის აუცილებელი ელემენტია. ამასთან მეტად მნიშვნელოვანია „საფუძვლების“ მე-16 მუხლით დადგენილი წესი: „ექიმებსა და მედიცინის სხვა მუშაკებს უფლება არა აქვთ გასთქვან პროფესიული მოვალეობის შესრულების დროს ავადმყოფის სენის, ინტიმური და ოჯახური ცხოვრების შესახებ გაგებული ცნობები“. მედიცინის მუშაკს ევალება ავადმყოფის სურვილისამებრ დაიცვას საიდუმლოება, როცა პირს არ უნდა მავალითად გააძქარავდეს ცნობები შეწყვეტილი ორსულობის, გადამდები ავადმყოფობის და სხვ. შესახებ. საექიმო საიდუმლოების სავალდებულო დაცვა დიდად შეუწყობს ხელს იმას, რომ ადამიანებს თავიდან ავაცილოთ მძიმე სულიერი ტრამგები, რაც შეიძლება მოჰყვეს ნამდვილად არსებული ავადმყოფობის შესახებ ცნობების გახმაურებას. გასაგებია, რომ ამისათვის სპეციალური წესი უნდა შემუშავდეს, რომელიც უზრუნველყოფდა ამ საიდუმლოების დაცვას თავიდანვე, პირის სამკურნალო დაწესებულებაში მოხვედრის პირველი დღიდანვე.

მედიცინისა და ფარმაცევტიკის მუშაკთა პროფესიულ მოვალეობებს და უფლებებს განსაზღვრავს სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკებში მიღებული ნორმატიული აქტები. გასაგებია, ამას ვერ გააკეთებდა „საფუძვლები“. ამ უფლება-მოვალეობების განსაზღვრის დროს გადამწყვეტი უნდა იყოს ექიმისა და ავადმყოფის დამოკიდებულების სამართლებრივი რეგულირება. ეს ურთიერთობა მეტად მრავალმხრივია. მასში ერთ-ერთ უმთავრეს ადგილს იკავებს მოსახლეობის სამკურნალო-პროფილაქტიკური დახმარების ასპექტი. დასაშვებია სამედიცინო პრაქტიკაში ექიმების მიერ დიაგნოსტიკის, პროფილაქტიკისა და მკურნალობის იმ მეთოდების, სამკურნალო წამლის საშუალებების გამოყენება, რაც ნებადართულია სსრ კავშირის ჯანმრთელობის სამინისტროს მიერ. ამასთან „საფუძვლების“ 34-ე მუხლით „ავადმყოფის განკურნების ინტერესებისათვის და მისი თანხმობით, ხოლო თექვსმეტი წლის ასაკს მიუღწევველ ავადმყოფთა მიმართ და ფსიქიკურ ავადმყოფთა მიმართ“—მათი მშობლების, მეურვეებისა თუ მზრუნველების თანხმობით ექიმს შეუძლია გამოიყენოს ახალი, მეცნიერულად დასაბუთებული, მაგრამ ჯერ კიდევ საყოველთაო ხმარებაში გამოუყენებელი დიაგნოსტიკის, პროფილაქტიკის, მკურნალობის მეთოდები და სამკურნალოწამლო საშუალებანი“.

არამეცნიერული მეთოდებისა და მკურნალობის საშუალებების გამოყენება აკრძალულია, მაგრამ მეცნიერული სიახლის დანერგვა აუცილებელია. ყოველ ცალკეულ შემთხვევაში დიაგნოსტიკის, პროფილაქტიკური მკურნალობის ახალი მეთოდებისა და სამკურნალოწამლო საშუალებათა გამოყენების წესს ადგენს სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრო.

„საფუძვლების“ 35-ე მუხლი განსაზღვრავს, რომ „ქირურგიული ოპერაციები, აგრეთვე დიაგნოსტიკის რთული მეთოდების გამოყენება ხდება ავადმყოფის თანხმობით, ხოლო თექვსმეტი წლის ასაკს მიუღწევველი ავადმყოფებისა და ფსიქიკური ავადმყოფების მიმართ მათი მშობლების, მეურვეებისა და მზრუნველობის თანხმობით, გადაუდებელი ქირურგიული ოპერაციები და დიაგნოსტიკის რთული მეთოდები თვით ავადმყოფების ან მათი მშობლების, მეურვეებისა და მზრუნველობის თანხმობის გარეშე ექიმების მიერ სრულდება მხოლოდ იმ შემ-

თხვევაში, როცა დიაგნოზის დადგენისა და ოპერაციის გაკეთების დაყოვნება საფრთხეს უქმნის ავადმყოფის სიცოცხლეს, ხოლო აღნიშნულ პირთა თანხმობის მიღება შეუძლებელია“.

მედიცინა, ისე როგორც მთლიანად ბიოლოგიური მეცინერება, უდიდესი აღმოჩენებისა და გარდაქმნების კარიბჭესთან დგას. თანამედროვე მედიცინის მეტად აქტიუალურ საკითხს წარმოადგენს სხვისი სხეულის ნაწილის გადანერგვის (ტრანსპლანტაციის) წესი. ამ საკითხს უაღრესად მწვავე იურიდიული ასპექტი აქვს. არაეთიკური იქნებოდა დაგვეშვა ადამიანის სხეულის ნაწილის — ქსოვილის ან ორგანოს თუნდაც ნებაყოფლობითი ყიდვა-გაყიდვის შესაძლებლობა. ვასაგებია, რომ არც მეურვეს და არც მზრუნველს არ შეიძლება უფლება ჰქონდეს განკარგოს მეურვეობასა და მზრუნველობაში მყოფი პირის სხეულის ორგანოს გადანერგვა სხვა პირზე. ვფიქრობთ, ეს უკანასკნელი პირდაპირ უნდა აიკრძალოს კანონით.

იურისპრუდენციაში, მათ შორის საბჭოთა იურისპრუდენციაში ფართო განხილვის საგანია ტრანსპლანტაციის მთელი რიგი სამართლებრივი შედეგები.

უდავოა, რომ თუ ავადმყოფი პირი უარს ამბობს სხვისი ქსოვილისა თუ ორგანოს გადანერგვაზე მისი ნების გარეშე ამის გაკეთება დაუშვებელია. რაც შეეხება დონორს მისი ნების გარეშე საზოგადოდ დაუშვებელია ქსოვილის, ორგანოს გამოყენება ტრანსპლანტაციისათვის. უფრო მეტიც, მაშინაც კი, როცა დონორის თანხმობაა ყოველთვის და ყველა სამკურნალო დაწესებულების მიერ არ უნდა იქნეს დაშვებული ქსოვილისა და ორგანოს მიღება გადასანერგად. ამის უფლება უნდა მიეცეთ სპეციალურ სამკურნალო-პროფილაქტიკურ დაწესებულებებს. ამასთან სპეციალურად უნდა შემოწმდეს დონორის ჯანმრთელობის მდგომარეობა. იგი ყოველთვის უნდა გაფრთხილებულ იქნას იმ რისკის შესახებ, რაც მეტ-ნაკლებად ყოველთვის ახლავს ტრანსპლანტაციის ამ პირველ საფეხურს. ვასაგებია, რომ ცოცხალ ადამიანს შეუძლია დაეთანხმოს მხოლოდ და მხოლოდ წყვილადი ორგანოებიდან ერთ-ერთის, მაგალითად, ერთი თირკმელის გადანერგვაზე, სხვანაირი თანხმობა თვითმკვლელობის ტოლფარდოვანი იქნებოდა. ამასთან აუცილებელია განისაზღვროს სამოქალაქო-სამართლებრივი შედეგებიც დონორის გარდაცვალების შემთხვევისათვის. რა თქმა უნდა, სისხლის-სამართლებრივი პასუხისმგებლობა უნდა დადგეს მაშინ, როცა ადგილი აქვს დონორის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის ბოროტად ხელყოფას. ერთი ადამიანის სიცოცხლე აბსოლუტურად თანაბარია მეორესი, სულერთია უბრალო მომაკვდავია ერთი და გენიოსია მეორე, ან უგონო მდგომარეობაშია ერთი და ავარიის შედეგად იღუპება ახალგაზრდა, რომელსაც ორივე თირკმელი გაუსკდა და გადანერგვის გარდა სხვა გზა არ არსებობს მის გადასარჩენად. არავის არ უნდა შეეძლოს ცოცხალი ადამიანიდან მისი ნების წინააღმდეგ ქსოვილის ან ორგანოს აღება. ეს მედიცინის ჰუმანიზმის ხელყოფა იქნებოდა. ერთი ადამიანისათვის ტკივილების იძულებით მიყენება მეორეს გადასარჩენად არა მარტო ანტი-ჰუმანურია, არამედ კანონსაწინააღმდეგოც, თუნდაც რომ მოქალაქეს წყვილადი ორგანოდან ერთ-ერთი რჩებოდეს. რამდენადაც თანაბარია ყოველი ადამიანის სიცოცხლე ჩვენი საზოგადოებისათვის, იმდენად კოლიზიის დროს უპირველესად გათვალისწინებულ უნდა იქნას დონორის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის ინტერესები, ვინაიდან გაუმართლებლად ორგანოს ან ქსოვილის აღებამ შეიძლება მეორეს სიცოცხლეს საფრთხეში ჩააყენოს.

ტრანსპლანტაცია ყველაზე მეტად გარდაცვლილის ქსოვილის ან ორგანოს



შეიძლება მოხდეს, მაგრამ აქაც მრავალი სამართლებრივი სიძნელე ჩნდება. ჯერ ერთი გარდაცვლილმა შეიძლება ანდერძით აკრძალოს ამგვარი გამოყენება, გარდაცვლილის ნათესავები წინააღმდეგნი არიან ამისი და რაც მთავარია რა მომენტიდან უნდა იქნეს დასაშვები ამგვარი აღება გარდაცვლილის ქსოვილებისა და ორგანოსი, ეს უნდა დადგინდეს კანონით. ცნობილია, რომ მედიცინის პრაქტიკა ე. წ. კლინიკური სიკვდილის შემდეგ და უფრო გვიანაც უშვებს უმთავრესი სასიცოცხლო ფუნქციათა აღდგენას¹. ეს გარემოებანი მოითხოვენ გარდაცვლილი ქსოვილების ან ორგანოს აღების მკაცრ სამართლებრივ რეგლამენტაციას. ვასაგებია, რომ არსებული ნორმატიული აქტები არა მარტო მოძველებულია, არამედ სრულიადაც ვერ მოიცავენ ტრანსპლანტაციის უმთავრეს სამართლებრივ მხარეებს, რაც უეჭველად უნდა მოწესრიგდეს საერთო-საკავშირო ნორმატიული აქტებით.

„საფუძვლების“ მესამე კარი სანიტარიული კანონმდებლობის ძირითად პრინციპებს ეხება. სანიტარიული კანონმდებლობა სახელმწიფოს მიერ დადგენილი მეცნიერულად დასაბუთებული ჰიგიენურ ნორმების კრებადობაა. მათი რეალიზაცია დიდმნიშვნელოვანი ფაქტორია განსაკუთრებით მოსახლეობის დიდი მასების თავმოყრის ვითარებაში, რაც ქალაქების განუხრელი ზრდის აუცილებელი შედეგია. „საფუძვლები“ არა მარტო ადრე არსებულ სანიტარიულ ნორმების ძირითადი ნიშნების განზოგადებაა, არამედ იგი ასახავს აგრეთვე მისი განვითარების ტენდენციებსაც. ამიტომაც ამ კარში ისეთი ნორმებია, რომლებიც ზოგად-დეკლარაციული ნორმების სახით არიან ჩამოყალიბებულნი. ასეთია „საფუძვლების“ 20-ე მუხლი, მასში ნათქვამია, რომ „დასახლებული პუნქტების დავეგმვა და განაშენიანება უნდა ითვალისწინებდეს მოსახლეობის ცხოვრებისა და ჯანმრთელობის ყველაზე ხელსაყრელი პირობების შექმნას“ და ა. შ. ანასთან ერთად არის კონკრეტული შინაარსის სანიტარიული ნორმები. „საფუძვლების“ 22-ე მუხლით „არ შეიძლება ისეთ სახლებში შესახლება, რომლებიც არ შეესაბამებიან სანიტარიულ მოთხოვნებს“, რომ მძიმე ფორმის ზოგიერთი ქრონიკული დაავადების დროს კანონით დადგენილ შემთხვევაში პირებს ეძლევა დამატებითი საცხოვრებელი ფართობი. საცხოვრებელ სახლებში შესახლების სანიტარიულ მოთხოვნებს აწესებს მოკავშირე რესპუბლიკის მინისტრთა საბჭო. ამავე კარში განსაზღვრულია ხმაურის თავიდან აცილების და აღკვეთის ვალდებულება, სანიტარიული მოთხოვნები სამეურნეო-სასემლი წყალმომარაგებისადმი.

საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 132-ე მუხლი ჩამოთვლის იმ საგნების ნუსხას, რომლებიც სახელმწიფო უსაფრთხოების მოსაზრებით შეიძლება შეძენილ იქნას მხოლოდ სპეციალური ნებართვით. კოდექსის ეს მუხლი მხოლოდ სანიმუშო ჩამოთვლას იძლევა და მიუთითებს მაგალითად, ძლიერ მოქმედ შხამზე. რა თქმა უნდა, მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის ვითარებაში ხდება მრავალი ისეთი ნივთიერების მოპოვება და ხელოვნურად მიღება, რომლებიც მოითხოვენ საგანგებო კონტროლსა და ზედამხედველობას არა მარტო გასაღების დროს, არამედ წარმოების დროსაც. ამიტომ „საფუძვლების“ 28-ე მუხლით „რადიაქტიური ნივთიერებების, მაიონიზებული გამოსხივების წყაროების, შხამიანი და ძლიერ მოქმედი ნივთიერებების წარმოება, გამოყე-

¹ М. И. Авдеев, Правовое регулирование пересадки органов и тканей, «Советское государство и право», 1968, № 8, გვ. 87.

ნება, შენახვა, ტრანსპორტირება და ჩამარხვა ხორციელდება სანიტარიულ-დემიოლოგიური სამსახურის ორგანოებისა და დაწესებულებების ზედამხედველობით“. ამას გარდა, დაცული უნდა იქნეს სანიტარიული მოთხოვნები კვების პროდუქტების წარმოების, დამუშავების, შენახვის, ტრანსპორტირებისა და რეალიზაციის დროს. ასევე საკავშირო და რესპუბლიკური ჯანმრთელობის დაცვის ორგანოებთან შეთანხმებულ უნდა იქნას ახალ სახეობათა ნედლეულის, კვების პროდუქტების, სამრეწველო ნაწარმის, ახალი სამშენებლო მასალების, ტარისა და შესაფუთი მასალების, პოლიმერული და სინთეზური მასალების და მათი ნაწარმის სტანდარტებისა და ტექნიკური პირობების პროექტები. ასეთივე ნებართვაა საჭირო ახალი ტექნოლოგიური პროცესების, ახალსახეობათა მოწყობილობის, ხელსაწყოების და სამუშაო ინსტრუმენტარიაუმის შემოღების დროს, როცა მან შესაძლოა მავნე გავლენა მოახდინოს ჯანმრთელობაზე. გათვალისწინებულია ინფექციურ დაავადებათა თავიდან აცილებისა და ლიკვიდაციის ღონისძიებანი—ეპიდემიურ ინფექციურ დაავადებათა წარმოშობის ან განვითარების საფრთხის შემთხვევაში მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს შეუძლიათ დადგინონ წესით შესაბამის ტერიტორიებზე შემოიღონ შრომის, სწავლის, მიმოსვლისა და ტვირთბიდვის განსაკუთრებული პირობები და რეჟიმები, რომელთა მიზანია ამ დაავადებათა გავრცელების თავიდან აცილება და ლიკვიდაცია. სავალდებულოა სტაციონალური მკურნალობა ინფექციური სნეულებებით დაავადებული ავადმყოფებისა, რომლებიც საფრთხეს უქმნიან გარეშე მყოფთ, ხოლო იმ პირებმა, რომლებსაც კონტაქტი აქვთ, ინფექციურ ავადმყოფებთან, კარანტინი უნდა გაიარონ.

პროფილაქტიკა საეხსებო შეესაბამება ჩვენი ქვეყნის საერთო სახელმწიფოებრივ ამოცანას და წარმოადგენს ჯანმრთელობის დაცვის ძირითად მიმართულებას. პროფილაქტიკის შემადგენელი ნაწილია განსაკუთრებული სახელმწიფოებრივი ღონისძიებები იმ დაავადებათა მკურნალობისათვის, რომლებიც საფრთხეს უქმნიან გარეშე მყოფთ (ტუბერკულოზი, ფსიქიკური, ვენერიული დაავადებანი, კეთრი, ქრონიკული ალკოჰოლიზმი, ნარკომანია). „საფუძვლების“ 36-ე მუხლით „ტუბერკულოზით დაავადებულთ უფასოდ ეძლევათ ტუბერკულოზის საწინააღმდეგო პრეპარატები; მათი მკურნალობა სანატორიუმებსა და პროფილაქტორიუმებში აგრეთვე უფასოდ ხორციელდება. სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობით შეიძლება დადგინდეს აღნიშნულ დაავადებით შეპყრობილ პირთა იძულებითი მკურნალობისა და იძულებითი ჰოსპიტალიზაციის შემთხვევები და წესი“.

„საფუძვლები“ ცალკე მეხუთე კარით არეგულირებს დედობისა და ბავშვების დაცვას. დედობას იცავს და ახალისებს სახელმწიფო. „საფუძვლები“ მხოლოდ მიუთითებენ სახელმწიფოსა და საზოგადოებრივ სოციალურ-ეკონომიურ ღონისძიებათა და მატერიალურ საშუალებათა მთელ სისტემაზე, რომლებიც უზრუნველყოფენ დედობასა და ბავშვების დაცვას. ამასთან „საფუძვლების“ 38-ე მუხლით „ქალის ჯანმრთელობის დაცვის მიზნით მას უფლება ეძლევა თვითონ გადაწყვიტოს დედობის საკითხი“. ასევე მრავალმხრივია სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი ზრუნვა ბავშვებისა და მოზარდების ჯანმრთელობის განმტკიცებაზე და დაცვაზე.

„საფუძვლების“ 40-ე მუხლით „საბავშვო სანატორიუმების საგზურები ბავშვებს უფასოდ ეძლევათ“. 42-ე მუხლით „ფიზიკური თუ ფსიქიკური განვი-

თარგობის დეფექტების მქონე ბავშვები სახელმწიფო ხარჯზე ცხოვრობენ ბავშვის სახლებში, საბავშვო სახლებსა და სხვა სპეციალიზებულ საბავშვო დაწესებულებებში“.

როცა შეუძლებელია ავადმყოფი ბავშვის ჰოსპიტალიზაცია, ან არ არის ჩვენებანი მისი სტაციონალური მკურნალობისათვის, დედა ან ოჯახის სხვა წევრი, რომელიც ბავშვს უვლის, შეიძლება გაათავისუფლონ სამუშაოდან და მისცენ დახმარება სოციალური დაზღვევით დადგენილი წესით. ერთ წლამდე ბავშვების, აგრეთვე უფროსი ასაკის მძიმედ ავადმყოფი ბავშვების სტაციონარული მკურნალობის დროს, რომლებსაც ექიმების დასკვნით დედის მოვლა სჭირდებათ, დედას შეუძლია ბავშვთან იყოს სამკურნალო დაწესებულებაში და ეძლევა დახმარება სოციალური დაზღვევით დადგენილი წესით“.

„საფუძვლების“ მეექვსე კარი განსაზღვრავს სანატორიულ-საკურორტო მკურნალობის, დასვენების, ტურიზმისა და ფიზიკური კულტურის ორგანიზაციის საკითხებს.

„საფუძვლები“ მიუთითებენ ერთ მუხლში (50-ე მუხლში) შრომისუნარიანობის სამედიცინო ექსპერტიზის წარმოების წესს, ხოლო 51-ე მუხლში სასამართლო-სამედიცინო და სასამართლო ფსიქიატრიული ექსპერტიზების წარმოებას. რასაკვირველია, ექსპერტიზის ჩატარებას უმჭიდროესი კავშირი აქვს სისხლისა და სამოქალაქო სამართლის კოდექსებთან, სისხლის სამართლისა და სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსებთან, აგრეთვე შრომისა და საქორწილო, საოჯახო, სამეურვეო კანონთა კოდექსთან. ამასთან საჭიროა ახალი საკავშირო და რესპუბლიკური ნორმატიული აქტები, რომლებიც მეტი სისრულით მოაწესრიგებენ როგორც შეურაცხადობის, ისე პირის არაქმედუნარიანობისა და ნაწილობრივ ქმედუნარიანობის საკითხებს.

როგორც „საფუძვლების“ ზოგად მიმოხილვიდან ვხედავთ, იგი უაღრესად განსხვავებულ ურთიერთობას არეგულირებს და მასში ეს ურთიერთობანი იმდენად შინაგანი ერთიანობით არ არიან შეერთებული, რამდენადაც მიზნის — პროცენებისა და მთელი საზოგადოების წევრთა ჯანმრთელობის დაცვის, განმტკიცებისა და გაფართოების — ერთიანობით. ეს ჯანმრთელობის დაცვის კანონმდებლობას არა მარტო კომპლექსურ ხასიათს აძლევს, არამედ დარგთაშორის საკანონმდებლო აქტის ხასიათსაც. ეს გარემოება, რასაკვირველია, ართულებს ერთი კოდექსის (თუნდაც კომპლექსური) სახით შემუშავდეს ყველაფერი ის, რაზედაც მითითებას აკეთებს „საფუძვლები“. ამასთან ყოველთვის იქნება სხვადასხვა სახის ქვეკანონური ნორმატიული აქტების გამოცემის საჭიროება. ახლა არა მარტო საერთო საკავშირო აქტების გამოცემის აუცილებლობაა, არამედ საჭიროა აგრეთვე რესპუბლიკური აქტების გამოცემაც ჯანმრთელობის დარგში. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეშვიდე მოწვევის მეშვიდე სესიამ დაადგინა — „სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების ჯანმრთელობის დაცვის კანონმდებლობის საფუძვლები“ სამოქმედოდ შემოღებულ იქნას 1970 წლის 1 ივლისიდან. ამასთან მოკავშირე რესპუბლიკების უმაღლეს საბჭოებს დაევალოთ მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობა შეუსაბამონ სსრ კავშირის და მოკავშირე რესპუბლიკების ჯანმრთელობის დაცვის კანონმდებლობის საფუძვლებს. ჩვენ ეჭვი არ გვეპარება იმაში, რომ სამედიცინო ინსტიტუტებში უნდა გაძლიერდეს ჯანმრთელობის კანონმდებლობის სწავლება „სოციალური ჰიგიენისა და ჯანმრთელობის დაცვის ორგანიზაციის კურსში“. რასაკვირველია, იურისტი სტუდენტებისათვის აღარ

კმარა მარტო ის ცოდნა, რასაც სასამართლო ფსიქიატრიისა და სასამართლო მედიცინის კურსები იძლევიან. იურისტები უნდა იყვნენ გაცნობილი სოციალური ჰიგიენისა და ჯანმრთელობის დაცვის ორგანიზაციის ძირითად მონაცემებს სპეციალური კურსის სახით მაინც.

ჩვენს დროში, როცა მეცნიერებათა შემხვედრ მიჯნებზე ბევრი საჭირობო-როტო პრობლემა წყდება, მეტად მნიშვნელოვანია ფართოდ გაშლა სამეცნიერო კვლევისა, როგორც მედიცინის, ისე იურისპრუდენციის მუშაკების მხრივ, რათა გადრმავდეს და გაფართოვდეს მუშაობა უაღრესად ჰუმანური კანონმდებლობის — ჯანმრთელობის დაცვის კანონმდებლობის სრულყოფისათვის.

ქველმოის საზოგადოებრივი საუიფროება და დანაშაულის სუბიექტური მხარე

ო. გამყრელიძე

მოქმედი საბჭოთა სისხლის სამართლის მიხედვით საზოგადოებრივი სა-
შიროება დანაშაულის ცნების ერთ-ერთი აუცილებელი ნიშანია. სსრ კავში-
რისა და მოკავშირე რესპუბლიკების 1958 წლის სისხლის სამართლის კანონმდე-
ბლობის საფუძვლებს მე-7 მუხლით დანაშაული განსაზღვრულია, როგორც სი-
სხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული საზოგადოებრივად საშიში
ქმედობა (მოქმედება ან უმოქმედობა). სისხლის სამართლის თეორიაში გაბა-
ტონებულია აზრი, რომ საზოგადოებრივი საშიშროება **ობიექტური** კატეგო-
რიაა¹. „საზოგადოებრივი საშიშროება (მართლწინააღმდეგობა) — ამბობს ა.
პიონტკოვსკი — ყოველი დანაშაულის **ობიექტურ** სოციალურ-პოლიტიკურ
თვისებას წარმოადგენს“². ეს იმას ნიშნავს, რომ ქმედობა **ობიექტურად** ეწინა-
აღმდეგება არსებულ საზოგადოებრივ ურთიერთობებს. ქმედობის **ობიექტური**
წინააღმდეგობა საზოგადოებრივი ურთიერთობებისადმი, სუბიექტური წინააღ-
მდეგობისაგან განსხვავებით, ხასიათდება იმით, რომ მოცემული ქმედობა ზიანს
აყენებს ან ზიანის მიყენების საფრთხეს უქმნის საზოგადოებას იმის მიუხედა-
ვად, თუ როგორ აფასებს ინდივიდი თავის ნამოქმედარს. აქედან ცხადია, რომ
საზოგადოებრივ საშიშროებას, პირველ ყოვლისა, განსაზღვრავს **ობიექტური**
მომენტი — დამდგარი ან მოსალოდნელი ზიანი. ახლა იბადება კითხვა: ქმედო-
ბის სოციალური საშიშროება მხოლოდ წმინდა **ობიექტური** (გარეგანი) მომენ-
ტებით განისაზღვრება, თუ ამ საშიშროების წარმოქმნაში გარკვეული წვლილი
შეაქვთ აგრეთვე სუბიექტურ ელემენტებსაც? უწინარეს ყოვლისა, დგება ბრა-
ლისა და საზოგადოებრივი საშიშროების დამოკიდებულების საკითხი. არსე-
ბობს თუ არა საზოგადოებრივი საშიშროება (მართლწინააღმდეგობა) ბრალის
გარეშე? ავტორთა უმრავლესობა იმ აზრისაა, რომ ბრალი წარმოადგენს საზოგა-
დოებრივი საშიშროების (მართლწინააღმდეგობის) ერთ-ერთ აუცილებელ კომ-
პონენტს³. ამის საბუთად ჩვეულებრივ ის მოჰყავთ ხოლმე, რომ ჩვენი სისხლის
სამართალი იცნობს მხოლოდ ბრალისმიერი პასუხისმგებლობის პრინციპს. „**ობი-**
ექტური“ მართლწინააღმდეგობის ცნებას—ამბობს ვ. კულდრიაეცევი—ე. ი. ადა-
მიანის არაბრალისმიერი ქცევის მართლწინააღმდეგობას საბჭოთა სისხლის სა-
მართლის თვალსაზრისით არავითარი პრაქტიკული მნიშვნელობა არა აქვს, რა-
დგანაც მოქმედი კანონების შესაბამისად მას არ შეუძლია გამოიწვიოს სისხ-

¹ Курс советского уголовного права, часть общая, т. I, Изд. Ленинградского уни-
верситета, 1968, с. 317; თ. წერეთელი, გ. ტყეშელიაძე, მოძღვრება დანაშაულზე, თბილისი, 1,
1969, გვ. 32.

² А. А. Пионтковский, Учение о преступлении, М., 1961, с. 164.

³ М. Д. Дурманов, Понятие преступления, Изд. АН СССР, 1948, с. 202;
ა. ვაჩიშვილი, დანაშაულის სუბიექტური მხარე საბჭოთა სისხლის სამართალში, თბილისი,
1957, გვ. 263; В. Н. Кудрявцев, «О противоправности преступления», «Правоведение»,
1959, № 1, с. 69; Курс советского уголовного права, часть общая, Изд. Ленинградского
университета, 1968, с. 164 и 318; Уголовное право, часть общая, М., 1969, с. 69; Н. Ф.
Кузнецова, Преступление и преступность, М., 1969, с. 70.

ლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა და, მაშასადამე, მოკლებულია სისხლისსამართლებრივ მნიშვნელობას⁴. საკითხის ასეთი გადაწყვეტა, ჩვენი აზრით, არ უნდა იყოს მართებული ჯერ ერთი იმიტომ, რომ ამ დასაბუთებიდან არ ჩანს, თუ რა გავლენას ახდენს ბრალი, როგორც სუბიექტური (პერსონალური) კატეგორია ისეთ ობიექტურ კატეგორიაზე, როგორცაა საზოგადოებრივი საშიშროება. აქ უბრალოდ მართლწინააღმდეგობის ცნება გაიგივებულია სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობასთან, რაც არასწორია, რადგან ქმედობის საზოგადოებრივი საშიშროება და მართლწინააღმდეგობა არ არის დამოკიდებული იმაზე, დგება თუ არა პასუხისმგებლობა ამ ქმედობის ჩადენის გამო.

ამ დებულების საილუსტრაციოდ არა ერთი მაგალითის მოტანა შეიძლება მოქმედი კანონმდებლობიდან. სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების 1958 წლის სისხლის სამართლის კანონმდებლობის საფუძვლების მე-3 მუხლით „სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა ეკისრება და სასჯელი ედება მხოლოდ იმ პირს, ვისაც ბრალი მიუძღვის დანაშაულის ჩადენაში, ე. ი. ვინც განზრახ ან გაუფრთხილებლობით ჩაიდინა სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული საზოგადოებრივად საშიში ქმედობა“ (ხაზი ყველგან ჩვენია-ო. გ.) ამ ფორმულირებიდან ცხადად ჩანს, რომ ქმედობა შეიძლება მართლსაწინააღმდეგოდ იყოს და საზოგადოებრივად საშიშიც, მაგრამ არ იყოს ბრალეულად ჩადენილი. ეს აზრი გამოხატულია აგრეთვე საფუძვლების მე-11 მუხლში. სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა არ ეკისრება იმ პირს, რომელიც საზოგადოებრივად საშიში ქმედობის ჩადენის დროს შერაცხვაუუნარო იყო, — ნათქვამია ამ მუხლში. ამრიგად, პირი პასუხს არ აგებს შერაცხვაუუნარობის გამო, მაგრამ ეს სრულიადაც არ ნიშნავს იმას, რომ მის მიერ ჩადენილი მოქმედება არ არის საზოგადოებრივად საშიში და ობიექტურად მართლსაწინააღმდეგო. ასეთი პირის მიმართ საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 58-ე მუხლის საფუძველზე სასამართლოს შეუძლია გამოიყენოს სამედიცინო ხასიათის იძულებითი ღონისძიება⁵.

საბჭოთა იურიდიულ ლიტერატურაში დღეისათვის გაბატონებული თვალსაზრისის თანახმად, განზრახი ბრალის აუცილებელ ელემენტს საზოგადოებრივი საშიშროების შეგნება წარმოადგენს. ამ თვალსაზრისზე დგას მოქმედი კანონმდებლობაც. საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის მე-9 მუხლით დანაშაული განზრახ ჩადენილად ჩათვლება, თუ ინდივიდს შეგნებულთა შორის მოქმედების ან უმოქმედობის საზოგადოებრივად საშიში ხასიათი, ითვალისწინებდა მის საზოგადოებრივ საშიშ შედეგებს, სურდა ან შეგნებულად უშვებდა მათ დადგომას. ამ მუხლის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, საზოგადოებრივი საშიშროების ცნება არ მოიცავს ბრალის ცნებას. მართლაც, თუ განზრახვის აუცილებელ ელემენტად საზოგადოებრივი საშიშროების შეგ-

4 ვ. კ უ ლ რ ი ა ვ ც ე ვ ი, მითითებული ნაშრომი, გვ. 60; უნდა ითქვას, რომ ვ. კ უ ლ რ ი ა ვ ც ე ვ ი საზოგადოებრივი საშიშროების ცნების ანალიზისას არ იჩენს თანმიმდევრობას, როცა, ერთი მხრივ, აღნიშნავს, რომ დანაშაულის სუბიექტური მხარე შეგავლენას ახდენს საზოგადოებრივი საშიშროების ხასიათსა და ხარისხზე „ობიექტური გარეგანი ნიშნების მეშვეობით, განსაზღვრავს რა (ფორმირუა) დამნაშავეს ქმედობის შინაარსს (В. Н. Кудрявцев, Объективная сторона преступления, М., 1960, с. 100), ხოლო მეორე მხრივ ამტკიცებს, რომ „მიზანს რომელსაც პირი „ისახავდა, არ შეუძლია გაადიდოს ან შეამციროს მის მიერ ჩადენილი ქმედობის საშიშროება“ (იქვე, გვ. 114).

5 იხ. ამ საკითხზე დაწერილებით თ. წერეთელი, გ. ტყეშელაძე, მოიღვრება დანაშაულზე თბილისი, 1969, გვ. 53—54.

ნებას მივიჩნევთ, მაშინ ბრალი შეუძლებელია საზოგადოებრივი საშიშროების აუცილებელი კომპონენტი იყოს. „თუ ბრალი საზოგადოებრივი საშიშროების ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია (მაშასადამე, მთლიანობის ერთი ნაწილია)— აღნიშნავს თ. წერეთელი, — როგორღა შეიძლება იყოს იგი ფსიქიკური დამოკიდებულება საზოგადოებრივი საშიშროებისადმი (რომელიც ბრალსაც გულისხმობს), მაშასადამე, დამოკიდებულება თავის თავისადმი“⁶.

მაგრამ იმ შემთხვევაშიც კი, როცა ფაქტიურად თითქოს შეუძლებელია ამ ცნებათა ერთმანეთისაგან გამოყოფა, ლოგიკურად მაინც აუცილებელი ხდება ბრალისა და საზოგადოებრივი საშიშროების ნიშნების გამიჯვნა. მართლწინააღმდეგობის მსჯელობა წინ უსწრებს ბრალის მსჯელობას. ჯერ უნდა დადგინდეს, რომ ჩადენილია უმართლობის ესა თუ ის სახე და მხოლოდ ამის შემდეგ დაისმება ბრალის საკითხი. უპირველეს ყოვლისა, ეს საჭიროა სისხლის სამართლის სისტემის აგებისათვის. ამიტომ მეთოდოლოგიურად ჩვენ სრულიად გაუმართლებლად ჰიგვანია, როცა ბრალი და საზოგადოებრივი საშიშროება, ერთი მხრივ, განხილულია, როგორც დანაშაულის ცნების დამოუკიდებელი ელემენტები, და, მეორე მხრივ, გვხვდება მტკიცება თითქოს საზოგადოებრივი საშიშროება (მართლწინააღმდეგობა) არ არსებობდეს ბრალის გარეშე⁷.

ბრალისა და საზოგადოებრივი საშიშროების ცნებათა აღრევა იმიტომაცაა გაუმართლებელი, რომ საეჭვო ხდება საზოგადოებრივი საშიშროების ცნების ობიექტურობის საკითხი. რა უფლება გვაქვს ვამტკიცოთ, რომ მართლწინააღმდეგობა (უმართლობა) ობიექტური კატეგორიაა, თუ მის ნიშნებს არ გამოეყოფთ ბრალის ნიშნებისაგან. ბრალი ხომ სუბიექტურ კატეგორიას წარმოადგენს! ამიტომ, ჩვენი აზრით, იმ ავტორებმა, რომლებსაც ვერ წარმოუდგენიათ საზოგადოებრივი საშიშროება ბრალის გარეშე, ან უნდა აღიარონ, რომ იგი სუბიექტური კატეგორია, ანდა დაამტკიცონ, რომ მართალია, ბრალი საზოგადოებრივი საშიშროების აუცილებელი ელემენტია, მაგრამ ეს გარემოება ვერ ცვლის მის ობიექტურ ხასიათს.

ბრალისა და საზოგადოებრივი საშიშროების დამოკიდებულების საკითხზე ლიტერატურაში გამოთქმულია აგრეთვე სხვაგვარი თვალსაზრისიც. მაგალითად, თ. შავგულიძეს მიაჩნია, რომ ბრალი არ განსაზღვრავს საზოგადოებრივ საშიშროებას. საზოგადოებრივი საშიშროება ქმედობის ობიექტური დახასიათება და განისაზღვრება რეალურად მიყენებული ზიანით ან ზიანის მიყენების

⁶ თ. წერეთელი, გ. ტყეშელაძე, მოძღვრება დანაშაულზე, თბილისი, 1969, გვ. 56. ბ. ნიციფოროვის აზრით, სუბიექტური მხარე არ მიეკუთვნება საზოგადოებრივი საშიშროების განსაზღვრელ გარემოებათა რიცხვს, რადგან „განზრახვა და გაუფრთხილებლობა წარმოადგენენ არა ასახვის სავნებს, არამედ გამოხატავენ დამოკიდებულებას ასახვისადმი“, **Б. С. Никифоров**, Об умысле по действующему уголовному законодательству, «Советское государство и право», 1965, № 6, с. 31; ბრალისა და საზოგადოებრივი საშიშროების დამოკიდებულების საკითხს, ჩვენი აზრით, სწორად წყვეტენ **В. Г. Макашвили**, Уголовная ответственность за неосторожность, М., 1957, с. 119, 120; **Л. Вишки**, «Умысел и общественная опасность», в сб. «Вопросы уголовного права стран народной демократии», М., 1963, с. 281—284.

⁷ ასეთ არათანმიმდევრობას იჩენს, მაგალითად ნ. კუზნეცოვა, როცა, ერთი მხრივ აღნიშნავს, თითქოს დანაშაულის საზოგადოებრივი საშიშროების ხასიათს განსაზღვრავდეს ბრალის ფორმა-განზრახვა ან გაუფრთხილებლობა (**Н. Ф. Кузнецова**, Преступление и преступность, М., 1969, გვ. 70.), ხოლო შემდეგ ბრალს განხილავს, როგორც დანაშაულის ცნების ერთ-ერთ აუცილებელ ნიშანს (იქვე, გვ. 76).

რეალური საფრთხით. სუბიექტურ ელემენტებს (ბრალი) მნიშვნელობა აქვს მხოლოდ საზოგადოებრივი საშიშროების ხარისხის განსაზღვრისათვის⁸.

მიუხედავად იმისა, რომ თ. შავგულიძე საზოგადოებრივი საშიშროების განმსაზღვრელ ელემენტებად ობიექტურ (გარეგან) მომენტებს თვლის, მისი შეხედულება არსებითად არ განსხვავდება ზემოთ განხილული შეხედულებებისაგან. ამიტომ მის წინააღმდეგაც იგივე საბუთები შეიძლება მოვიშველიოთ, რაც გაბატონებული თვალსაზრისის მიმართ იყო გამოთქმული. ამავე დროს, უნდა ითქვას, რომ საკითხის ასეთი გადაწყვეტა დამატებით სირთულეებსაც ქმნის. უპირველეს ყოვლისა, დასაბუთებას მოითხოვს ძირითადი თეზისი: რამდენად შესაძლებელია, რომ საზოგადოებრივი საშიშროების ხარისხზე ზემოქმედება მოახდინოს ისეთმა გარემოებამ, რომელიც არ აფუძნებს მას. ჩვენი აზრით, მხოლოდ იმ მომენტებს შეუძლიათ იმოქმედონ საზოგადოებრივი საშიშროების ხარისხზე, რომლებიც განსაზღვრავენ ამ საშიშროებას. რადგან ბრალი თავიდანვე გამოვრიცხეთ ასეთ გარემოებათა წრიდან, ეს უკვე იმას ნიშნავს, რომ თავისი პერსონალური ხასიათის გამო მას არ შეუძლია გავლენა მოახდინოს აგრეთვე საზოგადოებრივი საშიშროების ხარისხზეც. ავტორის მიერ იმაზე მითითება, რომ განზრახი მკვლელობის დროს ქმედობა შეუდარებლად უფრო მეტ რეაქციასა და შეშფოთებას იწვევს საზოგადოებაში, გაუფრთხილებლობით მკვლელობასთან შედარებით⁹, სრულიად არ გვაძლევს საფუძველს დავასკვნათ, თითქოს პირველ შემთხვევაში ქმედობის საზოგადოებრივი საშიშროების ხარისხი მეტი იყოს, ვიდრე მეორე, ე. ი. გაუფრთხილებლობითი მკვლელობის შემთხვევაში. საზოგადოების მხრივ ასეთი დიდი რეაქცია და შეშფოთება განზრახი მკვლელობის დროს იმით აიხსნება, რომ მკვლელს მეტი ბრალი მიუძღვის ჩადენილ ქმედობაში. გასაკიცხაობის ხარისხი და, მასთანადავ, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ზომა არ განისაზღვრება მხოლოდ საზოგადოებრივი საშიშროების ხარისხით. იგი დამოკიდებულია ბრალის ხარისხზეც.

ჩვენ სწორად არ მიგვაჩნია აგრეთვე ის აზრი, როგორც ამას თ. შავგულიძე ამტკიცებს, თითქოს ტერორისტული აქტი (მ. 67) ჩვეულებრივი მკვლელობისა ან სხეულის დაზიანებისაგან განსხვავდება მხოლოდ საზოგადოებრივი საშიშროების ხარისხით¹⁰. ტერორისტული აქტისათვის დამახასიათებელი საბჭოთა ხელისუფლების შესუსტების ან ძირის გამოთხრის მიზნის არსი იმაში როდი მდგომარეობს, რომ იგი ზრდის საზოგადოებრივი საშიშროების ხარისხს. ეს მიზანი, უპირველეს ყოვლისა, აფუძნებს სრულიად ახალ უმართლობას. მკვლელობა და ტერორისტული აქტი თავისი შინაარსით არსებითად განსხვავებული დელიქტებია.

ამრიგად, ზემოთქმულის საფუძველზე იმ დასკვნამდე მივდივართ, რომ საზოგადოებრივი საშიშროება და ბრალი დანაშაულის ცნების ორი დამოუკიდებელი ელემენტია¹¹. პირველი ობიექტური ხასიათისაა, ხოლო მეორე სუბიექტურ კატეგორიას წარმოადგენს. ახლა იბადება კითხვა: ხომ არ ნიშნავს ეს რომ ყველაფერი, რაც ობიექტურია (გარეგანია) უმართლობას მიეკუთვნება, ხოლო, რაც სუბიექტურია (შინაგანია, ფსიქიკურია) — ბრალს? ამ თვალსაზრისზე დვას


⁸ Т. Г. Шавгулидзе, Необходимая оборона, Тбилиси, 1966, с. 16.

⁹ თ. შავგულიძე, მითითებული ნაშრომი, გვ. 15.

¹⁰ იქვე, გვ. 16.

¹¹ Т. В. Церетели, К вопросу о понятии вины, ჟურნ. „მაცნე“, 1960, № 1, გვ. 134-135, ლ. ვიშკი, მით. ნაშრომი, გვ. 283-284.

3. საბჭოთა სამართალი № 1



ლ. ვიშკი¹². იგი შემდეგნაირად მსჯელობს: ვინაიდან ბრალი და საზოგადოებრივი საშიშროება დამოუკიდებელი ცნებებია, პირველი სუბიექტურ კატეგორიას წარმოადგენს, მეორე კი ობიექტური ხასიათისაა, ამიტომ ყველაფერი ის, რაც სუბიექტურია, ბრალს მიეკუთვნება, რაც ობიექტურია ქმნის საზოგადოებრივ საშიშროებას. ქართველ კრიმინალისტთაგან ამ შეხედულებას იზიარებდა გ. ტყეშელიაძე. მისი აზრით „...ქმედობის საზოგადოებრივი საშიშროება სუბიექტის მიზნის გარეშე არსებობს და ამდენად მიზანი შეუძლებელია ქმედობის საზოგადოებრივი საშიშროების განმსაზღვრელ მომენტს წარმოადგენდეს“¹³.

ერთი შეხედვით თითქოს აქ ყველაფერი წესრიგშია. მართლაცდა, სისტემატიკის თვალსაზრისით სრულიად გამართლებული უნდა იყოს საზოგადოებრივი საშიშროების ცნების ასეთი გაგება. მაგრამ თუ საკითხს უფრო ღრმად ჩაუკვირდებით, აღმოჩნდება, რომ ის არც ისე იოლი გადასაწყვეტია. მაგალითად, როგორ განვასხვავოთ ქურდობის (მუხ. 150) უმართლობა იმ უმართლობისაგან, რომელიც გათვალისწინებულია საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 243 მუხლში (ავტომანქანის, მოტოციკლის ან სხვა სახის ავტოტრანსპორტის გატაცება დროებითი გამოყენების მიზნით). მიზანს თუ ბრალის ელემენტად ჩავთვლით, მაშინ ჩვენ ამ დელიქტებს შორის განსხვავებას ვერ ვიპოვით. ორივე შემთხვევაში გვექნება სხვისი ნივთის გატაცება, რაც თავისთავად აღებული ჯერ კიდევ არაფერს ნიშნავს. სპეკულაციას (მ. 165) ნივთის ჩვეულებრივი ყიდვისა და გაყიდვისაგან სწორედ სუბიექტური ელემენტი (მიზანი) განასხვავებს. ხომ არ შეიძლება ასე ვიმსჯელოთ: ნივთის ყიდვა და შემდეგ გაყიდვა, როგორც ობიექტურად მომხდარი ფაქტი, წარმოადგენს საზოგადოებრივად საშიშ ქმედობას (უმართლობას), ხოლო მოგების მიზანი, როგორც ბრალის ელემენტი, გვეუბნება, რომ ჩადენილია სპეკულაცია. ეს გაუმართლებელი იქნება თუნდაც იმიტომ, რომ ყიდვა და გაყიდვა თავისთავად არ არის საზოგადოებრივად საშიში მოქმედება. მაშასადამე, მოგების მიზნის გარეშე არ გვექნება უმართლობა; ამ უკანასკნელის არარსებობა კი უკვე გვართმევს უფლებას ვიმსჯელოთ ბრალის საკითხზე. მიზნის გარეშე ვერ განვასხვავებთ აგრეთვე მკვლელობას აუცილებელი მოვერებების დროს მართლსაწინააღმდეგო მკვლელობისაგან, სხვისი ქონების დაზიანებას უკიდურესი აუცილებლობის დროს ქონების მართლსაწინააღმდეგო დაზიანებისაგან და ა. შ. ამრიგად, აღმოჩნდა, რომ ობიექტურისა და სუბიექტურის ასეთ დაპირისპირებას შედეგად მოსდევს უმართლობის ცნების წმინდა ნატურალისტური გაგება. ამიტომ ჩვენ საესებით გამართლებულად მიგვაჩნია ის შეხედულება, რომლის მიხედვით ქმედობის საზოგადოებრივ საშიშროებას (უმართლობას) ზოგჯერ სუბიექტური ელემენტებიც განსაზღვრავენ“¹⁴.

მაგრამ აქ წამოიჭრება რამდენიმე მნიშვნელოვანი საკითხი. უპირველეს ყო-

¹² ლ. ვიშკი, მითითებული ნაშრომი, გვ. 285.

¹³ გ. ტყეშელიაძე, მონოგრაფია მიზეზობრიობის შესახებ საბჭოთა სისხლის სამართალში (რეც. თ. წერეთლის წიგნზე «Причинная связь в уголовном праве, Изд. Тбилисского Университета, 1957 г.) „საბჭოთა სამართალი“, 1958, № 4, გვ. 66; იხ. აგრეთვე В. Н. Кудрявцев, Объективная сторона преступления, М., 1960, с. 114; უნდა აღინიშნოს, რომ გ. ტყეშელიაძემ ერთგვარად შესცვალა ეს შეხედულება სულ ახლახან გამოცემულ ნაშრომში. იხ. თ. წერეთელი, გ. ტყეშელიაძე, მოძღვრება დანაშაულზე, „მეცნიერება“, 1969, გვ. 118.

¹⁴ Т. В. Церетели, Причинная связь в уголовном праве, 2-ое издание, М., 1963, с. 196—198; В. Г. Макашвили, Уголовная ответственность за неосторожность, М., 1957, с. 121; М. С. Гринберг, Проблема производственного риска в уголовном праве, М., 1963, с. 75—78. თ. წერეთელი, გ. ტყეშელიაძე, მოძღვრება დანაშაულზე, თბ., 1969, გვ. 127—128.

ვლისა, პასუხი უნდა გავცეთ კითხვას: ხომ არ ცვლიან სუბიექტური ელემენტები საზოგადოებრივი საშიშროების ობიექტურ ხასიათს და ხომ არ აქცევენ მას სუბიექტურ კატეგორიად? ამ კითხვაზე მხოლოდ უარყოფითად უნდა ვუპასუხოთ. საზოგადოებრივი საშიშროების ობიექტურობა იმაში კი არ მდგომარეობს, რომ მას მხოლოდ ობიექტური (გარეგანი) მომენტები განსაზღვრავენ. საზოგადოებრივ საშიშროებას მიეკუთვნება ყველა ის ნიშანი, რომელიც **ასაბუთებს მის ობიექტურ ხასიათს**, რომელიც აძლევს მას შინაარსს, სულერთია, იქნება ეს ნიშანი ობიექტური (გარეგანი), თუ სუბიექტური. მაგალითად, სხვისი ნივთის წაღება, იმის მიხედვით, თუ რა მიზნით ხდება ეს, სულ სხვადასხვა სოციალურ შინაარსს იძენს. თუ ნივთი წაღებულია მისაკუთრების მიზნით, გვექნება ქურდობა (მ. 150), თუ დროებითი გამოყენების მიზნითაა წაღებული, მაშინ ან სულ არ გვექნება დანაშაული, ანდა შეიძლება განხორციელდეს საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 243 მუხლით გათვალისწინებული შემადგენლობა. შესაძლებელია ნივთი წაღებული იყოს მისაკუთრების მიზნით, მაგრამ უკიდურესი აუცილებლობის დროს, რაც გამორიცხავს ქმედობის საზოგადოებრივ საშიშროებას. ყველა ამ შემთხვევაში სუბიექტური ელემენტი (მიზანი) განსაზღვრავს ობიექტურად მომხდარ ფაქტს, აძლევს ქმედობას შინაარსს და ამიტომაც იგი უმართლობის ნიშანს წარმოადგენს.

მეორე მხრივ, საზოგადოებრივი საშიშროებისაგან განსხვავებით, ბრალი სუბიექტური კატეგორიაა. როგორც ცნობილია, ბრალი არის დამნაშავეის ისეთი ფსიქიკური დამოკიდებულება მის მიერ ჩადენილი საზოგადოებრივად საშიში ქმედობისადმი, რომელიც გაკიცხვას იმსახურებს.

მაგრამ ამ ცნებათა დამოკიდებულების გასარკვევად საკმარისი არაა იმაზე მითითება, რომ ბრალი სუბიექტურ კატეგორიას წარმოადგენს, რადგან ეს ქმნის ილუზიას, თითქოს ყველაფერი, რაც სუბიექტურია, **აუცილებლად** მხოლოდ მას მიეკუთვნება. ბრალის ცნების აქ მოტანილი განსაზღვრებიდან მხოლოდ ის გამომდინარეობს, რომ იგი არა მარტო სუბიექტური, არამედ ამავე დროს პირველ ყოვლისა, **პერსონალური** კატეგორიაა. როდესაც ლაპარაკია ბრალზე, ყოველთვის იგულისხმება რომელიმე კონკრეტული პირის ბრალი ან თუ იმ ქმედობის ჩადენაში. ამიტომ ვამბობთ, რომ ბრალი პირველი ყოვლისა **პერსონალური** კატეგორიაა. ამრიგად, **სუბიექტური** და **პერსონალური** ყოველთვის არ ემთხვევა ერთმანეთს. როდესაც სუბიექტური ელემენტი, მაგალითად, მიზანი განსაზღვრავს ანა თუ იმ ქმედობის შინაარსს, მაშინ მას არა აქვს პერსონალური ხასიათი, პირიქით, იგი ობიექტური ნიშნების რიცხვს უნდა მიეკუთვნოს. სუბიექტური ელემენტი (მიზანი, მოტივი) **პერსონალური** ხასიათისა იქნება მაშინ, როცა მას მნიშვნელობა აქვს **მხოლოდ ამ კონკრეტული** სუბიექტის მიმართ, ქმედობის შინაარსზე კი იგი გავლენას ვერ ახდენს.

ამრიგად, ჩვენ მივედით იმ დასკვნამდე, რომ სუბიექტური ელემენტი მხოლოდ მაშინ მიეკუთვნება უმართლობის ნიშნებს, როცა იგი ქმედობის შინაარსში რაიმეს ცვლის. ახლა უნდა გავარკვიოთ, თუ რა სუბიექტური ელემენტია ეს და რა შემთხვევაში შეუძლია მას ზეგავლენა მოახდინოს ქმედობის სოციალურ შინაარსზე. როგორც ზემოთ უკვე ითქვა, ასეთ სუბიექტურ ელემენტს წარმოადგენს მიზანი. მოქმედ სისხლისსამართლებრივ კანონმდებლობაზე დაკვირვება გვიჩვენებს, რომ მიზანი უმართლობის სუბიექტურ ელემენტს წარმოადგენს იმ დელიქტებში, რომელთა ჩადენა მხოლოდ პირდაპირი განზრახვით არის შესაძლებელი. ასეთებია, მაგალითად, ქურდობა (საქართველოს სსრ სსკ 150 მ), ძარ-

ცვა (მ. 151), ყაჩაღობა (მ. 152), თაღლითობა (მ. 153) და სხვ. ყველა ამ დელექტში მსგავს დელიქტებში სხვისი ქონების მითვისების მიზანი უმართლობის ელემენტია. მიზანი, როგორც უმართლობის სუბიექტური ელემენტი, განსაკუთრებით დიდ როლს თამაშობს სახელმწიფო დანაშაულებში; საკმარისია დავასახელოთ სამშობლოს ღალატი (საქართველოს სსრ სსკ 65 მ), ტერორისტული აქტი (მ. 67), დივერსია (მ. 69)), მავნებლობა (მ. 70) და სხვ. ყველა ამ დელიქტს შინაარსს აძლევს და სახელმწიფო დანაშაულად ხდის ანტისაბჭოური მიზანი. მაგალითად, ტერორისტულ აქტს ჩველებრივი განზრახი მკვლელობისაგან განასხვავებს საბჭოთა ხელისუფლების ძირის გამოთხრის ან შესუსტების მიზანი. დანგრევა ან დაზიანება 69 მუხლში მითითებული ობიექტებისა დივერსიად მხოლოდ მაშინ ჩაითვლება, თუ იგი ჩადენილია საბჭოთა სახელმწიფოს შესუსტების მიზნით. ასეთსავე მიზანს ითვალისწინებს 70 მუხლი (მავნებლობა). ყველა აქ ჩამოთვლილი დელიქტი არა მარტო გულისხმობს განზრახვას, არამედ მოითხოვს აგრეთვე სპეციალურ მიზანს, ე. ი. გამორიცხულია მათი ჩადენა ევენტუალური განზრახვით.

სუბიექტური მომენტის როლი და მნიშვნელობა ქმედობის საზოგადოებრივი საშიშროების განსაზღვრისათვის განსაკუთრებით ნათლად ჩანს მომზადებისა და მცდელობის მაგალითზე. დანაშაულის მომზადებას და მცდელობას ადგილი არ ექნება, თუ პირს, რომელმაც თავისი მოქმედებით ობიექტურად შექმნა საფრთხე სამართლის მიერ დაცული ობიექტისათვის, არ ჰქონდა ამ ობიექტის დაზიანების განზრახვა¹⁵. სანადირო თოფის შექმნა ნადირობის მიზნით არ წარმოადგენს საზოგადოებრივად საშიშ მოქმედებას, მაგრამ თუ იგი მკვლელობის მიზნით არის შექმნილი, მაშინ ქმედობა საზოგადოებრივად საშიში და მართლსაწინააღმდეგოა. კანონის თანხმად ასეთი შემოხვევა განიხილება დანაშაულის მომზადებად. ანალოგიურად წყდება საკითხი დანაშაულის მცდელობის დროსაც. მაგალითად, როგორ განვასხვაოთ ერთმანეთისაგან მკვლელობის მცდელობა და სხეულის დაზიანება? ფაქტიურად განხორციელებული შედეგის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ჩვენ ამ ორი სახის დელიქტს ერთმანეთისაგან ვერ გავმიჯნავთ. ერთადერთი განმასხვავებელი ნიშანი მხოლოდ სუბიექტური მომენტია. თუ დამნაშავეს მიზნად ჰქონდა დასახული მსხვერპლის მოკვლა, რაც მისგან დამოუკიდებელი გარემოებების გამო არ განხორციელდა, ქმედობა დაკვალიფიცირდება მკვლელობის მცდელობად, ხოლო თუ იგი მიზნად ისახავდა სხეულის დაზიანებას, მაშინ ქმედობა შესაბამისად დაკვალიფიცირდება სხეულის დაზიანებად. მიზანი ამ შემთხვევაში სპეციფიკური საზოგადოებრივი საშიშროების განმსაზღვრელი სუბიექტური ელემენტია, რადგანაც მან მისცა შინაარსი ობიექტურად მომხდარ ფაქტს, რომლის შეფასება მხოლოდ ობიექტური, გარეგანი მომენტებით შეუძლებელია.

მაგრამ ეს ისე არ უნდა გავიგოთ, თითქოს მიზანი საზოგადოებრივი საშიშროების ერთადერთი განმსაზღვრელი მომენტი იყოს. „მივიჩნევთ რა მოქმედების მიზანს ქცევის საზოგადოებრივი საშიშროების განმსაზღვრელ ერთ-ერთ მომენტად — ამბობს თ. წერეთელი — ჩვენ არავითარ შემთხვევაში არ უნდა ვანვიხილოთ ეს მომენტი იზოლირებულად“¹⁶. მაგალითად, თუ მხოლოდ მიზანს

¹⁵ თ. წერეთელი, გ. ტყეშელაძე, მოძღვრება დანაშაულზე, თბილისი, 1969, გვ. 127—128.

¹⁶ Т. В. Черетели, Причинная связь в уголовном праве, 2-ое изд., М., 1963, с. 199;

ძვილებთ მხედველობაში, ჩვენ ვერ განვასხვავებთ ერთმანეთისაგან ისეთ დელიქტებს, როგორცაა ქურდობა, თაღლითობა, ძარცვა, ყაჩაღობა და ა. შ., რადგან ყველა მათთვის დამახასიათებელია ერთი და იგივე სუბიექტური ელემენტი: სხვისი ქონების მითვისების მიზანი. ცხადია, რომ ამ დელიქტებს ერთმანეთისაგან განასხვავებს სპეციფიკური ხერხი. ქურდობა არის სხვისი ქონების ფარული გატაცება, ძარცვა — აშკარა გატაცება, ხოლო ყაჩაღობა ისეთ ძალადობასთან არის დაკავშირებული, რომელიც საშიშია სიცოცხლისათვის. მეორე მხრივ, ერთი და იგივე ხერხით ჩადენილი ქმედობები სხვადასხვა შინაარს იძენენ, თუ მათი ჩადენისას ინდივიდი განსხვავებული მიზნით ხელმძღვანელობდა. სხვისი ნივთის ფარული ან აშკარა გატაცება დროებითი გამოყენების მიზნით ან თუნდაც მითვისების მიზნით, მაგრამ უკიდურესი აუცილებლობის დროს, არავითარ შემთხვევაში არ განიხილება ქურდობად ან ძარცვად.

ზემოთქმულიდან აშკარაა, რომ ყოველი სუბიექტური ელემენტი როდი განსაზღვრავს სპეციფიკურ საზოგადოებრივ საშიშროებას. ამიტომ ყველა ის სუბიექტური მომენტი, რომელიც ან განსაზღვრავს საზოგადოებრივ საშიშროებას, სისტემატიკის თვალსაზრისიდან გამომდინარე, ბრალის ცნებას უნდა მიეკუთვნოს. მაგალითად, საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 104 მუხლი ითვალისწინებს განზრახ მკვლელობას „ანგარებით“ (პ. 1), „ხულიგნური ქვენაგრძნობით“ (პ. 2), „განსაკუთრებული სისასტიკით“ (პ. 6), „სისხლის აღების ნიადაგზე“ (პ. 8). აღნიშნული მოტივები მოქმედებენ მხოლოდ ბრალის ხარისხზე რადგან ისინი არ განსაზღვრავენ მკვლელობის ბუნებას. მკვლელობის ჩადენა შესაძლებელია როგორც პირდაპირი, ისე ევენტუალური განზრახვით, როგორც თვითიმედოვნებით, ისე დაუდევრობით. ასევე შურისძიების მოტივი განსაზღვრავს არა საზოგადოებრივ საშიშროებას, არამედ ზეგავლენას ახდენს ბრალის ხარისხზე. გარდა მოტივისა, ზოგჯერ ბრალს მიეკუთვნება აგრეთვე მიზანიც. მაგალითად, „სხვა დანაშაულის დაფარვის ან მისი ჩადენის გაადვილების მიზანი“ (მუხ. 104, პ. 7) ბრალის ელემენტს წარმოადგენს, რადგან ეს მიზანი არ ცვლის მკვლელობის ბუნებას. ჩვენი აზრით, არ უნდა იყოს სწორი ცნობილი დასავლეთგერმანელი კრიმინალისტი ე. მეცგერი, როცა ამ მიზანს უმართლობის სუბიექტური ელემენტების კლასიკურ ნიმუშად მიიჩნევს¹⁷.

იურიდიულ ლიტერატურაში სავსებით სწორად არის აღნიშნული, რომ დანაშაულის სუბიექტური მხარე არ უნდა იქნეს გაიგივებული ბრალთან. ბრალის გარდა, სუბიექტურ მხარეში შედის აგრეთვე მიზანი და მოტივი. ამიტომ თითქოს სრულიად ლოგიკური უნდა იყოს, როცა ამ შეხედულების მომხრეები მიზანსა და მოტივს ბრალის ცნებისაგან დამოუკიდებლად განიხილავენ. ამ აზრს იმით ასაბუთებენ, რომ მიზანი და მოტივი ზოგჯერ დასაგმობია („საზოგადოებრივად საშიში“), ზოგჯერ კი არა. ვინაიდან ბრალის აუცილებელ ელემენტს გასაკიცხობა წარმოადგენს, მიზანი და მოტივი კი ყოველთვის არ ხასიათდებიან ამ თვისებით, ამიტომ ისინი შედიან დანაშაულის სუბიექტურ მხარეში, როგორც მისი დამოუკიდებელი ელემენტები.

ამ შეხედულების მცდარობა აშკარაა, ჯერ—ერთი, იმიტომ, რომ თუ კრიტიკრიუმად გასაკიცხობის მომენტს დავსახავთ, მაშინ დასაგმობი მიზანი და მოტივი ბრალს უნდა მიეკუთვნოს, არადასაგმობი კი შევა სუბიექტურ მხარეში,

¹⁷ E. Mezger, *Moderne Wege der Strafrechtsdogmatik*, Berlin-München, 3. Auflage, 1949, s. s. 25—26;

¹⁸ Уголовное право, часть общая, М., 1966, с. 199;

როგორც მისი დამოუკიდებელი ელემენტები. მაგრამ საქმე ისაა, რომ ეს მომენტები არ გამოდგება მიზნისა და მოტივის კლასიფიკაციისათვის. სირთულე სწორედ იმის გარკვევაში მდგომარეობს, თუ თვით გასაკიცხი სუბიექტური ელემენტებიდან რომელი უნდა მიეკუთვნოს ბრალს და რომელი — საზოგადოებრივ საშიშროებას. მიზნისა და მოტივის ბრალის ცნებიდან გამოდევნა და მათი დანაშაულის სუბიექტური მხარის დამოუკიდებელ ნიშნებად გამოცხადება იმას ნიშნავს, რომ ეს ელემენტები მართლწინააღმდეგობის ნიშნებს უნდა მივაკუთვნოთ, თუ გვინდა, რომ ისინი ჰაერში გამოკიდებული არ დარჩნენ. მიზანი და მოტივი ან ბრალს უნდა ეკუთვნოდნენ ან საზოგადოებრივ საშიშროებას, საშუალო მდგომარეობა წარმოუდგენელია. მაგრამ ყოველგვარი სუბიექტური ელემენტის მართლწინააღმდეგობის ნიშნად მიჩნევა, როგორც ზემოთ დავინახეთ, არ იქნებოდა მართებული, იმიტომ, რომ ეს გამოიწვევდა უმართლობის ობიექტური ცნების სუბიექტურით შეცვლას, ბრალისა და უმართლობის ცნებათა აღრევას. ამ თვალსაზრისის ნაკლი სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ იგი ვერ იძლევა სწორ კრიტერიუმს სუბიექტური ელემენტების კლასიფიკაციისათვის.

ჩვენ შევეცადეთ ზოგადი სახით გვეჩვენებინა სუბიექტური მომენტების მნიშვნელობა ქმედობის ობიექტური საზოგადოებრივი საშიშროების (მართლწინააღმდეგობის) განსაზღვრისათვის. რაც შეეხება მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული კონკრეტული მიზნებისა და მოტივების სისხლის სამართლებრივი მნიშვნელობის გარკვევას, მათ კლასიფიკაციასა და აქედან გამომდინარე პრაქტიკული დასკვნების გაკეთებას, ეს უკვე შემდგომი კვლევის საქმეა.

მექრთამეობა და მესთან ბაძოდა

3ლ. მაყაზიშვილი,

ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის სამართლის რედაქციის გამგე

მექრთამეობა ერთ-ერთი უძველესი ბოროტებაა. როგორც კი სახელმწიფო წარმოიშვა და მისი მომსახურე აპარატი შეიქმნა, იმავეთვე გაჩნდა მექრთამეობაც — თანამდებობის პირთა მოსყიდვა მათ სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით. მექრთამეობა მძიმე დანაშაულად ცხადდება და მკაცრად ისჯება სახელმწიფოს განვითარების ადრინდელ საფეხურზევე. განსაკუთრებით სასტიკ სასჯელებს აწესებენ მექრთამე მოსამართლისათვის, რომელიც მართლმსაჯულების სამსახურის მაგივრად სამართლით ვაჭრობს. ძველი რომის XII ტაბულის კანონები მექრთამე მოსამართლეს სიკვდილით სჯიდნენ. პეროდოტეს გადმოცემით სპარსეთის მეფე კამბიზმა, რომელიც ჩვენს წელთაღრიცხვამდე VI საუკუნეში მეფობდა, გაატყავებინა მექრთამე მოსამართლე და მისი ტყავი მოსამართლის სავარძელს გადააკრევენა. მკაცრ სასჯელს ითვალისწინებდნენ მექრთამეობისათვის საქართველოს საკანონმდებლო ძეგლებიც. ასე, მაგალითად, ვახტანგ VI-ის კანონთა კრებულის ერთ-ერთი მუხლის მიხედვით, მეფის საპყრობილის უფროსი, რომელმაც ქრთამი აიღო, რათა ხელი შეეწყო დაპატიმრებულის გაქცევისათვის, ისჯებოდა სიკვდილით ან განდევნით.

საზოგადოების მოწინავე ადამიანები ყოველთვის მკაცრად გმობდნენ მექრთამეობას. ციცერონი თავის ცნობილ სიტყვაში ვერესის წინააღმდეგ ზიზღით ლაპარაკობს მექრთამეობაზე, როგორც უადრესად სამარცხვინო საქციელზე. მაგრამ არც სასჯელთა სიმკაცრეს და არც მის მორალურ გაკიცხვას არ შეეძლო შეეჩერებინა მექრთამეობის გავრცელება, რომელიც მუდამ თან ახლავს ექსპლოატატორულ საზოგადოებას.

მექრთამეობა არნახულ ზომას აღწევს ბურჟუაზიულ სახელმწიფოში. მექრთამეობის სული იჭრება ბურჟუაზიის სახელმწიფოებრივ აპარატში მისი განვითარების პირველივე ნაბიჯებიდან. ამ აპარატის მთელი საქმიანობა, ყველაფერი, რაც კი მის გამგებლობაში და მის ხელთაა, ხდება ყიდვა-გაყიდვის საგანი. სწორედ ამაზე მიუთითებდა კარლ მარქსი, როდესაც გამანადგურებელ დახასიათებას აძლევდა „მეორე იმპერიის“ დროინდელ საფრანგეთში გამეფებულ საყოველთაო მოსყიდვას: „...ყიდვა-გაყიდვის იარაღად ხდება ყველა სახელმწიფო დაწესებულება: სენატი, სახელმწიფო მშენებლობა, რკინიგზები, ეროვნული გვარდიის გენერალური შტაბი, უმცროსების გამოკლებით, ორლენთანა დინასტიის კონფისკაციაქმნილი მამულები. მოსყიდვის საშუალებაა ყოველნაირი თანაშენებლობა არმიის და მთავრობის აპარატში.“¹

მემამულურ-კაპიტალისტური წესები ხელსაყრელ ნიადაგს ქმნიდა მექრთამეობის გასავრცელებლად მეფის რუსეთში. მექრთამეობა ისე გაუქდა ძვალრბილში მეფის მოხელეობას, რომ მათაც და მოსახლეობის უმეტეს ნაწილსაც იგი ჩვეულებრივ მოვლენად ეჩვენებოდა. რუსული მხატვრული სიტყვის დიდი

1 კ. მარქსი და ფ. ენგელსი, რჩული ნაწერები, ტ. I, 1950, გვ. 14.



ოსტატები — გოგოლი, სალტიკოვ-შჩედრინი, ოსტროვსკი, ტოლსტოი, გორკი და სხვანი უღმობლად ააშკარავებდნენ ძველი რუსეთის შავბნელ სინამდვილეს. მხატვრულ ლიტერატურაში როგორც სარკეში აისახა ყველა „სურვილ-იმედი“, „აზრი“ და „წესი“, რომლებითაც რევოლუციამდელი რუსეთის იოხლეობა სულდგმულობდა.

მაგრამ მართლაც რომ კოსმოსურ მასშტაბებს მექრთამეობამ ამერიკის შეერთებულ შტატებში მიაღწია. ცნობილი ამერიკელი პუბლიცისტი ალბერტ კანი თავის წიგნში — „სამშობლოს დაღატი“ — გვიხატავს სახელმწიფოს მმართველი წრეების ზედაფენაში გამეფებული მექრთამეობის შემზარავ სურათს. ამ მხრივ განსაკუთრებით სენსაციური ხასიათი ჰქონდა ყოვლად უფერული პიროვნებისა და რეაქციული მოღვაწის უორენ ჰარდინგის პრეზიდენტობას. ჰარდინგის გარშემო შემოკრებილ მექრთამე ბიზნესმენთა წყებაში ერთ-ერთ თვალსაჩინო ფიგურას ამერიკის შეერთებული შტატების ყოფილი შინაგან საქმეთა მინისტრი ფოლი წარმოადგენდა. მის ოპერაციებს ტიპოტ დოუმისა და ელკ ჰილის ნავთობის საბადოებთან დაკავშირებით ყოვლად უსირცხვილო კორუპციის სახელი გაუფარდა. მაგრამ ჰარდინგის მთელი მომსყიდველი გარემოციდან ყველას გადააჭარბა ცნობილმა „ბოსმა“, ჰარდინგის გულითადმა მეგობარმა დოგერტიმ, რომელიც იუსტიციის მინისტრად დაინიშნა. დოგერტი ყველაფრით ვაჭრობდა, რომ თავისი თანამდებობიდან რაც შეიძლება მეტი მატერიალური გამორჩენა ჰქონოდა. „საკადრისი ვასამრჯელოს“ სანაცვლოდ იგი სპობდა მსხვილი კომპანიების წინააღმდეგ აღძრულ საქმეებს, ვაჭრობდა პატიებით და საპატიმროდან ვადამდე განთავისუფლებით, ყიდდა მოსამართლისა და პროკურორის თანამდებობებს, იძლეოდა უკანონო ნებართვებს და სხვ. ერთი წლის მინისტრობის შემდეგ დოგერტი ამერიკული ბიზნესმენისათვის ჩვეული ცინიკურობით ამბობდა: „წინათ იუსტიციის მინისტრის თანამდებობაში ოცდაათ ცენტს არ გავიმეტებდი, ახლა კი მას მილიონ დოლარადაც არ დავთმობო“².

აი, ასეთ ათასწლობით დამკვიდრებულ სოციალურ ბოროტებასთან მოუხდა ბრძოლა საბჭოთა სახელმწიფოს თავისი არსებობის პირველ დღეებიდანვე. ახალი სახელმწიფო აპარატის ნორმალური მუშაობის უზრუნველსაყოფად და მისი ავტორიტეტის განსამტკიცებლად საბჭოთა ხელისუფლებამ დაუყოვნებლივ და გადაჭრით აღმართა მრისხანე მსხვილი იმ პირთა წინააღმდეგ, ვინც ცდილობდა სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი ინტერესები თავისი საკუთარი ანგარებითი ინტერესისათვის დაემორჩილებინა და სამსახური პირადი გამდიდრების წყაროდ ექცია.

ვ. ი. ლენინი განსაკუთრებული ყურადღებით ეკიდებოდა მექრთამეობასთან ბრძოლის საქმეს. 1918 წლის 2 მაისს იგი სწერდა იუსტიციის სახალხო კომისარს დ. კურსკის: „საჭიროა ე ხ ლ ა ვ ე, დემონსტრაციული სისწრაფით, შეიტანოთ კანონპროექტი, რომ სასჯელი ქრთამისათვის (მექრთამეობა, მოსყიდვა, შუამავლობა ქრთამის აღებაში და სხვა და ა. შ.)

უნდა იყოს

ს უ ლ მ ც ი რ ე

ათი წლის საპყრობილე და, გარდა ამისა, ათი წლის იძულებით მუშაობა“³. ამის შემდეგ ელვის სისწრაფით 1918 წლის 8 მაისს გამოიცა რსფსრ სახკომსაბ-

² А. Кан, «Измена родине», М., 1951, гл. 71.

³ ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 35, გვ. 352.

ჭოს დეკრეტი „მექრთამეობის შესახებ“. ამ დეკრეტში ზედმიწევნით არის რეგულანტირებული ქრთამის ამღებთა, მიმცემთა და მექრთამეობაში შუამავალთა პასუხისმგებლობა, აგრეთვე სხვა საკითხები, რომლებიც ამ დანაშაულთანაა დაკავშირებული. ამგვარად, არ გასულა რამდენიმე თვე საბჭოთა ხელისუფლების დამყარებიდან, რომ საბჭოთა ხელისუფლება უკვე გეგმაზომიერად და უღმობლად იწყებს ბრძოლას მექრთამეობის წინააღმდეგ. 1918 წლის 8 მაისის დეკრეტის მნიშვნელობა მარტო იმით როდი ამოიწურებოდა, რომ იგი მკაცრი სასჯელით აშინებდა გახრწნილ და მერყევ ელემენტებს. მისი მიზანი ისიც იყო, რომ მოსახლეობის ყურადღება მიექცა ამ საშიში სოციალური მოვლენისადმი, შეექმნა ამ დანაშაულის ჩამდენთა გარშემო მკაცრი მორალური გაკიცხვის ატმოსფერო, ჩება მასთან ბრძოლაში ყველა პატიოსანი მოქალაქე.

თუ საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველსავე პერიოდში მექრთამეობა საზოგადოებრივად ასეთ საშიშ და მორალურად უღირს საქციელად ითვლებოდა, მით უფრო შეუწყნარებლად უნდა ჩაითვალოს იგი ამჟამად, კომუნისმის გაშლილი მშენებლობის პერიოდში.

კომუნისმის მშენებლობის მორალურ კოდექსში ერთ-ერთ ზნეობრივ პრინციპად ჩამოყალიბებულია: „შეურიგებლობა უსამართლობისადმი, მუქთახორობისადმი, უპატიოსნობისადმი, კარიერიზმისადმი, მომხვეჭლობისადმი“. მექრთამე პირი, რომელიც არ ასრულებს ამ მოთხოვნას, აშკარად ღალატობს საზოგადოებრივ მოვალეობას. თანამდებობის პირის ყოველგვარი ცდა, მიიღოს გასამრჯელო გარეშე, კერძო წყაროდან, აყენებს მას უკანონობისა და თვითნებობის გზაზე. რა სამსახურებრივ მოქმედებასაც არ უნდა უკავშირდებოდეს გასამრჯელოს მიცემა კერძო წესით, რა ფორმითაც არ უნდა ეძლეოდეს იგი, თანამდებობის პირი, რომელმაც ასეთი გასამრჯელო მიიღო, აბუჩად იგდებს სახელმწიფო და საზოგადოებრივ ინტერესებს. მისი ყურადღება და საქმიანობა მიმართულია პირადი მიზნების განხორციელებისაკენ. ქრთამისათვის ხშირად მსხვერპლად სწირავენ მნიშვნელოვან სახელმწიფოებრივ და საზოგადოებრივ ინტერესს, ზოგჯერ კი მოქალაქეთა კანონიერ ინტერესებსაც.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1962 წლის 20 თებერვლის ბრძანებულება „მექრთამეობისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის შესახებ“ აძლიერებს სასჯელს ამ დანაშაულისათვის. თანამდებობის პირის მიერ ქრთამის აღება ისევე თავისუფლების აღკვეთით სამიდან ათ წლამდე, ქონების კონფისკაციით; იგივე ქმედობა, ჩადენილი დამამძიმებელ გარემოებებში, — თავისუფლების აღკვეთით რვიდან თხუთმეტ წლამდე, ქონების კონფისკაციით; ამასთან ერთად, სასამართლოს შეუძლია დამატებით სასჯელად დანიშნოს გადასახლება ვადით ორიდან ხუთ წლამდე, რასაც დამნაშავე მოიხდის თავისუფლების აღკვეთის მოხდის შემდეგ. განსაკუთრებით საშიშ გარემოებებში ქრთამის ჩადენისას კანონი შესაძლებლად თვლის სიკვდილით დასჯასაც. მკაცრი სასჯელებია აგრეთვე გათვალისწინებული ქრთამის მიცემისა და მექრთამეობაში შუამავლობისათვის.

მკაცრი სასჯელის დაწესებით სახელმწიფო მიზნად ისახავს მოტივაციური ზეგავლენა მოახდინოს იმ მერყევ ელემენტებზე, რომელთაც მიდრეკილება აქვთ მექრთამეობისაკენ. ამით კანონი დანაშაულის წინასწარ აღკვეთის ფუნქციას ასრულებს: სასჯელის მუქარა აიძულებს მოქალაქეებს თავი შეიკავონ დანაშაულის ჩადენისაგან, მაგრამ სასჯელის მუქარა მხოლოდ მაშინ შესაძლებელია თავის ფუნქციას და პაერში ჩამოკიდებული არ დარჩება, თუ სასჯელი აუცილ-

ბლად მოჰყვება დანაშაულის ჩადენას. მხოლოდ ამ შემთხვევაში იქნება ეფექტური მექრთამეობასთან ბრძოლა სისხლისსამართლებრივი მეთოდების მეშვეობით.

დასამალი არ არის რომ მექრთამეობის ყველა ფაქტის გამოაშკარავება ვერ ხერხდება და ბევრი მექრთამე მართლმსაჯულებას ხელიდან უსხლტება. მექრთამეობის დანაშაულს ზოგი ისეთი თავისებურება ახასიათებს, რაც ერთგვარად აძნელებს სასჯელის უცილობლობის პრინციპის განხორციელებას. არის შემთხვევები, როდესაც ქრთამი „კანონიერი“ ფორმით გვევლინება. გარეგნულად მატერიალური ფასეულობის ან ქონებრივი გამორჩენის გადაცემა ერთი პირის ხელიდან მეორეს ხელში თითქოს-და მართლზომიერი საფუძვლით ხდება, სინამდვილეში კი მის უკან მოსყიდვა იმალება. მაგალითად, თანამდებობის პირი „ჩალის ფასად“ ყიდულობს ძვირფას ნივთს ან მამასისხლად ყიდის უფასურ რამეს ანდა კიდევ იღებს ქრთამს ბანქოში მოგების მომიზნებით. შენიღბული მექრთამეობის ხშირ ფორმას თანამდებობის პირისათვის ფულის „სესხება“ წარმოადგენს. ასეთ შემთხვევაში ქრთამის მიცემა-აღების ფაქტის მხილება საკმაოდ რთულია. მაგრამ მაშინაც კი, როდესაც ქრთამს ასეთი შენიღბული ხასიათი არა აქვს, მექრთამეობის საქმის გახსნა სასამართლო-საგამოძიებო ორგანოების მხრივ დაძაბულ მუშაობას და დიდ დახელოვნებას მოითხოვს. მოქმედება, რომლითაც ქრთამის მიცემა-აღება ხორციელდება, ჩვეულებრივად ნათლად შესამჩნევ კვალს არ ტოვებს. აღნიშნული დანაშაულის ჩადენა მესამე პირთა თანდასწრებით იშვიათად ხდება. მთავარი კი ის არის, რომ მექრთამეობის მონაწილენი, რომელთაც ამ დანაშაულის ჩადენისათვის მკაცრი სასჯელი მოელოთ, გამოძიების წინააღმდეგ დაცვის შეთანხმებულ ხაზს იმუშავენ. იმისათვის, რომ საგამოძიებო-სასამართლო ორგანოებს საშუალება ჰქონდეთ ამხილონ მექრთამეობის ფაქტები და გაწმინდონ სახელმწიფო და საზოგადოებრივი აპარატი მექრთამეებისაგან, აუცილებელია შესუსტდეს ქრთამის მიმცემისა და ქრთამის აღების ასეთი ერთსულოვნება. ამ მიზნით საბჭოთა სისხლის სამართლის კანონმდებლობაში შეტანილია ნორმა, რომლის მიხედვით ქრთამის მიმცემი გათავისუფლდება პასუხისმგებლობისაგან, თუ იგი ნებაყოფლობით განაცხადებს, რომ თანამდებობის პირს ქრთამი მისცა.

ამრიგად, ქრთამის მიმცემს მარჯვე უკანდასახევი გზა უჩნდება — მას შეუძლიან, თუკი თავის ბრალს საქმით მოინანიებს, პასუხისმგებლობას გადარჩეს. ასეთი შედეგათვის მინიჭება ქრთამის მიმცემისათვის გამოწვეულია სახელმწიფოებრივ და საზოგადოებრივ აპარატში მოკალათებული მექრთამეების მხილების საჭიროებით და მის სრულ რეაბილიტაციას არ გულისხმობს. სახელმწიფო მიუტევებს ქრთამის მიმცემს ჩადენილ დანაშაულს და სასჯელს არ ადებს. მაგრამ ამით მის ნამოქმედარს როდი აქარწყლებს. სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1962 წლის 31 ივლისის სახელმძღვანელო დადგენილებაში „სასამართლო პრაქტიკა მექრთამეობის საქმეების გამო“ საგანგებოდ მითითებულია, რომ ქრთამის მიმცემის განთავისუფლება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან, როცა იგი მომხდარ ამბავს თავისი ნებით განაცხადებს, „არ მოასწავებს დანაშაულის ნიშნების უქონლობას ასეთი პირის მოქმედებაში“. იგი არა მარტო გასაკიცხია ზნეობრივად, არამედ მის საქციელს ზოგი სამართლებრივი შედეგიც უკავშირდება. კერძოდ, ქრთამად მიცემული ფული თუ სხვა ფასეულობა მას აღარ უბრუნდება, არამედ როგორც დანაშაულის საგანი და ნივთიერი მტკიცებულება სახელმწიფოს შემოსავალში ჩაირიცხება. ამასვე მო-

ითხოვს საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 49 მუხლი „სახელმწიფოსა და საზოგადოების ინტერესების საწინააღმდეგო მიზნით დადებულნი გარიგების ბათილობის შესახებ“. რადგან მექრთამეობის მონაწილეთა შეთანხმება სწორედ ასეთ გარიგებას მიეკუთვნება, ამიტომ ამ შეთანხმების საფუძველზე გადაცემული თანხა, ცხადია, სახელმწიფოს შემოსავალში უნდა ჩაირიცხოს.

სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა ეკისრება არა მარტო იმ პირს, ვინც ქრთამს უკანონო მოქმედებისათვის იღებს ან აძლევს, არამედ იმასაც, ვინც ქრთამს იღებს ან აძლევს კანონიერი მოქმედებისათვის (ე. წ. „ქრთამი-საჩუქარი“). პირველი სახის მექრთამეობა, რა თქმა უნდა, მეტ საზოგადოებრივ საშიშროებას წარმოადგენს: მოსყიდული თანამდებობის პირი თავის სამსახურებრივ ვალს ღალატობს და სამართლით დაცულ ინტერესებს ზიანს აყენებს. მაგრამ საზოგადოებრივ საშიშროებას არც ის ქრთამია მოკლებული, რომელსაც თანამდებობის პირი კანონიერი სამსახურებრივი მოქმედებისათვის იღებს. თანამდებობის პირი, რომელიც ასეთი „ძღვის“ მიმართ შემწყყნარებლობას იჩენს, ანგარებით გატაცებული, ყველას ხელში შესცივინებს და საზოგადო საქმეს პირადი გამორჩენის თვალსაზრისით უყურებს. ამით იგი სახელს უზღალავს იმ სახელმწიფო თუ საზოგადოებრივ აპარატს, სადაც მუშაობს. რაღა ავტორიტეტი უნდა შერჩეს, მაგალითად, მოსამართლეს, რომელიც თუგინდ კანონიერი განაჩენის და გადაწყვეტილებისათვის ფულის ან ფასიანი „საჩუქრის“ მიღებას არ თაკილობს! დაბოლოს, რაკი „საჩუქრის“ ჩვეულებას იოლად, უშრომლად მოხვეჭის მისწრაფება ასაზრდოებს, მისი გავლენით თანამდებობის პირს ადვილად უმკვიდრდება განწყობილება მიიღოს ქრთამი უკანონო მოქმედებისთვისაც. მასასადამე, სისხლისსამართლებრივი სასჯელის გამოყენება მექრთამეობასთან ბრძოლაში მაშინაც გამართლებულია, როცა თანამდებობის პირს ქრთამი მართლზომიერი მოქმედებისათვის ეძლევა. მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, თითქოს სასჯელის განსაზღვრის დროს აღნიშნული გარემოება გასათვალისწინებელი არ იყოს. მიუხედავად ამისა, კანონი არ განასხვავებს პასუხისმგებლობას მექრთამეობის სახეების მიხედვით და ყველა შემთხვევაში თანაბრად მკაცრი სასჯელით იმუქრება. შესაძლოა ამით აიხსნებოდეს, რომ პრაქტიკაში კანონიერ მოქმედებასთან დაკავშირებული მექრთამეობა თითქმის დაუსჯელი რჩება. ჩვეულებრივად ასეთი საქმეები ან ჯერ არ აღიძვრება, ან, თუ აღიძრა, ისპობა (რასაკვირველია, თუ გამოძალვას არ ჰქონდა ადგილი). სასჯელის ასეთი სიმკაცრე ფსიქოლოგიურ ზეგავლენას ახდენს მოწმეებზედაც: ისინი ყოველნაირად ცდილობენ იხსნან ბრალდებული, რომელსაც შეიძლება მეტისმეტად მძიმე, ჩანადენის შეუსაბამო სასჯელი დაატყდეს. ამიტომ, ჩვენი აზრით, კარგი იქნებოდა, რომ ქრთამის მიცემა-აღებისათვის, როცა საქმე მართლზომიერ სამსახურებრივ მოქმედებას ეხება, კანონი პირს უფრო მსუბუქი სასჯელით ემუქრებოდეს. იმავე საბუთიანობით მიზანშეწონილად მიგვაჩნია გამოიყოს პასუხისმგებლობა „წვრილმანი“ მექრთამეობისათვის (როცა ქრთამის რაოდენობა უმნიშვნელოა),—ისევე, როგორც ეს დაკანონებულია „წვრილმანი“ გატაცების, „წვრილმანი“ სპეკულაციისა და სხვათა გამო. ნაკლებ მკაცრი, სამართლიანობის გრძნობასთან შეთანხმებული სასჯელის შემოღება მექრთამეობის აღნიშნული შემთხვევებისათვის გააცხოველებდა ბრძოლას მექრთამეობის ყოველგვარ გამოვლინებასთან, ხელს შეუწყობდა აგრეთვე მექრთამეობის გამ-



კიცხავი საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბებას მტკიცე ზნეობრივ ძველზე.

ბრძოლა მექრთამეობასთან არ შეიძლება განკერძოებულად წარმოებდეს. მექრთამეობა მჭიდროდ დაკავშირებულია მთელ რიგ სხვა ანგარებით დანაშაულთან, ისეთებთან, როგორცაა სოციალისტური საკუთრების გატაცება, სპეკულაცია, მყიდველის მოტყუება, კერძომეწარმული საქმიანობა და სხვ. საკმაოდ ხშირად, მეტადრე, თუ დიდი ქრთამი ტრიალებს, ქრთამად მისაცემი სახსრის წყაროდ რომელიმე ამ დანაშაულთაგანი გვევლინება. მისი ჩამდენი ღამობს ქრთამის მეშვეობით პასუხისმგებლობა აიციდინოს და ჩვეული უკანონო გამორჩენა-შემოსავალი შეინარჩუნოს. ამგვარად სხვადასხვა დანაშაული ერთ კვანძად ინასკვება და საგამოძიებო ორგანოების წინაშე მათი გახსნის რთული ამოცანა წამოიჭრება. გამოსარკვევია ურთიერთობა დამნაშავეებს შორის, რომლებიც მისწრაფიან დანაშაულის კვალი ქრთამით მიჩქმალონ.

მექრთამეობის გვერდით მოსახსენიებელია ზოგი სხვა მოქმედება, რომელიც, მართალია, სისხლის სამართლის წესით არ ისჯება, მაგრამ თავისი ბუნებით მექრთამეობას ენათესავება. მექრთამეობის მომიჯნავე ზოგიერთი საქციელი საზოგადოებრივი თვალსაზრისით საკმაოდ საშიშია: იგი ხრწნის მოქალაქეთა შეგნებას, უნერგავს მათ გულგრილობას მექრთამეობისადმი და მეტიც — ფსიქოლოგიურად ამზადებს ნიადაგს ამ დანაშაულის ჩასადენად. ვთქვათ, საშუალო სკოლის მასწავლებელი იღებს ძვირფას საჩუქარს თავისი მოსწავლის მშობლებისაგან. ამგვარი ფეშქაშ-ნობათის დანიშნულება, — და იგი მოქმედი პირებისათვის საიდუმლოებით მოცული როდია, — იმაში მდგომარეობს, რომ მოსწავლეს მასწავლებლის „მფარველობა“ მოუპოვოს. ასეთი მფარველობა კი კეთილისმყოფლად იმოქმედებს ცოდნისა და ყოფა-ქცევის შეფასებისას, დაჯილდოების საკითხის გადაწყვეტისას და სხვ.

რასაკვირველია, მასწავლებლისათვის საჩუქრის მიერთმევა არ ითვლება ქრთამის მიცემად იურიდიული გაგებით, რადგან არ არის დაკავშირებული სამსახურებრივ მოქმედებასთან, რომელიც რაიმე სამართლებრივ შედეგს წარმოშობს. და მაინც ჩვენს წინაშე საძრახისი საქციელია. მისი წყალობით სკოლაში ფებს იკიდებს არაჯანსაღი სულისკვეთება, ილახება აღმზრდელის მაღალი ღირსება, ქრება მისი შთაგონებული, უანგარო საქმიანობის შარავანდედი. ამიტომ სრულიად მართებული იქნება, თუკი ძღვენის მოყვარე, უღირსი მასწავლებლების მიმართ გამოყენებულ იქნება საზოგადოებრივი ზემოქმედების ღონისძიება, ზოგჯერ დისციპლინური სახელეიც, თვით განთავისუფლებაც კი სკოლაში მუშაობისაგან. გაკიცხვის ღირსია ის ექიმიც, რომელიც ავადმყოფისაგან „სასყიდელს“ იღებს საავადმყოფოში გაკეთებული ოპერაციისათვის ან სხვა სახის სამედიცინო მომსახურებისათვის (მხედველობაში არა გვაქვს, რა თქმა უნდა, სამახსოვრო საჩუქარი, რასაც პაციენტი მისცემს ექიმს ჩატარებული მკურნალობის ან ოპერაციისათვის; ასეთი წრფელის გულით გაკეთებული საჩუქარი, რომელსაც ექიმი არც მიელის, „სასყიდლის“ ხასიათს არ ატრებს). ყურადღების გამახვილება ასეთ „ნახევარქრთამზე“, მისი სწორი შეფასება ზნეობრივი თვალსაზრისით, უეჭველად გააძლიერებს მოტივებს, რომლებიც დანაშაულებრივ ქმედობას წინ უნდა აღუდგეს.

ქრთამის მიმცემისა და ქრთამის მიმღების სისხლისსამართლებრივი წესით დასჯა არ წარმოადგენს ერთადერთ საშუალებას ამ დანაშაულთან საბრძოლველად. საქართველოს სსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის თანახმად

სასამართლოს, განაჩენის დაგენასთან ერთად, შეუძლია მიაქციოს დაწესებულება-საწარმოს ხელმძღვანელის ან თანამდებობის პირის ყურადღება იმ მიზეზებსა და პირობებზე, რომლებმაც ხელი შეუწყვეს დანაშაულის ჩადენას და სათანადო ზომების მიღებას საჭიროებენ. მაშასადამე, თვით კანონი აღიარებს, რომ დანაშაულთან ბრძოლა შეიძლება არა მარტო დამნაშავეთა დასჯით, არამედ აგრეთვე იმ მიზეზებისა და პირობების მოსპობით, რომლებიც დანაშაულს ხელს უწყობენ. ასეთი პროფილაქტიკური მუშაობა დანაშაულის ხელისშემწყობი მიზეზებისა და პირობების აღმოსაფხვრელად მექრთამეობის მიმართაც უნდა ჩატარდეს.

მექრთამეობის ხელისშემწყობი მიზეზები და პირობები სხვადასხვა ხასიათისა არიან. მექრთამეობის მასაზრდოებელი წყარო შეიძლება იყოს ცალკეულ დაწესებულება-საწარმოში ან ორგანიზაციაში დამკვიდრებული ბიუროკრატიზმის, დისციპლინის მოშლის, საზოგადო საქმისადმი უპასუხისმგებლო დამოკიდებულების შედეგად შექმნილი არაჯანსაღი ვითარება. მექრთამეობას განსაკუთრებით ხელს უწყობს შინა-საუწყებო ან სხვა სახის სახელმწიფო და საზოგადოებრივი კონტროლის შესუსტება. თავის დროზე და სწორად ორგანიზებულ კონტროლს ერთბაშად შეუძლია აღკვეთოს ამა თუ იმ უბანზე მექრთამეობა, რომელმაც, კონტროლის არარსებობის შემთხვევაში, ადვილად შეიძლება სისტემატური ხასიათი მიიღოს. განსაკუთრებით მკაცრი კონტროლი უნდა იქნეს დადგენილი სახელმწიფო და საზოგადოებრივი აპარატის იმ რგოლებისადმი, სადაც ქრთამი განსაკუთრებით დიდ საშიშროებას წარმოადგენს (სასამართლო-საგამოძიებო და პროკურატურის ორგანოები, საფინანსო ორგანოები და ა. შ.).

მექრთამეობის ზრდაში დიდ როლს ასრულებს კადრების არასწორად შერჩევა და განლაგება. ცნობილია შემთხვევები, როდესაც საპასუხისმგებლო თანამდებობაზე მოხვედრას ახერხებენ ისეთი პირები, რომლებიც ნდობის ღირსი არ არიან, ან როდესაც ასეთ თანამდებობაზე ნიშნავენ არა საქმიანი და პოლიტიკური თვისებების მიხედვით, არამედ დაწესებულების, საწარმოს ან ორგანიზაციის ხელმძღვანელ მუშაკთან ნათესაური ან მეგობრული კავშირის გამო. გამოცდილება გვიჩვენებს, რომ ასეთი შეუფერებელი მუშაკები უფრო ადვილად ადგებიან მექრთამეობის გზას.

მექრთამეობის გავრცელებას ისიც უწყობს ხელს, რომ ზოგიერთი მოქალაქე, მორალური და სამართლებრივი შეგნების არასაკმარისად განვითარების გამო, სწორად ვერ აფასებს მექრთამეობის მავნებლობას, ნათლად არ ესმის მისი არსი. ამიტომ აუცილებელია გამოყენებულ იქნას პროპაგანდის ყველა საშუალება (პრესა, რადიო, ტელევიზია), რათა მოსახლეობას განემარტოს ამ მოვლენის დიდი საზოგადოებრივი საშიშროება. ასეთმა პროპაგანდამ თვალსაჩინო უნდა გახადოს მექრთამეობის ყველა უარყოფითი მხარე, ამხილოს არა მარტო მისი მორალური ვასაკიცხაობა, არამედ აგრეთვე ის კონკრეტული ვნება, რაც ქრთამის გამო თანამდებობის პირმა შეიძლება მიაყენოს სხვადასხვა მნიშვნელოვან ინტერესს. ამასთან ერთად საჭიროა კარგად ავუსხნათ მოსახლეობას მექრთამეობის იურიდიული ბუნებაც, რადგან მოქალაქემ ზოგჯერ არც კი იცის, რომ მან ქრთამი მისცა. კერძოდ, უნდა განვუმარტოთ, რომ ქრთამის საგანი შეიძლება იყო არა მარტო რაიმე ფასეულობა (ფული), არამედ ყოველგვარი ქონებრივი გამოჩენა (ბინის ან სატრანსპორტო საშუალებათა მიცემა-სარებლობა, სამსახურში მოწყობა, დასასვენებელი სახლის ან სანატორიუმის სავაჭურის გაცემა და სხვ).

ჯანსაღი მორალური და სამართლებრივი შეხედულების შთანერგვა მოსახლეობაში შესაძლებლობას მოგვცემს გამოვიყენოთ საზოგადოების ფართო ფენები მექრთამეობასთან საბრძოლველად.

მექრთამეობის აღმოფხვრა ხანგრძლივი და რთული პროცესია. ამისათვის აუცილებელია სახელმწიფო ორგანოების, საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და საბჭოთა მოქალაქეების გეგმაზომიერი ინტენსიური და კოორდინირებული მუშაობა. ყურადღება უნდა დაეთმოს არა მარტო მექრთამეობის მხილებას და დამნაშავეთა პასუხისგებაში მიცემას, არამედ იმ მიზეზებისა და პირობების მოსპობასაც, რომლებიც ამ დანაშაულის წარმოშობას და გავრცელებას უწყობენ ხელს. საჭიროა მივალწიოთ იმას, რომ საბჭოთა ადამიანებს ძვალ-რბილში გაუჭდეო ზიზღი მექრთამეობის მიმართ. საკითხის მხოლოდ ასეთი ფართო დაყენება მოგვცემს შესაძლებლობას წარმატებით გადავჭრათ მექრთამეობის საბოლოოდ აღმოფხვრის რთული ამოცანა.

ხე-ტყისა და ხის მასალის გაფაჩხვის იურიდიული კვალიფიკაცია

ბ. შურაშვილი,

საქართველოს სსრ პროკურატურის განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა გამომძიებელი

სსრ კავშირში სოციალისტური საკუთრების ორი ფორმა არსებობს — სახელმწიფო და საზოგადოებრივი. სახელმწიფო საკუთრება მთელ ხალხს ეკუთვნის. საკუთრების ამ ფორმის ერთადერთი სუბიექტია საბჭოთა სოციალისტური სახელმწიფო. საზოგადოებრივი საკუთრება მოიცავს კოლმეურნეობების, სხვა კოოპერაციული ორგანიზაციებისა და მათი გაერთიანებების, საზოგადოებრივი ორგანიზაციების საკუთრებას. საკუთრების ამ ორი ფორმის არსებობა ვრცელდება ტყეზეც. არსებობს სახელმწიფო ტყე და საკოლმეურნეო ტყე. ამ უკანასკნელის სრულფასოვანი მესაკუთრე და განმკარგულებელია კოლმეურნეობა.

საზოგადოებრივი საკუთრება და სახელმწიფო საკუთრება ერთგვაროვანია და ერთმანეთისაგან განსხვავდებიან ძირითადად განზოგადების ხარისხით. სოციალისტური საკუთრების ორივე ეს ფორმა წარმოადგენს სოციალისტური საწარმოო ურთიერთობის საფუძველს.

მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით დანაშაული სოციალისტური საკუთრების წინააღმდეგ შეიძლება მიმართული იყოს მხოლოდ იმ ქონებაზე, რომელშიც ჩაქსოვილია ადამიანის შრომა.

ამ ზოგადი დებულების საფუძველზე შეგვიძლია ვთქვათ, რომ, მაგალითად, ტყის უკანონოდ მოჭრა, თუნდაც მას თან სდევდეს სახელმწიფოსათვის ან საზოგადოებრივი ორგანიზაციისათვის მატერიალური ზიანის მიყენება, არ ქმნის გატაცების შემადგენლობას. იგი წარმოადგენს დამოუკიდებელ დანაშაულს, რომლისთვისაც პასუხისმგებლობა გათვალისწინებულია საქართველოს სსრ სსკ 178 მუხლით.


ტყის უკანონოდ მოჭრა — ეს არის ხეების მოჭრა ბილეთის (სათანადო ნებართვის) უქონლად ან ტყის მოჭრა არა იმ ადგილას, არა იმ ჯიშისა ან არა იმ ოდენობით, რაზეც ნებართვაა გაცემული.

ამ დანაშაულის ობიექტია სატყეო მეურნეობის ინტერესი და ტყით სარგებლობის დადგენილი წესი.

განსახილველი დანაშაულის ობიექტური მხარე მდგომარეობს ტყის უკანონოდ მოჭრაში და იმ შედეგის დადგომაში, რაც გარკვეულ ზიანს აყენებს სატყეო მეურნეობას. მოჭრაში იგულისხმება ნეღლი ან გამხმარი ხეების მოშორება ნიადაგისაგან, რა საშუალებითაც უნდა ხდებოდეს იგი.

გატაცება კი არის მაშინ, როცა ადგილი აქვს დამზადებული ხე-ტყის ამოღებას სოციალისტური ფონდიდან და მის გამოყენებას ცალკეულ პირთა მიერ, ანგარების მიზნით, პირადი სარგებლობისათვის.

სოციალისტური ქონების, კერძოდ ხე-ტყის გატაცების განსაზღვრისა და ბუნებრივ სიმდიდრეთა გამოყენების სფეროში ჩადენილ სხვა დანაშაულისაგან მის განსასხვავებლად საჭიროა განისაზღვროს გატაცების გვაროვნული ცნება.



გატაცების გვაროვნული ცნების განსაზღვრა მოცემულია მთელ რიგ მონოგრაფიებში, სტატიებში, შრომებსა და დამსმარე სახელმძღვანელოებში. ყველა ავტორი ცოტაოდენი განსხვავებით სწორად თვლის, რომ გატაცება არის სოციალისტური საკუთრების განზრახ დაუფლება ანგარების მიზნით, ე. ი. მისი დანაშაულებრივი გამოყენება პირადი სარგებლობისათვის ან ცალკეულ პირთა სასარგებლოდ.

მაგრამ სისხლის სამართლის ახალი კანონმდებლობის მიღების შემდეგ, როგორც სწორად ამტკიცებს გ. ა. კრიგერი, არ შეიძლება მექანიკურად გადმოვიღოთ ადრე მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე დადგენილი განსაზღვრება გატაცებისა. მოქმედი კანონმდებლობა შეიცავს ამომწურავ ნუსხას და ზუსტ დახასიათებას გატაცების თითოეული ფორმისას, რაც უნდა დაედოს საფუძველად გატაცების გვაროვნული ცნების განსაზღვრას!

სოციალისტური ქონების გატაცების ნებისმიერი ფორმისათვის ერთ-ერთ ასეთ აუცილებელ ობიექტურ ნიშანს წარმოადგენს ის, რომ დანაშაულებრივი ხელყოფის მომენტში ეს ქონება (ე. ი. ხელყოფის ობიექტი) სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ორგანიზაციის მფლობელობაშია, ე. ი. სოციალისტურ ფონდშია. სწორედ ეს განასხვავებს გატაცებას სოციალისტური საკუთრების წინააღმდეგ მიმართული სხვა ანგარებითი დანაშაულისაგან.

ჩვენი სტატიის მიზანია დავასაბუთოთ გატაცების განსხვავება სხვა დანაშაულისაგან, რომელიც ხელყოფს ისეთ ბუნებრივ სიმდიდრეს, როგორიც არის ტყე.

სოციალისტურ საკუთრებაზე ხელყოფის გამიჯვნა ბუნებრივი სიმდიდრეების უკანონოდ დაუფლებისაგან ხშირად არასწორად ხდება. ეს უკანასკნელი ჩანადენის ზერელე ანალიზის გამო კვალიფიცირდება როგორც სოციალისტური საკუთრების გატაცება. ასეთი კვალიფიკაცია არასწორია, რადგან ხეები ბუნებრივ მდგომარეობაში არ შეიძლება ჩაითვალოს ქონებად — გატაცების ობიექტად, ვინაიდან მათზე ჯერ კიდევ არ არის დახარჯული ადამიანის შრომა. ამ მდგომარეობაში ისინი წარმოადგენენ მხოლოდ ბუნებრივ სიმდიდრეს. საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსი, ისევე როგორც სხვა მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კოდექსები, განსაზღვრავს, რომ ტყის უკანონო მოჭრა, როცა ეს დანაშაულია, უნდა დაისაჯოს არა როგორც სახელმწიფო ქონების გატაცება, არამედ როგორც დამოუკიდებელი დანაშაული, გათვალისწინებული საქართველოს სსრ სსკ 178 მუხლით და სხვა მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კოდექსების შესაბამისი მუხლებით.

მაშასადამე, განსახილველი დანაშაულის შემადგენლობის გამიჯვნა შეიძლება მხოლოდ ხელყოფის ობიექტის და დანაშაულის საგნის მიხედვით. ბუნებრივი სიმდიდრეების გამოყენების დარგში ჩადენილი დანაშაული, მართალია, გარკვეულ ზიანს აყენებს სოციალისტურ საკუთრებას, მაგრამ ხელყოფს სხვა ობიექტს. — სოციალისტური სახალხო მეურნეობის ინტერესებს, რომელსაც სპეციალურად იცავს კანონი. სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების გატაცების საგანი შეიძლება იყოს მხოლოდ ისეთი ბუნებრივი სიმდიდრეები, რომლებიც ამოღებულია ბუნებრივი მდგომარეობიდან და იმყოფება სახელმწიფო

ან საზოგადოებრივი ორგანიზაციების ფონდში და შესაბამისად მათს გამგებლობაში.


ამ დანაშაულის შემადგენლობის გამიჯვნისას შესაძლებელია ბევრი შეცდომა, ისევე როგორც უკანონო ნადირობისა და თევზის ჭერის შესახებ დანაშაულთა კვალიფიკაციის დროს. ეს შეცდომები ჩვეულებრივ დაკავშირებულია სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანიზაციების ფონდში მოპოვებული პროდუქციის შეტანის მომენტის განსაზღვრის არასაკმაო გარკვეულობასთან. საკითხის გადაწყვეტისას გაურკვევლობა წამოიჭრება უმთავრესად შემდეგ შემთხვევებში: ა) როცა მერქანი მოპოვებულია სოციალისტური საწარმოებისა და ორგანიზაციების მუშების მიერ საწარმოო საქმიანობის პროცესში, ბ) მერქანი მოპოვებულია ცალკეული მოქალაქეების მიერ სოციალისტური ორგანიზაციებისათვის სანარდო ხელშეკრულების შესრულებით და გ) მერქანი ჩამოერთვა მოქალაქეებს, რომლებსაც იგი უკანონოდ ჰქონდათ მოპოვებული. საქმე ის არის, რომ მოპოვებული მერქანი სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანიზაციების ფონდში გადადის საზოგადოებრივი ორგანიზაციების საკუთრების უფლების წარმომობასთან ერთდროულად, ხოლო სახელმწიფო ორგანიზაციებში — ამ საკუთრებით ოპერატიული მმართველობის უფლების წარმოქმნასთან ერთად.

ყველაფერი, რაც მოპოვებულია სოციალისტური ორგანიზაციებისა და საწარმოების მუშების მიერ წარმოების პროცესში, — ეს არის მუშათა შრომის პროდუქტი, საწარმოს ან ორგანიზაციის პროდუქცია. მაშასადამე, იმ მომენტიდან, რაც ხეები მოიჭრა და სათანადოდ გადამუშავდა, ისინი გადავიდნენ სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანიზაციების ფონდში და მათ ფაქტიურ გამგებლობაში. ამ ქონების მიღება მფლობელობაში განხილულ უნდა იქნას, როგორც გატაცება და დაკვალიფიცირდეს მისი მითვისებისათვის გამოყენებული ზერხების გათვალისწინებით. ამასთან მნიშვნელობა არა აქვს, სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ორგანიზაციის შემოსავალში აღებულ იქნა თუ არა ეს ქონება.

უფრო რთულია მოპოვებული მერქნის მითვისების კვალიფიკაციის საკითხი, როცა იგი დამზადებულია სოციალისტური ორგანიზაციებისათვის ცალკეული მოქალაქეების მიერ სათანადო ხელშეკრულებით. ამ შემთხვევაში მოქალაქეები ასრულებენ მერქნის დამზადების სამუშაოებს თავიანთი რისკით სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ორგანიზაციების დავალებით და ვალდებული არიან დამზადებული მერქანი მთლიანად ჩააბარონ ამ ორგანიზაციას, ხოლო უკანასკნელი ვალდებულია მიიღოს ის და გადაუხადოს გასამრჯელო შესრულებული სამუშაოსათვის. ეს ნიშნავს, რომ საზოგადოებრივი ორგანიზაციის საკუთრების უფლება ამ მერქანზე დგება იმ მომენტიდან, როცა ის პრაქტიკულად გადაეცა სოციალისტურ ორგანიზაციას. სოციალისტური ორგანიზაციების ფონდიდან მისი მითვისება განხილულ უნდა იქნას როგორც გატაცება და კვალიფიკაციის განსაზღვრის დროს გატაცების ხერხს მნიშვნელობა არა აქვს.

შეიძლება აღმოჩნდეს, რომ სათანადო ხელშეკრულებით მოქალაქეების მიერ სოციალისტური ორგანიზაციებისათვის დამზადებული მერქანი მითვისებულია მანამდე, სანამ იგი ხელშეკრულების დამდებ ორგანიზაციას გადაეცემოდა. მსგავს შემთხვევებში შესაძლებელია დამნაშავე პირთა მოქმედების კვალიფიკაციის საკითხის გადაწყვეტის ორი ვარიანტი:

პირველი ვარიანტი — მერქანი მითვისებულია იმ პირების მიერ, ვინც ის



მოიპოვა. ზოგი სასამართლო თვლის, რომ ასეთი მოქმედება განხილული იქნას როგორც სოციალისტური საკუთრების გატაცება. მაგრამ აქ არ არის გატაცების შემადგენლობა, იმიტომ, რომ დამზადებული მერქანი არ იყო გადაცემული ორგანიზაციის საკუთრებაში.

სხვაგვარად წყდება საკითხი მეორე ვარიანტის დროს, როცა მოქალაქეების მიერ სანარდო ხელშეკრულებით დამზადებულია მერქანი, მაგრამ ჯერ კიდევ არ არის გადაცემული სოციალისტური ორგანიზაციისათვის და მას იტაცებს მესამე პირი. ვვარაუდობთ, რომ ასეთ შემთხვევაში შესაძლებელი და საჭიროა გამოვიყენოთ კანონი სოციალისტური ქონების გატაცებისათვის პასუხისმგებლობის შესახებ. ასეთი გადაწყვეტა, ჩვენი აზრით, სწორი იქნებოდა იმიტომ, რომ, ჯერ ერთი, დამზადებული მერქანი, ვიდრე იგი გადაეცემა ორგანიზაციას, რჩება სახელმწიფოს საკუთრებაში და იმყოფება იმ მოქალაქეთა მართლზომიერ მფლობელობაში, რომლებიც სანარდო ხელშეკრულებით უფლებამოსილი არიან დამზადონ იგი, და, მეორე, დამნაშავე შრომის დაუხარჯავად ეუფლება სახელმწიფო ქონებას.

ამ საკითხის გარკვევისას საყურადღებოა ერთი გარემოება — რა მომენტიდან უნდა ჩავთვალოთ მერქანი დამზადებულად, რასაც ღირებულება ექნება და, მანამადა, შეიძლება იყოს გატაცების ობიექტი.

მოკრილი ან გადახერხილი ხე ჯერ კიდევ არ შეიძლება ჩაითვალოს დამზადებულად. იგი მხოლოდ იმის შემდეგ შეიძლება ჩაითვალოს დამზადებულად, როდესაც სათანადოდ დამუშავდება (გაიწმინდება ტოტებისაგან, დაიხერხება სათანადო ზომების მიხედვით და ა. შ.) როგორც მერქანი და, მანამადა, მაშინ შეიძლება იყოს გატაცების საგანი.

ხე-ტყისა და ხის მასალის დამზადებისა და რეალიზაციის დროს გატაცების შემთხვევაში ხშირად საქმე გვაქვს არა თვით ხის მასალის გატაცებასთან, არამედ ფულადი თანხების მითვისებასთან, ე. ი. გატაცების უშუალო საგანს წარმოადგენს ფული.

ასეთ ვითარებაში შეიძლება შეიცვალოს მხოლოდ გატაცების საგანი, ხოლო გატაცების ობიექტი იგივე რჩება. ამ დანაშაულის იურიდიული შედგენილობის ობიექტურ მხარეზე მსჯელობის დროს უნდა აღინიშნოს, რომ სოციალისტურ საკუთრებაზე ხელყოფის ფორმები მეტად მრავალგვარია და განსხვავდებიან ერთმანეთისაგან მოქმედების ხერხით.

სოციალისტური ქონების გატაცებისას დამნაშავე ანგარებითი მოტივებით, პირადი სარგებლობის მიზნით ან სხვა პირთა სასარგებლოდ იღებს ამ ქონებას სოციალისტური ფონდიდან, რის შედეგადაც სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ორგანიზაცია განიცდის მატერიალურ ზიანს, ხოლო დამნაშავე ან სხვა პირი მათ ანგარიშზე დანაშაულებრივად მდიდრდება.

გატაცების ობიექტური მხარის არსებითი ნიშანია სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ორგანიზაციისათვის მატერიალური ზიანის მიყენება.

საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსი (ისევე, როგორც სხვა მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კოდექსები) სოციალისტური ქონების გატაცების ფორმებს განასხვავებს გატაცების საშუალებების მიხედვით, სახელდობრ:

გატაცება ქურდობის გზით (91 მუხლი), გატაცება ძარცვის გზით (92-ე მუხლი), გატაცება თაღლითობის გზით (93-ე მუხლი), გატაცება მითვისების,

გაფლანგვის ან სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენებით (94-ე მუხლი) და ყაჩაღობა გატაცების მიზნით (96-ე მუხლი).

გატაცების თითოეული ეს ფორმა გატაცების საშუალებებთან ერთად ხასიათდება საზოგადოებრივი საშიშროების სხვადასხვა ხარისხით.

მოქმედი სისხლის სამართლის კანონი გატაცების ფორმებთან ერთად განსხვავებს სოციალისტური ქონების გატაცების სახეებს, რომლებიც დამოკიდებულია გატაცებული ქონების ღირებულებაზე (მაგალითად, გატაცება განსაკუთრებით დიდი ოდენობით, დიდი რაოდენობით და ა. შ.)

ხე-ტყის პროდუქციის, ხოლო შემდგომ სავაჭრო სისტემაში ხის მასალის გატაცება, ასევე ფულადი სახსრების გატაცება მერქნის დამზადებისა და ხე-ტყის რეალიზაციის დროს შედარებით ხშირად ხდება მითვისების, გაფლანგვისა და სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენების გზით.

საქართველოს სსრ სსკ 94-ე მუხლი ითვალისწინებს პასუხისმგებლობას სოციალისტური ქონების გატაცებისათვის იმ პირის მიერ, რომელიც სამართლიანად ფლობს ამ ქონებას, ან იმ პირის მიერ, რომელსაც თავისი თანამდებობრივი მდგომარეობის ძალით შეუძლია განაგოს იგი.

გატაცების ისეთი ფორმების, როგორიც არის მითვისება, გაფლანგვა და სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენება, მომეტებული საზოგადოებრივი საშიშროება განისაზღვრება იმით, რომ აქ დანაშაულის სუბიექტად გამოდის პირები, რომელთა გამგებლობაშიც იყო სოციალისტური ქონება, რომლებიც ფლობდნენ ან განაგებდნენ ამ ქონებას თავიანთი თანამდებობრივი მდგომარეობით, ე. ი. პირები, რომლებსაც სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ორგანიზაციების მიერ მინიჭებული აქვთ გარკვეული უფლებამოსილება, პირები, რომლებიც სამსახურებრივი მოვალეობით ვალდებული არიან იჩენდნენ მაქსიმალურ მზრუნველობას ამ ქონების დასაცავად.

გატაცების ამ ფორმის მომეტებული საზოგადოებრივი საშიშროება მდგომარეობს ისევე იმაში, რომ გამფლანგველთა მოქმედებას — სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენებას თან ახლავს სხვა დანაშაულის ნიშნები, როგორიც არის სიყალბე, მეჭრთამეობა, კერძომეწარმული საქმიანობა და სხვ.

ხე-ტყის დამზადება ძალიან ხშირად წარმოებს კერძო პირების მიერ კოლმეურნეობებთან და სხვა ორგანიზაციებთან ხელშეკრულებით ან მათი მინდობილობებით, რომელთა საფუძველზეც ეს პირები მოქმედებენ უშუალოდ ხე-ტყის დამამზადებელ საწარმოებში, ამასთან ზოგჯერ ხელშეკრულება ფიქტიურად ფორმდება თანამდებობის პირების მიერ გატაცების შენიღბვის მიზნით.

როცა კერძომესაკუთრული რეწვა, განხორციელებული სახელმწიფო, კოოპერაციული ან სხვა საზოგადოებრივი ფორმების გამოყენებით, დაკავშირებულია სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების გატაცებასთან, დამნაშავე პირთა მოქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს საქართველოს სსრ სსკ 164-ე და 94-ე მუხლებით ერთობლივად.

ასე, მაგალითად კინეშემის სამშენებლო-სარემონტო კანტორის ოსტატმა რ-მ ამავე კანტორის უფროსის ვ-ს თანხმობით სკკპ XXII ყრილობის სახელობის კოლმეურნეობასთან დადო ხელშეკრულება კოლმეურნეობის საჭიროებისათვის მერქნის დამზადების შესახებ. ამ სამუშაოს შესრულებისათვის კოლმეურნეობისაგან მიიღო დიდი საქვეანგარიშო თანხები. კოლმეურნეობისათვის მერქანი არ მიუწოდებიათ, თუმცა იგი გამოზიდეს ტყიდან და გატაცების ხარჯზე

გაეგზავნა კანტორას, თანაც გაფორმდა ფიქტიური დოკუმენტები, რომ მერქანი ვითომც კანტორისათვის დამზადდა. რ-ს ხანგრძლივი დანაშაულებრივი საქმიანობით სხვა პირებთან თანამონაწილეობით ამ და სხვა სახის დანაშაულის ჩადენით კინეშემის სამშენებლო-სარემონტო კანტორისა და სკკპ XXII ყრილობის სახელობის კოლმეურნეობისათვის მიყენებული ზიანის საერთო თანხამ 91.0 ათასი მანეთი შეადგინა.

რ-ს მოქმედება სწორად იქნა დაკვალიფიცირებული ერთობლივად, როგორც განსაკუთრებით დიდი ოდენობით საზოგადოებრივი ქონების გატაცება და კერძომესაკუთრული რეწვა.

როგორც ამ მაგალითიდან ჩანს, დანაშაულის მიზანი იყო სოციალისტური ქონების თავის საკუთრებაში მოქცევა, რაც გატაცების ნიშანია, თუმცა სისხლის სამართლის კოდექსის იმ მუხლში, რომელიც ითვალისწინებს პასუხისმგებლობას გატაცებისათვის, მიზანი ნახსენები არ არის.

დანაშაულის სწორი კვალიფიკაციისათვის აუცილებელია სისხლის სამართლის კოდექსის სათანადო მუხლში აღწერილი მოქმედების ხერხი დავუპირისპიროთ ხელყოფის ობიექტის თავისებურებებს და ამის საფუძველზე გადავწყვიტოთ საკითხი მოტივის, როგორც დანაშაულის შემადგენლობის ნიშნის შესახებ.

საქართველოს სსრ სსკ 164 მუხლი, რომლითაც დადგენილია პასუხისმგებლობა კერძომესაკუთრული რეწვისათვის, არაფერს ამბობს ამ დანაშაულის მოტივების შესახებ. მაგრამ სავსებით ნათელია, რომ კერძომესაკუთრული რეწვის ცნება არ შეიძლება განისაზღვროს იმის გაუთვალისწინებლად, თუ რა ქვენაგრძნობა ამოქმედებდა ამ დანაშაულის სუბიექტს. კერძომესაკუთრული რეწვის საფუძველი ყოველთვის არის მატერიალური სარგებლის მიღების სურვილი — გამდიდრდეს არაშრომითი შემოსავლით. მაშასადამე, ამ შემთხვევაში ანგარება არის დანაშაულის შემადგენლობის აუცილებელი ნიშანი და ამიტომ დამნაშავის მოქმედება კვალიფიცირდება დანაშაულთა ერთობლიობით გატაცებისათვის და კერძომესაკუთრული რეწვისათვის.

როცა მითვისებით, გაფლანგვით ან სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენებით ჩადენილ გატაცებასთან ერთად თანამდებობის პირი სჩადის სხვა დანაშაულის ნიშნების მქონე ქმედობებს, რომლებიც ხელს უწყობენ გატაცების ჩადენას. ასეთ დროსაც დანაშაული კვალიფიცირებულ უნდა იქნას დანაშაულთა ერთობლიობით.

მაგალითად, „აფხაზმომარაგების“ ტრესტის მთავარი ბუღალტერი კ. ტრესტის ხე-ტყის დამამზადებლებთან შ., შ., ბ. და სხვებთან შეთანხმებით ეწეოდა სახელმწიფო სახსრების გატაცებას, რაც ხორციელდებოდა და იფარებოდა „აფხაზმომარაგებისათვის“ მერქნის დამზადებაზე ყალბი საბუთების შექმნით. ბოროტმოქმედთა ამ ჯგუფის მიერ გატაცებულ იქნა 70 ათას მანეთამდე სახელმწიფო სახსრები.

გატაცება ჩადენილ იქნა „აფხაზმომარაგების“ კუთვნილი ფულადი სახსრების მითვისებისა და გაფლანგვის გზით. მაგრამ ამავე დროს კ. როგორც მთავარი ბუღალტერი ბოროტად იყენებდა თავის სამსახურებრივ მდგომარეობას. შეშის გამოსაზიდად გზების გაყვანისათვის კალკულაციით გათვალისწინებული თანხის გადამეტებით გასცა 17 ათასი მანეთი. ამით დაუშვა შეშის თვითღირებულების გადიდება, რაც შემდეგ მისივე გამგებლობით რეალიზებულ იქნა დაღ-

გენილზე ნაკლებ ფასებში, რამაც ორგანიზაციას მიაყენა 14 ათასი მანეთი ზარალი.

კ-ს დანაშაული სასამართლომ დააკვალიფიცირა საქართველოს სსრ სსკ 94 მუხლის III ნაწილით და 186 მუხლის II ნაწილით (გატაცება და სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენება), ამავე მუხლებით დაკვალიფიცირებულ იქნა ხე-ტყის დამამზადებლების მოქმედებაც.

ხე-ტყისა და ხის მასალის გატაცებას, როგორც აღნიშნული იყო ზემოთ, ხშირად თან ახლავს მექრთამეობა. ქრთამს აძლევენ და იღებენ მერქნის დასამზადებლად ტყის საჩეხი უბნის უკანონოდ გამოყოფაზე, მერქნის გადასაზიდად გეგმის გარეშე ვაგონების მიწოდებაზე და სხვა „სამსახურის“ ვაწვევისათვის.

თუ მერქანი, როგორც გარკვეული ფასეულობა, რომელიც ეკუთვნოდა სახელმწიფო ან საზოგადოებრივ ორგანიზაციას, ქრთამის მიცემით იქნა ამოღებული ამ ორგანიზაციების ფონდიდან, იმ თანამდებობის პირთა მოქმედება, რომლებსაც ბრალი ედებათ ამ დანაშაულის ჩადენაში, უნდა დაკვალიფიცირდეს ერთობლივად ქრთამის მიცემის, ქრთამის აღებისა და გატაცებისათვის, რაც ჩადენილი იყო სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენების გზით.


ასე, მაგალითად, შ. მუშაობდა რა ოჩამჩირის რაიონის სატყეო მეურნეობის გინძე-ეწერის სატყეო უბნის უფროს ტყის მცველად, დანაშაულებრივად დაუჯავშირდა ხე-ტყის დამამზადებელ რ-ს, მიიღო ამ უკანასკნელისაგან ქრთამი 800 მანეთის ოდენობით, რისთვისაც ნება დართო მას სათანადო ბილეთისა აღუდებლად გაეზიდა 100 კუბ. მეტრი თელის მორები, რომლებიც რ-მ დაამზადა ითითქოსდა „ფხვანომარაგების“ საჭიროებისათვის. ფაქტიურად კი ეს მორები გაიყიდა „გვერდზე“. შ. მიცემულ იქნა სისხლის სამართლის პასუხისგებაში ერთობლივად გატაცებისათვის 94 მუხლის III ნაწ.) და ქრთამის აღებისათვის (189 მუხლის მეორე ნაწილი), ხოლო რ. — 94 მუხლის III ნაწილით და 190 მუხლის I ნაწილით.

დამნაშავე პირთა ქმედობის ასეთი კვალიფიკაცია გამომდინარეობს როგორც სისხლის სამართლის კანონიდან, ასევე სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1962 წლის 31 ივლისის დადგენილებიდან „მექრთამეობის საქმეებზე სასამართლო პრაქტიკის შესახებ“. ამ დადგენილებაში ნათქვამია, რომ სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენების გზით გატაცება ქმნის აგრეთვე წინასწარი მოლაპარაკებით თანამდებობის პირის მიერ ქრთამის სახით სახელმწიფო ან საზოგადოებრივი სახურების მიღების შემადგენლობას და რომ ასეთი მოქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს ერთობლივად როგორც გატაცება სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენების გზით და ქრთამის აღება².

მერქნის ან ხე-ტყის დანაკლისის დროს აუცილებელია გაირკვეს, რა მიზეზებმა გამოიწვია დანაკლისი, დაკავშირებულია ეს დანაკლისი გატაცებასთან თუ გამოწვეულია სხვა მოქმედებით.

„საქმეტყესაშენავპრობის“ გორის ხე-ტყის სავაჭრო საწყობიდან ხე-ტყის გატაცების საქმეზე გამოძიებით დადგინდა, რომ ხე-ტყის და სხვა სამშენებლო მასალების დანაკლისი საწყობში წარმოიშვა არა გატაცებით, არამედ აღრიცხვაში არეგ-დარევის გამო.

² «Сборник постановлений Пленума Верховного суда СССР», 1924—1963 гг., стр. 260.



ხე-ტყე, რომელიც ეკუთვნოდა ორ სხვადასხვა ორგანიზაციას, იმყოფებოდა ერთ საწყობში, რის შედეგადაც ორი მეკუჭნავე ერთდროულად აწარმოებდა სასაქონლო ოპერაციებს, რამაც განაპირობა შეცდომები როგორც ხე-ტყისა და სამშენებლო მასალის გაცემაში, ასევე მათ აღრიცხვაში. გარდა ამისა, ხე-ტყის გაცემა ხდებოდა არსებული წესების უხეში დარღვევით. ასევე ადგილი ჰქონდა ხე-ტყისა და სამშენებლო მასალის უკანონოდ გაცემას და ამ დარღვევების დასაფარავად აბნეულად აწარმოებდნენ აღრიცხვა-ანგარიშგებას.

ხე-ტყის გატაცების შესახებ მტკიცებების არარსებობის გამო, აგრეთვე აღნიშნულ გარემოებათა გათვალისწინებით საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიამ მეკუჭნავეების ვ. ს-ს და გ. ს-ს მოქმედება დააკვალიფიცირა საქართველოს სსრ სსკ 186 მუხლის მეორე ნაწილით და არა სსკ 94 მუხლით.

განსახილველი დანაშაულის სუბიექტი შეიძლება იყოს სხვადასხვა თანამდებობის პირი, რომელიც ახორციელებს როგორც ხე-ტყის მასალის დამზადებას, ისე მის რეალიზაციას.

ასეთი პირები დამზადებისა და რეალიზაციის დროს შეიძლება იყონ ერთი მხრივ ხე-ტყის დამამზადებელი ორგანიზაციების, საწარმოების ხელმძღვანელები და ინჟინერ-ტექნიკური პერსონალი, ხოლო მეორე მხრივ რიგითი მუშაკები და დამამზადებლები, რომლებიც მუშაობენ ხე-ტყის დამამზადებელ საწარმოებში, ან მერქნის შემსყიდველ საწარმოებში.

მიგვაჩნია, რომ მუშები და მოსამსახურეები, რომლებიც ხე-ტყის დამზადებაზე მუშაობენ, არ შეიძლება იყონ იმ გატაცების სუბიექტები, რომელიც კვალიფიცირდება საქართველოს სსრ სსკ 94 მუხლით.

მართლაც, როცა დამამზადებელი მერქანს მიჰყიდის გარეშე პირს, აფორმებს ამ გაყიდვას სხვადასხვა ფიქტიური საბუთებით, ან სატვირთო მანქანის მძღოლი გადაზიდვის დროს მიჰყიდის მერქანს სხვა პირს, შეცდომა იქნებოდა დაგვეკვალიფიცირებინა მათი მოქმედება, როგორც გატაცება მითვისების გზით, გაფლანგვით ან სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენებით.

რამდენადაც ამ პირებს არა აქვთ მერქნის გამგებლობის უფლება და მასზე ზელი მიუწვდებათ გარკვეული საწარმოო ფუნქციების შესრულების დროს, საქმის გარემოების მიხედვით მათი ქმედობა უნდა დაკვალიფიცირდეს საქართველოს სსრ სსკ 91 მუხლით (ჭურღობა) ან 93 მუხლით (თაღლითობა).

ამიტომ არ შეიძლება სწორად იქნას მიჩნეული კვალიფიკაცია ხე-ტყის დამამზადებლების შ-ს, ბ-სა და სხვების მიმართ მერქნისა და ფულადი სახსრების გატაცებაზე ერთობლივად საქართველოს სსრ სსკ 94 მუხლის შესაბამისად ნაწილით და 186 მუხლის მეორე ნაწილით.

„აფხაზმომარაგებიდან“ გატაცების ორგანიზატორი იყო მთავარი ბუღალტერი კ., რომელიც დამამზადებლების მეშვეობით ქმნიდა ფიქტიურ საბუთებს მერქნის დამზადებაზე, ხოლო შემდეგ მათთან (და სხვა პირებთან, რომლებსაც გარკვეული თანამდებობა ეჭირათ) ერთად ითვისებდა გატაცებულ თანხას.

რამდენადაც საქართველოს სსრ სსკ 186-ე მუხლი ითვალისწინებს პასუხისმგებლობას ხელისუფლების ან სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენებისათვის, ვინაიდან დამამზადებლები ან მძღოლები თანამდებობის პირები არ არიან, მათი მოქმედება არ შეიძლება დაკვალიფიცირდეს საქართველოს სსრ სსკ 186 მუხლით, რამდენადაც ისინი მონაწილეობდნენ თანამდებობის პი-

რების მიერ ორგანიზებულ გატაცებაში — ამით ხდებოდნენ ევრეთწოდებულ სპეციალური სუბიექტის მქონე დანაშაულის თანამონაწილენი და მათი მოქმედება, ამ კონკრეტულ შემთხვევაში, უნდა დაკვალიფიცირებულიყო საქართველოს სსრ სსკ 19-94 მუხლის მესამე ნაწილით.

სსკ ამავე მუხლით (19-94) უნდა დაკვალიფიცირდეს იმ თანმადებლობის პირთა მოქმედებაც, რომლებიც, სარგებლობდნენ რა თავიანთი სამსახურებრივი ძღვობარებით, ხელს უწყობდნენ გატაცებაში ან მის დაფარვაში მერქნის დამზადების ხარჯებზე ფიქტიური საბუთების შედგენისა და მიღების გზით.

საქართველოს სსრ სსკ 19-94 მუხლის მესამე ნაწილით დაკვალიფიცირდა გულაუთის სასადილო „შრომითი აფხაზეთის“ გამგის ტ-ს მოქმედება, რომელმაც ამავე ორგანიზაციის სისტემაში შემავალი საწარმოებისათვის კაკლის ჯიშის საქმიანი მერქნის დამზადების საბაზით ხელი შეუწყო დამამზადებლებს შ-ს და ტ-ს 3640 მანეთის გატაცებაში, რაც იმაში გამოიხატა, რომ თავის სახელზე გაფორმებულ შესყიდვის ქვითრებს, საავანსო ანგარიშებს და მიღება-ჩაბარების აქტებს მოაწერა ხელი.

მერქნის, ხე-ტყისა და ფულადი სახსრების გამფლანგველთა ქმედობის დაკვალიფიცირების დროს საჭიროა გათვალისწინებულ იქნას აგრეთვე ამ სახის გატაცებათა მაკვალიფიცირებელი ნიშნები, როგორც არის გატაცების განმეორება, გატაცების ჩადენა ორგანიზებული ჯგუფის მიერ, გატაცება დიდი ოდენობით და ა. შ. ეს თავის მხრივ მოითხოვს ისეთი მნიშვნელოვანი ნიშნის სწორად განსაზღვრას, როგორც არის ზიანის ოდენობა გატაცების საქმეებზე. მაგრამ ზიანის ოდენობის სწორად განსაზღვრა შეიძლება არა მარტო მერქნის საცალო ფასების აღრიცხვით, არამედ ხე-ტყის დამამზადებლების მიერ ფაქტიურად გაწეული დანახარჯების აღრიცხვით და სავაჭრო ქსელში ხის მასალის საცალო სარეალიზაციო ფასისა და ამავე საქონლის თვითღირებულების შედარებით.

სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების ჯანმრთელობის დაცვის კანონმდებლობის საფუძვლები

ხალხის ჯანმრთელობის დაცვა საბჭოთა სახელმწიფოს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანაა.

სოციალისტური საზოგადოებრივი წყობილება უზრუნველყოფს ხალხის მატერიალური კეთილდღეობისა და კულტურული დონის განუწყვეტელ ამაღლებას, შრომის, ყოფაცხოვრებისა და დასვენების პირობების გაუმჯობესებას. სსრ კავშირში ხორციელდება სოციალურ-ეკონომიურ და სამედიცინო ღონისძიებათა ფართო სისტემა, რომლებიც ხელს უწყობენ მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის დონის ამაღლებას, აგრეთვე ყველასათვის მისაწვდომი უფასო და კვალიფიციური სამედიცინო დახმარება, ფართოდება გააჩანსადებელი და სანიტარული ღონისძიებანი, ყოველმხრივ ვითარდება მასობრივი ფიზიკური კულტურა და სპორტი. სოციალისტური საზოგადოება განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს დედისა და ბავშვის ჯანმრთელობის დაცვას.

საბჭოთა ჯანმრთელობის დაცვის დიდმნიშვნელოვანი საფუძველია მედიცინის მეცნიერება, რომელიც განუწყვეტლივ ვითარდება. მეცნიერული გამოკვლევანი მედიცინის დარგში მიზნად ისახავენ ადამიანის ჯანმრთელობისა და ხანგრძლივი აქტიური სიცოცხლისათვის ზრუნვას.

სსრ კავშირში ხალხის ჯანმრთელობის დაცვის სისტემაში, რომელიც სოციალიზმის ერთ-ერთი უდიდესი მონაბოვარია, უზრუნველყო ჩვენი ქვეყნის მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობის მნიშვნელოვანი გაუმჯობესება, ავადობის შემცირება, წინათ გავრცელებული მთელი რიგი ინფექციური დაავადებების ლიკვიდაცია, საერთო და ბავშვთა სიკვდილიანობის მკვეთრი შემცირება, ადამიანთა სიცოცხლის ხანგრძლივობის მნიშვნელოვანი ზრდა.

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის შემდგომ გაუმჯობესებას, საზოგადოებრივი ურთიერთობის ამ დარგში კანონიერების განმტკიცებას აქტიურად უნდა ემსახურებოდეს ჯანმრთელობის დაცვის საბჭოთა კანონმდებლობა.

კარი I

ზოგადი დებულებანი

მუხლი 1. საბჭოთა ჯანმრთელობის დაცვის კანონმდებლობის ამოცანები

სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების ჯანმრთელობის დაცვის კანონმდებლობა აწეს-

რავებს საზოგადოებრივ ურთიერთობას მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის დარგში, რათა უზრუნველყოს მოქალაქეთა ფიზიკური და სულიერი ძალების ჰარმონიული განვითარება, ჯანმრთელობა, შრომისუნარიანობის მაღალი დონე და ხანგრძლივი აქტიური ცხოვრება; თავიდან ააცილოს მოქალაქეებს და შეამციროს ავადობა კიდევ უფრო შეამციროს ინვალიდობა და სიკვდილიანობა. აღმოფხვრას ის ფაქტორები და პირობები, რომლებიც მავნებელია მოქალაქეთა ჯანმრთელობისათვის.

მუხლი 2. სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების ჯანმრთელობის დაცვის კანონმდებლობა

სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების ჯანმრთელობის დაცვის კანონმდებლობას შეადგენენ ეს საფუძვლები და მათი შესაბამისი სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობის სხვა აქტები.

მუხლი 3. მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა ყველა სახელმწიფო ორგანოს, საზოგადოებრივი ორგანიზაციის მოვალეობაა


მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა ყველა სახელმწიფო ორგანოს, საწარმოს, დაწესებულებებისა და ორგანიზაციის მოვალეობაა. აღნიშნული ორგანოების, საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების უფლებამოსილებანი მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვაში განისაზღვრება სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობით.

პროფესიული კავშირები, კოოპერაციული ორგანიზაციები, წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარმთვარის საზოგადოებები და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციები თავიანთი წესდებების (დებულებების) შესაბამისად მონაწილეობენ მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის უზრუნველყოფაში სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით.

სსრ კავშირის მოქალაქენი უნდა უფრთხილდებოდნენ თავიანთ ჯანმრთელობას და საზოგადოების სხვა წევრთა ჯანმრთელობას.

მუხლი 4. მოქალაქეთა უზრუნველყოფა სამედიცინო დახმარებით

სსრ კავშირის მოქალაქენი უზრუნველყოფილი არიან სახელმწიფო სამედიცინო დაწესებულებ-



ბათა ყველასათვის მისაწვდომი უფასო და კვალიფიციური სამედიცინო დახმარებით.

მუხლი 5. სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის ორგანიზაციის საფუძვლები

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა სსრ კავშირში უზრუნველყოფილია იმ სოციალურ-ეკონომიური და სამედიცინო-სანიტარული ღონისძიებების სისტემით, როგორცაა:

1) ფართო გამაჯანსაღებელ და პროფილაქტიკურ ღონისძიებათა განხორციელება, განსაკუთრებული ზრუნვა მოზარდი თაობის ჯანმრთელობის დაცვისათვის;

2) წარმოებასა და ყოფაცხოვრებაში სათანადო სანიტარულ-ჰიგიენური პირობების შექმნა, საწარმოო ტრავმატიზმის, პროფესიულ დაავადებათა მიზეზების, აგრეთვე სხვა იმ ფაქტორების აღმოფხვრა, რომლებიც უარყოფითად მოქმედებენ ჯანმრთელობაზე.

3) გარემოს გაჯანსაღების, წყალსატევების, ნიადაგისა და ატმოსფერული ჰაერის სანიტარული დაცვის უზრუნველყოფის ღონისძიებათა განხორციელება;

4) ჯანმრთელობის დაცვის დაწესებულებათა და სამედიცინო მრეწველობის საწარმოთა ქსელის გეგმიანი განვითარება;

5) ყველა სახეობის სამედიცინო დახმარებაზე მოსახლეობის მოთხოვნების უფასოდ დაკმაყოფილება, სამედიცინო დახმარების ხარისხისა და კულტურის ამაღლება; დისპანსერული დაკვირვების თანდათან გაფართოება; სპეციალიზებული სამედიცინო დახმარების განვითარება.

6) სტაციონარული მკურნალობის დროს სამკურნალო და დიაგნოსტიკურ საშუალებათა უფასოდ გაცემა და სხვა სახეობის სამედიცინო დახმარების დროსაც სამკურნალო საშუალებათა უფასოდ ან შეღავათიანი პირობებით გაცემის თანდათან გაფართოება;

7) სანატორიუმების, პროფილაქტორიუმების, დასასვენებელ სახლების, პანსიონატების, ტურისტული ბაზებისა და მშრომელთა სამკურნალო და დასასვენებელი სხვა დაწესებულებების ქსელის გაფართოება;

8) მოქალაქეთა ფიზიკური და ჰიგიენური აღზრდა; მასობრივი ფიზიკური კულტურისა და სპორტის განვითარება;

9) მეცნიერების განვითარება, გეგმიანი მეცნიერული კვლევა, ჯანმრთელობის დაცვის მეცნიერული კადრებისა და მალაკვალიფიციური სპეციალისტების მომზადება;

10) ჯანმრთელობის დაცვის დაწესებულებათა საქმიანობაში მეცნიერების, ტექნიკისა და სამედიცინო პრაქტიკის მიღწევათა გამოყენება; ამ დაწესებულებათა აღჭურვა უახლესი აპარატურით;

11) მოსახლეობის კვების მეცნიერულ-ჰიგიენური

საფუძვლების განვითარება;

12) საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და მშრომელთა კოლექტივების ფართო მონაწილეობა მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვაში.

მუხლი 6. სსრ კავშირის კომპეტენცია ჯანმრთელობის დაცვის დარგში

ჯანმრთელობის დაცვის დარგში სსრ კავშირის სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოებისა და სახელმწიფო მართვის ორგანოების კომპეტენციაში შედის:

1) ჯანმრთელობის დაცვის განვითარებისა და გამაჯანსაღებელ ღონისძიებათა განხორციელების საერთო-საკავშირო გეგმების დადგენა;


2) მეცნიერული კვლევის განვითარების, სამედიცინო დანიშნულების ახალი პრეპარატებისა და მოწყობილობის შემუშავების, ამ კვლევისა და სამუშაოთა კოორდინაციის, მედიცინის პრაქტიკაში მეცნიერების მიღწევების, დიაგნოსტიკის, მკურნალობისა და პროფილაქტიკის ახალი მეტოდების დანერგვის საერთო-საკავშირო გეგმების დადგენა;

3) სამედიცინო და ფარმაცევტული განათლების განვითარების, უმაღლესი სამედიცინო და ფარმაცევტული სასწავლებლების კურსდამთავრებული სპეციალისტების განაწილების, მეცნიერული კადრების მომზადებისა და მედიცინისა და ფარმაცევტიკის მუშაკთა დახელოვნების; სამედიცინო და ფარმაცევტული წოდებათა დადგენის, მედიცინისა და ფარმაცევტიკის მუშაკთა მომზადების ვადების საერთო-საკავშირო გეგმების დადგენა.

4) მოკავშირე რესპუბლიკებს, სსრ კავშირის სამინისტროებსა და უწყებებს შორის სამედიცინო მრეწველობის პროდუქციის წარმოებისა და განაწილების, მედიკამენტების, სამედიცინო ტექნიკის საგნებისა და სამედიცინო დანიშნულების სხვა ნაწარმის ექსპორტისა და იმპორტის საერთო-საკავშირო გეგმების დადგენა.

5) სამედიცინო მრეწველობის დარგში ერთიანი ტექნიკური პოლიტიკის უზრუნველყოფა ჯანმრთელობის დაცვის დაწესებულებათა დამუშავებისადმი ერთიან მედიკურ-ტექნოლოგიურ მოთხოვნათა დადგენა; სამედიცინო დანიშნულების პროდუქციის სახელმწიფო და დარგობრივი სტანდარტების, ტექნიკური პირობებისა და ამ პროდუქციის ფასების დამტკიცება; სსრ კავშირში წარმოებული და საზღვარგარეთიდან შემოტანილი სამედიცინო დანიშნულების პროდუქციის ხარისხისადმი კონტროლის ორგანიზაცია; ნარკოტიკულ ნივთიერებათა წარმოების მოცულობის განსაზღვრა და მათი ბრუნვისა და მოხმარებისადმი კონტროლის ორგანიზაცია.

6) სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის ორგანოებისა და დაწესებულებების ხელმძღვანელობა, საკავშირო დაქვემდებარების სამედიცინო



მრეწველობის საწარმოების, ჯანმრთელობის დაცვის ორგანიზაციებისა და სამეცნიერო-საკვლევე დაწესებულებების, უმაღლესი სამედიცინო და ფარმაცევტული სასწავლებლების, ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტების მართვა;

7) საერთო-საკავშირო სანიტარულ-ჰიგიენური და სანიტარულ-ეპიდემიის საწინააღმდეგო წესებისა და ნორმების დამტკიცება; სსრ კავშირის ტერიტორიის სანიტარიული დაცვის ღონისძიებათა განხორციელება საკარანტინო დავალებათა შემოტანის თავიდან ასაცილებლად, აგრეთვე სანიტარიულ-ეპიდემიური კეთილდღეობისა და რადიაციული უსაფრთხოების უზრუნველყოფის საერთო-საკავშირო ღონისძიებათა, სანიტარიული დაცვის ღონისძიებათა განხორციელება;

8) მოსახლეობის სამედიცინო მომსახურების, ჯანმრთელობის დაცვის დაწესებულებების მოწყობილობით, ინვენტარითა და ტრანსპორტით აღჭურვის ნორმატივების, მედიკამენტების ხარჯვის ნორმების დამტკიცება; სამკურნალო-პროფილაქტიკურ და ჯანმრთელობის დაცვის სხვა დაწესებულებებში მყოფ პირთა კვების ნორმების დამტკიცება;

9) ჯანმრთელობის დაცვის დაწესებულებათა ერთიანი ნომენკლატურისა და მათ შესახებ ტიპობრივ დებულებათა დამტკიცება; ჯანმრთელობის დაცვის დაწესებულებათა სამედიცინო, ფარმაცევტული, ინჟინერ-ტექნიკური, პედაგოგიური და სხვა პერსონალის საშუალო ნორმატივების განსაზღვრის წესის დადგენა;

10) ძირითად დებულებათა დადგენა, რომლებიც განსაზღვრავენ შრომისუნარიანობის ექსპერტიზის, სასამართლო-სამედიცინო და სასამართლო-ფსიქიატრიული ექსპერტიზების ორგანიზაციისა და წარმოების წესს;

11) ჯანმრთელობის დაცვის ორგანოებსა და დაწესებულებებში ერთიანი სტატისტიკური აღრიცხვისა და ანგარიშგების სისტემის დადგენა;

12) ჯანმრთელობის დაცვის სხვა იმ საკითხების გადაჭრა, რომლებიც სსრ კავშირის კონსტიტუციისა და ამ საფუძვლების შესაბამისად შედის სსრ კავშირის გამგებლობაში.

მუხლი 7. მოკავშირე რესპუბლიკების კომპეტენცია ჯანმრთელობის დაცვის დარგში

მოკავშირე რესპუბლიკის — მისი სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოებისა და ჯანმრთელობის დაცვის დარგში სახელმწიფო მმართველობის ორგანოების გამგებლობას ექვემდებარება ჯანმრთელობის დაცვის განვითარებისა და გამაჯანსაღებელ ღონისძიებათა განხორციელების რესპუბლიკური გეგმების დადგენა, მოკავშირე რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვის ორგანოებისა და დაწესებულებების ხელმძღვანელობა, კანონმდებლობის აქტების მიღება ჯანმრთელობის დაცვის დარგში, აგრეთ-

ვე ჯანმრთელობის დაცვის საქმის ხელმძღვანელობის იმ სხვა საკითხების გადაჭრა, რომლებიც სსრ კავშირის კონსტიტუციის, მოკავშირე რესპუბლიკის კონსტიტუციისა და ამ საფუძვლების შესაბამისად მოკავშირე რესპუბლიკის გამგებლობაში შედის.

მუხლი 8. ჯანმრთელობის დაცვის ხელმძღვანელობა სსრ კავშირში


ჯანმრთელობის დაცვის საქმის ხელმძღვანელობას სსრ კავშირის კონსტიტუციის, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების კონსტიტუციათა შესაბამისად ახორციელებენ სსრ კავშირის, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოები და სახელმწიფო მმართველობის ორგანოები, აგრეთვე მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოები და მათი აღმასრულებელი კომიტეტები.

სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრო ჯანმრთელობის დაცვას, როგორც წესი, ხელმძღვანელობს მოკავშირე რესპუბლიკების ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების საშუალებით და მართავს უშუალოდ მისდამი დაქვემდებარებულ დაწესებულებებს, საწარმოებსა და ორგანიზაციებს.

მოკავშირე რესპუბლიკების ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროები ჯანმრთელობის დაცვას ხელმძღვანელობენ ავტონომიური რესპუბლიკების ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროებისა და მშრომელთა დეპუტატების შესაბამისი ადგილობრივი საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების ჯანმრთელობის დაცვის ორგანოების საშუალებით და მართავენ უშუალოდ მათდამი დაქვემდებარებულ დაწესებულებებს, საწარმოებსა და ორგანიზაციებს.

სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროებს; მათს ორგანოებს ეკისრებათ პასუხისმგებლობა ჯანმრთელობის დაცვის, მედიცინის მეცნიერების მდგომარეობისა და შემდგომი განვითარებისათვის და მოსახლეობისათვის გაწეული სამედიცინო დახმარების ხარისხისათვის.

მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოები და მათი აღმასრულებელი კომიტეტები ხელმძღვანელობენ მათდამი დაქვემდებარებულ ჯანმრთელობის დაცვის ორგანოებსა და დაწესებულებებს, ახორციელებენ ჯანმრთელობის დაცვის დაწესებულებათა ქსელის განვითარების, მათი სწორად განლაგებისა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცების, მოსახლეობის სამედიცინო დახმარების ორგანიზაციის ღონისძიებებს, კოორდინაციასა და კონტროლს უწყვენ ყველა საწარმოს, დაწესებულებისა და ორგანიზაციის საქმიანობას იმისათვის, რომ შეიმუშაონ



და განახორციელონ ღონისძიებანი მოსახლეობის
ჯანმრთელობის დაცვის, სანიტარიული კეთილ-
დღეობის უზრუნველყოფის, მშრომელთა დას-
ვენების ორგანიზაციის, ფიზიკური კულტურის
განვითარების, ვარჯიშის დაცვისა და გაჯან-
საღების დარგში, აგრეთვე კონტროლს უწყვეტ
მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის კანონ-
მდებლობის შესრულებას.

მუხლი 9. ჯანმრთელობის დაცვის დაწესებუ-
ლებათა საქვეუწყებობა

ჯანმრთელობის დაცვის დაწესებულებანი სსრ
კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს,
მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების
ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროებისა და
მშრომელთა დეპუტატების შესაბამისი ადგი-
ლობრივი საბჭოების აღმასრულებელი კომიტე-
ტების ჯანმრთელობის დაცვის ორგანოების გამ-
გებლობაში არიან.

სხვა სამინისტროებს, უწყებებსა და ორგანი-
ზაციებს თავიანთ გამგებლობაში ჯანმრთელობის
დაცვის დაწესებულებანი შეიძლება ჰქონდეთ
მხოლოდ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ნე-
ბართვით და მოვალენი არიან მართონ ისინი სსრ
კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების ჯან-
მრთელობის დაცვის კანონმდებლობის შესაბა-
მისად.

სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამი-
ნისტრო ჯანმრთელობის დაცვის იმ დაწესებუ-
ლებათა საქმიანობას, რომლებიც მის სისტემაში
არ შედიან, ათანხმებს სამკურნალო-პროფილაქ-
ტიკური დახმარების, მოსახლეობის სანიტარი-
ულ-ეპიდემიოლოგიური მომსახურების, საკა-
რანტინო და სხვა ინფექციურ დაავადებათა შე-
მოტანისა და გავრცელებისაგან სსრ კავშირის
ტერიტორიის დაცვის საკითხებზე, აგრეთვე
კონტროლს უწყევს ამ საქმიანობას.

მუხლი 10. ჯანმრთელობის დაცვის დაწესე-
ბულებათა, საბავშვო დაწესებულებათა და
სპორტულ ნაგებობათა ქსელის განვითარება

ჯანმრთელობის დაცვის დაწესებულებათა
ქსელის განვითარება და მათი განლაგება უნდა
ხორციელდებოდეს მოსახლეობის სამედიცინო
დახმარების დადგენილი ნორმატივების საფუძ-
ველზე და ქვეყნის რაიონების ეკონომიურ, გე-
ოგრაფიულ და სხვა თავისებურებათა გათვა-
ლისწინებით.

დასახლებული პუნქტების, საცხოვრებელი მა-
სივების, საწარმოებისა და სხვა ობიექტების
დაპროექტებისა და მშენებლობის დროს გათვა-
ლისწინებული უნდა იყოს ჯანმრთელობის დაც-
ვის საჭირო დაწესებულებების, სკოლამდელ
ბავშვთა და სკოლისგარეშე დაწესებულებების,
სკოლების სპორტულ შენობათა და ნაგებობათა
მშენებლობა.

მუხლი 11. ჯანმრთელობის დაცვის დაწესე-

ბულებათა საქმიანობის ორგანიზაციის წესი
სამკურნალო-პროფილაქტიკური, სანიტარი-
ულ-პროფილაქტიკური და სააფთიაქო დაწესე-
ბულებების საქმიანობის ორგანიზაციის წესის
ძირითად დებულებებს ადგენს სსრ კავშირის
ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრო.

კარი II

სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობა

მუხლი 12. სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობა

სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის
გაწევა შეუძლიათ პირებს, რომლებსაც მიღე-
ბული აქვთ სპეციალური მომზადება და წოდე-
ბა სსრ კავშირის შესაბამის უმაღლეს და საშუ-
ალო სპეციალურ სასწავლებლებში.

უცხოელ მოქალაქეებსა და მოქალაქეობის
არქონე პირებს, რომლებიც მუდმივად ცხოვ-
რობენ სსრ კავშირში, მიღებული აქვთ სპე-
ციალური მომზადება და წოდება სსრ კავში-
რის შესაბამის უმაღლეს და საშუალო სპეცია-
ლურ სასწავლებლებში, შეუძლიათ ეწეოდნენ
სამედიცინო და ფარმაცევტულ საქმიანობას სსრ
კავშირის ტერიტორიაზე მიღებული სპეციალო-
ბისა და წოდების შესაბამისად.

პირებს, რომლებმაც სამედიცინო ან ფარმა-
ცევტული მომზადება და წოდება მიიღეს უც-
ხოეთის სახელმწიფოთა შესაბამის სასწავლებ-
ლებში, სსრ კავშირში სამედიცინო ან ფარმა-
ცევტული საქმიანობა შეუძლიათ სსრ კავშირის
კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ეკრძალებათ სამედიცინო და ფარმაცევტული
საქმიანობა პირებს, რომლებიც დაშვებული არ
არიან ამ საქმიანობისათვის დადგენილი წესით.

უკანონო ექიმობისათვის პასუხისმგებლობა
წესდება მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებ-
ლობით.

მუხლი 13. ექიმის ფიცი

სსრ კავშირის მოქალაქენი, რომლებმაც დაამ-
თავრეს სსრ კავშირის უმაღლესი სამედიცინო
სასწავლებლები და მიიღეს ექიმის წოდება,
დებენ საბჭოთა კავშირის ექიმის ფიცს.

ფიცის ტექსტსა და მისი დადების წესს გან-
საზღვრავს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმი.

მუხლი 14. მედიცინისა და ფარმაცევტიკის მუშაკთა პროფესიული მოვალეობანი, უფლებანი და შეღავათები

მედიცინისა და ფარმაცევტიკის მუშაკთა ძი-
რითად პროფესიულ მოვალეობებსა და უფლე-
ბებს, აგრეთვე აღნიშნული მუშაკებისათვის მი-
ნიჭებულ შეღავათებს ადგენს სსრ კავშირის კა-



წინამდებლობა და მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობა.

მედიცინის, ფარმაცევტიკისა და ჯანმრთელობის დაცვის დაწესებულებების ცალკეული სპეციალობების სხვა მუშაკთა პროფესიულ მოვალეობებსა და უფლებებს განსაზღვრავს სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრო.

ექიმებისა და მედიცინის სხვა მუშაკების პროფესიულ უფლებებს, სახელს და ღირსებას იცავს კანონი.

მუხლი 15. მედიცინისა და ფარმაცევტიკის მუშაკთა პროფესიული ცოდნის სრულყოფა.

ჯანმრთელობის დაცვის ორგანოებს ევალებათ შეიმუშაონ და განახორციელონ მედიცინისა და ფარმაცევტიკის მუშაკთა სპეციალიზაციისა და პროფესიული ცოდნის სრულყოფის ღონისძიებანი, რაც ხორციელდება იმ გზით, რომ ისინი დახელოვნების ინსტიტუტებსა და ჯანმრთელობის დაცვის სხვა შესაბამის დაწესებულებებში პერიოდულად გადიან მომზადებას.

ჯანმრთელობის დაცვის ორგანოებისა და დაწესებულებების ხელმძღვანელები მოვალენი არიან მედიცინისა და ფარმაცევტიკის მუშაკებს შეუქმნან საჭირო პირობები სისტემატური ზეშაობისათვის მათი კვალიფიკაციის ასამაღლებლად.

მედიცინისა და ფარმაცევტიკის მუშაკთა ატესტაციის წესს ადგენს სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრო მედიცინის მუშაკთა პროფესიული კავშირის ცენტრალურ კომიტეტთან ერთად.

მუხლი 16. საქმიანობის საიდუმლოების დაცვის მოვალეობა

ექიმებსა და მედიცინის სხვა მუშაკებს უფლება არა აქვთ გასთქვან პროფესიული მოვალეობის შესრულების დროს ავადმყოფის სენის, ინტიმური და ოჯახური ცხოვრების შესახებ გაგებული ცნობები.

იმ შემთხვევებში, როცა ამას მოითხოვს მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის ინტერესები, ჯანმრთელობის დაცვის დაწესებულებათა ხელმძღვანელებმა ჯანმრთელობის დაცვის ორგანოებს, ხოლო საგამოძიებო და სასამართლო ორგანოებს — მათი მოთხოვნით უნდა მიაწოდონ ცნობები მოქალაქეთა სენის შესახებ.

მუხლი 17. მედიცინისა და ფარმაცევტიკის მუშაკთა პასუხისმგებლობა პროფესიულ მოვალეობათა დარღვევისათვის

მედიცინისა და ფარმაცევტიკის მუშაკებს, რომლებიც არღვევენ პროფესიულ მოვალეობებს, ეკისრებათ კანონმდებლობით დადგენილი დისციპლინარული პასუხისმგებლობა. თუ ეს დარღვევა კანონით არ იწვევს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას.

კარი III

მოსახლეობის
სანიტარიულ-ეპიდემიური
კეთილდღეობის
უზრუნველყოფა

მუხლი 18. მოსახლეობის სანიტარიულ-ეპიდემიური კეთილდღეობა

სსრ კავშირის მოსახლეობის სანიტარიულ-ეპიდემიური კეთილდღეობას უზრუნველყოფს კომპლექსურ სანიტარიულ-ჰიგიენური და სანიტარიულ-ეპიდემიისსაწინააღმდეგო ღონისძიებათა განხორციელება და სახელმწიფო სანიტარიული ზედამხედველობის სისტემა.

სანიტარიულ-ჰიგიენური და სანიტარიულ-ეპიდემიისსაწინააღმდეგო ღონისძიებათა განხორციელება ვარემოს გაჭუჭყიანების ლიკვიდაციისა და თავიდან აცილებისათვის, მოსახლეობის შრომის, ყოფაცხოვრებისა და დასვენების პირობების გაჯანსაღებისა და ავადმყოფობათა თავიდან აცილებისათვის ყველა სახელმწიფო ორგანოს, საწარმოს, დაწესებულებისა და ორგანიზაციის, კოლმეურნეობის, პროფესიული კავშირებისა და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების მოვალეობაა.

სანიტარიულ-ჰიგიენური და სანიტარიულ-ეპიდემიისსაწინააღმდეგო წესებისა და ნორმების დარღვევა იწვევს დისციპლინარულ, ადმინისტრაციულ ან სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობის შესაბამისად.


მუხლი 19. სახელმწიფო სანიტარიული ზედამხედველობის ორგანოები

სანიტარიულ-ეპიდემიისსაწინააღმდეგო ღონისძიებათა განხორციელების, სახელმწიფო ორგანოების, აგრეთვე ყველა საწარმოს, დაწესებულებისა და ორგანიზაციის, თანამდებობის პირებისა და მოქალაქეების მიერ სანიტარიულ-ჰიგიენური და სანიტარიულ-ეპიდემიისსაწინააღმდეგო წესებისა და ნორმების დაცვისადმი სახელმწიფო სანიტარიული ზედამხედველობა ევალება სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროსა და მოკავშირე რესპუბლიკების ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროთა სანიტარიულ-ეპიდემიოლოგიური სამსახურის ორგანოებსა და დაწესებულებებს.

სანიტარიულ-ეპიდემიოლოგიური სამსახურის იმ ორგანოებისა და დაწესებულებების რწმუნებებს, რომლებიც ახორციელებენ სახელმწიფო სანიტარიულ ზედამხედველობას, განსაზღვრავს სსრ კავშირის კანონმდებლობა.

მუხლი 20. დასახლებული პუნქტების დაპროექტებისა და განაშენიანებისადმი წაყენებული სანიტარიული მოთხოვნები

დასახლებული პუნქტების დაგეგმვა და განა-



შენიანება უნდა ითვალისწინებდეს მოსახლეობის ცხოვრებისა და ჯანმრთელობის ყველაზე ხელშემწყობი პირობების შექმნას.

საცხოვრებელი მასივები, სამრეწველო საწარმოები და სხვა ობიექტები ისე უნდა განლაგდეს, რომ გამორიცხული იყოს მავნე ფაქტორების ცუდი გავლენა მოსახლეობის ჯანმრთელობასა და მისი ცხოვრების სანიტარიულ-საყოფაცხოვრებო პირობებზე.

ქალაქებისა და ქალაქის ტიპის დაბების დაპროექტებისა და მშენებლობის დროს გათვალისწინებული უნდა იყოს: წყალმომარაგება, კანალიზაცია, ქუჩის საფარის მოწყობა, გამწვანება, განათება, სანიტარიული წმენდის უზრუნველყოფა და სხვა სახეობათა კეთილმოწყობა.

მშენებლობისათვის მიწის ნაკვეთების გამოყოფის, დაპროექტების ნორმების, დასახლებული პუნქტების დაგეგმვისა და განაშენიანების პროექტების დამტკიცების. საცხოვრებელი სახლების კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანაშნულების შენობების, სამრეწველო და სხვა საწარმოებისა და ნაგებობების საექსპლოატაციოდ გადაცემის დროს აუცილებელია სანიტარიულ-ეპიდემიოლოგიური სამსახურის ორგანოების დასკვნა.

სანიტარიულ-ეპიდემიოლოგიური სამსახურის ორგანოებთან საწარმოთა, შენობათა და ნაგებობათა მშენებლობისა და რეკონსტრუქციის პროექტების შეთანხმების წესს განსაზღვრავს სსრ კავშირის კანონმდებლობა.

მუხლი 21. სამრეწველო და კომუნალურ-საყოფაცხოვრებო გადაწყობისა და ნარჩენებისაგან დასუფთავებისა და მათი გაუვნებლების ღონისძიებათა უზრუნველყოფა

საწარმოთა და დაწესებულებათა, საპროექტო, სამშენებლო და სხვა ორგანიზაციითა ხელმძღვანელები, კოლმეურნეობათა გამგეობები ვალდებული არიან საწარმოთა და კომუნალურ-საყოფაცხოვრებო ობიექტთა და პროექტების, მშენებლობის, რეკონსტრუქციისა და ექსპლოატაციის დროს გაითვალისწინონ და განახორციელონ ღონისძიებანი ატმოსფერული ჰაერის, წყალსაბუნების, მიწისქვეშა წყლებისა და ნიადაგის გაუფუჭიანების თავიდან ასაცილებლად და ამ მოვალეობის შეუსრულებლობისათვის ეკისრებათ პასუხისმგებლობა სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობის შესაბამისად.

აკრძალულია ახალი და რეკონსტრუირებული საწარმოების, საამქროების, უბნების, დანადგარებისა და სხვა ობიექტების ამუშავება, რომლებიც არ უზრუნველყოფენ მავნე გადანაყარისა და ნარჩენების ეფექტიან გაწმენდას, გაუვნებლებასა და დაჭერას.

სანიტარიულ-ეპიდემიოლოგიური სამსახურის

ორგანოებს უფლება აქვთ აკრძალონ ან დროებით შეაჩერონ იმ მოქმედი ობიექტების ექსპლოატაცია, რომელთა გადანაყარს, ნარჩენებს შეუძლიათ ზიანი მიაყენონ ადამიანის ჯანმრთელობას.

მუხლი 22. სანიტარიული მოთხოვნები საცხოვრებელ სახლებში შესახლებისადმი

საცხოვრებელ სახლებში შესახლებისადმი სანიტარიულ მოთხოვნებს აწესებენ მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოები.

არ შეიძლება ისეთ სახლებში შესახლება, რომლებიც არ შეესაბამებიან სანიტარიულ მოთხოვნებს, სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობით დადგენილ შემთხვევებში და წესით იმ პირებს, რომლებსაც აქვთ მძიმე ფორმის ზოგიერთი ქრონიკული დაავადება, ეძლევათ დამატებითი საცხოვრებელი ფართობი.

მუხლი 23. საწარმოო სათავსების, საცხოვრებელი და სხვა შენობებისა და ტერიტორიების მოვლის სანიტარიული წესების დაცვა

საწარმოთა, დაწესებულებათა და ორგანიზაციითა ხელმძღვანელები ვალდებული არიან უზრუნველყონ საწარმოო სათავსებისა და სამუშაო ადგილების მოვლა სანიტარიულ-ჰიგიენური ნორმებისა და წესების შესაბამისად.


საწარმოები, დაწესებულებები და ორგანიზაციები უნდა უზრუნველყოფდნენ საჭირო პირობებს მუშაკთა სანიტარიულ-საყოფაცხოვრებო საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად.

საცხოვრებელი და საზოგადოებრივი შენობებისა და იმ ტერიტორიების მოვლის სანიტარიული წესების დაცვას, სადაც ეს შენობებია განლაგებული, ახორციელებენ შესაბამისი საწარმოები, დაწესებულებები, ორგანიზაციები, მოქალაქეები, რომელთა გამგებლობაში, სარგებლობაში თუ საკუთრებაშია ეს შენობები.

საცხოვრებელ და საზოგადოებრივ შენობათა შენახვის სანიტარიული წესების დაცვისა და დასახლებული პუნქტების სათანადო სანიტარიული მდგომარეობის უზრუნველყოფის საერთო ღონისძიებათა განხორციელება ევალებათ მშრომელთა დებუტატების ადგილობრივი საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს, ქუჩების, ეზოებისა და დასახლებული პუნქტების სხვა ტერიტორიების მოვლის სანიტარიული წესების დაცვისადმი ზედამხედველობას ახორციელებენ მილიცია და სანიტარიული ზედამხედველობის ორგანოები.

მუხლი 24. ხმაურის თავიდან აცილება და აღკვეთა

მშრომელთა დებუტატების ადგილობრივი საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტები, სხვა სახელმწიფო ორგანოები, საწარმოები, დაწესებულებები და ორგანიზაციები ვალდებული არი-



ან ახორციელებდნენ ღონისძიებებს ქალაქებისა და სხვა დასახლებულ პუნქტების საწარმოო, საცხოვრებელ და საზოგადოებრივ შენობებში, ეზოებში, ქუჩებში და მოედნებზე ხმაურის თავიდან აცილებისათვის, მისი ინტენსივობის შემცირებისა და აღკვეთისათვის.

საყოფაცხოვრებო პირობებში ხმაურის თავიდან აცილებისა და აღკვეთის წესების დაცვა ყველა მოქალაქის მოვალეობაა.

მუხლი 25. სანიტარიული მოთხოვნები სამეურნეო-სასმელი წყალმომარაგებისადმი

სამეურნეო-სასმელი მოხმარებისათვის გამოსაყენებელი წყლის ხარისხი, უნდა შეესაბამებოდეს იმ სახელმწიფო სტანდარტის მოთხოვნებს, რომელიც დადგენილი წესით დამტკიცებულია სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს წარდგინებით.

სამეურნეო-სასმელი დანიშნულების წყალსადენებისა და მათი წყაროებისათვის დადგენილია ისეთი სპეციალური რეჟიმის სანიტარიული დაცვის ზონები, რომელიც უზრუნველყოფს წყლის სათანადო ხარისხს. წყალსადენებისა და მათი წყაროების სანიტარიული დაცვის ზონების განსაზღვრის წესს ადგენს სსრ კავშირის კანონმდებლობა, ხოლო ამ ზონების სანიტარიულ რეჟიმს — სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობა.

მუხლი 26. სტანდარტებისა და ტექნიკური პირობების ჯანმრთელობის დაცვის ორგანოებთან შეთანხმების სავალდებულოობა

ახალ სახეობათა ნედლეულის, კვების პროდუქტების, სამრეწველო ნაწარმის, ახალი სამშენებლო მასალების ტარისა და შესაფუთი მასალების, პოლიმერული და სინთეზური მასალების და მათი ნაწარმის სტანდარტებისა და ტექნიკური პირობების პროექტები მტკიცდება სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროსთან შეთანხმებით, ხოლო სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს მიერ განსაზღვრულ შემთხვევებში — მოკავშირე რესპუბლიკების ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროებთან შეთანხმებით. აღნიშნული წესით შეიძლება ნებადართულ იქნას აგრეთვე შემოღება ახალი ტექნოლოგიური პროცესებისა, ახალ სახეობათა მოწყობილობის, ხელსაწყოების და სამუშაო ინსტრუმენტარიაუმისა, რომლებმაც შესაძლოა მავნე გავლენა მოახდინონ ჯანმრთელობაზე.

მუხლი 27. სანიტარული მოთხოვნები კვების პროდუქტების წარმოების, დამუშავების, შენახვის, ტრანსპორტირებისა და რეალიზაციის დროს

კვების პროდუქტების, მათი დამზადებისა და შემდგომი კულინარიული დამუშავებისათვის განკუთვნილი ტექნოლოგიური მოწყობილობის

წარმოება, შენახვა და ტრანსპორტირება, კვების პროდუქტების ტარის, შესაფუთი მასალებისა და ჭურჭლის წარმოება, აგრეთვე კვების პროდუქტების რეალიზაცია შეიძლება ნებადართულ იქნას სანიტარულ-ჰიგიენური ნორმებისა და წესების დაცვის პირობით.

კვების პროდუქტების წარმოებისა და დამუშავებისათვის ახალ ქიმიურ ნივთიერებათა, საშუალებათა და მეთოდების გამოყენება, აგრეთვე სასურსათო სასოფლო-სამეურნეო მცენარეებისა და ცხოველების ზრდის სტიმულატორების, მცენარეთა დაცვის ქიმიური საშუალებების, პოლიმერული და პლასტიკური მასებისა და სხვა ქიმიური პროდუქტების გამოყენება დაიშვება სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს ნებართვით.

მუხლი 28. სანიტარიული ზედამხედველობა რადიოაქტიური, შხამიანი და ძლიერმოქმედი ნივთიერებების წარმოების გამოყენების, შენახვისა და ტრანსპორტირებისადმი

რადიოაქტიური ნივთიერებების, მაიონიზებელი გამოსხივების წყაროების, შხამიანი და ძლიერმოქმედი ნივთიერებების წარმოება, გამოყენება, შენახვა, ტრანსპორტირება და ჩამარხვა ზორციელდება სანიტარიულ-ეპიდემიოლოგიური სამსახურის ორგანოებისა და დაწესებულებების ზედამხედველობით.

მუხლი 29. სავალდებულო სამედიცინო გასინჯვა

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის, ინფექციურ და პროფესიულ დაავადებათა თავიდან აცილების მიზნით კვების მრეწველობის, საზოგადოებრივის კვებისა და ვაჭრობის საწარმოების, წყალსადენი ნაგებობების, სამკურნალო-პროფილაქტიკური და საბავშვო დაწესებულებების, მეცხოველეობის ფერმების, ზოგიერთი სხვა საწარმოს დაწესებულებისა და ორგანიზაციის, აგრეთვე იმ საწარმოების, დაწესებულებისა და ორგანიზაციების მუშაკები, რომლებშიც შრომის მავნე პირობებია, ვაღიან სავალდებულო წინასწარ — სამუშაოზე მიღებისას — და პერიოდულ სამედიცინო გასინჯვას.

პროფესიათა და იმ წარმოებათა სისას, რომლებშიც სამუშაოდ სავალდებულოა სამედიცინო გასინჯვა, და ამ გასინჯვის მოწყობის წესს ადგენს სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრო საკავშირო პროფსაბჭოსთან შეთანხმებით.

მუხლი 30. ინფექციურ დაავადებათა თავიდან აცილება და ლიკვიდაცია

შრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტები, საწარმოთა, დაწესებულებათა, ორგანიზაციათა ხელმძღვანელები და სხვა თანამდებობის პირნი ვალდებული არიან დროზე უზრუნველყონ ინფექ-

ციურ დაავადებათა გავრცელების თავიდან აცილების, აგრეთვე წარმოშობის შემთხვევაში მათი ლიკვიდაციის ღონისძიებანი.

ეპიდემიურ ინფექციურ დაავადებათა წარმოშობის ან გავრცელების საფრთხის შემთხვევაში მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს შეუძლიათ დადგენილი წესით შესაბამის ტერიტორიებზე შემოიღონ შრომის, სწავლის, მიმოსვლისა და ტვირთბრუნვის განსაკუთრებული პირობები და რეჟიმები, რომელთა მიზანია ამ დაავადებათა გავრცელების თავიდან აცილება და ლიკვიდაცია.

სავალდებულოა ინფექციური სნეულებებით დაავადებულ იმ ავადმყოფთა სტაციონარული მკურნალობა, რომლებიც საფრთხეს უქმნიან გარშემო მყოფთ, ხოლო პირებმა, რომლებსაც კონტაქტი აქვთ ინფექციურ ავადმყოფებთან, კარანტინი უნდა გაიარონ.

ინფექციურ დაავადებათა ბაქტერიების მატარებელი პირნი გამოჩანსაღებულ უნდა იქნან. იგივე პირნი, თუ ისინი შეიძლება გახდნენ ინფექციური დაავადებათა გამავრცელებელნი იმ წარმოების თავისებურებებთან დაკავშირებით, სადაც დასაქმებული არიან, ან შესასრულებელ სამუშაოსთან დაკავშირებით, დროებით გადაჰყავთ სხვა სამუშაოზე, ხოლო თუ გადაყვანა შეუძლებელია, მათ დროებით ითხოვენ სამუშაოდან და აძლევენ დახმარებას სოციალური დაზღვევით სსრ კავშირის კანონმდებლობის შესაბამისად.

ინფექციურ დაავადებათა და იმ დაავადებათა ნუსხას, რომელთა დროს პირებს ბაქტერიების მატარებლად აღიარებენ, განსაზღვრავს სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრო.

ინფექციურ დაავადებათა თავიდან აცილების მიზნით ეწყობა მოქალაქეთა პროფილაქტიკური აცრები.

აცრების ჩატარების წესსა და ვადებს განსაზღვრავს სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრო.

მუხლი 31. მოსახლეობის სანიტარიული განათლება

ჯანმრთელობის დაცვის ორგანოები და დაწესებულებანი მეცნიერების, კულტურისა და სახალხო განათლების ორგანოებთან და დაწესებულებებთან ერთად წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარმთვარის საზოგადოებებისა და სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციათა აქტიური მონაწილეობით მოწოდებული არიან უზრუნველყოფ მოსახლეობაში მეცნიერული სამედიცინო და ჰიგიენური ცოდნის პროპაგანდა.

კარი IV
მოსახლეობის საღმისი
სამკურნალო-
პროფილაქტიკური
დახმარება

მუხლი 32. მოქალაქეთა უზრუნველყოფა სამკურნალო-პროფილაქტიკური დახმარებით

სსრ კავშირის მოქალაქეებს უწყვეტ სპეციალიზებულ საწვინო დახმარებას პოლიკლინიკებში, სავადმყოფოებში, დისპანსერებსა და სხვა სამკურნალო-პროფილაქტიკურ დაწესებულებებში, აგრეთვე სასწრაფო სამედიცინო დახმარებასა და სამედიცინო დახმარებას ბინაზე.

დღიე სამამულო ომის ინვალიდებს სამედიცინო დახმარებას უწყვეტ აგრეთვე სპეციალურ სამკურნალო-პროფილაქტიკურ დაწესებულებებში, სტაციონარის გარეშე მკურნალობისას კი ისინი სარგებლობენ სსრ კავშირის კანონმდებლობით დაწესებული დამატებითი შედგავთებით.

შრომისუნარიანობის დროებით დაკარგვის გამო ავადმყოფობის პერიოდში მოქალაქეებს ათვისუფლებენ სამუშაოდან და დადგენილი წესით აძლევენ დახმარებას სოციალური დაზღვევით.

დაავადებათა თავიდან აცილების მიზნით სამკურნალო-პროფილაქტიკური დაწესებულებანი მოვალენი არიან ფართოდ გამოიყენონ მოსახლეობის პროფილაქტიკური გასინჯვა და დაკვირვების დისპანსერული მეთოდი.

საწარმოები, დაწესებულებები და ორგანიზაციები ჯანმრთელობის დაცვის დაწესებულებებთან და პროფკავშირულ ორგანიზაციებთან ერთად ვალდებული არიან განახორციელონ საწარმოს ტრავმატიზმის, პროფესიული დაავადებას პროფილაქტიკისა და შრომისუნარიანობის აღდგენის საჭირო ღონისძიებანი.

უცხოელი მოქალაქეები და მოქალაქეობის არმქონე პირები, რომლებიც მუდმივად ცხოვრობენ სსრ კავშირში, სარგებლობენ სამედიცინო დახმარებით სსრ კავშირის მოქალაქეების თანაბრად.

უცხოელ მოქალაქეებსა და მოქალაქეობის არმქონე პირებს, რომლებიც დროებით ცხოვრობენ სსრ კავშირში, სამედიცინო დახმარებას უწყვეტ სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს მიერ დადგენილი წესით.

მუხლი 33. მოქალაქეებისათვის სამკურნალო-პროფილაქტიკური დახმარების გაწვევის წესი

მოქალაქეებს სამკურნალო-პროფილაქტიკური დახმარებას უწყვეტ ჯანმრთელობის დაცვის დაწესებულებანი საცხოვრებელ ადგილისა და სამუშაო ადგილის მიხედვით.

პირებს, რომლებიც უბედური შემთხვევის შედეგად დაზავდნენ, ან უეცარი დაავადების შედეგად აღმოჩნდნენ ისეთ მდგომარეობაში, რო-



მელიც სასწრაფო სამედიცინო დახმარებას მოითხოვს, ან დახმარებას დაუყოვნებლივ უწყევს უხსლოესი სამკურნალო-პროფილაქტიკური დაწესებულება, მისი საუწყებო დაქვემდებარების მიუხედავად.

მედიცინისა და ფარმაცევტიკის მუშაკები ვალდებული არიან პირველი გადაუდებელი სამედიცინო დახმარება აღმოუჩინონ მოქალაქეებს გზაში, ქუჩაში, სხვა საზოგადოებრივ ადგილებში და შინ.

საჭიროების შემთხვევაში ავადმყოფები შეიძლება გავაზნონ სხვა მოკავშირე რესპუბლიკების შესაბამის სამკურნალო პროფილაქტიკურ დაწესებულებებში სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს მიერ დადგენილი წესით, ხოლო სამკურნალო-პროფილაქტიკურ დაწესებულებებში მოკავშირე რესპუბლიკის ფარგლებში — მოკავშირე რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს მიერ დადგენილი წესით.

მუხლი 34. დიაგნოსტიკის, მკურნალობის მეთოდებისა და სამკურნალო საშუალებათა გამოყენება

სამედიცინო პრაქტიკაში ექიმები იყენებენ დიაგნოსტიკის, პროფილაქტიკისა და მკურნალობის მეთოდებს, სამკურნალო საშუალებებს, რომლებიც ნებადართულია სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს მიერ.

ავადმყოფის განკურნების ინტერესებისათვის და მისი თანხმობით, ხოლო თექვსმეტი წლის ასაკს მიუღწევლ ავადმყოფთა მიმართ და ფსიქიკურ ავადმყოფთა მიმართ, — მათი მშობლების, მეურვეებისა თუ მზრუნველების თანხმობით ექიმს შეუძლია გამოიყენოს ახალი, მეცნიერულად დასაბუთებული, მაგრამ ჯერ კიდევ საყოველთაო ხმარებაში გამოუყენებელი დიაგნოსტიკის, პროფილაქტიკის, მკურნალობის მეთოდები და სამკურნალო საშუალებანი. დიაგნოსტიკის, პროფილაქტიკის, მკურნალობის აღნიშნული მეთოდებისა და სამკურნალო საშუალებათა გამოყენების წესს ადგენს სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრო.

მუხლი 35. ქირურგიული ჩარევისა და დიაგნოსტიკის რთული მეთოდების გამოყენების წესი
ქირურგიული ოპერაციები, აგრეთვე დიაგნოსტიკის რთული მეთოდების გამოყენება ხდება ავადმყოფთა თანხმობით, ხოლო თექვსმეტი წლის ასაკს მიუღწევლი ავადმყოფებისა და ფსიქიკური ავადმყოფების მიმართ მათი მშობლების, მეურვეებისა თუ მზრუნველების თანხმობით, გადაუდებელი ქირურგიული ოპერაციებ-

და დიაგნოსტიკის რთული მეთოდები თვით ავადმყოფების ან მათი მშობლების, მეურვეებისა თუ მზრუნველების თანხმობის გარეშე ექიმების მიერ სრულდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა დიაგნოზის დადგენისა და ოპერაციის გაკეთების დაყოვნება საფრთხეს უქმნის ავადმყოფის სიცოცხლეს, ხოლო აღნიშნულ პირთა თანხმობის მიღება შეუძლებელია.

მუხლი 36. პროფილაქტიკისა და მკურნალობის სპეციალური ღონისძიებანი

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის მიზნით ჯანმრთელობის დაცვის ორგანოები ვალდებული არიან განახორციელონ სპეციალური ღონისძიებანი იმ დაავადებათა პროფილაქტიკისა და მკურნალობისათვის, რომლებიც საფრთხეს უქმნიან გარშემო მყოფთ (ტუბერკულოზი, ფსიქიკური, ვენერიული დაავადებანი, კეთრი, ქრონიკული ალკოპოლიზმი, ნარკომანია), აგრეთვე საკარანტინო დაავადებებისა.

ტუბერკულოზით დაავადებულთ უფასოდ ეძლევათ ტუბერკულოზის საწინააღმდეგო პრეპარატები; მათი მკურნალობა სანატორიუმებსა და პროფილაქტორიუმებში აგრეთვე უფასოდ ხორციელდება.

სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობით შეიძლება დადგინდეს აღნიშნული დაავადებით შეპყრობილ პირთა იძულებითი მკურნალობისა და იძულებითი ჰოსპიტალიზაციის შემთხვევები და წესი.

მუხლი 37. მედიცინის მუშაკთა ხელშეწყობა მოქალაქისათვის სამკურნალო-პროფილაქტიკური დახმარების გაწევის საქმეში

საწარმოებში, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში ჯანმრთელობის დაცვის დაწესებულებათა ნოყობისათვის აღმინისტრაცია ვალდებულია გამოჰყოს საჭირო სათავსები და ტრანსპორტი, აგრეთვე ექიმებსა და სხვა მედიცინის მუშაკებს ხელი შეუწყოს მათი პროფესიული მოვალეობის შესრულებაში.

მშრომელთა დეჰუტაციის ადგილობრივი საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტები საწარმოთა, დაწესებულებათა და ორგანიზაციათა ხელმძღვანელები და სხვა თანამდებობის პირნი ვალდებული არიან შეუწყონ ხელი მედიცინის მუშაკებს მოქალაქეთათვის გადაუდებელი სამედიცინო დახმარების აღმოჩენის საქმეში, მისცენ მათ ტრანსპორტი, კავშირგაბმულობის საშუალებანი, გაუწიონ სხვა საჭირო დახმარება.

იმ შემთხვევაში, როცა ავადმყოფის სიცოცხლეს საფრთხე ემუქრება, ექიმს, ან მედიცინის სხვა მუშაკს შეუძლია უფასოდ გამოიყენოს ამა თუ იმ ვითარებაში არსებული ყოველი სახეობის ტრანსპორტი ავადმყოფთან მისასვლელად ან უახლოეს სამკურნალო-პროფილაქტიკურ დაწესებულებაში მისი ტრანსპორტირებისათვის.

ეროვნული
დემოკრატიული

კარი V

დედისა და ბავშვის დაცვა

მუხლი 38. დედობის წახალისება, დედისა და ბავშვის ჯანმრთელობის დაცვის გარანტიები
დედობას სსრ კავშირში სახელმწიფო იცავს და ახალისებს.

დედისა და ბავშვის ჯანმრთელობის დაცვის უზრუნველყოფს ქალთა კონსულტაციების, სამშობიარო სახლების, ორსული ქალებისა და ბავშვიანი დედების, სანატორიუმებისა და დასაცენებელი სახლების, ბავების, ბაღებისა და სხვა საბავშვო დაწესებულებათა ფართო ქსელის ორგანიზაცია, ორსულობისა თუ მშობიარობის გამო ქალისათვის შვებულების მიცემა და ამასთანავე სოციალური დაზღვევით დახმარების გაცემა, შესვენების დაწესება მუშაობაში ბავშვის ძუძუს წოვებისათვის; დადგენილი წესით დახმარების გაცემა ბავშვის დაბადების გამო და დახმარების გაცემა ავადმყოფი ბავშვის მოვლის დროს; მძიმე და ჯანმრთელობისათვის მავნე წარმოებაში ქალთა შრომის განწყობის აკრძალვა, ორსული ქალების გადაყვანა უფრო იოლ სამუშაოზე სამუალო ხელფასის შენარჩუნებით; შრომისა და ყოფაცხოვრების პირობების გაუმჯობესება და გაჯანსაღება; ოჯახისადმი სახელმწიფო და საზოგადოებრივი დახმარება, აგრეთვე სხვა ღონისძიებანი იმ წესით, რომელიც დადგენილია სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობით.

ქალის ჯანმრთელობის დაცვის მიზნით მას უფლება ეძლევა თვითონ გადაწყვიტოს დედობის საკითხი.

მუხლი 39. ორსული ქალებისა და ახალშობილთა უზრუნველყოფა სამედიცინო დახმარებით

ჯანმრთელობის დაცვის დაწესებულებანი თვითელი ქალისათვის უზრუნველყოფენ კვალიფიციურ სამედიცინო მეთვალყურეობას ორსულობის მიმდინარეობისადმი, სტაციონარულ სამედიცინო დახმარებას მშობიარობის დროს და სამკურნალო-პროფილაქტიკურ დახმარებას დედისა და ახალშობილი ბავშვისათვის.

მუხლი 40. ბავშვებისა და მოზარდების უზრუნველყოფა სამედიცინო დახმარებით

ბავშვებისა და მოზარდების სამედიცინო დახმარებას უზრუნველყოფენ სამკურნალო-პროფილაქტიკური და გამაჯანსაღებელი დაწესებულებანი: ბავშვთა პოლიკლინიკები, დისპანსერები, საავადმყოფოები, სანატორიუმები და ჯანმრთელობის დაცვის სხვა დაწესებულებანი. საბავშვო სანატორიუმების საგზურები ბავშვებს უფასოდ ეძლევათ.

ბავშვებისა და მოზარდებისადმი დაწესებულია დისპანსერული მეთვალყურეობა.

5. სსრკ-ის სამართალი № 1

მუხლი 41. ზრუნვა ბავშვებისა და მოზარდების ჯანმრთელობის განმტკიცებისა და დაცვისათვის

პარპონულად განვითარებული ფიზიკური და სულიერი ძალების მქონე ჯანსაღი ახალგაზრდა თაობის აღზრდის მიზნით სახელმწიფო ორგანოები, საწარმოები, დაწესებულებები და ორგანიზაციები, კოლმეურნეობები, პროფესიული კავშირები და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციები უზრუნველყოფენ საბავშვო ბავშვისა და ბაღების, სკოლების, სკოლა-ინტერნატების, ღღის სკოლების, პიონერთა ბანაკებისა და სხვა საბავშვო დაწესებულებათა ფართო ქსელის განვითარებას.

ბავშვებისათვის, რომლებიც იზრდებიან საბავშვო დაწესებულებებში და სწავლობენ სკოლებში, უზრუნველყოფილია ჯანმრთელობის შენარჩუნებისა და განმტკიცების და ჰიგიენური აღზრდის საჭირო პირობები. ბავშვთა სასწავლო-შრომითი დატვირთვა, აგრეთვე მეცადინეობის სანდემო რეჟიმი განისაზღვრება სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის ამინისტრაციისთან შეთანხმებით.

ბავშვთა ჯანმრთელობის დაცვისა და საბავშვო დაწესებულებებსა და სკოლებში გამაჯანსაღებელ ღონისძიებათა განხორციელება კონტროლს უწევს ჯანმრთელობის დაცვის ორგანოები და დაწესებულებანი სახალხო განათლების ორგანოებთან და დაწესებულებებთან ერთად საზოგადოებრივი ორგანიზაციების მონაწილეობით.


მუხლი 42. სახელმწიფო დახმარება მოქალაქეებს ბავშვთა მოვლაში. შედგავები, რომლებიც ეძლევათ დედებს ბავშვთა ავადმყოფობის შემთხვევაში

ბავშვში, ბაღებსა და სხვა საბავშვო დაწესებულებებში ბავშვთა შენახვის ძირითადი ხარჯები გამოიყოფა სახელმწიფო ბიუჯეტიდან, აგრეთვე საწარმოების, დაწესებულებების, ორგანიზაციების, კოლმეურნეობების, პროფესიული კავშირებისა და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების სახსრებიდან.

ფიზიკური თუ ფსიქიკური განვითარების დეფექტების მქონე ბავშვები სახელმწიფო ხარჯზე ცხოვრობენ ბავშვის სახლებში, საბავშვო სახლებსა და სხვა სპეციალიზებულ საბავშვო დაწესებულებებში.

როცა შეუძლებელია ავადმყოფი ბავშვის ჰოსპიტალიზაცია, ან არ არის ჩვენებანი მისი სტაციონარული მკურნალობისათვის, დედა ან ოჯახის სხვა წევრი, რომელიც ბავშვს უვლის, შეიძლება გაათავისუფლონ სამუშაოდან და მისცენ დახმარება სოციალური დაზღვევით დადგენილი წესით.

ერთ წლამდე ბავშვების, აგრეთვე უფროსი ასაკის მძიმედ ავადმყოფი ბავშვების სტაციონა-



რული მკურნალობის დროს, რომლებსაც ექიმების დასკვნით დედის ნოვლა სჭირდებათ, დედას შეუძლია ბავშვთან იყოს სამკურნალო დაწესებულებაში და ეძლევა დახმარება სოციალური დაზღვევით დადგენილი წესით.

მუხლი 43. კონტროლი მოზარდთა შრომითი და საწარმოო სწავლებისადმი და შრომის პირობებისადმი

მოზარდთა საწარმოო სწავლება ნებადართულია იმ პროფესიებში, რომლებიც შეესაბამება მათს ასაკს, ფიზიკურ და გონებრივ განვითარებას და ჯანმრთელობის მდგომარეობას. შრომითი და საწარმოო სწავლება ხორციელდება სისტემატური სამედიცინო კონტროლით.

კონტროლს მოზარდთა შრომის იმ პირობების დაცვისადმი, რომლებიც დადგენილია სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობით; აგრეთვე იმ სპეციალურ ღონისძიებათა განხორციელებისადმი, რომელთა მიზანია მოზარდთა დაავადების თავიდან აცილება, ახორციელებენ ჯანმრთელობის დაცვის ორგანოები და დაწესებულებანი პროფესიულ-ტექნიკური განათლების ორგანოებთან, სახალხო განათლების ორგანოებთან, პროფკავშირულ, კომკავშირულ და სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან ერთად.

კარი VI

ს ა ნ ა ტ ო რ ი უ ლ -ს ა კ უ რ ო რ ტ ო მ კ უ რ ნ ა ლ ო ბ ა, და ს ვ ე ნ ე ბ ი ს, ტ უ რ ი ზ მ ი ს ა და ფ ი ზ ი კ უ რ ი კ უ ლ ტ უ რ ი ს ო რ გ ა ნ ი ზ ა ც ი ა

მუხლი 44. მოქალაქეთა სანატორიულ-საკურორტო მკურნალობა

სსრ კავშირის ყველა კურორტზე და სანატორიუმში სტაციონარული და ამბულატორიული მკურნალობისათვის ჩვენებასა და საწინააღმდეგო ჩვენებას აწესებს სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრო.

სანატორიულ-საკურორტო მკურნალობისათვის ავადმყოფობის სამედიცინო შერჩევისა და გაზავენის წესს ადგენს სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრო საკავშირო პროფსაბჭოსთან შეთანხმებით. დადგენილი წესის შესაბამისად ავადმყოფებს სანატორიულ-საკურორტო დაწესებულებებში გაზავენ უფასოდ, შეღავათიანი პირობებით ან ახდენენ სრულ ფასს.

მუხლი 45. კურორტები და სანატორიული დაცვის ოლქები

კურორტებად შეიძლება ჩაითვალოს ის ადგილები, სადაც არის ბუნებრივი სამკურნალო საშუალებანი, მინერალური წყაროები, სამკურნალო ტალახები, კლიმატური და სხვა პირობები, რომლებიც ხელს უწყობენ მკურნალობასა და პროფილაქტიკას.

ადგილის მიჩნევას კურორტად, კურორტების სანატორიული დაცვის ოლქების საზღვრების დადგენასა და ზოგი რეგიონის განსაზღვრას ახორციელებს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო ან მოკავშირე რესპუბლიკის მინისტრთა საბჭო სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროსა და საკავშირო პროფსაბჭოს ან მოკავშირე რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროსა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ერთობლივი წარდგინებით, რაც შეთანხმებული უნდა იყოს მშრომელთა დეპუტატების შესაბამისი ადგილობრივი საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტთან, რომლის ტერიტორიაზეც მდებარეობს ეს კურორტი.

მუხლი 46. სანატორიულ-საკურორტო დაწესებულებათა შექმნა და გახსნა

სანატორიულ-საკურორტო დაწესებულებათა შექმნა და გახსნა შეიძლება სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროსა და საკავშირო პროფსაბჭოს ნებართვით მოკავშირე რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოსთან შეთანხმებით.

სანატორიულ-საკურორტო დაწესებულებათა სპეციალიზაციას (სამედიცინო პროფილს) განსაზღვრავენ სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრო და საკავშირო პროფსაბჭო.

მუხლი 47. სანატორიულ-საკურორტო დაწესებულებათა საქმიანობის კოორდინაცია

სანატორიულ-საკურორტო დაწესებულებათა საქმიანობის კოორდინაციას, სამკურნალო საშუალებათა და საკურორტო ფაქტორების გამოყენებისა და სანატორიულ-საკურორტო რეგიონის ორგანიზაციის დარგში უწყებრივი დაქვემდებარების მიუხედავად, ახორციელებენ კურორტების მართვის შესაბამისი ორგანოები.


სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრო, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროები ახორციელებენ კონტროლს სამკურნალო-პროფილაქტიკური მუშაობის ორგანიზაციისადმი სანატორიულ-საკურორტო დაწესებულებებში, აგრეთვე უწყვენ მათ სამეცნიერო-მეთოდოლოგიურ დახმარებასა და კონსულტაციებს.

მუხლი 48. დასასვენებელი სახლებით, პანსიონატებით, ტურისტული ბაზებითა და სხვა დასასვენებელი დაწესებულებებით სარგებლობა

დადგენილი წესის შესაბამისად მოქალაქეები დასასვენებელი სახლებით, პანსიონატებით, ტურისტული ბაზებითა და სხვა დასასვენებელი დაწესებულებებით სარგებლობენ უფასოდ, შეღავათიანი პირობებით ან იხდიან სრულ ფასს.

მუხლი 49. ფიზიკური კულტურის, სპორტისა და ტურიზმის ორგანიზაცია

სახელმწიფო ორგანოებმა, პროფესიულმა კავშირებმა, კომკავშირულმა და კოოპერატიულმა ორგანიზაციებმა, სპორტულმა საზოგადოებებმა,



საწარმოებმა, დაწესებულებებმა და ორგანიზაციებმა ხელი უნდა შეუწყონ მოსახლეობაში ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელ, სპორტულ და ტურისტულ-საექსკურსიო მუშაობას, ფიზიკური კულტურის კოლექტივების, ტურისტული კლუბებისა და ორგანიზაციების შექმნასა და განმტკიცებას, საწარმოო ტანვარჯიშის დანერგვას.

სკოლამდელ ბავშვთა და სკოლისგარეშე დაწესებულებათა მუშაობის გეგმებში, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების, პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების, საშუალო სპეციალური და უმაღლესი სასწავლებლების პროგრამებში გათვალისწინებულია ფიზიკური აღზრდა.

მოქალაქეებს ფიზიკურ კულტურასა და სპორტში მეცადინეობისათვის დადგენილი წესით გამოეყოფათ სპორტული ნაგებობანი, სპორტული ინვენტარი და ტურისტული აღჭურვილობა.

იმ მოქალაქეთა ჯანმრთელობის მდგომარეობას, რომლებიც ფიზიკურ კულტურასა და სპორტს მისდევენ, სამედიცინო კონტროლს უწყვენ ჯანმრთელობის დაცვის დაწესებულებანი.

კარი VII

ს ა მ ე დ ი ც ი ნ ო ე ქ ს პ ე რ ტ ი ზ ა

მუხლი 50. შრომისუნარიანობის სამედიცინო ექსპერტიზის წარმოება

მოქალაქეთა დროებითი შრომისუნარიანობის ექსპერტიზას ჯანმრთელობის დაცვის დაწესებულებებში აწარმოებს ექიმი ან ექიმთა კომისია, რომლებიც შევებულებებს აძლევენ ავადმყოფობისა და სახიზრობის, ორსულობისა და მშობიარობის, ოჯახის წევრის მიერ ავადმყოფის მოვლისა და კარანტინის გამო, პროთენიზირებისათვის, სანატორიულ-საკურორტო მკურნალობისათვის, განსაზღვრავენ ავადმყოფობისა და მუშაობის სხვა სამუშაოზე დროებით გადაყვანის საპირობასა და ვადებს დადგენილი წესით, აგრეთვე იღებენ გადაწყვეტილებებს საექიმო — შრომით საექსპერტო კომისიაზე გაგზავნის შესახებ.

შრომისუნარიანობის ხანგრძლივ ან მუდმივი დაკარგვის ექსპერტიზას აწარმოებენ საექიმო-შრომითი საექსპერტო კომისიები, რომლებიც ადგენენ შრომისუნარიანობის დაკარგვის ხარისხს, ინვალიდობის ჯგუფსა და მიზეზებს, განსაზღვრავენ ინვალიდთა შრომის, მუშაობისა და პროფესიის პირობებსა და სახეობას, რომლებიც მისაწევდომია ჯათვის ჯანმრთელობის მდგომარეობის მიხედვით; ამოწმებენ, თუ რამდენად სწორად იყენებენ ინვალიდებს სამუშაოზე მიცემული დასკვნების შესაბამისად; ხელს უწყობენ ინვალიდთა შრომისუნარიანობის აღდგენას.

საექიმო-შრომითი საექსპერტო კომისიების დასკვნები ინვალიდთა შრომის პირობებისა და ხასიათის შესახებ სავალდებულოა საწარმოთა,

დაწესებულებათა და ორგანიზაციათა სამსახურის ტრაციისათვის.

შრომისუნარიანობის ექსპერტიზის ორგანიზაციისა და წარმოების წესს ადგენს სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობა.

მუხლი 51. სასამართლო-სამედიცინო და სასამართლო-ფსიქიატრიული ექსპერტიზები

სასამართლო-სამედიცინო და სასამართლო-ფსიქიატრიული ექსპერტიზები წარმოებს სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობის შესაბამისად მომკვლევი პირის, გამოჩდიებლის, პროკურორის დადგენილებით, აგრეთვე სასამართლოს განჩინებით.

სასამართლო-სამედიცინო და სასამართლო-ფსიქიატრიული ექსპერტიზების ორგანიზაციისა და წარმოების წესს ადგენს სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრო სსრ კავშირის უმაღლეს სასამართლოსთან, სსრ კავშირის პროკურატურასთან, სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროსთან და სხვა უწყებებთან შეთანხმებით.

კარი VIII

ს ა მ კ უ რ ნ ა ლ ო და ს ა პ რ ო თ ე ზ ო და ხ მ ა რ ე ბ ა

მუხლი 52. მოქალაქეთათვის სამკურნალწამლო დახმარების ვაწვევის წესი

მოქალაქეებს სამკურნალწამლო დახმარებას უწყვენ სახელმწიფო საფთაიქო დაწესებულებანი, აგრეთვე სამკურნალო-პროფილაქტიკური დაწესებულებანი.


ამბულატორიულ-პოლიკლინიკური მკურნალობის დროს მოქალაქეთა უფასო ან შეღავათიანი პირობებით სამკურნალწამლო დახმარების უზრუნველყოფის წესს განსაზღვრავს სსრ კავშირის კანონმდებლობა.

საფთაიქო დაწესებულებებს შეუძლიათ გასცენ მხოლოდ ისეთი სამკურნალწამლო საშუალებანი, რომლებიც ნებადართულია გამოსაყენებლად სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს მიერ.

მუხლი 53. სამკურნალწამლო საშუალებათა წარმოებისადმი კონტროლის უზრუნველყოფა

სამედიცინო მიზნებისათვის ახალ სამკურნალწამლო საშუალებათა წარმოება შეიძლება სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს ნებადართვით მათი სამკურნალო თუ პროფილაქტიკური ეფექტიანობის დადგენის შემდეგ.

სამკურნალწამლო საშუალებათა ხარისხი უნდა შეეცაზნებოდეს სსრ კავშირის სახელმწიფო ფარმაცოპეის ან ტექნიკური პირობების მოთხოვნებს, რომლებიც მტკიცდება დადგენილი წესით. სამკურნალწამლო საშუალებათა ხარისხს კონ-



ტროლს უწევს სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრო.

მუხლი 54. მოქალაქეთათვის საპროთეზო დახმარების უზრუნველყოფა

საპროთეზო უზრუნველყოფაში მოქალაქეებს უზრუნველყოფენ პროთეზებით, ორთოპედიული, მაკორიგირებელი ნაწარმით, სმენის აპარატებით, სამკურნალო ფიზკულტურის საშუალებებითა და წიმოსვლის სპეციალური საშუალებებით. იმ პირთა კატეგორიებს, რომლებსაც უფასოდ ან შეღავათით უზრუნველყოფენ აღნიშნული ნაწარმითა და საგნებით აგრეთვე ამ ნაწარმითა და საგნებით უზრუნველყოფის პირობებსა და წესს ადგენს სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობა.

კარი IX

ს ა ე რ თ ა შ ო რ ი ს ო

ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა ნ ი და შ ე თ ა ნ ხ მ ე ბ ა ნ ი

მუხლი 55. საერთაშორისო ხელშეკრულებანი და შეთანხმებანი

თუ საერთაშორისო ხელშეკრულებით ან საერთაშორისო შეთანხმებით, რომლებშიც სსრ კავშირი მონაწილეობს, დადგენილი წესები განსხვავდება წესებისაგან, რომლებსაც შეიცავს სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების ჯანმრთელობის დაცვის კანონმდებლობა, იყენებენ საერთაშორისო ხელშეკრულების ან საერთაშორისო შეთანხმების წესებს.

ზოგიერთი პენიუნა აპერიკის შეერთებული შტატების სისხლის სამართლისა და გამანსოკიბელი კოდექსის შესახებ

ა. ნიკიფორიძე,

იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი

როგორც ცნობილია, ამერიკის შეერთებულ შტატებში არ არსებობს სისხლის სამართლისა და პენიტენციურ-გამასწორებელი კანონმდებლობის ერთიანი სისტემა. ამ ქვეყანაში მოქმედი სისხლის და პენიტენციურ-გამასწორებელი სამართლის ინსტიტუტები და ნორმები წარმოადგენენ არაერთგვაროვან, ხშირად ურთიერთსაწინააღმდეგო კანონმდებლებათა კონგლომერატს, რომლებიც გაბნეული არიან ცალკეული შტატების სისხლის სამართლის კანონმდებლობაში და რომლებზეც აღმართულია ფედერალური სისხლის სამართლის, სისხლის სამართლის საპროცესო და პენიტენციურ-გამასწორებელი კანონმდებლობის მონუმენტი — შეერთებული შტატების კოდექსის მე-18 თავი¹.

შტატებისა და ფედერაციის სისხლის სამართლის მოქმედი კანონმდებლობის ნორმათა ჭეშმარიტი თანაფარდობის დადგენა იმდენად რთული და ძნელი ამოცანაა, რომ მის გადაწყვეტაზე ზოგჯერ უარს ამბობენ ამერიკის ყველაზე კომპეტენტური იურისტები. საქმის ისიც ართულებს, რომ მიუხედავად უდავო თავისებურებისა, ამერიკული სისხლის და პენიტენციურ-გამასწორებელი სამართლის პრინციპები და ინსტიტუტები მნიშვნელოვან წილად წარმოადგენენ ინგლისური სამართლის რეცეფციას. ეს ისტორიული მეკვიდრეობითობა უპირველეს ყოვლისა ვლინდება ინგლისელებისაგან ნასესხებ ამერიკული სამართლის ორ, პარალელურად მოქმედ სამართლებრივ სისტემად — საერთო და სტატუტურ სამართლად — დაყოფაში. ქაოსს მოქმედ სამართლებრივ ნორმებში ემატება სასამართლო პრეცედენტების ქაოსი. ამასთან შეერთებულ შტატებში დამნაშავეობის აშკარად გამოსატყუელი „ამერიკული“ სასიათი, დანაშაულებრივი ჯგუფების მაღალი ორგანიზებულობა „ტრესტებისა“ და „კონცერნების“ დონეზე, დამნაშავეობის სწრაფი ზრდა

აიძულებს ამერიკულ კრიმინოლოგებსა და კრიმინალისტებს ეძიონ ამ სოციალური ბორტების წინააღმდეგ ბრძოლის ახალი საშუალებები. ამ ძიებაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ამერიკული სისხლის სამართლის, სისხლის სამართლის საპროცესო და პენიტენციურ-გამასწორებელი კანონმდებლობის რეფორმის ცდებს.

ამის გამო საცებით გამართლებულია ის ინტერესი, რომელსაც იწვევს სისხლის სამართლის სანიმუშო კოდექსი, მომზადებული ამერიკული სამართლის ინსტიტუტის მიერ და 1962 წლის მაისში განსახილველად წარდგენილი ინსტიტუტის 39-ე ყოველწლიურ კონფერენციაზე².


კოდექსი წარმოადგენს პროფესორების, მოსამართლეების, ადვოკატების, ციხის ადმინისტრაციული მუშაკების, ფსიქიატრების, კრიმინოლოგების დიდი ჯგუფის ათი წლის მუშაობის შედეგს. მისი მომზადება 500.000 დოლარზე მეტი დაჯდა. ეს თანხა სპეციალურად შეჭირა ამერიკული სამართლის ინსტიტუტს როკფელერის ფონდმა.

ამერიკული სამართლის ინსტიტუტი წარმოადგენს სპეციალისტების უნიკალურ ორგანიზაციას, რომლის შემადგენლობაში შედის ქვეყნის ყველა მხრის 1.500-მდე წამყვანი ადვოკატი და მოსამართლე.

უკანასკნელი 40 წლის განმავლობაში ამ ინსტიტუტის მიერ შემუშავებულ იქნა მრავალი პროექტი, მიმართული მოქმედი სამართლის ნორმების სრულყოფისაკენ ან მათი აზრის ახსნა-განმარტებისაკენ. უფრო მოგვიანებით ინსტიტუტის ძირითად საქმიანობად იქცა საკანონმდებლო რეფორმების მომზადება. ერთერთი ამგვარი რეფორმის ცდას წარმოადგენს ინსტიტუტის მიერ შექმნილი დოკუმენტი, რომელმაც მიიღო სისხლის სამართლის სანიმუშო კოდექსის სახელწოდება.

¹ ეს კოდექსი, რომელიც პერიოდულად, ექვს წელიწადში ერთხელ ხელახლა გამოიცემა ზოლმე, წარმოადგენს ამერიკის შეერთებული შტატების ფედერალური კანონმდებლობის კრებულს. მასში შესაბამისი თავების (ტიტულების) ფარგლებში შეკრებილია მოქმედი ამერიკული სამართლის სხვადასხვა დარგის ნორმები.

² The American Law Institute, Model Penal Cod, Proposed official draft Submitted by Council to the Members bor discussion at the Thirty ninth Annual Meeting en May 23, 24, 25 and 26 1962, May, 1962.



* * *

კოდექსი ოთხი ნაწილისაგან შედგება. პირველ ნაწილში, რომელსაც ეწოდება „ზოგადი დებულება-ნი“, განხილულია ისეთი საკითხები, რომლებიც კონკრეტული დანაშაულის ხასიათისაგან დამოუკიდებლად წამოიჭრებიან. კერძოდ საკითხები: შეცდომის, ზომიერალის, ზიანის მიყენებაზე თანხმობის, საჯარო სამართლის ნორმათა იძულებითი განსორციელების უფლებით აღჭურვილ თანამდებობის პირის მხრივ პროვოკაციის სისხლისსამართლებრივი მნიშვნელობის შესახებ; სასჯელის იძულებითი აღსრულების, თავდაცვის და სხვა შემთხვევებში ძალადობის გამოყენების უფლების შესახებ; ფსიქიკურად დაავადებულ პირთა საქმეების განხილვის პროცედურის სპეციალური წესების შესახებ; სასჯელთა სისტემის ზოგადი სტრუქტურის შესახებ. მეორე ნაწილში მოცემულია კონკრეტულ დანაშაულთა შემადგენლობების განსაზღვრა. ისინი შემდეგ ჯგუფებად არიან დაყოფილი: პიროვნების, საკუთრების, ოჯახის, საჯარო აღმინისტრაციის, საზოგადოებრივი წესრიგისა და წესიერების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა შემადგენლობა. მესამე ნაწილში, რომლის სათაურია „წემოქმედება და გამასწორება“, შედიან ნორმები, რომლებიც არეგულირებენ მსჯავრდებულთა გამოსადეგლად გავაგონის, დაჯარიმების, მათ მიმართ ხანმოკლე თავისუფლების აღკვეთის, ხანგრძლივი თავისუფლების აღკვეთისა და პატიოსანი სიტყვით ვადამდე პირობით განთავისუფლების შეფარდების საკითხებს. მეოთხე ნაწილში მოცემულია ის ნორმები, რომლებიც აწესრიგებენ გამასწორებელი დაწესებულებების საქმიანობას, განსაზღვრავენ გამასწორებელ დაწესებულებათა უწყებისა და პატიოსანი სიტყვით პირობით ვადამდე განთავისუფლების საბჭოს სტრუქტურასა და ფუნქციებს.

ადილი შესამჩნევია, რომ კოდექსის სისტემა საეხტებით შეესაბამება მისი ავტორების მიერ 1.01 მუს-ლში მოცემულ შემდეგ მითითებას: „ეს კანონი იწოდება სისხლის სამართლის და გამასწორებელ კოდექსად, შემოკლებით სკ“³.

* * *

მოკლე შეგვირდებით იმ ნოველებზე, რომლებითაც სკ პრინციპულად განსხვავდება მოქმედი ამერიკული სამართლისაგან. მათგან თითქმის ნახევარი მიეკუთვნება ზოგადი ნაწილის მასალას.

კოდექსში თავმოყრილი ნორმატიული მასალის დაკვირვებული ანალიზისას იქმნება ისეთი შთაბეჭდილება, რომ შემოთავაზებული რეფორმები ექვს ძირითად ჯგუფად იყოფა: 1) დებულებები, რომლებიც გამორიცხავენ პასუხისმგებლობას „უმწიკლო“ ქცე-

ვისათვის, რომელიც კუთლსინდისიერი შეცდომის შედეგია ან უკავშირდება „მაღისკვალიფიცირებულ“ ფსიქიკურ ავადმყოფობას; 2) სასჯელთა და პატიოსანი სიტყვით ვადამდე პირობით განთავისუფლების საფუძველთა სისტემა, მოწოდებული დაიცვას საზოგადოება ზედმეტი სიმაყარის გარეშე; 3) მიმე მკვლელობათა გამო პასუხისმგებლობის განმსაზღვრელი ნორმების გადასინჯვა, სოლო იმ შტატებში, რომელთაც თავიანთ კანონმდებლობაში შეინარჩუნეს სიკვდილით დასჯა, ამ სასჯელის დანიშნვის პროცედურის გადახედვა; 4) ქესობრივ დანაშაულთა შემადგენლობები, რომლებიც გულისხმობენ გარემოებებს, რომელთა დროს საჭიროა მოქმედი სისხლის სამართლის ნორმების მოქმედების არის შესუღუდა; 5) სისხლისსამართლებრივად დასჯადი მოტყუების სფერო, რომელიც იმ სიტუაციების მაილუსტრირებელია, რომ მოქმედი კანონმდებლობის გამოყენების სფერო ძალზე ვიწროა და საჭიროებს გაფართოებას ახალი დანაშაულის შემადგენლობების შექმნის ან მოქმედი შემადგენლობების განსაზღვრებათა გაფართოების გზით და 6) ნორმები, რომლებიც აწესებენ პასუხისმგებლობას უხამსი საქციელისათვის, თუ ეს საქციელი არღვევს საზოგადოებრივ წესრიგს.

ამ წერილში ჩვენ განვიხილავთ კოდექსში მოცემულ საკანონმდებლო ნოველათა მხოლოდ პირველ ჯგუფს, რომელსაც შეიძლება მიეცეს შემდეგი სახელწოდება: უმწიკლო ყოფაქცევა არ შეიძლება ცნობილი ქნას და დანაშაულებრივად.

კოდექსის ნორმატიულ მასალას წინ წავუძღვარებთ პროფ. შორცის საინტერესო მოსაზრებებსა და დაკვირვებებს.

იგი წერს, რომ კანონს პატივს სცემენ მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც იგი პატივისცემას იმსახურებს. არაფერი ისე არ უკარგავს კანონს პატივისცემას საზოგადოების თვალში, როგორც ის ფაქტი, რომ კანონმდებელს შეუძლია თვითნებურად შერაცხოს ბრალად პიროვნებას ყველაფერი, რასაც მოისურვებს. სისხლის სამართლის კანონი არ უნდა აცხადებდეს დანაშაულებად ადამიანებს, რომლებიც სინამდვილეში გაიცხვას არ იმსახურებენ⁴.

ამერიკის შეერთებულ შტატებში ისეთი კანონები, რომლებიც სისხლისსამართლებრივად დასჯადად აცხადებენ და „უმწიკლო“ ქმედობებს ამ სიტყვის ჩვეულებრივი გაგებით, უფრო ზწირად გვხვდება, ვიდრე ჩვენ გვგონია. ზოგიერთ შტატში პოლისმენი, რომელმაც ესროლა გაქცეულ საეჭვო სუბიექტს და მოკლა იგი, დანაშაულები იქნება ცნობილი მკვლელობაში, თუნდაც მას ყველა საფუძველი ჰქონდეს გაქცეული სუბიექტის საშვი დამ-

³ «This act called the Penal and Corrictional Code and may be cited as P. C. C....»
 §Section 1. 01 (1).
⁴ Op. cit. p. 2.

ნაშავედ ჩათვლისა⁵. სუბიექტი შეიძლება ცნობილ იქნას დამნაშავედ ორცილიანობაში, თუ ის მეორედ დაქორწინდება განქორწინების შემდეგ, რომელიც მას შეეცდომით მიაჩნია იურიდიული ძალის მქონედ. სასამართლოს საეჭვროს მეპატრონე შეიძლება მსჯავრდებულ იქნას არასრულწლოვანისათვის სპირტიანი სასმელის მიყიდვისათვის, თუნდაც რომ ამ ქმედობის ჩადენის მიზეზს წარმოადგენდეს მისი შოტყუება. ბევრ შტატში ადამიანი, რომელიც დაავადებულია განუკურნებელი ფსიქიკური ავადმყოფობით, რომლის გამოც მას დაკარგული აქვს უნარი უხელმძღვანელოს თავის მოქმედებას, შეიძლება დაისაჯოს სისხლისსამართლებრივი წესით, თუ მისი ფსიქიკური ავადმყოფობა არ გამორიცხავს ჩადენილი ქმედობის ფაქტურ გარემოებათა და ამ ქმედობის მართლსაწინააღმდეგო ხსიათის შეგნებას⁶.

კოდექსის 2.02 მუხლში პოსტულირებულია ბრალის, როგორც სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის აუცილებელი პირობის ზოგადი მოთხოვნა. როგორც წესი, დამტკიცებულ უნდა იქნას, რომ ბრალდებული მოქმედებდა „მიზნით, შეცნობილად ან წინდაუხედავად“. რაც შეეხება დაუდევრობას, იგი პასუხისმგებლობის საკმარის პირობას წარმოადგენს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა ამის შესახებ პირდაპირ არის მითითებული კანონში. ამასთან, 2.02 მუხლის შესაბამისად დაუდევრობა წარმოადგენს სათანადო ქცევიდან „უსუშუა გადახრას“. სხვა სიტყვებით, პირის მიერ „გონივრული“ სიფრთხილის დაუცველობა, რომელიც სამოქალაქო პროცესში წარმოადგენს საკმარის პირობას მიყენებული ზიანის ანაზღაურების მოვალეობის დაკისრებისათვის, არ არის საკმარისი სისხლისსამართლებრივი წესით პასუხისმგებლობისათვის. ისეთი საშუალებები უკი, როგორიცაა უბრალო მკვლელობა, (210.3 მუხლი) ან უბედურების მიყენება (220.2 მუხლი) შეიძლება ჩადენილ იქნას წინდაუხედაობით და არა დაუდევრობით. თანაც წინდაუხედაობა დამტკიცებულად ითვლება, თუ დამტკიცდება საფრთხის „შეგნებული უგუშვებელი“ და ამასთან ერთად სათანადო ქცევიდან უსუშუა გადახრა.

ამ დებულებათა იურიდიული კონსტრუქციის ანალიზისას მეთოდოლოგიურად უსწორი იქნება მათი პირდაპირი შედარება საბჭოთა სისხლის სამართლის შესაბამის ნორმებთან. აქ საქმე შეეხება არა მარტო ბრალის სოციალურ-პოლიტიკური ბუნების აშკარა განსხვავებას ამერიკულ და საბჭოთა სისხლის სამართალში, არამედ იმასაც, რომ ანგლო-საქსური სამართლებრივი სისტემები მთლიანობაში, რომელსაც

მიეკუთვნება ამერიკული სისხლის სამართალი, ძალზე განსხვავებულია ევროპის კონტინენტის ბურჟუაზიული ქვეყნების სისხლის სამართლისაგან და მით უმეტეს საბჭოთა სისხლის სამართლისაგან. თუ 2.02 მუხლის ფორმული ვიშკვლით, ბრალი თითქმის გაცხადებულია როგორც სუბიექტის ფსიქიკური დამოკიდებულება თავისი ქცევის შედეგებთან. მაგრამ უკვე აქ, ბრალის ამ წმინდა ფსიქოლოგიური გაცხადების ჩარჩოებში აშკარად ვხვდებით არა მხოლოდ მისი თავისებურება, არამედ გარკვეული ბუნდობიანება. საქმე გვაქვს ძირითადად ბრალის სამ შემდეგ ფორმასთან: „მიზნით“ (რადაც მსგავსი ჩვენი პირდაპირი განზრახვისა) „შეცნობილად“ (რომელიც მოგვაგონებს ერთად აღებულ ვენეტულურ განზრახვასა და თვითმედონებას) ან „წინდაუხედავად“ (რომელიც ერთი შეხედვით წარმოადგენს ჩვენი თვითმედონების ანალიზს). მაგრამ უფრო დეტალური ანალიზისას ირკვევა, რომ წინდაუხედაობა არის საფრთხის შეგნებული უგუშვებელი, რაც სათანადო ქცევიდან უსუშუა გადახრაში გამოიხატება. ისმება კითხვა: რა განსხვავებაა „შეცნობილბა“ და „წინდაუხედაობა“ შორის და აგრეთვე 2.02 მუხლის აზრიდან გამომდინარე შეიძლება თუ არა ბრალი მიჩნეულ იქნას მხოლოდ ფსიქიკურ დამოკიდებულებად რადგან მისი ერთ-ერთი ძირითადი ფორმა „წინდაუხედაობა“ არის სათანადო ქცევიდან გადახრაც. თუ 2.02 მუხლის ფარგლებში პირველ კითხვაზე არ შეიძლება რაიმე დამაკმაყოფილებელი პასუხის გაცემა, მეორე კითხვაზე გვაქვს განსაზღვრული პასუხი: ბრალი 2.02 მუხლის მიხედვით არის არა მხოლოდ ფსიქიკური დამოკიდებულება, რადგან წინდაუხედაობა არის არა მხოლოდ „შეგნებული“ უგუშვებელი, არამედ უსუშუა „გადახრა“ სათანადო ქცევიდან. ეს აზრი დამატებით დადასტურებას პოულობს იმაში, რომ დაუდევრობაც — ბრალის ფაქტობრივი ფორმა 2.02 მუხლის მიხედვით — არის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძველი მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი წარმოადგენს „სათანადო ქცევიდან უსუშუა გადახრას“.

კოდექსში დაუდევრობის საკითხის გადაწყვეტა, ჩვენი აზრით, სერიოზულ ყურადღებას იმსახურებს. დაუდევრობისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის შემოთავაზება მხოლოდ ისეთ შემთხვევებში, რომელთაც კანონი ითვლისწინებს როგორც სათანადო ქცევიდან „უსუშუა“ გადახრას, არ შეიძლება არ იმსახურებდეს მოწონებას თუნდაც იმის გამო, რომ ამით მიიღწევა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის სფეროს შევიწროება, მით უმეტეს რომ სისხლის სამართლის იუსტიციის სფეროდან საბო-

⁵ იმის შესახებ, თუ რამდენად ხშირად იყენებს უსაფუძვლოდ ამერიკის პოლიცია ცეცხლსასროლ იარაღს, იხ. გაი ჯონსონის სტატია „ზანგები და დამნაშავეობა“ წიგნში „დამნაშავეობის სოციოლოგია“, მოსკოვი, გამომცემლობა „პროგრესი“, 1966 წ., გვ. 205-206.

⁶ Op. cit. p. p. 1-3.



ლოდ იდენება „გონივრული“ სიფრთხილის კრიტერიუმი — თბიქტური და ამავე დროს წმინდად შეფასებითი მასშტაბი „საშუალო“ ადამიანისა, საცხებით გამოუსადეგარი კონკრეტულ გარემოებებში კონკრეტული სუბიექტის კონკრეტული ბრალის საკითხის გადასაწყვეტად.

ამავე დროს უნდა ითქვას, რომ 2.02 მუხლის ნოვგლა ამ ნაწილში განსაზღვრულ ეჭვებსაც იწვევს: არა „უხეში“, არამედ უბრალო დაუდევრობის დროსაც შეიძლება დადგეს ძალზე მძიმე შედეგები, რომლებიც ბრალისა და მასასადამე სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ფარგლებს გარეთ რჩება. თუმცა კოდექსის ავტორები სამართლიანად ფიქრობენ, რომ სამიშ დანაშაულთა ჩადენა წინდაუხედაობით უფროა შესაძლებელი, ვიდრე დაუდევრობით.

1) დაუდევრობის გარეშე დაშვებული კეთილსინდისიერი შეცდომა ათავისუფლებს პასუხისმგებლობისაგან.

კოდექსის 2.04 მუხლი რევიზიას უკეთებს ტრადიციულ სამართლებრივ ნორმას, რომლის ძალითაც შეცდომა წარმოადგენს დანაშაულის ჩადენაში ბრალდების წინააღმდეგ დაცვის საფუძველს. იურიდიული და ფაქტური შეცდომა პირს ათავისუფლებს პასუხისმგებლობისაგან მხოლოდ იმ პირობით, თუ იგი არ იყო წინდაუხედაობის ან დაუდევრობის შედეგი. სუბიექტი არ შეიძლება ცნობილ იქნას ბრალეულად დანაშაულის ჩადენაში თუ დადგინდება, რომ თავის მოქმედებაში იგი სელმდგანელობდა სამართლებრივი ნორმის ოფიციალური ახსნა-განმარტებით. ამიტომ კოდექსის ავტორთა აზრით სისხლის სამართლის კანონის აშკარა დარღვევად უნდა ჩაითვალოს რაიონის ატორნისათვის იმის უფლების მიცემა, რომ ამ უკანასკნელმა სისხლის სამართლის დენა განასორციელოს ისეთი სუბიექტის მიმართ, რომელიც ფიქრობს, რომ მოქმედებს კანონის შესაბამისად, როგორც ეს მას განუმარტა რაიონის ყოფილმა ატორნიემ ან სათანადო აღმინისტრაციულმა ორგანომ. ყოველივე ამასთან ერთად კოდექსი რასაკვირველია არ გამოირიცხავს ადრე მიცემული ოფიციალური ახსნა-განმარტების შეცვლას ან გაუქმებას, რის შემდეგაც სუბიექტს აღარ შეუძლია თავის მოქმედებებში ისელმდგანელოს ადრე მიცემული ახსნა-განმარტებით.

კოდექსის მიერ მატერიალურ სისხლის სამართალში შეტანილი მრავალი ცვლილების მაგალითად შეიძლება დაეასახელოთ მუხლი, რომელიც კრძალავს „მეწარმეობაში მოტყუების სერების“ გამოყენებას, როგორცაა ფალსიფიკაცია და საქონლის უსწორო მარკირება, რეკლამა, რომელსაც შეცდომაში შეყავს მომხმარებელი, წონასა და ზომაში მოტყუება. მოქმედი კანონმდებლობა ხშირად მისწრაფის იმისაკენ, რომ პასუხისმგებლობა იყოს აბსოლუტური, მოტყუე-

ბის განზრახვის ან თუნდაც დაუდევრობის არსებობის მიუხედავად. კოდექსი კი ბრალდებულისათვის ცნობს სათანადო „დაცვას“, თუ იგი დამტკიცებს „დამაჯერებელი მტკიცებულებების“ წარმოდგენის გზით, რომ მისი საქციელი არ იყო წინასწარ შეგნობილი მოტყუება ან „მოტყუება წინდაუხედაობის გამო“ (224.7 მუხლი). საკითხის ასეთი გადაწყვეტა მომდინარეობს კეთილსინდისიერი შეცდომის შესაძლებლობის აღიარებიდან და ამავე დროს მტკიცების ტვირთს აკისრებს მოტყუებაში მხილებულ მეწარმეს. ამგვარად, საბოლოო ანგარიშში „კანონის იძულებითი განხორციელების სასამართლო პროცედურა დაუძლეველ სინეულთაგან თავისუფალი აღმოჩნდება“⁷.

იმის მეორე მაგალითს, თუ როგორ ფართოდება შეცდომის, როგორც დაცვის საფუძვლის, მოქმედების სფერო წარმოადგენს 230.1 მუხლი ორქორწინების შესახებ. 230.1 მუხლი ცნობს იმის დამტკიცების შესაძლებლობას, რომ პირს „მეორედ დაქორწინებისას გონივრული საფუძვლით კანონიერად მიაჩნია მის მიერ მეორე დაქორწინება“. ეს შეიძლება გასდეს ორქორწინებისათვის სისხლის სამართლის დენის წინააღმდეგ დაცვის საფუძველი. ისეთ შემთხვევებში, როდესაც დგინდება, რომ ერთ-ერთი მექორწინეთაგანი ადრე იმყოფებოდა სხვა ქორწინებაში და განქორწინდა, მაგრამ იბადება ეჭვი განქორწინების ნამდვილობის თაობაზე, აღინშნულია მუსლი უფრო შორს მიდის მეორედ დაქორწინებულის ინტერესების დაცვის თვალსაზრისით. იგი კრძალავს ორქორწინებისათვის მსჯავრდებას, თუ ბრალდებულმა არ იცოდა, რომ განქორწინება ნამდვილი არ იყო, ანუ, სხვა სიტყვებით, საკმარისია „კეთილსინდისიერება“ ახლად დაქორწინების დროს იმისდამიუხედავად იყო თუ არა „გონივრული“ პიროვნების ნდობა იმ სასამართლოს მიმართ, რომელმაც განქორწინების ნება დართო.

ამასთან დაკავშირებით უზრადლებას იპყრობს კანონიერი სისხლისსამართლებრივი კატეგორიების კოდექსისეული გადაწყვეტის ორიგინალობა. უპირველეს ყოვლისა, კეთილსინდისიერი შეცდომა ათავისუფლებს პირს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან, თუ იგი იყოს წინდაუხედაობის ან დაუდევრობის შედეგი. სხვა სიტყვებით, შეცდომა მაინც კეთილსინდისიერად ითვლება, თუნდაც რომ იგი წინდაუხედაობის ან დაუდევრობის შედეგი იყოს და ბრალეულ შეცდომად გვევლინებოდეს. თუ ეს ასეა, მაშინ რა სისხლისსამართლებრივი აზრი აქვს „კეთილსინდისიერების“ კატეგორიას, რომელიც არაბრალეულია უკეთეს შემთხვევებში ორმოცდაათი პროცენტით? განსაზღვრულ ინტერესს იწვევს აგრეთვე მოტყუების კოდექსისეული გაგება. ერთი მხრივ მოქმედ ამერიკულ სამართალთან შედარებით, რომელიც რაც შემთხვევებში მოტყუებისათვის აბსოლუტურ პასუხისმგებლობას აწესებს, კოდექსში მოცემული ნოვგლა თითქოს სრულად პროგრესულ ხასიათს ატარებს: ჩადენილი

⁷ Schwartz, op. cit., p. 3.

ქმედობები შეიძლება მოტყუებად ჩაითვალოს მხოლოდ იმ შემთხვევებში, როდესაც სუბიექტი ბრალეულად მოქმედებდა. მაგრამ საქმე ისაა, რომ კოდექსი შესაძლებლად მიიჩნევს მოტყუებას არა მხოლოდ განზრახვი მოქმედებით (კოდექსის ტერმინოლოგიით, მიზნით ან წინასწარი შეცნობით), არამედ წინდაუსედაობის შედეგადაც. თუ გავითვალისწინებთ, რომ შესაბამის ნორმებში ლაპარაკია მეწარმეობაში მოტყუებაზე, ძნელი არ იქნება იმის გაგება, თუ ამერიკელი ნაფიცო მსაჯულების ბურჟუაზიული მართლმშენებლობის როგორ სასიამოვნო პრაქტიკულ შედეგებამდე შეიძლება მიგვიყვანოს ამგვარმა ბუნდოვანმა განმარტებამ. წინასწარ შეცნობით მოტყუებაში მხილებული მეწარმე შეიძლება ცნობილ იქნას მოტყუებაში ბრალეულად წინდაუსედაობით ან საერთოდ ყველაფერი გადაბრალდეს მის მოსამსახურეს, „დახლის მუშაკს“, უბედურ „მეისრეს“, რომელიც კაპიტალისტური სინამდვილის კონკრეტულ პირობებში კიდევაც რომ იყოს ბრალეული მოტყუებაში, როგორც წესი, ეს მოტყუება წინდაუსედაობის შედეგი იქნება. ის გარემოება, რომ ამგვარ შემთხვევებში არაბრალეულობის მტკიცების ტიპით მეწარმეს აწვეს, რასაკვირველია ართულებს მის პროცესუალურ მდგომარეობას და ამასთან ერთად წარმოადგენს მისთვის დამატებით სტიმულს ბრალისა და პასუხისმგებლობის თავის მოსამსახურეებზე გადასატანად.

მართალია, დანაშაულებრივი დაუდევრობის განმარტებისას კოდექსი უარს ამბობს „გონივრული“ სიფრთხილის ობიექტურ და შეფასებით კრიტერიუმზე, მაგრამ იმ ნორმებში, რომლებიც ეძღვნება დაუდევრობის გარეშე დაშვებულ კეთილსინდისიერ შეცდომას, იგი ამ კრიტერიუმით სარგებლობს. ასეთი, რბილად რომ ვთქვათ, არათანამიმდევრობა გაკვირვებას იწვევს.

2) ფ ს ი კ ი კ უ რ ა დ დ ა ა ვ ა დ ე ბ უ ლ ნ ი.
1.01 მუხლი გვთავაზობს საუკუნეობრივი დავის ახლებურ გადაწყვეტას, თუ ვინ უნდა იქნას გამართლებული ფსიქიკური ავადმყოფობის ან ფსიქიკური არასრულფასოვნების გამო. მაკნატენის ტრადიციული წესების თანახმად მხედველობაში მიიღება მხოლოდ ბრალდებულის „შეგების“ შესუღუღლობა. ამით გამოკვლევის სფეროდან სრულიად გამოირიცხება მისი თვითკრიტიკის თვითკონტროლის შესუღუღვის ხარისხი. პირი შეიძლება დასჯილ იქნას მძიმე ფსიქიკური ავადმყოფობის დადგენის მიუხედავად, თუ იგი ანგარიშს აქლევს თავის თავს იმაში, რასაც აკეთებს და იმაში, რომ ეს არის ამორალური ან აკრძალული ქმედობა. უფრო მოგვიანებით მაკნატენის დოქტრინის განვითარების შედეგად „დაუძლეველი იმპულსის“ დაცვის საფუძველად ცნობის გზით შესაძლებელი გახდა თვითკონტროლის შენარჩუნების საკითხის ნაწილობრი-

ვი ანალიზი. „თუმცა, — როგორც პროფ. შვორცი წერს, — საკითხის მსგავსი გადაწყვეტა არადამაკმაყოფილებელია, როგორც დაუძლეველი იმპულსისა და ყოველგვარი სხვა ისეთი იმპულსის გამიჯვნის სიძნელის გამო, რომელსაც უბრალოდ არ გაეწეა წინააღმდეგობა, ისე იმასთან დაკავშირებით, რომ არასწორი საქციელისადმი დაუძლეველი ლტოლვა შეიძლება იყოს არა მარტო მომენტალური „იმპულსის“, არამედ „ხანგრძლივი ავადმყოფური ფიქრის“ შედეგიც“.

გადაწყვეტა, რომელსაც იძლევა კოდექსი: პასუხისმგებლობის კრიტერიუმში განისაზღვრება იმით, იყო თუ არა ბრალდებული „მნიშვნელოვანწილად მოკლებული უნარს შეეფასებინა თავისი საქციელის დანაშაულებრივი (გასაკიცხი) მასიათი ან შეეთანხმებინა თავისი ქცევა კანონის მოთხოვნებთან“. ამგვარად, ბრალდებული არ შეიძლება მსჯავრდებულ იქნას ჩადენილი დანაშაულისათვის, თუ ფსიქიკური ავადმყოფობა მას საშუალებას უსპობდა სწორი არჩევანი გაკეთება მოქმედების ხაზის არჩევის დროს.


ასეთ შემთხვევაში, თუნდაც მისი ფსიქიკური არასრულფასოვნება არ იყოს აბსოლუტური ან საყოველთაო, შეიძლება წარმოიშვას დაცვის საფუძველი: ბრალდებამ უნდა დაამტკიცოს, რომ მისი უნარი მოქცეულიყო კანონის მოთხოვნათა შესაბამისად „არსებითა“ მიუხედავად ფსიქიკური ავადმყოფობის ან არასრულფასოვნებისა. მეორეს მხრივ მან არ შეიძლება თავი დააღწიოს პასუხისმგებლობას მხოლოდ იმ საფუძველზე, რომ რაღაც ფსიქიკური სტანდარტის გამო საჭიროებს მკურნალობას და ამის გამო გარკვეული მიზნით შეიძლება მიეკუთვნოს „ფსიქიკურად ავადმყოფთა“ კატეგორიას.

პასუხისმგებლობის შესახებ ნორმათა განვითარებასთან ერთად კოდექსი შეიცავს ისეთ მნიშვნელოვან დებულებებს, რომლებიც გარანტიას იძლევიან საქმის სასამართლო განხილვამდე ჩატარდეს სათანადო ფსიქიატრიული ექსპერტიზა, აგრეთვე ფსიქიატრების ჩვენებები მოცემულ იქნას მხოლოდ იმ ექსპერტების მიერ, რომლებმაც ბრალდებული გამოიკვლიეს სასამართლო პროცესამდე. ამ ექსპერტებს სრული თავისუფლება ეძლევათ სასამართლოსა და ნაფიც მსაჯულთა წინაშე ჩამოაყალიბონ თავიანთი გამოკვლევებისა და დასკვნების შედეგები კონკრეტული იურიდიული ფორმულის ტერმინებით რაიმე შესუღუღვის გარეშე⁹.

პროფ. შვორცის აზრით კოდექსის აღნიშნულმა დებულებებმა მნიშვნელოვნად უნდა შეუწყონ ხელი იურისტებს და ფსიქიატრებს შორის არსებულ წინა-

⁸ Op. cit., p. 3.

⁹ იხ. 4.05 და 4.07 მუხლები.



დმდეგობათა დაძლევის და საზოგადოების ნდობის ამპლუბას იმ საკითხთა გადაწყვეტის მიმართ, რომლებშიც ბრალდების წინააღმდეგ დაცვის საფუძვლად შეურაცხადობა გვევლინება¹⁰.

ბრალდებული, რომელიც გამართლებულ იქნა ფსიქიკური ავადმყოფობის ან არასრულფასოვნების გამო, სასამართლოს მიერ ფსიქიატრიულ სამკურნალოში იგზავნება, სადაც უნდა იმყოფებოდეს მანამ, სანამ არ გახდება შესაძლებელი მისი განთავისუფლება თვითონ მისთვისა და საზოგადოებისათვის რისკის გარეშე (მუხლი 4.08).

კოდექსის მიერ შემოთავაზებული ფორმულა „მნიშვნელოვანი უნარისა“ და „ეფექტიური შესაძლებლობისა“ შერაცხადობისა და შეურაცხადობის პრობლემის სწორად გადაჭრის გზაზე უდავოდ წინ გადადგმულ ნაბიჯად გვევლინება, რადგან იგი ითვალისწინებს როგორც ინტელექტუალურ, ისევე ნებელობით კრიტიციზმს.

ასეთია ძირითადად კოდექსის მიერ შემოთავაზებული ის სიახლენი, რომლებიც სისხლის სამართლის კოდექსის ზოგადი ნაწილის ჩარჩოებში განეკუთვნებიან მოძღვრებას დანაშაულზე.

¹⁰ Op. cit., p. 3.

ქართველი აღმოკვამბი-სამეცნიერო და მხატვრული ლიტერატურის მთარგმნელები

ქართველი აღმოკვამბი პროფესიული საქმიანობასთან ერთად მთარგმნელობით მუშაობასაც ეწეოდნენ. ბევრმა მათგანმა დასავლეთ-ევროპული და რუსული ენებიდან თარგმნა სამეცნიერო და მხატვრული ლიტერატურა და ამით მშობლიურ მეცნიერებასა და კულტურას დიდი ამაგი დასდო.

მთარგმნელობას ეწეოდნენ ცნობილი აღმოკვამბი — ნიკოლოზ გამრეკელი, ვასილ მაჩაბელი, კონსტანტინე ჯაფარიძე, დავით ონიაშვილი, პეტრე ქავთარაძე, სამსონ დადიანი, ივანე ზურაბიშვილი, ივანე პოლუმორდვინოვი, გიორგი გვაზავა, ალექსანდრე ყანჩელი, კირილე ნინიძე, შალვა ქართველიშვილი, ნიკოლოზ მზარეულიშვილი, ია ეკალაძე და სხვ.

მთარგმნელობას ხელი მოჰკიდეს პირველი თაობის აღმოკვამბებმა, როგორც კი სასამართლო რეფორმასთან დაკავშირებით 1868 წელს საქართველოში ნაფიც ვეჭილთა ინსტიტუტი ჩამოყალიბდა. მაგალითისათვის საკმარისია დავასახელოთ ნაფიცი ვეჭილები ნიკოლოზ გამრეკელი და ვასილ მაჩაბელი. პირველმა 1877 წელს რუსულიდან ქართულად თარგმნა „წესდება სასჯელთა ზედა, რომლითაც გადაწყვეტენ მომრიგებელი მსაჯულნი“, ვ. მაჩაბელმა კი — ა. რაჩევსკის პოპულარული ლექციები „საზოგადო გასაგონი ლექციები ტანის აგებულებაზე“ (1873) და კომბოს პედაგოგიური შინაარსის შრომა „ბავშვის მოვლა“ (1895).

XX საუკუნის დამდეგიდან სამეცნიერო და მხატვრული ლიტერატურის თარგმნას უფრო ინტენსიური ხასიათი მიეცა. ჩვენ მოკლედ აღვუხსნავთ ამ შრომებს.

აღმოკვამბა გ. გვაზავამ 1912 წელს ბერძნულიდან პირველად ქართულ ენაზე თარგმნა სოფოკლეს ტრაგედია „ანტიგონე“ და ფრანგი პოეტის ბერანჟეს ლექსები, ი. ზურაბიშვილმა ფრანგულიდანვე თარგმნა ა. ლავერდინის მოთხრობათა კრებული, ია ეკალაძემ გერმანულიდან — ნორვეგიელი დრამატურგის ჰ. იბსენის სამმოქმედებიანი დრამა „მორჩენიანნი“ და ე. რენანის „ცხოვრება იესოსი“ (1906), ი. მაჭავარიანმა — ლ. ტოლსტოის რომანი „ადღომი“, ა. ბლოკის, დ. ბენდის ლექსები და სხვ.

აღმოკვამბი მთარგმნელთა შორის განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ივ. პოლუმორდვინოვის, კ. ჯაფარი-


ძის, დ. ონიაშვილის, პ. ქავთარაძის, ნ. მზარეულიშვილის, ა. ყანჩელისა და შ. ქართველიშვილის მოღვაწეობა.

ქართველი პროგრესული საზოგადოება განსაკუთრებული ინტერესით შეხვდა მ. გორკის სამწერლო ასპარეზზე გამოსვლას, და ეს სრულიად ბუნებრივი იყო. მ. გორკიმ საქართველოში აიდა ფეხი როგორც მწერალმა და პირველი ნაწარმოები „მაკარ ჩუდრა“ თბილისში გამოქვეყნა. ამასთანავე მ. გორკისადმი ინტერესს აძლიერებდა ის გარემოება, რომ მან პირველმა შემოიტანა მხატვრულ ლიტერატურაში რევოლუციის თემა და დიდი მხატვრული ძალით ასახა რუსეთის პირველი რევოლუციის მამოძრავებელი ძალები. მ. გორკის თხზულებათა თარგმნა უკვე 1899 წლიდან დაიწყო და ამ საპატიო საქმეს ბევრმა მოჰკიდა ხელი, მათ შორის აღმოკვამბა ივ. პოლუმორდვინოვმა და კ. ჯაფარიძემ. ისტორიკოსი ს. ხუნდაძე წერს: „უკვე 1899 წლიდან დაიწყო მისი მოთხრობების თარგმნა, ხოლო 1901-3 წლებში გორკის მთელი რიგი ნაწარმოები იქნა გადმოქართულებული და დაბეჭდილი სხვადასხვა ჟურნალ-გაზეთებში. მთარგმნელები: ვ. გიუნაშვილი, ს. რობაქიძე, ივ. პოლუმორდვინოვი და სხვები ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ გორკის ნაწარმოებთა თარგმნაში“¹.

ივ. პოლუმორდვინოვი მ. გორკის ნაწარმოებთა ისეთი ცნობილი მთარგმნელი გახდა, რომ 1903 წელს, როდესაც თბილისს ეწვია დიდი პროლეტარული მწერალი, მან ი. პოლუმორდვინოვი თავისთან მიიწვია და ესაუბრა. ამ საუბარს ი. პოლუმორდვინოვი შემდეგნაირად აღწერს: „1903 წელს ივნისში მ. გორკი ჩამოვიდა თბილისში და სასტუმრო „ლონდონში“ გაჩერდა. მ. გორკის გავეთ მისი ნაწარმოებების ქართულ ენაზე თარგმნის ამბავი და მოუხდომებია ჩემთან შეხვედრა.

ხალამოს 7 თუ 8 საათი იქნებოდა, სასტუმრო „ლონდონში“ რომ მივედი. გულის ფანცქალით შევედი მ. გორკის ოთახში. გორკის შავზოლებიანი შარვალი და პარუსინის გრძელი ხალათი ეცვა, წელზე ქამარი არ ერტყა, თმა მოშვებული ჰქონდა, წელში ცოტა მოხრილი იყო. გორკიმ და მისმა მეუღლემ მეტისმეტად კარგად მიმიღეს. პირველი წუთებიდანვე ჩემს ვინაობაზე ჩამოვირდა ლაპარაკი. შემდეგ ლაპა-

¹ ს. ხუნდაძე, ნარკვევები, გამომცემლობა „ფედერაცია“, 1941 წ. გვ. 348.



რაკი ანტ. ჩხვჭვუძე, ვლ. კოროლენკოსა და რუსეთის სხვა მწერლებზე გადავიტანეთ. გორკიმ მკითხა, თარგმნილია თუ არა მათი ნაწარმოებები ქართულ ენაზეო. მე ვუპასუხე, ჩხვჭვუძე ვთარგმნი-მეთქი.

ოქვენ, რა თქმა უნდა, ქართული ბელეტრისტიკა



ივანე პოლუმორდინოვი

ზედმიწევნით გექნებათ შესწავლილი. გამაცანით დღევანდელი ვითარება ამ დარგში, — მთხოვა მწერალმა. მე დავასახელე რამდენიმე მოწინავე ქართველი მწერალი: ილია, აკაკი, ალ. ყაზბეგი და ნინოშვილი. გორკიმ თითქმის ყველა მათგანზე შემაჩერა და მისურვა მოკლედ გასცნობოდა მათს შემოქმედებას. მე შევეცადე შოთა რუსთაველზე ჩამომეგდო ლაპარაკი, რამდენიმე არღილი „ვეფხისტყაოსნიდან“ ზეპირად ვიცოდი და იქვე ჩემი სიტყვებით გადავუთარგმნე რუსულად².

ივ. პოლუმორდინოს დიდი დამსახურება მიუძღვის აგრეთვე ანტ. ჩხვჭვუძის ნაწარმოებთა თარგმნაში. 1902 წლიდან გაზეთ „ცნობის ფურცელში“ სისტემატურად ქვეყნდებოდა მწერლის საუკეთესო მოთხრობები — „ქამლეონი“, „კაცის ფუტლიარში“, „გლეჯები“, „მთხელის სიკვდილი“, „ბოროტმოქმედი“ და სხვები, რაც 1944 წელს პროფ. ს. დანელიას წინასიტყვაობით ცალკე წიგნად გამოსცა სახელმწიფო

გამომცემლობამ. მასვე ეკუთვნის ვილჟელმ ფონ-პოლენის ისტორიული რომანის „გლეჯკაცის“ თარგმანი (1906 წ.).

მეტად მრავალფეროვანი იყო ადვოკატ კონსტანტინე იოსების ძე ჯაფარიძის მოღვაწეობა, როგორც მთარგმნელისა. ამ საქმიანობას მან 1901 წლიდან მოჰკიდა ხელი, როდესაც მოსკოვის უნივერსიტეტი დაამთავრა და თბილისის ოლქის სასამართლოში ნაფიცი ვეჟილის თანაშემწედ ჩარიცხეს. იგი თარგმნიდა როგორც მეცნიერულ შრომებს, ისე მსატერულ ლიტერატურას. მან 1903-1907 წლებში მ. გორკის რამდენიმე ნაწარმოები თარგმნა, მათ შორის „შეგარდენის სიმღერა“, „გრიგალა“, „ადამიანი“, „ამხანაგი“, რომლებიც „კვალში“ დაიბეჭდა, ხოლო შემდეგ სახელმწიფო გამომცემლობამ ცალკე წიგნად გამოსცა. მანვე გადათარგმნა მერეჟკოვსკის „საკვიამუნი“, ბლოკის „სკვითები“ და „თორმეტი“, ლერმონტოვის „დემონი“, პუშკინის „ბოშები“, „ბორის გოდუნოვი“, უკრაინელი მწერლის ი. ფრანკოს მოთხრობები.

კ. ჯაფარიძემ თარგმნა მეცნიერული ხასიათის შრომები: ფ. ენგელსის „უტოპიიდან მეცნიერული სოციალიზმისაკენ“, კ. ცეტკინის „დედაკაცი და მისი უკონომიური მდგომარეობა“ და დენბურგის „პანდექტების“ პირველი ტომი, რომელიც 1928 წელს გამოსცა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა.

ცალკე აღნიშვნის ღირსია ადვოკატ პეტრე ქავთარაძის ღვაწლი როგორც პუბლიცისტისა და მეცნიერისა, რომელმაც ქართული იურიდიული ტერმინოლოგია და ქართულ-რუსული ლექსიკონი შეადგინა. მას დიდი დამსახურება მიუძღვის აგრეთვე ანტიკური ლიტერატურის ქართულ ენაზე თარგმნისა და პოპულარიზაციის საქმეში. პ. ქავთარაძის მთარგმნელობითი მეგვედრეობა საკმაოდ დიდია, და თუ ზმასაც გავითვალისწინებთ, რომ ბერძენ და რომაელ ავტორთა ნაწარმოებების თარგმნაში ჩვენ ბევრად ჩამოვარჩებით სხვა კულტურულ ერებს, უფრო აშკარა გახდება მისი მოღვაწეობის მნიშვნელობა ჩვენ. თეატრისა და ლიტერატურისათვის. პ. ქავთარაძემ თარგმნა სოფოკლეს „ოიდიპოს მეფე“ და „ანტიგონე“ (ეს უკანასკნელი ადვოკატ გ. გვაზავას თარგმანთან ერთად ბოლო ხანამდე წარმოადგენდა ბერძნულიდან სოფოკლეს უკვდავი ტრაგედიის ქართულად თარგმნის პირველ ცდას), თეოდისუსის პერიოდები (უსტარი პირველი). განსაკუთრებული ინტერესი გამოუჩენია მას ბერძნულ-რომაული ფილოსოფიისა და მჭკვერმეტყველებისადმი. ამაზე ნათლად მეტყველებს ლიხაის მიერ თარგმნილი „სიტყვა ერთსთენეს მკვლელობის გამო“, პლატონის „სოკრატეს აპოლოგია“ და „კრიტონი“ (კრიტონისა და სოკრატეს დიალოგი), ციცერონის სექსტუს როსციუს ამერიილის დაცვა (სიტყვის შესავალი) და პირველი სიტყვა კატლი-

² გაზეთი „კომუნისტი“, 1968 წ. 24 მარტი, № 70 (14066).

ნას წინააღმდეგ, სალუსტიუსის „კატილინას სიტყვა ჯარისადმი“ („კატილინას შეთქმულება“, თავი 50). ზოგიერთი ამ თარგმანთაგანი ჯერჯერობით ერთადერთია ქართულ ენაზე. მათთვის დამახასიათებელია

პირველი ნაშრომი იყო დიდი ინგლისელი პოეტის შემოქმედებაზე. ამ შრომაში დ. ონიაშვილმა თარგმნა პოეტის უკანასკნელი ლექსი „აქსდექ, ამხედრდი, ჩემო სულო“ და ნაწყვეტები „ჩაილდ-პაროლდიდან“,



პეტრე ქავთარაძე



დავით ონიაშვილი

ბერძნული და ლათინური ტექსტების სწორად გაგება და გადმოცემა, რთული ბერძნული და ლათინური გამოთქმებისათვის მოხდენილი ქართული ეჭვივა-ვალენტების შერჩევა.

პ. ქავთარაძის თარგმანთა მნიშვნელობას ისიც ზრდის, რომ მრავალსაუკუნოვანი პაუზის შემდეგ იგი იყო ერთ-ერთი პირველი ქართველი მოღვაწე, რომელმაც ჩვენში ბერძნულ და ლათინურ ლიტერატურულ ძეგლთა თარგმნის დიდი ტრადიცია აღადგინა.

მთარგმნელთა შორის მეტად საპატიო ადგილი უნდა მიეკუთვნოს ადვოკატ დავით ეფრემის ძე ონიაშვილს, რომელიც საუკეთესოდ ფლობდა გერმანულ, ინგლისურ და ფრანგულ ენებს. ინგლისურიდან თარგმნა ოსკარ უაილდის „ბედნიერი პრინცი“, რაც 1929 წელს გამოაქვეყნა გამოცემლობა „შრომაში“. ადრე, 1913 წელს მან გამოისცა წიგნი „ბაირონიზმი და მსოფლიო მწუხარება“, რომელიც იმ დროს ერთ-ერთი

„დონ-ჟუანიდან“, „კაენიდან“ და „გიაურიდან“. მაგრამ დ. ონიაშვილის მთავარი დამსახურებაა კ. მარქსის „კაპიტალის“ პირველი ტომისა და გოეთეს „ფაუსტის“ სრული თარგმანები.

კ. მარქსის „კაპიტალის“ პირველი ტომი გამოვიდა 1930 წელს და ფრიად სამწუხაროა, რომ დღევანდლამდე ამ დიდი მეცნიერული ნაშრომის ქართულ ენაზე პირველი თარგმანის ისტორია შეუსწავლელია. ახლანაჲნ გამოცემლობა „საბჭოთა საქართველომ“ გაამოსცა თ. ჯავახიშვილის „წარსულიდან მოგონებები“, სადაც მეტად საინტერესო ცნობას წავაწყდით. ავტორი წერს: „1917 წელს გორში ჩამოყალიბდა მარქსისტული წრე. წრეს რიგრიგობით ვთავმჯდომარეობდით. ვკითხულობდით „კაპიტალის“ ონიაშვილისეულ ხელნაწერ თარგმანს“³. როგორცა ჩანს, დ. ონიაშვილს „კაპიტალის“ თარგმნა ადრევე, რეგოლუციამდე დაუწყია.

³ თ. ჯავახიშვილი, „წარსულიდან მოგონებები“, 1969 წ. გვ. 30.



გოეთეს „ფაუსტი“ დ. ონიაშვილი ადრევე დაინტერესებულა. მან 1924-1925 წლებში ჟურნალ „კავკასიონში“ და „ახალ კავკასიონში“ დაბეჭდა პოემის პირველი სამი სურათის თარგმანი — „ღამე“, „ქალაქის კარებთან“ და „ფაუსტის კაბინეტი“. 1927 წელს ცალკე წიგნად გამოსცა ტრაგედიის პირველი ნაწილი. 1962 წელს კი გამოვიდა „ფაუსტის“ მთლიანი თარგმანი. გოეთეს შემოქმედების ქართველ სპეციალისტთა დასკვნად დ. ონიაშვილის „თარგმანი ბევრად უფრო მდიდარ ღონის აღწევს, ვიდრე ყველა წინანდელი. მასში ტექსტუალური სისუსტეც მეტად არის დაცული და ორიგინალის ფერსიფიკაციული მრავალფეროვნების მიახლოებითი (ქართული სალექსო ფორმების ფარგლებში შესაძლებელი) გადმოცემაა ნაცადი“⁴.

ქართველ ადვოკატებს დიდი ღვაწლი მიუძღვით შ. რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“ რუსულ ენაზე თარგმნის საქმეშიც.

„ვეფხისტყაოსნის“ რუსულ თარგმანთა შორის პირველი ადგილი უჭირავს პროფ. შ. ნუცუბიძის თარგმანს, მაგრამ ჩვენ ამის შესახებ არ შევჩერდებით, ვინაიდან თარგმნის ისტორია, და საერთოდ პროფ. შ. ნუცუბიძის მეცნიერული მოღვაწეობა ქართული და აღმოსავლეთის რენესანსის პრობლემების დამუშავებაში საყოველთაოდ ცნობილია და დაფასებული. პროფ. შ. ნუცუბიძის გარდა „ვეფხისტყაოსანი“ რუსულ ენაზე თარგმნეს ადვოკატებმა სანდრო ყანჩელმა და ნიკოლოზ მზარეულიშვილმა. ადვოკატ შალვა ქართველიშვილის ზეგავლენით და შემდეგ კი მონაწილეობით „ვეფხისტყაოსანი“ თარგმნა უკრაინელმა პოეტმა პანტელეიმონ პეტრენკომ.

„ვეფხისტყაოსნის“ რუსულ ენაზე მთარგმნელთა შორის მეტად საპატიო ადგილი უჭირავს ალექსანდრე (სანდრო) ივანეს ძე ყანჩელს, რომლის დამსახურება ორი თვალსაზრისით უნდა იქნას დაფასებული. 1914-1917 წლებში მან დიდი დახმარება გაუწია კ. ბალმონტს პოემის თარგმანში, შემდეგ კი თვითონვე თარგმნა „ვეფხისტყაოსანი“ რუსულად.

ა. ყანჩელის სახელს ჩვენი საუკუნის დასაწყისიდანვე ვხვდებით ქართულ და რუსულ პრესაში. 1899 წლიდან ლიტერატურის საკითხებზე იგი ბეჭდავს წერილებს მოსკოვის გაზეთებში: „კურიერ“, „რუსსკაია მისლ“, შემდეგ თბილისში — „ნოვოე ობოზრენიე“, „გოზროუდენიე“, „კავკასსკოე სლოვო“-ში. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების შემდეგ „ზარია ვოსტოკაში“ ბეჭდავს საკუთარ თუ თარგმნილ ლექსებს. 1911-1914 წლებში გ. დიასამიძესთან ერთად რედაქტორობდა გაზეთ „თემს“. 1936 წ. მიიღეს საქართველოს მწერალთა კავშირის წევრად.

ა. ყანჩელის ოჯახი ლიტერატურულ სალონად იყო

გადაქცეული. წლების მანძილზე ყოველ შემთხვევაში დღეს მასთან იკრიბებოდნენ ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეები, კითხულობდნენ ახალ ლექსებს და არჩევდნენ ლიტერატურულ თუ მუსიკალურ ნიმუშებს. სწორედ აქ, ა. ყანჩელის ბინაში, 1914 წელს წაიკითხა კ. ბალმონტმა „ვეფხისტყაოსნის“ რუსული თარგმანის პირველი ნაწყვეტები. ა. ყანჩელს რუსულ ენაზე გადათარგმნილი აქვს ჭოლა ლომთათიძის მოთხრობები, ი. ევლოშვილის ლექსები, აკაკის „სულიკო“, ოპერა „აბესალომ და ეფერის“ ლიბრეტო, ს. შანშიაშვილის პიესა „არსენა“ და მრავალი სხვ. სანტერესთა მისი წერილები, დაბეჭდილი 1913 წელს გაზეთ „დროებაში“, „თემში“, „ერში“. „დროების“ ფურცლებზე ა. ყანჩელი პოლემიკას აწარმოებს ისტორიკოს სერგი კაკაბაძესთან საქართველოს ისტორიის ზოგიერთ საკითხზე და მათ შორის შ. რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“ დაწერის თარიღზე. გაზეთ „თემის“ 1913 წლის 11 მარტის მოწინავე წერილი დაწერილია ა. ყანჩელის ხელით და საყურადღებოა იმით, რომ აქ იგი პირველად აყენებს საკითხს შ. რუსთაველის დაბადების 700 წლის აღნიშვნისა და საქართველოს დედაქალაქში გენიალური პოეტის ძეგლის დადგმის თაობაზე. სხვადასხვა გაზეთების მიმოხილვიდან ჩანს, რომ ა. ყანჩელის წერილს დიდი რეზონანსი ჰქონია. შ. რუსთაველის იუბილეს აღნიშვნისა და ძეგლის საკითხს პრესაში ბევრი ქართველი მოღვაწეები გამოხმაურებია, მათ შორის აკ. წერეთელი. იმავე „თემის“ და ქუთაისის გაზეთ „ერის“ მეშვეობით ვგვბულობთ, რომ თბილისში ა. ყანჩელის ინიციატივითა და ხელმძღვანელობით დაარსებულა საზოგადოება, რომელსაც მიზნად დაუსახავს შეესწავლა და გამოეცა ქართველ კლასიკოსთა ნაწარმოებები, პირველ რიგში „ვეფხისტყაოსანი“, ეზრუნა აგრეთვე შ. რუსთაველის ძეგლის აგებისათვის.

1913 წელს რუსეთის სახელგანთქმული პოეტი კ. ბალმონტი ამერიკაში მოგზაურობის დროს გემზე გაეცნო ოლიგერ უორდრობს, რომელმაც პოეტს გააცნო თავისი დის, მარჯოთი უორდრობის ინგლისურ ენაზე პროზად თარგმნილი „ვეფხისტყაოსანი“. კ. ბალმონტი აღტაცებაში მოვიდა და გადაწყვიტა პოემა მთლიანად ეთარგმნა რუსულ ენაზე, რისთვისაც ის ჯერ მოსკოვში შეუდგა ქართული ენის შესწავლას და შემდეგ საქართველოში ჩამოვიდა როგორც ენის, ისე საქართველოს ისტორიისა და კულტურის შესასწავლად.

კ. ბალმონტის გადაწყვეტილებას დიდი სიხარულით შეხვდა ქართველი ინტელიგენცია. „ვეფხისტყაოსნის“ რუსულ ენაზე თარგმნა და რუსეთის საზოგადოებრიობისათვის გაცნობა მოუკარგებელი იყო, მიუხედავად იმისა, რომ შ. რუსთაველის გენია-

⁴ იოჰან ვოლფგანგ გოეთე, „ფაუსტი“, ტრაგედია, თარგმნილი დ. ონიაშვილისა, 1962 წ. გვ. 628-629.

ლური პოემის რუსულად თარგმნის ინტერესი ჯერ კიდევ 1801 წლიდან გამოვლინდა და ცდაც მრავალი იყო. ე. ბოლოხოვიციოვი, ნ. ჩუბინიშვილი, გ. წინამძღვრნიშვილი, ი. ბარიატინსკი, ი. ევლახოვი, დ. კვინიხიძე, ვ. სოლოგუბი, ი. ტხოტუევესკი, ი. გრინევსკაია და სხვები სხვადასხვა დროს ლექსად თუ პროზით ცდილობდნენ თარგმნას, ახლა კი ფრიად საპატიო და პასუხსაგებ საქმეს ხელს ჰკიდებდა რუსული პოეზიის უბრწყინვალესი წარმომადგენელი კ. ბალმონტი, რომლის სახელიც მთელ რუსეთში არაჩვეულებრივად პოპულარული იყო.

კ. ბალმონტი თბილისში პირველად ჩამოვიდა 1914 წლის 10 აპრილს. 12 აპრილს, საღამოს მას შეხვედრა მოუწყო „წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ“, „სიტყვაკაზმული მწერლობის“ და ფილარ-

დიდ დახმარებას უწევდნენ ა. ყანჩელი და მისი მეუღლე, ფრიად განათლებული და კულტურული ადამიანი — თამარ ამირაჯიბი-ყანჩელი. ცოლ-ქმარი რუს პოეტს უმზადებდნენ „ვეფხისტყაოსნის“ ადგილების ბჭარედ თარგმანს, აცნობდნენ შ. რუსათველის ლექსის თავისებურებას და სხვ.

კ. ბალმონტი საქართველოში მესამედ 1916 წლის სექტემბერში ჩამოვიდა; თბილისიდან ქუთაისს ეწვია და რაჭა-ლეჩხუმშიც იმოგზაურა. ქუთაისში ჩასვლის დროს კ. ბალმონტს რიონის სადგურზე შეხვდნენ საზოგადოებრიობის წარმომადგენლები კიტა აბაშიძის მეთაურობით. წარმომადგენელთა შორის იყვნენ ასალგაზრდა პოეტები გალაქტიონ ტაბიძე, ვალერიან გაფრინდაშვილი, პაოლო იაშვილი და ად-



კონსტანტინე ბალმონტი, ალექსანდრე (სანდრო) ყანჩელი, გიგო დიასამიძის ქალიშვილი, გაზეთ „თემის“ რედაქტორი გიგო დიასამიძე, ა. ყანჩელის მეუღლე — თამარ ამირაჯიბი.

მთბიულმა საზოგადოებამ. საზეიმო საღამო აკ. წერეთელმა გახსნა. მოხსენება კ. ბალმონტის პოეზიაზე ა. ყანჩელმა წაიკითხა. ამ მოხსენების თუ სიტყვის ტექსტი შემონახული არ არის, მაგრამ ა. ყანჩელი რომ კარგად იცნობდა კ. ბალმონტის პოეზიას და საერთოდ რუსულ სიმბოლიზმს, ეს იქიდანაც ჩანს, რომ მას 1900 წელს წერილი დაუბეჭდაც გაზეთ „ნოვოეობოზრენიეში“ (№ 5561), სადაც ის კ. ბალმონტის შესახებ ეკამათებდა ლიტერატურულ კრიტიკოსს შუტლიაროვს.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, კ. ბალმონტმა თბილისში პირველად ა. ყანჩელის ოჯახში წაიკითხა მოსკოვში თარგმნილი „ვეფხისტყაოსნის“ ადგილები და შემდეგ კი აქვე გააგრძელა თარგმნა. მას ამ საქმეში

გოკატი შოთა დადიანი. ნ ოქტომბერს ქუთაისის თეატრის შენობაში საღამო გამართულა და კ. ბალმონტის პოეზიის შესახებ მოხსენებით ია ეკალაძე გამოესულა. ამ ხანგრძლივ მოგზაურობაში კ. ბალმონტს თან ახლდნენ გაზეთ „თემის“ რედაქტორი გ. დიასამიძე და ა. ყანჩელი თავისი მეუღლით.

კ. ბალმონტმა „ვეფხისტყაოსნის“ თარგმნა 1916 წლის ბოლოს დაამთავრა, მაგრამ მოსკოვში ყოფნის დროსაც იგი კავშირს არ წყვეტდა ა. ყანჩელის ოჯახთან, რაც დასტურდება თბილისის საჯარო ზიბლოთეკაში დაცული მრავალრიცხოვანი წერილებით.

„ვეფხისტყაოსნის“ თარგმნის დროს კ. ბალმონტი-სათვის ა. ყანჩელის და მისი მეუღლის თ. ამირაჯიბი-

ყანჩელის ლიტერატურული დახმარება და კონსულტაციები დადასტურებულია თვით კ. ბალმონტის მიერ.

1917 წლის აგვისტოში ბორჯომში გარდაიცვალა თ. ამირაჯიბი-ყანჩელი. კ. ბალმონტმა დაკრძალვის დღეს გვირგვინი მიიტანა ასეთი წარწერით: «Лучшей грузинке Тамар Канчели от К. Бальмонта во имя пропавшего мне по русски всю поэму Руставели»⁵.

კ. ბალმონტის თარგმანი დასრულებული სახით მხოლოდ 1933 წელს გამოვიდა პარიზში. იგი გამოსცა დ. სელაძის გამომცემლობამ. ამ გამოცემას თან ერთვის მთარგმნელის შესავალი სიტყვა, რომელსაც პოეტი შემდეგი სიტყვებით ამთავრებს: «Печатаю эти лучезарные песни великого грузинского поэта, я не могу не назвать с благодарностью и с любовью несколько имен тех людей, душевное соприкосновение, с которыми привлекло мое внимание к поэме Руставели, и сопровождает меня во всей этой работе,—Тамар Канчели, Сандро Канчели, князя Гиго Диасамидзе и незабываемого мною Оливера Уордროпа».

შოთა რუსთაველის დაბადების 700 წლის იუბილესათვის მზადების დროს ა. ყანჩელმა 1937 წელს ასალციხის რაიონში ჩაწერა ხალხური თქმულება ტარიელისა და ნესტანის სიყვარულზე, თარგმნა რუსულად და დაბეჭდა „ზარია ვოსტოკაში“. ამასთანავე ხელი მოჰკიდა პოემის თარგმანს და რამდენიმე ნაწყვეტი დაბეჭდა „პრავდასა“ და „ზარია ვოსტოკაში“. მთლიანად თარგმნა თუ არა მან პოემა, ჩვენთვის ცნობილი არ არის, თუმცა 1937 წლის 30 დეკემბერს განუთ „ახალგაზრდა კომუნისტში“ დაიბეჭდა გ. მამულაშვილის წერილი, სადაც ავტორი იუწყება, ა. ყანჩელი პოემის მთლიან თარგმნას ამთავრებს. ყოველ შემთხვევაში მთლიანი თარგმანი დღევანდლამდე მიკვლეული არ არის.

საინტერესო მთარგმნელობით მუშაობას ეწეოდა ადვოკატი შალვა ქართველიშვილი, რომელიც მეტად მრავალმხრივი ნიჭით იყო დაჯილდოებული და რომლის მოღვაწეობა მეტად მრავალფეროვანი იყო.

შ. ქართველიშვილი ატარებდა დედის, ელისაბედ ქართველიშვილის გვარს, მამის სახელად კი პაპის გრიგოლის სახელს. სინამდვილეში იგი შექსპირის ტრაგედიების მთარგმნელის ივ. მაჩაბლის შვილი იყო. ორიოდე სიტყვით შეგვირდებით ამ საკითხზე.

როგორც სხვადასხვა ლიტერატურული წყაროებიდან და თანამედროვეთა გადმოცემით ირკვევა, ივ. მაჩაბელი ადრე ეტრფოდა მამის სრულიად ახალგაზრდა, შემდეგ ქართული სცენის მშვენიერს მაკო საფაროვას, მაგრამ მაკო ცოლად გაჰყვა ვასო აბაშიძეს. ამის შემდეგ ივ. მაჩაბელს რომანი ელისაბედ (ლიზა) ქართველიშვილთან ჰქონია. საქმე გადაწყვე-

ტილიც ყოფილა, მალე ჯგარიც უნდა დაეწყოთ, მაგრამ 1889 წლის მაისში ივ. მაჩაბელი საზოგადო მოღვაწის ნ. დიასამიძის ოჯახში გაეცნო თავად ა. ბაგრატიონ-დავითიშვილის ქალიშვილებს, სამუალო დის, ანასტასიას (ტასო) სილამაზით მოიხიბლა, იმავე დამეს სოხოვა ხელი და რამდენიმე დღის შემდეგ იქორწინეს კიდევ⁶. ელისაბედ ქართველიშვილს კი, რომელიც ფეხმძიმედ იყო, 1890 წელს ვაჟიშვილი შეეძინა, რომელიც თავის გვარზე დაიწერა, აღარ გათხოვილა და შეიღეს საუკეთესო აღზრდა და განათლება მისცა.

შ. ქართველიშვილმა 1913 წელს დაამთავრა მოსკოვის უნივერსიტეტი. სამშობლოში დაბრუნების შემდეგ ნაფიც ვეჟილს ი. ბარათაშვილის თანაშემწედ დაინიშნა, შემდეგ ნაფიცი ვეჟილი გახდა და ამ პროფესიას 1938 წლამდე ემსახურა.

შ. ქართველიშვილი გარდა იმისა, რომ ბრწყინვალე ადვოკატი იყო და მალე მოიბოვა სახელი როგორც დამცველმა, ამავე წლებში ბევრს მუშაობდა ლიტერატურისა და ხელოვნების სფეროში. იგი 1909 წლიდან სხვადასხვა ჟურნალ-გაზეთებში ბეჭდავდა ლექსებსა და პოემებს, რომელთა შორის დიდი მოწონების დრისა აღმანას „ნიაგაში“ და „ნაკადულში“ დაბეჭდილი ლირიკული ლექსებია. შალვა საუკეთესო მხატვარიც იყო. საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის ელენე ახვლედიანის გადმოცემით მისი ადრინდელი სურათები — „დგორნიკი“, „მუშა კურტიანი“, „ვირი“, „ყურძნის კრეფა“, „პურის ცხოვა“, „მრეცხავი ქალი“ და სხვები მაღალი ოსტატობით იყო შესრულებული. სახელმთხვევილი მხატვარი ელ. ახვლედიანი თავის მოგონებაში, რომელიც მან ჩვენი თხოვნით მოგვაწოდა, წერს, რომ შ. ქართველიშვილი იყო მისი პირველი მასწავლებელი და მან შეაყვარა ხელოვნება. შ. ქართველიშვილს ბუნებისაგან უხვად მოცემული იუმორის გრძნობა სწორად გრაფიკაში გადაჰქონდა და კარიკატურებს ბეჭდავდა სხვადასხვა ჟურნალ-გაზეთებში.


შ. ქართველიშვილის მიერ დახატული სურათები ბევრი დაიკარგა, მაგრამ მის მეუღლესთან ჰედაგოგ ელენე ბაქრაძე-ქართველიშვილთან დღესაც ინახება აღბომი, სადაც ქართველი პოეტები და არტისტები არიან ჩახატული. აღბომში ნახავთ პაოლო იაშვილის პორტრეტს, რომელიც ისე მოსწონებია პოეტს, რომ იქვე ლექსი მიუწერა:

„აქ ჩემი სახე მეჩვენება ტორეადორად,
ტოლედის ცირკსა რომ ანათებს ამჟამად მდგომი,
ქვეყნის მოწყენა და ტირილი ჩამომამორა,
სად არის ხალხი, მე მზადა ვარ დავიწყო ომი“.

შ. ქართველიშვილი საქართველოს მწერალთა კავშირის მთარგმნელთა სექციის წევრი იყო. მის კალამს ეკუთვნის რუსული მხატვრული ლიტერატურის

⁵ ლ. ანდრეაძე, „ბალმონტი და ქართველი ქალები“, ვაზეთი „ქუთაისი“, 1968 წ. 3 თებერვალი.

⁶ ვ. ჯელოძე, ცხოვრება ივანე მაჩაბლისა, 1967 წ. გვ. 123-125.



კლასიკოსების ბევრი საუკეთესო ნიმუშის ქართული თარგმანი, მათ შორის პუშკინის სამი დრამატული ნაწარმოები: „ბორის გოდუნოვი“, „მოცარტი და სალიერი“ და „ქვის სტუმარი“, რომელთა თარგმნა მან 1935-1937 წლებში შეასრულა პუშკინის გარდაცვალების 100 წლისთავთან დაკავშირებით. ეს ორი უკანასკნელი 1937 წელს კ. მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო თეატრში დაიდგა.



შალვა ქართველიშვილი

შ. ქართველიშვილი თავისი მრავალფეროვანი ნიჭით და განათლებით მუდამ იპყრობდა ქართველი ინტელიგენციის ყურადღებას. იგი უახლოეს მეგობრულ ურთიერთობაში იმყოფებოდა პოეტებთან, მწერლებთან, კომპოზიტორებთან, მხატვრებთან. მის პარად არქივში ვნახეთ მისდამი და მისი ცოლისადმი ქართველ პოეტთა მიძღვნილი ლექსები. აი, მაგალითად, პაოლ იაშვილის ლექსი —

„ტრიოლეტი
შალვა ქართველიშვილს

მე შემიყვარდა გაღივება შენი ფარული და მოყვარული მეოცნებე შენი თვლები იქ იმალება, რასაც ალბათ გრძნობენ ქალები, ეტრფიალები და გამშვენებს დიმი ფარული. მწვავს სიხარული როცა მესმის შენი „არული“ მე შემიყვარდა მეოცნებე შენი თვლები და გაღივება მოყვარული და დაფარული“.

გალაკტიონ ტაბიძესაც, ალბათ ექსპრომტად, ორი ლექსი მიუძღვნა მისთვის და მისი მეუღლისათვის. პირველი დაწერილია 1936 წელს:

6. საბჭოთა სამართალი № 1

„რადგან ვიცით კრთომა,
რადგან ვიცით კრძალვა,
მე თქვენ გენაცვალეთ,
ვლივთ და შალვა!

ვიყვეთ, გუცქეროდეთ
ჩვენს მთებსა და გორებს
კიდევ გენაცვალეთ —
გული იმეორებს.

ამ ოჯახში ჩვენი
გული ერთად ვშალეთ,
კიდევ ვიმეორებ —
კიდევ გენაცვალეთ“.

მეორე ლექსი კი, მიძღვნილი შ. ქართველიშვილის მეუღლე ელენე (ელიკო) ბაქრაძე-ქართველიშვილსადმი, დაწერილია 1937 წლის 25 იანვარს:

„წამებას ბევრი დაკარგვის გამო
ვერ გამოხატავს დღეთა მირონი
მისთვის უდაბნო იყო მიდამო,
სადაც შელლია და ზაირთნი
ელიკო! გელის გალაკტიონი“.

1912 წელს ქართველ საზოგადო მოღვაწეთა ერთი ჯგუფის ინიციატივით დაარსდა ქართველ მწერალთა პირველი ორგანიზაცია — „ქართული სიტყვაკაზმული მწერლობის საზოგადოება“, რომლის გამგეობის თავმჯდომარედ არჩეულ იქნა ადვოკატი გრ. რცხილაძე. საზოგადოების წევრი გახდა ახალგაზრდა პოეტი იოსებ გრიშაშვილი. გრ. რცხილაძის ინიციატივით 1914 წელს „სიტყვაკაზმული მწერლობის საზოგადოებამ“ გამოსცა ი. გრიშაშვილის ლექსების პირველი კრებული. პოეტს ერთი ეგზემპლარი ადვოკატ შალვა ქართველიშვილისათვის მიუერთმევია და თავფურცელზე ასეთი ლექსი მიუწერია:

შ. ქართველიშვილს
მე შენ მიყვარხარ არა იმიტომ,
რომ სხვა ენაზე სთარგმნი ჩემს ლექსებს,
და არც იმიტომ, რომ ქალთა კონა
შემოგციცავებს და გიაღერებს.
და არც იმიტომ, რომ ხარ კეთილი,
ცელქი, გიჟმაჟი, მოუსვენარი,
და არც იმიტომ, რომ ხარ ნატიფი
თვალად — სხივანა, ტანად — კენარი. —
მე შენ მიყვარხარ, და ჩემი ტრფობა
შენს გულში მიტომ დაგასაფლავე,
რომ შენში ჩქეფობს ქართველის სული
და მგოსნის ფიქრი მონათესავე!

ეს ლექსი შემდეგ რუს სიმბოლისტ პოეტ ნ. ბობიროვს რუსულად უთარგმნია და გაზეთში გამოქვეყნებულია:

И. ГРИШАШВИЛИ

(с грузинского)

(посвящается Ш. Карвелишвили)

Я не за то люблю тебя, мой друг,
Что мой напев слагаешь в речь иную,
И не за то, что дев цветочный круг
Прильнул к тебе, улыбками целуя;
И не за то, что добр и крожок ты,
Что светлые в тебе пленяют чары,
Что они светят пламенем мечты,
Что ты страшной взносящейся чинары;
Нет,— я люблю тебя, и схоронил
Мою любовь в твоём я сердце, зная,
Что есть в тебе грузина гордый пыл
И мысль поэта, струнная, родная».

შ. ქართველიშვილი დაინტერესებული იყო შოთა რუსთაველის რუსულ ენაზე თარგმნით და მთელი მონღოლებით ეხმარებოდა ყველას, ვინც კი ამ საპატიო სამუშაოს სურს მოჰკიდებდა. ჯერ კიდევ 1914-1916 წლებში იგი დიდ დახმარებას უწევდა კ. ბალმონტს, როდესაც პოეტი „ვეფხისტყაოსნის“ თარგმანზე მუშაობდა. ეს დადასტურებულია თვით კ. ბალმონტის წერილებით ცოლისადმი, რომლებიც მას თბილისიდან მოსკოვში გაუგზავნია. კ. ბალმონტი წერილებში იხსენიებს „კარტველოვს“, რომელიც მას შენიშვნების მაცემითა და კონსულტაციებით ეხმარებოდა. წერილები ამჟამად თბილისის საჯარო ბიბლიოთეკაშია დაცული. მაგრამ ბასყურადღებო უფრო ის არის, რომ უკრაინელმა პოეტმა პანტელეიმონ პეტრენკომ „ვეფხისტყაოსნის“ თარგმანა შ. ქართველიშვილის ზეგავლენით დაიწყო და მისი აქტიური დახმარებით შესრულა.

პ. პეტრენკო თავდაპირველად თბილისის 1932 წელს ეწვია. ნიჭიერმა ახალგაზრდა პოეტმა უმაღლეს მიიქცია ქართველი ინტელიგენციის ყურადღება. მალე იგი შ. ქართველიშვილის ოჯახს დაუმეგობრდა. სწორედ ამ ოჯახში მოსიძინა საუბარი კ. ბალმონტის მიერ პარაზში 1933 წელს „ვეფხისტყაოსნის“ გამოცემის შესახებ და ძალიან დაინტერესდა. პ. პეტრენკოს იმავე დამეს უთხოვია შალვასათვის, რომ რომელიმე ადგილი ეთარგმნა რუსულად სიტყვა-სიტყვით. შალვას იმავე საღამოს უთარგმნია „ავთანდილის ანდერძი“, პ. პეტრენკოს მეორე დღევანდელ რუსულად გაუთქმავს და მოუტანია. ამის შემდეგ პ. პეტრენკო მალე უკრაინაში დაბრუნდა, უკრაინიდან მოსკოვში ჩასულა და ბ. პასტერნაკისათვის უამბინა თავისი ცდების შესახებ. პ. პეტრენკოს თბილისში დაბრუნება გადაუწყვეტია, მაგრამ ამისათვის საჭირო თანხა ვერ უშოვია და შ. ქართველიშვილის მეუღლისათვის ასეთი შინაარსის წერილი გამოუგზავნია: «В. Пастернаку мои стихи очень понравились и он объявил, что для меня надо нечто конкретное. Пока это выражается в том, что он сегодня отправляет письмо в Тифлис к Жгенти с тем, чтобы сей, последний, в начинающем издаваться журнале «Литература и хеловнеба» поручил мне переводы, которые предназначались для

него. Как бы только добраться до Тифлиса, никак не удастся изыскать средства. Ваш П. Петренко».

წერილის პასუხად შ. ქართველიშვილს პ. პეტრენკოსათვის მოსკოვში ფული გაუგზავნია, პოეტი თბილისში დაბრუნებულა, „ვეფხისტყაოსნის“ თარგმნას შესდგომია და დაუსრულებია კიდევაც. ამავე წლებში პ. პეტრენკომ რუსულად თარგმნა ბესიკის, საიათნოვას და თანამედროვე ქართველი პოეტების რამდენიმე ლექსი. მაგრამ იგი სრულიად ახალგაზრდა, ნიჭის გაშლის პერიოდში 1936 წელს ბრმა შემთხვევის წყალობით ტრაგიკულად დაიღუპა, ჩელიუსკინელების სახელობის დაუმთავრებელ ხიდზე ფეხი დაუცდა, მტკვარში ჩავარდა და დაიხრჩო.

„ვეფხისტყაოსნის“ მთარგმნელთა შორის უნდა მოიხსენიოთ ადვოკატი ნიკოლოზ იავორის ძე მზარეულიშვილი, რომელიც 1962 წელს გარდაიცვალა და იმდენად დიდი ლიტერატურული მემკვიდრეობა დატოვა, რომ სპეციალურ შესწავლას მოითხოვს.

ვიდრე შევეხებოდეთ ნ. მზარეულიშვილის მიერ „ვეფხისტყაოსნის“ თარგმნის საკითხს, საჭიროდ მიგვაჩნია მოკლედ შევხებით მის ლიტერატურულ მოღვაწეობას:

ნ. მზარეულიშვილმა 1899 წელს დაამთავრა მოსკოვის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი და 1905 წელს თბილისის სასამართლო პალატასთან ნაფიც ვეჟილად ჩაირიცხა. ადვოკატის პროფესიას იგი 1962 წლამდე ემსახურა, მაგრამ მთელი თავისი ცხოვრების მანძილზე მეტად ნაყოფიერ ლიტერატურულ საქმიანობასაც ეწეოდა. იგი „რეულოს“ ფსევდონიმით აქვეყნებდა ლექსებს, დრამებს, რუსულ ენაზე თარგმნიდა ქართული ლიტერატურის კლასიკოსებს და სხვ.

ლიტერატურულ არენაზე ნ. მზარეულიშვილის სახელი ცნობილი ხდება 1910 წელს, როდესაც მან საკუთარი ლექსების კრებული გამოსცა («Песни раннего заката»). ამას მოჰყვა რუსულად დაწერილი ორი პიესა: „საფო“, საბერძნეთის პოეტი ქალის საფოსა და ალკეის სიყვარულზე და იუდეველთა ცხოვრების ამსახველი „სალომეას ცეცხლი“.

ნ. მზარეულიშვილმა ქართული მხატვრული ლიტერატურის თარგმნის საქმეში პირველი ნაბიჯი 1914 წელს გადადგა. თარგმნა და გამოსცა ქართველი პოეტების ლექსების 250-გვერდიანი კრებული. აქ არის ნ. ბარათაშვილის, ა. ჭავჭავაძის, ილიას, აკაკის, ვაჟას, რ. ერისთავის, ბ. ახოსპირელის, მ. გურიელის, დ. განდევლის, კ. მყავილის, ი. ვრიშაშვილის, დუტუ მგერელის, ვ. რუსაძის, ა. ჭალადიძელის, ი. ევდოშვილის და ს. შანშიაშვილის ლექსები. ასეთი კრებულის გამოცემას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, ვინაიდან იმ წლებში ქართულ პოეზიას რუსეთის საზოგადოებრიობა ცუდად იცნობდა, მით უფრო, რომ მან პირველად თარგმნა რუსულ ენაზე და კრებულში დაბეჭდა ქართული პო-

უზის ისეთი შედეგები, როგორც არის ნ. ბარათაშვილის „გზოვე ტაძარი“, „შევიშრობ ცრემლსა“, ალ. ჭავჭავაძის „გოგჩის ტბა“, „სიყვარულო ძალსა შენსა“, ილიას „ელგია“, აკაკის „სულივო“ და ვაჟას „არწივი“.

ნ. მზარეულიშვილს ამ კრებულის გამოცემით არ შეუწყვეტია ქართველი პოეტებისა და მწერლების ნაწარმოებთა თარგმნა. მანვე გალექსა და რუსულად თარგმნა ი. გედევანიშვილის ზღაპარი „სინათლე“, სულხან-საბას ივაგ-არაკები და სხვ. რუსულიდან, ინგლისურიდან და სპარსულიდან ქართულად თარგმნა კოროლენკოს მოთხრობა „ტყის შრიალი“, გორკის „ყირიმის ხანი“, ჯეკ ლონდონის „მექსიკელი“ და ფირდოუსის „რუსტემი“. მანვე ხალხური თქმულების მიხედვით რუსულად დაწერა დრამა „ამირანიანი“, რომლის სიუჟეტზე კომპოზიტორმა კ. შეღვინეთუხუცესმა საოპერო მუსიკა შექმნა. მანვე დაწერა სამმოქმედებიანი დრამა-ზღაპარი „ეთერიანი“ და ისტორიული შინაარსის პიესები — „სტენკა რაზინი“, საფრანგეთის დიდი რევოლუციის ერთ-ერთი ბელადის — მარატის მოკვლის თემაზე „შარლოტა კორდე“, სოლომონ ბრძენის ცხოვრებაზე „სულამიფი“, ძველი საბერძნეთის თემაზე „კლეოპატრა“, ნაპოლეონის ბრძოლების ისტორიაზე „სმოლენსკის ახლოს“, თარგმნა ქართულად რაბინდრანატ თაგორის ლექსები, «Слово о полку Игореве».

ნ. მზარეულიშვილმა დატოვა აგრეთვე დღიურების სახით საინტერესო მოგონებანი დიდ ადამიანებზე — ლ. ტოლსტოიზე, ა. კუპრინზე, ილიაზე, ვაჟაზე და სხვებზე. ერთ დღიურში, აჭამებს რა თავის ცხოვრებას, წერს: „მთელი ჩემი ცხოვრების მთავარი სიხარული და შრომა, რა თქმა უნდა „ვეფხისტყაოსანი“ იყო“. და მართლაც დიდი შრომა გაუწევია პოემის თარგმნაზე, რაც 1931 წელს დაუწყია და 1948 წელს დაუმთავრებია. ამჟამად იგი მის პირად არქივში ინახება. ნ. მზარეულიშვილი პოემის რუსულად თარგმნით არ დაკმაყოფილებულა და როდესაც შოთა რუსთაველის იუბილესთან დაკავშირებით „ვეფხისტყაოსნის“ სიუჟეტზე სხვადასხვა ლიტერატურული ჟანრის ნაწარმოებთა შესაქმნელად კონკურსი გამოცხადდა, მას 1935 წელს ჟიურისათვის წარუდგენია დრამა რუსულად — „ვეფხისტყაოსანი“. მის პირად არქივში დაცულია დრამის ერთი ეგზემპლარი. მასვე კინოსტუდიისათვის გაუმზადებია სცენარი „ვეფხისტყაოსნის“ სიუჟეტის მიხედვით.

ასეთია დაახლოებით ქართველ ადვოკატთა მიერ სამეცნიერო და მხატვრული ლიტერატურის თარგმნის ისტორია. ჩვენი ადვოკატები წინაპართა საქმიანობას დღესაც აგრძელებენ.

ბიორგი ხარატიშვილი



დ. ჩოგუას გასამართლება მეუღის სასამართლოში

1876 წლის 22 ივლისს თბილისში ამაზრზენი ამბავი მოხდა: საღამოს 10 საათზე სასლიდან გაქრა ახალგაზრდა ქალი ნინო ერასტის ასული ანდრეევსკაია, რომლის გვამიც მეთევზეებმა ქალაქიდან მოშორებით დილით მტკვარში იპოვეს. მთელი თბილისი შეიძრა. შემთხვევა საიდუმლოებით მოცულ მკვლელობად მიიჩნეს და ბრალი გიორგი შარვაშიძის მოურავს დავით ზურაბის ძე ჩქოტუას დასდეს.

სასოფადობრიობის ასეთი დიდი ინტერესი ამბისადმი შემთხვევითი არ იყო.

ნინო ანდრეევსკაიას მამა — ერასტი ანდრეევსკი კავკასიის ყოფილი მთავარმართებლის მ. ს. ვორონცოვის პირადი ექიმი ვახლადთა, ხოლო დედა, — ბარბარე თუმანიშვილი, გასული საუკუნის ორმოცდაათიანი წლების სასოფადო მოღვაწე. ამ ოჯახს საკმაოდ მაღალი მდგომარეობა ეჭირა მაშინდელ სასოფადობაში და მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდა წარჩინებულთა წრეებთან.

ერასტის დიდალი მამულები ჰქონდა აღმოსავლეთ საქართველოში, მთელი თავისი ქონება მან ანდრეევსკის დაუტოვა ორ ქალიშვილს ნინოს და ელენეს. ეს უკანასკნელი ცოლად ჰყავდა ნიჭიერი პოეტისა და დრამატურგის, თავად გიორგი შარვაშიძის. მამულები კარგა ხანს იყო გაუყოფელი და მას გიორგი მარიავდა, ხოლო შემდეგ, როცა ანდრეევსკაიას ოჯახი საცხოვრებლად ოდესაში გადავიდა, მან ეს საქმე თავის მეგობარსა და ძიძიშვილს დავით ჩქოტუას მიანდო.

დავითი იყო პირველი აფხაზი, რომელიც პეტერბურგის უნივერსიტეტში საბუნებისმეტყველო მეცნიერებას ეუფლებოდა. იგი გატაცებით სწავლობდა აგრეთვე ქართულ მწერლობას და ერთგულად ემსახურებოდა მას, როგორც ქართული პერიოდული პრესის წარმომადგენელი. ახალი მოვალეობის შესასრულებლად თბილისში გადმოსვლა მას უსახავდა ჰუმანიტარულ სანატრულ პერსპექტივას, მაგრამ ფრთხილად გაშლა არ დასცალდა.

სულ მალე დებმა გადაწყვიტეს ნაანდრეევსკი ქონება გაეყოს. ამ მიზნით ნინო ოდესიდან თბილისში ჩამოვიდა დედის თანხლებით. თავადი გიორგიც აქ იმყოფებოდა. გაყოფა მშვიდობიანად ჩატარდა. ნინო თავისი წილით ფრიად კმაყოფილი დარჩა და მამულის მართვის საკითხის საბოლოოდ მოგვარებამდე საცხოვრებლად გიორგის სასლში გადავიდა.

იმ დღეებში დავითს სტუმრად ეწვია ძმა ნიკო, რომელიც სამხედრო სამსახურში აპირებდა გამწესებას. იგი ძმის ბინაში დარჩა, ხოლო გიორგი მეუღლითურთ გადაუდებელი საქმის გამო ქუთაისს გა-

ემგზავრა. ამრიგად სასლში დარჩნენ: ძმები ჩქოტუები, მზარეული პეტრე გაბისონია, დარაჯა ზურაბ ქორიძე და მებაღე ივანე მეგლაძე.

ნინო და დედასი მთელ დროს ახლომხელ ნათესავებთან ატარებდნენ. ისინი დილით გადიოდნენ შინიდან და საღამოს 7-8 საათზე ბრუნდებოდნენ. სასლი მტკვრის პირას მდებარეობდა და ორსართულიანი იყო. ფასადით ვრცელ ეზოში გადიოდა. სამი მხრიდან გარს ერტყა დაბურული ბაღი, ხოლო უკანა მხრიდან მიდგომული ჰქონდა ოთხი-ხუთი ნაბიჯის ოდენა ბაქანი, რომელიც მტკვარს გადაჰყურებდა. აქედანვე იწყებოდა მდინარეზე ჩასასვლელი ვიწრო ბილიცი.

შემთხვევის დღეს სასლში დაბრუნებულ დედაშვილს დავითი ეზოში შეხვდა. ბინდებოდა. დაასლოებით ოც წუთს იმასლაათეს. შემდეგ დავითი ქალაქში წავიდა თავის საქმეებზე, ხოლო ნიკო, მისი ძმა, კიდევ უფრო ადრე წასულიყო ცნებით სასერიზოდ.

ივლისის სიცხით შეწუხებულმა ნინომ შინ დაბრუნებისთანავე გადაიცვა საშინაო კაბა, ფეხი ჩაჰყო საშინაო ფეხსაცმელში და ტანსაცმელი აიგანზე გაიტანა გასაფრთხად. მერე ოთახში დაბრუნდა და თავისი სიძის თავად გიორგისადმი ქუთაისში გასაგზავნი წერილის წერას შეუდგა. როცა წერილი ჩაათავა, სანთელი აიღო, დედას უთხრა, მზარეულ გაბისონიასთან გავალ ფეხსაცმლის მოსატანად და დერეფანში გავიდა.

ბარბარე ოთახში იჯდა, სელსაქმობდა და შვილს ელოდებოდა, უკვე ათი საათი სრულდებოდა, ნინო კი არსად ჩანდა. დედა მოუსვენრობამ შეიპყრო. იგი ადგა და დერეფანში გამოვიდა. დიდად გაოცდა, ნინოს მიერ წამოდებული სანთელი ბაქანზე გამავალი კარის პირდაპირ იატაკზე რომ დაინახა, ხოლო ნინო არსად იყო. ეს ცუდად ენიშნა ბედსავე ქალს. მაშინვე გააღვიძა შინამოსამსახურეები, მაგრამ მათ სანუგეშო ვერაფერი უთხრეს. შეშფოთებული ბარბარე ნიკოს ოთახში შევიდა. ნიკო გასერიზებიდან კარგა ხნის წინ დაბრუნებულიყო და დაძინებაც მოესწრო. ის მაშინვე ადგა და ძებნას შეუდგა. სმაურის მისწვდა ქალაქიდან ახლახან დაბრუნებულ დავითსაც. მან ფანჯარა გამოაღო და იკითხა, რა ამბავიაო. როცა გაიგო რაშიც იყო საქმე, სერთუკი მხრებზე მოიგდო და ძირს ჩამოვიდა.

ეზოში და ბაღში ძებნამ შედეგი არ გამოიღო. მაშინ იფიქრეს, შეიძლება მდინარეზე ჩავიდაო. დავითი და პეტრე ბილიცით დაემგზვნენ ძირს და რიყზე

წააწყდნენ ნინოს ტანისამოსს. გასაგები გახდა, რომ ქალის გვამი მდინარეში უნდა ეძებნათ.

თითქოს აღარავის ეპარებოდა ეჭვი იმაში, რომ სიცხით შეწუხებული ასალგაზრდა ქალი მტკვარში ჩავიდა საბანაოდ და ბრმა შემთხვევის წყალობით დაიდრჩო. მაგრამ სულ მალე მეფის ჟინდარმერიამ ყველაფერი თავდაყირა დააყენა. დავითი გამოაცხადეს მკვლელად, ხოლო მისი მახლობლები — ხელის შემწყობად. პრესაში გაჩაღდა აღვირახსნილი კამპანია. რეაქციული გაზეთები აქვეყნებდნენ ყოველგვარ მონაჭორს, რასაც კი ყურს მოჰკრავდნენ ოლნდ იგი გიორგისა და დავითის წინააღმდეგ ყოფილიყო მიმართული. ამ საქმეში განსაკუთრებით გამოიყო თავი „თბილისის მოამბემ“... და ვინ იფიქრებდა მაშინ, რომ ყოველივე ეს კეთილდღობა პირადად კაკვასის მთავარმართელის, დიდი მთავრის მიხეილ ნიკოლოზის ძის პირდაპირი მითითებით. მიზეზი კი, აი, რა გახლდათ:

გიორგი შარვაშიძის მამა მიხეილ შარვაშიძე იყო აფხაზეთის უკანასკნელი მთავარი. მეფისნაცვალმა მიხეილ ნიკოლოზის ძემ იმდენი მოახერხა, რომ იგი აფხაზეთის მთავრობიდან გადააყენა, 1864 წელს დააპატიმრა და სამუდამო გადასახლებაში ამოსადა სული. მანვე დიდი სისახტიკით ჩააქრო აფხაზეთში ორი წლის შემდეგ ამტყდარი დიდი სახალხო აჯანყება, რომელიც პასუხი იყო ახლადამყარებული რუსული მმართველობის მეთოდებისა. ამ აჯანყებამ, მართალია ძალიან მოკლე ხნით, მაგრამ მაინც გახადა გიორგი შარვაშიძე აფხაზეთის მთავარი. აჯანყების დამარცხების შემდეგ მეფისნაცვლის ინიციატივით აფხაზეთის ყოფილი მთავრის ოჯახს ჩამოერთვა მთელი ქონება და უადრესად დამარცხებულ მდგომარეობაში იქნა ჩაყენებული. ცხადია, ყოველივე ამის გამო გიორგი მთავრობასთან კონფლიქტი იყო და მეფისნაცვალის მასში ბუნებრივ მტერს ხედავდა, ამიტომ მუდამ იმას ცდილობდა, როგორმე გიორგიც მოეშორებინა თავიდან.

როგორც უკვე ითქვა, დავით ჩქოტუა გიორგი შარვაშიძის ძიძიშვილი იყო. დავითის მამა, ზურაბ ჩქოტუა, აფხაზეთის სამთავროს კარზე დიდად მიღებული, მიხეილ შარვაშიძის შვილების აღმზრდელი და საპატიო პიროვნება იყო. გიორგი და დავითი თანამოასაკენი იყვნენ, ერთად დაეწაფნენ ქართულ ენასა და ქართულ მწიგნობრობას. მათ ზეპირად შეისწავლეს „ვეფხისტყაოსანი“. „თავიანთი აღზრდილია და მსოფლმხედველობით ისინი ერთსა და იმავე საზოგადოებრივ-კულტურულ წრეს ეკუთვნოდნენ. აღზრდილი იყვნენ ძველი ქართული ფოლკლორული კულტურის ნიადაგზე და საუცხოოდ იცნობდნენ მას. ორივენი თანამშრომლობდნენ „დროებაში“, რომელიც იმ დროს (სამოცლათიანი წლების დამდეგს) ყველაზე პროგრესული ორგანო იყო საქართველოში“ (ს. ჯანაშია). ცხადია, გიორგისთან ერთად დავითიც „საეჭვო“ პირად იყო მიჩნეული.

ამიტომ, როცა ეს უბედურება მოხდა და ანდრეევ-

სკაიას ქალი დაიღუპა გიორგი შარვაშიძის სახლში, სადაც მოურავად იყო მისი თანშერდილი და ახლობელი ადამიანი — დავითი, ხელისუფლებმა გადაწყვიტეს დაუყოვნებლივ გამოეყენებინათ ეს შემთხვევა. პირველ რიგში ჩირქი მოეცხთო გიორგისათვის და საბრალდებო სკამზე დაესვათ იგი. რაკი საქმის გარემოებათა გამო ეს არ ხერხდებოდა, დავითი გასწირეს.

ამოძრავდა საიდუმლო პოლიციის მექანიზმი, მეფის ოხრანა შეუდგა მტკიცებითა შეროვებას. ამასთან ერთად დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა გარკვეულ ეფექტებსაც. პოლიციამ საპატიმროში შეჰპარა შარვაშიძის შინაბოსმასხურებები: პეტრე გამბისონია, ზურაბ ქორიძე და ივანე მგელაძე. მალე მათ დავითი და მისი ძმა ნიკოც მიჰყვეს. ეძებდნენ და ჰკითხავდნენ ათობით მოწმეს. არ იფიქრებდნენ საზოგადოებრივ აზრსაც. ოფიციალურად გამოცხადდა, რომ ნინო ანდრეევსკაია შემთხვევით არ დაღუპულა, იგი ჯერ მოკლეს და მერე წყალში ჩააგდეს.

ამდენმა მეცადინეობამ შედეგი გამოიღო. ნაცნობებმაც და უცნობებმაც ირწმუნეს, რომ ნინო ბოროტ-გამაზრავლის ხელით იყო მოკლული. და ასეთად დავითი მიიჩნეს. ამ პროვოკაციას ნიკო ნიკოლაძეც კი წამოეგო. მან გულისწყრომით აღსავეწ წერილი გამოაქვეყნა „დროებაში“, სადაც დავითი აუგად მოიხსენია ახალგაზრდა ქალის მოკვლისათვის. მართალია, ყოველივე ეს გაუგებრობის შედეგი იყო, მაგრამ პოლიციის მოხელეთა მიერ გამოქვეყნებული მტკიცებანი არც ისე უზადო იყო, რომ მათს ჭეშმარიტებაში ეჭვი არავის შეჰპარებოდა. აი ისინიც: 1. სხვისი დახმარების გარეშე ნინო ანდრეევსკაია ვერ შეძლებდა ციკაბო ბილიკით მდინარეზე ჩასვლას, და ისიც დამით. 2. და თუ მაინც მართო მოახერხებდა ჩასვლას, უნდა დასვროდა კაბა და ფეხსაცმელი, რადგან ბილიკი ტალახიანი იყო, 3. თუ მას ბანაობა მართლა ჰქონდა გადაწყვეტილი, წყალში პერანგით არ ჩავიდოდა. 4. ბუნებით მორცხვი და მორიდებული ქალიშვილი ბანაობას არ დაიწყებდა იმ დროს, როცა გაღმა მამაკაცები ბანაობდნენ. 5. ნინო მუდამ აღმშობებით ამბობდა, ამისთანა მღვრიე წყალში ბანაობა როგორ შეიძლება. 6. თუ კი იგი მართლაც დაიდრჩო, ნ-მ საათის განმავლობაში მის გვამს მდინარე 40 ვერსზე ვერ წაიღებდა. 7. ვინაიდან ქალაქიდან 16 ვერსზე მტკვარი სამ ტოტად იყოფა და წყალნაკლებია, მცირე სიღრმის გამო წყალი ვერ შესძლებდა გვამის გადატანას ამ ადგილს იქით. და თუ შესძლებდა, ქვეშე ნახობები გვამი დაზიანებული იქნებოდა. სინამდვილეში მას არცერთი სისხლნაქენითი თუ განაკაწრი არ აჩნდა.

იურისპრუდენციაში გაუთვითცნობიერებელი ადამიანიც კი იოლად მიხვდება, რომ ყოველივე ეს არის ვარაუდი, რომელიც არ იძლევა პასუხს კითხვაზე: მოხდა თუ არა დანაშაული?

ამას კარგად გრძობდნენ თვით პოლიციის მოხელეებიც და ყოველნაირად ცდილობდნენ საჭირო მტკი-

ცემების შექმნას. სასამართლო სამედიცინო ექსპერტების ადგილობრივი მოხელეები იყვნენ და მათთან საქმე იოლად გააწყვეს. გორალევიჩმა, გლავაცკიმ, ბლიუმბერგმა და პავლოვსკიმ გასაოცარი ერისულოვნებით დაასვენეს, ნინო ანდრეევსკაია თვითონ კი არ დამხრჩვალა, არამედ იგი ჯერ მოუგუდავთ დ მერე ჩაუგდიათ წყალში.

ცხადია, ეს დასკვნა შეპირისპირებული იყო მთევზების ფილუა მენაბდიშვილის, ესტატე ჭიბარისვილის, ივანე არუთინოვისა და გიგოლა კარაკოშოვის ჩვენებებთან იმის შესახებ, რომ ნინოს გვამი წყლიდან ამოყვანისას სუფთა იყო და დაუსინჯებელი.

პოლიციის მოხელეებმა აქედან დაასკვნეს, რომ მკვლელობა ჩადენილია ქალაქში, შემდეგ გვამი წადებულა ქალაქგარეთ და ჩადებულია მდინარეში დაახლოებით იმ ადგილას, სადაც იგი დილით მთევზებმა იპოვეს, ხოლო გამოძიების შეცდომაში შეყვანის მიზნით ტანისამოსი მიტანილია და განგებ დაწყობილია რიყეზე, სახლის ახლოს. ამით გადაწყვეტილი იყო იმის დამტკიცება, რომ მკვლელობა სწორედ ჩქოტუების მიერაა ჩადენილი გიორგის შინამოსასახურეების დასმარებებით, ამასთანვე ბრალდების მთავარი ობიექტი რა თქმა უნდა, დავითი იქნებოდა.

მის წინააღმდეგ მიმართულ მთავარ მხილებად ძალები გამოიყენეს. შარვაშიძის სახლში ხუთი თუ ექვსი აუი ძაღლი ჰყავდათ, მაგრამ შინაურებს, მათ შორის ნინოს და მის დედას კარგად ცნობდნენ და არ ერჩოდნენ. ძაღლებიდან ერთი იყო განსაკუთრებით ავი, დავითი მუდამ შიშობდა, არ გაცოფდეს და ვინმე არ დაკბინოსო. აღრვეე უნდოდა მისი მოკვლა, მაგრამ შეიცვალა. შემდეგ კი მოხდა ისე, რომ სწორედ იმ სახელებისწორედ დღეს მოაკვლევინა ივანე მგელაძეს კეტით. ამის დამნაშავე დანარჩენი ძაღლები სადაც მიიმალნენ, მთელი დღე არ გამოჩენილან და არც ხმა ამოუღიათ. მეფის ოსხანკამ ბაღში ძაღლების მიმალვის ფაქტი მათი დამწყვედვის ფაქტად მონათლა და მკვლელობის წინასწარ მზადებად მიიჩნია.

საღამოს, დედა-შვილთან საუბრის შემდეგ, დავითი ქალაქში რომ წავიდა, კაპანაძის სახელოსნოში შეიარა, თავისი ძველი შარვალი უნდოდა წამოეღო, მაგრამ იქ არავინ დახვდა. შემდეგ აფთაჟიდან ქინა და მაზოლის წამალი გამოიტანა, ჩარუსჩიანცების მაღაზიაში შარვალი იყიდა და სასტუმრო „ვეროპაში“ ავიდა ვახშმის საჭმელად. სახლში რომ დაბრუნდა, მისი ვარაუდით, თერთმეტის თხუთმეტი წუთი იქნებოდა.

პოლიცია არც ამ მონაცემებს შეუშინდა. მან ყოველივე ეს ალიბისათვის გამოიხსნა განზრახ შექმნილ პირობად მიიჩნია და დავითის მიერ დანაშაულის ჩადენის დამადასტურებელ მტკიცებად ჩათვალა. ამას ერთმა გარემოებამაც შეუწყო ხელი. დავითხვისას მკვარვმა კაპანაძემ უარყო შარვლის მიბარების ფაქტი. სხვა მონაცემების შემოწმებისთვის კი თავი არავის შეუწუხებია.

ასევე შეაბრუნეს დავითის საწინააღმდეგოდ მებორნე კადურინის ჩვენებაც. მებორნემ განმარტა, რომ

დავითი დიდხანს იდგა წყლის პირას და გააჟურებდა მდინარეს, შემდეგ ჩემთან მოვიდა და დამეწყო გემოკითხვა, ხომ არ დავინახავს საბანაოდ ჩამოსული ქალიო.

დავითის ასეთი საქციელი პოლიციის მოხელეებმა თვითღმაცობად ჩათვალეს და იგი ბრალის დამადასტურებელ მტკიცებად მიიჩნიეს. თანაც გრძობდნენ, რომ მიზნის მისაღწევად ყოველივე ეს საკმარისი არ იქნებოდა. ამიტომ მიმართეს სხვა მეთოდებსაც, რათა მკვლელობის ფაქტის დამადასტურებელი მოწმეთა პირდაპირი ჩვენებები მიეღოთ. ამ მიზნით დაიწყეს შარვაშიძის შინამოსამსახურეების ქორიძის, მგელაძის და გაბისონიას გაძლიერებული „დამუშავება“. პირველივე დავითხების შემდეგ ისინი მოათავსეს ცალ-ცალკე საიდუმლო საკნებში. შიმშილი, სიბნელე, დაპირება, მუქარა, შანტაჟი, მოსყიდვა, ჩაგონება, აგენტების მიგზავნა, ერთმანეთზე წაქეზება — აი რა საშუალებებით მოქმედებდნენ პოლიციის მოხელეები. ტანჯვა-წამება თვეობით ცოტაღებოდა. გაბისონია ყველაზე ახალგაზრდა იყო და გაუძლო არაადამიანურ მოპყრობას. ქორიძესა და მგელაძეს კი ნებისყოფამ უმტყუნათ და ჩვენება მისცეს, თითქოს მკვლელობის მოთავე იყო დავით ჩქოტუა, სხვები კი ვიღაც უცხო კაცებთან ერთად მისი განკარგულებით მონაწილეობდნენ დანაშაულის ჩადენაში. პეტრე გაბისონიას მიმართ კი პოლიციის მოხელეებმა ისღა მოახერხეს, რომ მოსყიდულ მოწმეებს ათქმევინეს, თითქოს გაბისონიამ მათ გაანდო შენაურულად, როგორ მოკლეს ნინო ანდრეევსკაია.

ასეთი შედეგების „მიღწევის“ შემდეგ გადაუწყვეტილი რჩებოდა ერთი ფრიად მნიშვნელოვანი საკითხი. ეს იყო მკვლელობის მოტივი. პოლიციის მოხელეებმა არ დაიშურეს ძალა და ენერგია, რათა ბრალდება ამ მხრივაც განემტკიცებინათ. ერთადერთი, რაც მათ შესძლეს, ის იყო, რომ დაადგინეს, მამულის გაყოფასთან დაკავშირებით, ნინომ თავისი წილი მამულის მოურავად სხვა პირი გამოიწვიაო. ეს ამბავი მონათლეს ნინოსა და დავითს შორის მტრობის მაჩვენებელ ფაქტად. ასეთი მტკიცებების უსუსურობას არავინ შეუწუხებია. მთავარი ის იყო, რომ მეფისნაცვლის მითითება შესრულდა, საქმე შეითითხნა და უდანაშაულო ხალხი სამართალში მისცეს.

ძმები ჩქოტუების სასამართლო პროცესისადმი ინტერესი ძალზე დიდი იყო. მოელოდნენ, რომ იქ მაინც იზვიებდა სიმართლე. ყველას უნდოდა გაეგო, რა მოხდა სინამდვილეში იმ წყეულ დამეს. მართლა ჩქოტუებმა იყვნენ თუ არა ამის ჩამდენი და დასჯიდა თუ არა მათ სასამართლო.

საზოგადოება სამად იყო გაყოფილი, — აღნიშნავდა ვახუთი „დროება“, — მცირე ნაწილს შეადგენდნენ ისინი, ვინც ამტკიცებდა, ჩქოტუები ამ საქმეში სრულიად უდანაშაულო არიანო. უმეტესობა, ნ. ანდრეევსკაია მოკლულია, მაგრამ მათ ამაში ბრალი არ აქვთო. უფრო მცირე ნაწილი ამტკიცებდა, ნ. ანდრეევსკაია ბანაობის დროს დაიხრჩო. უმეტესობა კი

ამბობდა, დაასრწვეს შინაურებმა, ჩქოტუებმა და წყალში გადააგდესო. (1878 წ. № 48).

საქმეს იხილავდა თბილისის საოლქო სასამართლო. პროცესს ყოველდღე უამრავი ხალხი ესწრებოდა. პირველი სხდომა შედგა 1878 წლის 27 თებერვალს. მოსამართლეთა წინაშე ხუთის ნაცვლად სამი ბრალდებული წარსდგა. პოლიციის მოხელეების მიერ ნაწამები ივანე მგელაძე კარგა ხანია გაკვეთდა ცილ სულს. ზურაბ ქორიძე კი საავადმყოფოში იწვა და ექიმების ცნობით მისი ლოგინიდან დაძვრა არ შეიძლებოდა, დღე-ღღეღე მოკვდებოთ. დავით და ნიკო ჩქოტუებს იტყვდა ნ. ორბელიანი¹, ხოლო პეტრე გაბისონია — ტიხომირიძე.

საკოველთაოდ ცნობილია, როგორ ცდილობდნენ მეფე ალექსანდრე მეორე და მისი იუსტიციის მინისტრი გრაფი პალეინი ზეგავლენა მოხდინათ პეტრე-ბურგის ოლქის სასამართლოს თავმჯდომარე ანატოლ თევდორეს ძე კონიზე, რომელსაც მინდობილი ჰქონდა ვერა ზასულიჩის საქმის განხილვა. მას ავალებდნენ გამოეტანა გამამტყუნებელი განაჩენი და მკაცრად დაესაჯა 20 წლის მგზნებარე რევოლუციონერი. თუ კი მეფე ასე იქცეოდა, მეფისნაცვალს რატომ არ შეეძლო ასევე მოქცეულიყო?! გულბურჯილობა იქნებოდა იმის ფიქრი, რომ პოლიციასთან შედარებით სასამართლო რაიმე დამოუკიდებლობას გამოიჩინდა. იგი ისეთივე მონა-მორჩილი იყო დიდი მთავრისა, როგორც პოლიცია. მაგრამ პროცესის დროს სასამართლო გარეგნულად მაინც ცდილობდა არ გამოეგმვარავებინა თავისი მიკერძობება და ამით თავის თავს თვითონვე დაუგო მახე. უშინოდ შეითხინლო საქმეს არ ეწერა გამარჯვება.

გარდა მოსყიდული მოწმის, მომრიგებელი მოსამართლის ილია წინამძღვრიშვილისა, რომელმაც ამ საქმეში საერთოდ საკმაოდ სამარცხვინო როლი ითამაშა, პროცესზე დაკითხულმა ყველა პირმა დაადასტურა, რომ ნ. ანდრეევსკაიას და დავით ჩქოტუას შორის უკმაყოფილება არასოდეს არ ყოფილა, რომ მოურავობაზე თვით დავითმა თქვა უარი მოუტყულობის გამო. ნინოს დედამაც კი თავის ჩვენებაში სინანულით აღნიშნა, რომ მას ძალიან აწუხებეს, ამ საქმეს მის სიძეს გიორგი შარვაშიძეს და დავით ჩქოტუას რომ აბრალებდნენ და დაუმატა, არავითარი უკმაყოფილება ნინოს დავით ჩქოტუასთან არა ჰქონიაო.

საბრალდებო აქტის ავტორებისათვის მათრახის დარტყმას უდრიდა დედის განმარტება იმის შესახებ; რომ ნინო სხვა დროს ზღვაზე ბანაობისას მუდამ საცვლებით ჩადიოდა წყალშიო. კიდევ უფრო გამანადგურებელი იყო მისი ჩვენება ნინოს ხსიათის შესახებ,


მას შეეძლო ისე გვიან წყალში ბანაობაო. ასე ამბობდა დადუპული შვილის დედა, ხოლო უმცროსი პოლიციესტერი მელიქ-ბეგლიაროვი და მომრიგებელი მოსამართლე ილია წინამძღვრიშვილი სასამართლოს უმტიციებდნენ, იმ ბილიკით ნინო ვერ ჩავიდიდა, ძალით არის წყალში ჩაგდებულიო.

პროცესზე სიმართლის თქმა გაბედა მკერავმა ანდრია კაპანაძემაც. მან დაადასტურა, რომ დავითს მისთვის ნამდვილად ჰქონდა მიბარებული შარვალი, რომ იგი ახლახან იპოვეს სახელოსნოში და სასამართლოს უდგენენ. ყოველივე ეს დაადასტურა მისმა თანამოსაქმემ შახ-ნადიროვმაც.

ცხადი გახდა, რომ ბრალდებებს ნიდაგი თანდათან ეცლებოდა, მაგრამ მეფის ოხრანკა ფარ-ხმალის დაყრას მაინც არ აპირებდა. სასამართლომ პროცესზე გამოიძახა და მოწმის სახით დაკითხა პოლიციესტერი პოლკოვნიკი ბელიკი. თქმა არ უნდა, პოლკოვნიკმა კარგად იცოდა, რა უნდა ეთქვა. სასამართლოს იგი სიამაყით მოუყვა, როგორ „გამოტყხა“ პოლიციის ოფიცერმა ლოლაძემ ზურაბ ქორიძე, პეტრე გაბისონია და ივანე მგელაძე, რომლებმაც თითქმის აღიარეს, რომ შემთხვევით აღმოჩნდნენ ნინო ანდრეევსკაიას მკვლელობის მოწმენი და ნახეს, როგორ დაასრწვეს საბრალო ქალი და სადღაც წაათრიეს, რომ ყოველივე ეს კეთდებოდა დავით ჩქოტუას განარგულებით.

თვალთმაქცური პროცესის ავტორთა ჩანაფიქრით პოლკოვნიკ ბელიკის ჩვენება კიდევ უფრო უნდა განემტიციებინა კატორღამისჯილ ტუსადს მუსსა-ისმილოლის, მაგრამ ისინი ანგარიშში მოტყუვდნენ. ტუსადის ჩვენება მზიან ამინდში მერის გაგარდნასავით გაისმა. აი ისიც: „ლოლაძე მოვიდა საავადმყოფოში, სადაც მე, წერეთელი და პეტრე გაბისონია ვიწვეით და მითხარა, თუ ვასტყვ გაბისონიას, ველიკი კნიაზს ვთხოვ, რომ შენი დანაშაული გაპატიოსო. ოთხი დღის განმავლობაში არ მოვეფიე გაბისონიას და ვცდილობდი გამომეტყხა, ის კი სულ ტირიდა და ამბობდა, დანაშავე არა ვარ, ტყუილად მაწვალებენო. ერთხელ მოვიდა ლოლაძე და როცა ვუთხარი, გაბისონია არ ტყდებოდა მეტყი, დამარიგა, თქვი ვითომ პეტრე გაბისონია გატყდა და ესა და ეს თქვაო, თუ ამას ივანე უეჭველად გაგანთავისუფლებო. მე ვუთხარი, თუ დამაფიცეს, ტყულის თქმა არ შემიძლია, ყველაფერი გაეტყდებო-მეთქი. მაგრამ დამარწმუნა, არ დავაფიცებენო, შემდეგ ამავე ლოლაძემ მეტეხის ციხეში წამიყვანა და დამაყენა მეორე ტუსადთან ზურაბ ქორიძესთან, თან დამარიგა ამისი გამოტყხა მეცადა. თუ ვერ გამოვტყხდი, მაინც მეთქვა, თითქმის გამოვტყხე. ლოლაძემ მომცა სამი აბაზი, გაბისონია დააი-

¹ უტრნალ „საბჭოთა სამართლის“ სარედაქციო პორტფელშია ნ. ორბელიანის დაცვიით ჩიტკვა ამ საქმეზე, რომელიც მან წარმოთქვა რუსულ ენაზე. ქართულად თარგმნილია გ. თარხნიშვილის მიერ. რედაქციას გათვალისწინებული აქვს გამოაქვეყნოს იგი მიმდინარე წლის მეორე ნახევრის ერთ-ერთ ნომერში. რედაქციის შენიშვნა.



ვრე და გამოტყვევო. მაგრამ დოქტორმა მარტაროვმა არ მოგვცა ნება არაყის ან ღვინის მოტანისა („დროება“ 1878 წ. № 46).

პროკურორმა მას მეტი აღარ გააგრძელებინა და სწრაფად ჰკითხა, დაპირდა თუ არა მას ლოლაძე რაიგებ. მუსსა-ოღლმა დაადასტურა, თუ იგი გამოსტყვდა მათ ან ისე იტყოდა, როგორც ლოლაძემ დააბრია, მაშინ გაანთავისუფლებდა და ოთხმოც მანეთსაც მისცემდა. პროკურორმა ისევე ჰკითხა, თუ რა უამბო გამომიძიებელს, მუსსა-ოღლიმ აუღელვებლად უპასუხა: „გამომძიებელს მე ვუამბე ისე, როგორც ლოლაძემ დამარია, ნამდვილად კი არც ერთი ამათგანი არ გატყვილა ჩემთან“ (იქვე).

განა ყოველივე ამას კომენტარი სჭირდება? განა ვინმეს დააეჭვებს, ამ შემთხვევაში როგორ უნდა მოქცეულიყო ჭეშმარიტების ერთგული მართლმსაჯულების ორგანო?... მაგრამ მაშინდელი საოლქო სასამართლო მოიქცა ისე, როგორც მის ნამდვილ სახეს შეეფერებოდა. აღელვებული ხალხი დაამოშინა და პროცესი განაგრძო. იცოდა, სასამართლო-სამედიცინო ექსპერტები ჩვენებს არ შევცდიდნენ მეფისნაცვლის შიშით, და ასევე მოხდა. ოთხივემ წარბმუხრეგლად დაიდასტურა, რომ ნინო ანდრეევსკაია ჯერ ყელზე და გულზე ხელის მაგარი დაჭერით იყო წამხრჩვალი, ხოლო შემდეგ წყალში ჩაგდებული.

ამით დამთავრდა ინსცენირების ყველაზე სახიფათო ნაწილი. ჯერი პროკურორზე მიდგა. პროკურორმა ჩვეული მაღალფარდოვნებით ხოტბა შეასხა მეფის ერთგულ სასამართლის და შეუდგა იმის დასაბუთებას, თუ როგორ მოხდა დანაშაული. მან ამოცანად დაისახა დამტკიცებინა: ნინო ანდრეევსკაიას არ შეეძლო იმ დროს თავისი სახლის წინ წყალში გასაბოძა და, მასასადამე, თავისით არ დამხრჩვალა; ყველა ნინოანი მიუითებებს იმაზე, რომ ის დამხრჩვალი არ არის; მისი მოკლა შეეძლო მხოლოდ შინაურებს. ზუსტად გაიმეორა ის, რაც გამოძიების მიერ იყო ნათქვამი. არავითარი გავლენა არ მოუხდენია მის გამოსვლაზე იმას, რაც პროცესზე მოხდა. მხოლოდ სხვათამორის, ალბათ, ობიექტიურობის შთაბეჭდილების მოსახდენად, თქვა დასასრულ: „მე არ მინდა ვისარგებლო ბრალდებულთ გასამტყუნებლად იმ ჩვენებებით, რომელიც პოლიციის ოფიცრისა და აღრიხდელი პოლიციისტერის ბელოვის წინაშე წარმოთქვეს იფანე მეგლაძემ და ზურაბ ქორიძემ, აგრეთვე პეტრე გაბისონიამ, რომლებიც გატყდნენ ამ საქმეში და პირდაპირ დ. ჩქოტუასზე მიუთითეს, როგორც ამ საქმის მოთავე პირზე. არ მინდა ვისარგებლო ამათი გატყვევით, რადგან უამისოდაც საკმაო ფაქტებია ბრალდებულ ჩქოტუებისა და პეტრე გაბისონიას დანაშაულობის დასამტკიცებლად... არავითარი მნიშვნელობა არა აქვს ჩემთვის იმას, თუ რისთვის, რა ინტერესისათვის მოკლეს ის. სასოგადოებაში სხვადასხვა მიზეზებს ამბობდნენ, სხვათამორის, თავად გ. შარვაშიძესაც მიაწერდნენ მონაწილეობას, მაგრამ, ვიმეორებ, ამას ჩვენთვის არავითარი მნიშვნელობა არა აქვს. ჩვენთვის მხოლოდ ის არის

საკმაო, რომ ამათ მოკლეს ნ. ანდრეევსკაია“ („დროება“ 1878 წ. № 47).

რა შეიძლება ითქვას ასეთი სიტყვის გამო?! დარბაზში მსხდომი ერთბაშად აღმოხდათ, ნაღდად დაიღუპა დავით ჩქოტუა.

5 მარტს გაიმართა მეშვიდე და უკანასკნელი სხდომა. ადვოკატების დაცვითი სიტყვის შემდეგ პროკურორმა და ადვოკატებმა თითოჯერ საპასუხო სიტყვები წარმოთქვეს და საქმის განხილვა დამთავრდა. სასამართლოს შემადგენლობა გავიდა განაჩენის გამოსატანად. დამწერე სასოგადოება მღელვარებამ მოიცვა. მოლოდინი აუტანელი ხდებოდა. ბოლოს „შემოვიდა სასამართლო. ერთი შეხვედით შეატყობს კაცი, რომ ამათ კეთილი ამბავი არ მოაქვთ, ვერც ერთი ამათგანი პირდაპირ ვერ იყურება, გაყვითლებულნი არიან. დასდნენ საკარძებში და თავი ჩაღუნეს. სასამართლოს ზალაში, რომელშიაც ოთხსამდე სულია, ისეთი მყუდროებაა, რომ ბუზის გაფრენას გაიგებთ, ხმა თავმჯდომარისა, რომელსაც განაჩენის ფურცელი უჭირავს ხელში და ჰკითხულობს, ისე გაისმის ზალაში, თითქოს ეს ხმა სამარიდამ მოდისო. პირველივე სიტყვიდანვე ცხადად ჩანს, რომ ამ ხმით წაკითხულს განაჩენს დაახლოებული კავშირი უნდა ჰქონდეს სამარტთან“ („დროება“ 1897 წ. №48). დამწერის ეს შთაბეჭდილება მართლაც რომ შეუცდომელი აღმოჩნდა. მიუხედავად იმისა, რომ ჩქოტუას საწინააღმდეგო არავითარი ფაქტური საბუთი სასამართლოს არ ჰქონია, დავითს მიესაჯა ყოველი ღირსების ჩამორთმევა და 20 წლით კატორღაში მუშაობა, პეტრე გაბისონიას — 10 წლით კატორღის ციხეებში მუშაობა, ხოლო ნიკო ჩქოტუა გამართლებულ იქნა.

ამრიგად, ბოროტებამ განარჯვება იზეიმა, ჭეშმარიტება დასჯარჩაყვეული აღმოჩნდა. „ნამდვილად მსეცი, სრულებით გულგატეგებულნი, უგრძობნი უნდა იყოს ის პირი, რომელმაც ტაში დაჰკრა სასამართლოს ამგვარ განაჩენს, — აღმფოთებით წერდა სერგეი მესხი, — რაც უნდა სამართლიანი მოსჩვენებოდა იმას ეს განაჩენი, თუ იმან შეხედა ამ დროს დ. ჩქოტუას და მაინც ტაში დაჰკრა, უეჭველია, იმას აღამიანის გული არ ჰქონია“.

არა თუ პროცესის უშუალო სიღვას შევძლო ასეთი შთაბეჭდილების შექმნა, სტენოგრაფიული ანგარიშის გაცნობაც იგი (იგი დაცულია კ. მარქსის სახელობის რესპუბლიკურ ხაჯარო ბიბლიოთეკაში), როგორც მართებულად აღნიშნა აკადემიკოსმა ს. ჯანაშიამ, „ყოველ ობიექტურ მკითხველს დღესაც დაარწმუნებს, თუ რამდენად უდანაშაულონი იყვნენ დასჯილნი და როგორ საზიზრად იყო შეითთხნილი მთელი ეს საქმე მეფის სატრაპების მიერ“ (თბილისის უნივერსიტეტის შრომები I, 1936 წ. გვ. 164).

გასატყობია, რომ დავით ჩქოტუას უდანაშაულობაში დარწმუნებული სასოგადოებრიობა არ დაერიდებოდა პროტესტის გამოთქმას პრესაშიც. მაგრამ განსაცვიფრებელი ის იყო, რომ პროტესტი დაწერა თვითონ პროკურორმა ხოლოდოკსკიმ. თურმე იგი უკმა-

ყოფილ დარჩენილ იმით, რომ ნიკო ჩქოტუა გაამართლეს. ცხადია, სასამართლოს ეს სიბრალული არ მოსვლია. უბრალოდ ნიკო ჩქოტუა დარჩენილი იყო პოლიტიკური ბრძოლის ასპარეზს მიღმა და არავინ არ როლს არ თამაშობდა ამ „ინცენინრებაში“. როგორც ჩანს, მის ავტორებს ეს გარემოება მხედველობიდან გამორჩენიათ და, რაკი ასე მოხდა, მუნდირის ღირსების დაცვის მიზნით ისევე აღმართეს მახვილი. საქმემ გადაინაცვლა თბილისის სასამართლო პალატაში.

რადგანაც ადვოკატების მიმართ საყვედური გამოითქვა ზედმეტით თვითდაჯერებულობისა და საოლქო სასამართლოში ტაქტიკური შეცდომის დაშვების გამო, სააპელაციო ინსტანციაში დაცვის განსახორციელებლად პეტერბურგიდან იქნა მოწვეული სახელგანთქმული ადვოკატი ვლადიმერ დანიელის ძე სპასოვიჩი. იგი ცნობილი იყო, როგორც ნიჭიერი და შრომის მოყვარე იურისტი. 22 წლისამ მაგისტრის ხარისხი დაიცვა. პეტერბურგის უნივერსიტეტში ხელმძღვანელობდა სისხლის სამართლის კათედრას. დაწერა სახელმძღვანელო, რომლისთვისაც მიანიჭეს სამართლის დოქტორის ხარისხი. 1861 წელს სტუდენტთა მღვდლარებასთან დაკავშირებით სხვა მეცნიერთან ერთად დატოვა უნივერსიტეტი და შეუდგა საადვოკატო მიღვაწეობას. მას გააჩნდა ენციკლოპედიური ცოდნა. რეგულუციამდელი პერიოდის ვერც ერთი ბრწყინვალე ადვოკატი ვერ იყვნებოდა მეცნიერების მიღწევებს ისე ვრცლად და ისე მოქნილად, როგორც სპასოვიჩი.

სპასოვიჩი თბილისში ჩამოვიდა პროცესის დაწყებამდე დიდი ხნით ადრე. მან ბევრი იშრომა იმისათვის, რომ ღრმად ჩასწვდომოდა საქმის არსს და სწორად განესაზღვრა დაცვის პოზიცია იმის გათვალისწინებით, რომ ფარული ჯიბრი ექნებოდა თვით მეფისნაცვალ მიხეილ ნიკოლოზის ძესთან.

საქმის განხილვა დაიწყო იმავე 1878 წლის 25 ნოემბერს. სპასოვიჩი თავიდანვე მოქცა ყურადღების ცენტრში. იგი არაჩვეულებრივი ენერგიულობით მონაწილეობდა მტკიცებათა გამოკვლევაში. ყველაზე მეტად შეუტია ადგილობრივ ექიმ-ექსპერიმენტს. ამ საქმეში მას მხარს უჭერდა მოწვეული ექსპერტი, მედიცინის დოქტორი პროფესორი ი. მ. სოროკინი. ამ უკანასკნელის პრინციპულობა შემდეგნაირადაა აღწერილი გაზეთ „დროებაში“: „თფლისეულ ექსპერტებმა (გარალევიჩმა, ბლიუმბერგმა, გლავაცკიმ და პავლოვსკიმ) წარმოადგინეს თავისი პასუხი იმ კითხვებზე, რომელიც წერილობით მისცა მათ პროფესორმა სოროკინმა. ამ პასუხმა ვერ დააკმაყოფილა პროფ. სოროკინი. იმან სთქვა, რომ ჩემ შვირდ სტუდენტებს რომ ამისთანა პასუხი მოეცათ ჩემს კითხვებზე და ამისთანა მცირე ცოდნა გამოეჩინათ ვგზამენის დროს, რიგაინს ბალს ვერ მიიღებდნენ ჩემგანო. შემდეგ სასამართლომ თვითონ პროფ. სოროკინს წარმოათქმევინა თავისი პასუხი ნ. ანდრეევსკის ქალის მკვლელობის თაობაზე.


პროფ. სოროკინმა უკანასკნელი თოხი საათის გან-

მავლობაში ილაპარაკა და დაწვრილებით გაარჩია — თუ რა განსხვავებაა სხვადასხვაგვარ დადრჩობაში. მოიყვანა ნიშნები ხელით დამდრჩვალი კაცისა, ბალიშით დამდრჩვალისა, წყლით დამდრჩვალისა და სხვ. აუწერა სასამართლოს გარკვევით და მეცნიერულად — თუ რა ნიშნები უნდა ჰქონოდა ნინო ანდრეევსკაიას, თუ რომ ის, როგორც თფილისელი ექიმები-ექსპერტები ამბობენ, ჯერ მოეკლათ, ჯერ ხელით დადრჩოთ და მერე ჩავედოთ წყალში. და ყველა ამ ნიშნებიდან, ყველა საბუთებიდან, პირველად ექიმებისაგან შედგენილ პროტოლიდან და ამ სხდომასწვდევე იმათი ნაამბობიდან ის დასკვნა გამოიტანა, რომ ნ. ანდრეევსკის ქალი პირდაპირ წყალში არის დამდრჩვალიო. ვერც ერთი ისეთი ნიშნები ვერ ვნახე მეო, სთქვა უფროფესორმა სოროკინმა, რომელიც მარწმუნებდესო, რომ ნ. ანდრეევსკისა ჯერ ხელით ან სხვით როგორმე ძალ-დატანებით დაეღრჩოს ვისმეს და მერე ყოფილყო წყალში ჩავედებული. ამის გამო ჩემი სინდისისა და მეცნიერების წინაშე ვამტკიცებო, რომ ნ. ანდრეევსკაია პირდაპირ წყალშია დამხრჩვალიო“. („დროება“ 1878 წ. № 224)“.

სპასოვიჩი განაგრძობდა შეტევას, მან მოსთხოვა ექსპერტებს დესაბურთებინათ, რა დროის განმავლობაში ამოთავიტივებდა წყალი დამხრჩვალ ადამიანს, და მიკროსკოპიულად გამოეკვლიათ მიწა და მწვანე ლაქები, რომლებიც შეინიშნებოდა ნ. ანდრეევსკაიას წაღების ლანჩებზე. სასამართლომ მისი თხოვნა დააკმაყოფილა.

პარალელურად სპასოვიჩი აწარმოებდა მოწმეთა და ბრალდებულთა კრიტიკულ დაკითხვას, რათა საქმეში სრული გარკვეულობა შეეტანა. შედეგები განსაცვიფრებელი აღმოჩნდა. მისი რწმენა ურყევი გასდა. ახლა მხოლოდ იმას უცდიდა, თუ რას იტყობდა პროკურორი, როგორ იმსჯელებდა ბრალდების შესახებ, რომელსაც უკვე ყოველგვარი საფუძველი ჰქონდა გამოცლილი. მაგრამ მოულოდნელი არაფერი მომხდარა, პროკურორი ბიკოვი ბოლომდე ერთგული დარჩა მეფისადმი მიცემული ფიცისა.

დამტკიცებულა, ამბობდა იგი, რომ ნინო ანდრეევსკაია იყო მორცხვი ქალი, ამიტომ იმ მთვარიან დამეს წყალში საბანაოდ არ ჩავიდოდა, თავისი ნებით რომ წასულიყო საბანაოდ, საცვლებს თან წაიღებდა გამოსაცვლელად; შეუძლებელია იმის წარმოდგენა, რომ იგი საცვლებით წყალში ჩავიდა, მერე ტიტველტანზე კაბა-კოფთას ჩაიცვამდა და ისე დაბრუნდებოდა თოხში; მართლაც რომ დამხრჩვალყო, მეორედღეს სახლიდან 33 ვერსზე არ აღმოჩნდებოდა; თანაც მტკვარი განტოლების ადგილზე მის გვამს ვერ გადაატარებდა, მაშასადამე იგი თბილისში არ არის ჩაედებული. სადაც მისი ტანსაცმელი იქნა ნაპოვნი, იქ ტალახიანი ადგილია, მუდამ მოყოწვს წყალი; ანდრეევსკაიას წაღები კი მშრალი და სუფთა იყო. სხვარომ არაფერი იყო, ესეც კმარა იმის დასამტკიცებლად, რომ ნინოს იქ არ უბანავებია და წყალში არ დამხრჩვალა. ექსპერტებიც, გარდა პროფესორი სორო-



კინისა, ამასვე ამტკიცებენ. თუმცა მაინც და მაინც მნიშვნელობა არა აქვს მათ მტკიცებას, მთავარია დადასტურება, რომ ნ. ანდრეევსკაიას თავისი ნებით არ უბანავია თავისი სახლის წინ.

„სუთი ბრალდებული იყო ამ საქმეში, — განაგრძობდა პროკურორი ბიკოვი. — ორი მათგანი, ქორიძე და მგელაძე, უკვე მოკვდნენ, მაგრამ სიკვდილის წინ ესენი გამოტყდნენ; ამათ სთქვებს, რომ ნ. ანდრეევსკაია დ. ჩქოტუას განკარგულებით და ბრძანებით იყო წადრჩობილი და შემდეგ ვიღაც თავმჯდომეულმა კაცებმა ჩააგდეს მტკავარშიო. მართალია ოლქის სასამართლომ ეს გამოტყდა არ მიიღო მხედველობაში, რადგან ეს გამოტყდა მიხსდა პოლიციის უკანონო სამუშაოებით, რადგან თვითაქმ გაიძვერობით და ჯილდოს დაპირებით გამოსტყხა ისინი. მაგრამ, რაც უნდა იყოს, ფაქტი მაინც ფაქტად რჩება; გამოტყხას მაინც უნდა მიეცეს თავისი ძალა და მნიშვნელობა.

ვწუხვარ, რომ პოლიცია უკანონოდ მოიქცა, რომ ლოლაძემ ემზაკობით გამოსტყხა ქორიძე და მგელაძე, მაგრამ ვიმეორებ, რომ ის გამოტყხა მაინც ყურადღებაში მისაღებია...

რაც შეეხება მოტივებს, ე. ი. იმას, თუ რა განზრახვით, რა სარგებლობისათვის მოჰკლეს ბრალდებულთ ნ. ანდრეევსკაია, — ყველა, მართალია, არა სჩანს საქმიდან, მაგრამ ეს სასამართლოსათვის სულ ერთია. სასამართლოს მოტივების უქონლობა არ დაუშლის თავისი კანონიერი განაჩენი დაადგინოს.“ („დროება“, 1878 წ. № 245).

აი ტიპური მეფის სატრაპი, რომლის წარმოდგენით სამართლიანობა და ძალადობა ერთიდაიგივეა, და რომლისთვისაც სინდის-ნამუსი უცხოა. აშკარა იყო, ზორბალი იმ მიმართულებით ბრუნავდა, როგორც „ნამეტნიკმა“ დაატრიალა თავიდან.

სპსოვიჩმა თავისი სიცოცხლის 40 წელი უძღვნა ადვოკატობას, რანაირ პროცესზე არ შეხვედრია გამოსვლა, მაგრამ მისი დაცვითი სიტყვა, წარმოქმნილი თბილისში დავით ჩქოტუას საქმეზე, აღიარებულია მის ერთ-ერთ ყველაზე საუკეთესო ნაშრომად (რუსულ ენაზე რამდენიმეჯერა გამოცემული). იგი წარმოადგენს ორატორული ხელოვნების ბრწყინვალე ნიმუშს. მან, როგორც იტყვიან, ქვა-ქვაზე არ დატოვა და თამამად ამხილა მთელი ის სისაძაგლე, რაც სულ-მდაბალმა ლაქიებმა მოიმოქმედეს თავიანთი ბატონის საამებლად.

„პირველად მეხმის, რომ რუსეთში სადმე ამ საუკუნის დასაწყისიდან ამისთანა ბარბაროსული საქმე მოხდარაიყვეს, — აღმფოთებით ამბობდა სპსოვიჩი, — ახალი სამართალი, ახალი კანონი სრულს თავისუფლებას აძლევს ბრალდებულს თავის გამართლებისა, კანონი ძალას არ ატანს, არ ცდილობს გაიძვერობით, ემზა ბით, მოტყუებით, ჯილდოს დაპირებით ან სხვა ამგვარ მუშაობებით გამოსტყხოს ბრალდებული. იქ კი ყველა ამ საშუალებას ხმარობენ, აწვალებენ, ინკვიზიციის წესს ასრულებენ! კანონით, ჯერ პოლიციუ-

რი გამოკვლევა უნდა მოხდეს საქმისა და შემდეგ მართლს გამოძიება. აქ კი ორივე ერთად მიდის, პოლიცია და სასამართლო ერთად მისდგომინ ბრალდებულს! ოლქის სასამართლოს პროკურორმა იცოდა ეს და არ დაუშალა პოლიციას ამ საქმეში გარეაა არასად არ მინახავს ამისთანა წესები. არსად არ გავგონილა, რომ გამოძიების საქმეში დოქტორი გარეუღიყოს. არსად ნახულა, რომ მომრიგებელი მოსამართლე მოტყუულიყოს ისე, როგორც მოიქცა ამ საქმეში წინამძღვაროვი, რომელიც დღე და ღამე მოწმეებს ეძებდა, ყველა გამოძიებას და ჩვენების ჩამორთმევას ესწრებოდა, ყველგან ჰყვიროდა და ამტკიცებდა, რომ მკვლელი დ. ჩქოტუა არისო. ამის სიტყვას ჩემის პაზრით, მთელი საზოგადოების რწმენაზედა, თვით გაზეთებზედაც, დიდი გავლენა და ზედ-მოქმედება ჰქონდა.“ („დროება“, 1878 წ. № 247).

ამაო გამოდგა ყოველი ცდა, ამაოდ დაშვრნენ დავითის ერთგული მეგობრები, ძალამ აღმართი დახსნა. ოლქის სასამართლოს განაჩენი უცვლელად იქნა დატოვებული. თცდათი წლის ნიჭიერი ჭაბუკი გაუყენეს ციმიბრის გზას. ს. სპსოვიჩი რვა წლის შემდეგაც კი სინანულით იგონებდა, რომ თბილისის საქმე სამწუხარო შედეგით დამთავრდა, არ დაისაჯენ სრულიად უდანაშაულო ადამიანები. ამით რუსეთის მართლმსაჯულებამ კიდევ ერთხელ დამტკიცა თავისი ერთგულება მეფისადმი. მოწინავე ინტელიგენციამ კი დაკარგა გულწრფელი ქართველი პატრიოტი, რომელსაც დიდი სარგებლობის მოტანა შეეძლო სამოცდაათიანი წლების ქართული პრესისათვის, მრეწველობის და საზოგადოებრივი აზროვნების განვითარებისათვის. მას დაწყებულ იქონდა რუსთაველის გენიალური ქმნილების მეცნიერული გამოკვლევა. „რუსთაველის მკვლევათა შორის, პირველად დავით ჩქოტუა მივიდა იმ დასკვნამდე, რომ „ვეფხისტყაოსანი“ სავეებით თავისუფალია ყოველგვარი უცხოური გავლენისაგან, მას ის ნამდვილი ქართული ეპოსიდან აღმოცენებულ დიდებულ ორიგინალურ მხატვრულ ნაწარმოებად მიიჩნია.“ (სოლ. ცაიშვილი, ლიტერატურული ნარკვევები, 1962 წ. გვ. 39). სწორედ იმ ხანებში აპირებდა დავითი რუსთაველის პოემის გვირგვინს და მათი მსოფლმხედველობის შესახებ კაპიტალური შრომის დაწერას. მან ეს განზრახვა მხოლოდ 1906 წელს ციმიბრიდან დაბრუნების შემდეგ მოიყვანა სისრულეში. მაგრამ ჯანგატეხილსა და საკამოდ ხანდაზმულს ინტენსიური მუშაობა უკვე აღარ შეეძლო და სამწერლო და საზოგადოებრივ სამოღვაწეო ასპარეზზე რაიმე მნიშვნელოვანი კვალი არ დაუტოვებია. ვინ იცის, რამდენი სასარგებლო ზრახვები ჩაახშო ბოროტების უხეშმა ძალამ, და განა დავით ჩქოტუა ერთი იყო ასეთი იმ უკუღმართ დროში?!

შ. ჯავახიძე,
სახალხო მოსამართლე,
გ. კოსტრიძე,
ადვოკატი.

ემილიანო ზარსკიანი

ღვანდომიდი იუჩისვი—მ. ყ. ლომიძე 70 წლისაა



გამოჩენილ იურისტს მიხეილ ყარამანის ძე ლომიძეს დაბადებიდან სამოცდაათი წელი შეუსრულდა.

მ. ყ. ლომიძე დაიბადა 1899 წლის 3 დეკემბერს სოფელ ლიჩში (საჩხერის რაიონი), ღარიბი გლეხის ოჯახში.

მშობლიურ სოფელში დაწყებითი სკოლის დამთავრების შემდეგ იგი შედის ჭიათურის უმაღლეს დაწყებით სასწავლებელში, რომლის დამთავრებისთანავე 1917 წელს მუშაობას იწყებს თავის სოფლის სკოლაში მასწავლებლად.

1919 წელს მ. ლომიძემ ქუთაისში დაამთავრა პედაგოგიური კურსები და მიიღო სახალხო მასწავლებლის წოდება. ამ დროიდან მ. ლომიძე იყო ჯერ საჩხერის რაიონის სოფელ მოძვის, ხოლო შემდეგ სოფელ ლიჩის დაწყებითი სკოლის გამგე. მ. ლომიძე 1921 წელს შედის საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის რიგებში. 1922 წლის აპრილიდან საქართველოს კპ შორაპნის სამაზრო კომიტეტის მობილიზაციით გაიგზავნა საგანგებო კომისიის ორგანოებში.

7 წლის განმავლობაში ეწეოდა იგი ჩე-


კისტის რთულ და საპატიო საქმიანობას და კარგი მუშაობისათვის არაერთხელ იყო დაჯილდოებული.

1929 წლიდან პარტიულ სამუშაოზეა, არის საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალურ საკონტროლო კომისიის პარტი-გამომძიებელი, საქართველოს მუშ-გლეხინის ინსპექციის საორგანიზაციო-საინსტრუქტორო განყოფილების გამგის მოადგილე. 1934 წელს მ. ლომიძე მუშაობს სამგორის მტს-ის პოლიტგანყოფილების უფროსად, ხოლო 1935-1938 წლებში იგი საქართველოს კპ თბილისის რაიკომის მეორე მდივანია.

უმაღლესი იურიდიული განათლების მიღების შემდეგ, 1938 წლის იანვრიდან დაიწყო მ. ლომიძის მოღვაწეობა იუსტიციის ორგანოებში, სადაც მან თანმიმდევრობით სახელოვანი გზა განვლო მართლმსაჯულების სამსახურში.

1938-1941 წლებში მ. ლომიძე საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრია. შემდეგ მას აწინაურებენ ამიერკავკასიის რკინიგზის სახაზო სასამართლოს თავმჯდომარედ, ხოლო ომის წლებში ინიშნება ამიერკავკასიის რკინიგზის სამხედრო ტრიბუნალის თავმჯდომარედ, საიდანაც მალე გადაყვანილ იქნა ამიერკავკასიის რკინიგზის სამხედრო პროკურორად.

თუ ამიერკავკასიის რკინიგზამ, განსაკუთრებით დიდი სსამართლო ომის პერიოდში, ყველაფერი გააკეთა იმისათვის, რომ ზურგი დაკავშირებული ყოფილიყო ფრონტთან, ზუსტად და განუხრელად შესრულებულიყო სსრ კავშირის თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის ყველა დავალება, ომიანობის დროს მოქმედი კანონმდებლობა და ამით დაჩქარებულიყო ჩვენი გამარჯვება ფაშისტურ გერმანიაზე, ეჭვს გარეშეა, რომ ამ საქმეში გარკვეული წვლილი აქვს შეტანილი მ. ლომიძესაც, რომელიც დიდი სამამულო ომის დაწყების დღიდან 8 წელზე მეტხანს მუშაობდა ჯერ ამიერკავკასიის რკინიგზის სამხედრო ტრიბუნალის თავმჯდომარედ და შემდეგ ამიერკავკასიის რკინიგზის სამხედრო პროკურორად. ამ პერიოდში მ. ლომიძის დამსახურება არაერთხელ აღინიშნა მთავრობის მაღალი ჯილდოებით.



მ. ლომიძემ ამიერკავკასიის რკინიგზის სამხედრო ტრიბუნალის თავმჯდომარედ და რკინიგზის სამხედრო პროკურორად მუშაობის პერიოდში მოიპოვა დამსახურებული ავტორიტეტი და გამოავლინა კრისტალური დამოკიდებულება მართლმსაჯულების განხორციელებისადმი.

1949 წელს მ. ყ. ლომიძეს ირჩევენ საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარედ. იგი მისთვის ჩვეული ენერგიითა და შემართებით შეუდგა საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს ხელმძღვანელობას. მისი თავმჯდომარეობით სისხლის სამართლის რთულ საქმეებზე ხშირად ეწყობოდა გამსვლელი სესიები ჩვენი რესპუბლიკის სხვადასხვა რაიონებში და ამით პრაქტიკულ მაგალითს აძლევდა რესპუბლიკის სასამართლოს ორგანოების მუშაობებს.

მ. ლომიძის თავმჯდომარეობით განხილულ სისხლის სამართლის საქმეებიდან საილუსტრაციოდ შეიძლება დასახელებულ იქნას 1957 წელს თიანეთში განხილული სისხლის სამართლის საქმე.

თიანეთის რაიონის სოფელ თრანში მცხოვრები ვახტანგ მიხეილის ძე გიგაური ჯერ კიდევ 1949 წელს იქნა გასამართლებული სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოს პრეზიდიუმის 1947 წლის 4 ივნისის ბრძანებულების „მოქალაქეთა პირადი საკუთრების დაცვის გაძლიერების შესახებ“, მეორე მუხლის მეორე ნაწილით და სასჯელის ზომად შეეფარდა 15 წლით პატიმრობა. სასჯელის მოხდის შემდეგ ვ. გიგაურმა ჩაიდინა უფრო საზარელი დანაშაული — მან სიცოცხლეს გამოასალმა ახალგაზრდა ქალი — თავისი მეუღლე, რომელსაც 13 სასიკვდილო ჭრილობა მიაყენა. შემდეგ იგი გაჰიდა ტყვეში და ხელი მიჰყო ყაჩაღობას. თავს ესხმოდა ავტობუსებს, საბადურის უღრან ტყეში ძარცვავდა მგზავრებს. ამ საქმეში იგი მარტო არ იყო. მშრომელი ადამიანების ძარცვა-გლეჯაში მას თან ახლდნენ მისი თანამშრომლები: თეორგი ალექსის ძე გიგაური, შოთა ბაღათურის ძე ჭინჭარაული, ივანე (იგივე მგელა) ნიკოლოზის ძე ყორიაული, მიხეილ (იგივე მიხა) გიგოს ძე ჭინჭარაული, მინდია გაბრიელის ძე გიგაური და სხვები. ნაძარცვ ქონებას შესანახად და სარეალიზაციოდ ეზიდებოდნენ თავიანთ დამქაშებთან. 1957 წლის ზაფხულში ეს ბანდა

თავს დაესხა თბილისიდან თიანეთსაკენ მიმავალ სამგზავრო ავტობუსს. ბანდიტებმა მგზავრებიდან მოკლეს ერთი ბავშვი, ერთი ქალი და თიანეთის რაიმილიციის გამომძიებელი გ. ჯაფარიძე. გ. ჯაფარიძემ მოასწრო შეიარაღებული ბანდის მეთაურის ვახტანგ გიგაურის დაჭრა. სამი დღის შემდეგ ვ. გიგაური შეპყრობილი იქნა. მალე ვ. გიგაური, მისი თანამშრომლები და ხელისშემწყობნი, სულ 16 კაცი წარდგნენ სასამართლოს წინაშე.

ეს საქმე თიანეთის რაიონის ცენტრში, დ. თიანეთში, კოლმეურნეობის კლუბში 1957 წლის ივლის-აგვისტოში განხილულ იქნა მ. ლომიძის თავმჯდომარეობით. ბრალდებას მხარს უჭერდა საქართველოს სსრ პროკურორის მოადგილე ა. გიგაური.

სასამართლო პროცესს, რომელიც იქნა დღეს მიმდინარეობდა, განუწყვეტლივ ესწრებოდა მრავალი ადამიანი. მიუხედავად საქმის სირთულისა მ. ლომიძეს პროცესი მიჰყავდა დინჯად და ყოვლისმომცველად.

სამართალში მიცემულებს ვახტანგ მიხეილის ძე გიგაურს, გოგია ალექსის ძე გიგაურს და შოთა ბაღათურის ძე ჭინჭარაულს შეეფარდათ სასჯელის უმაღლესი ზომა — დახვრეტა, ივანე ნიკოლოზის ძე ყორიაულს — 25 წლით პატიმრობა, მიხეილ (იგივე მიხა) გიგოს ძე ჭინჭარაულს 15 წლით პატიმრობა, დანარჩენებს სხვადასხვა ვადით პატიმრობა.

საზოგადოების სტრემეტიების და გარეწერების მიმართ გამოტანილ მეტად სამართლიან განაჩენს დარბაზში ხალხი მქუხარე ტაშით შეხვდა.

1951 წელს მ. ლომიძე გადაყვანილ იქნა საქართველოს სსრ პროკურორად, 1953 წელს საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრის პირველ მოადგილედ, 1955 წელს დანიშნულ იქნა საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრად, 1957 წლის მაისში მ. ლომიძე კვლავ არჩეულ იქნა საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარედ.

მ. ლომიძე საქართველოს მშრომელებმა ორჯერ — 1951 წელს და 1955 წელს აირჩიეს ჩვენი რესპუბლიკის ხელისუფლების უმაღლეს ორგანოში, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატად.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს, საქართველოს სსრ პროკურატურის და საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს ხელმძღვანელად მუშაობის პერიოდში გამოვლინდა მ. ლომიძის ორგანიზატორული უნარი და საზოგადო მოღვაწისათვის დამახასიათებელი ყველა მონაცემები, რომელიც თავის დიდ ცოდნას და გამოცდილებას გონივრულად იყენებდა რთული პრაქტიკული საკითხების გადასაჭრელად. ამას იგი აკეთებდა ფრთხილად და მოხდენილად, მას არასოდეს არ ავიწყდებოდა, რომ ყოველი საქმის უკან ცოცხალი ადამიანები იყო და მათი ბედი წყდებოდა.

1959 წლის თებერვალში, როდესაც საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან შეიქმნა იურიდიული კომისია, ამ კომისიის ხელმძღვანელად, პირველ თავმჯდომარედ დამტკიცებულ იქნა მ. ლომიძე.

მ. ლომიძის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ამ მეტად რთულ და საპასუხისმგებლო დავალებასაც მ. ლომიძემ შესანიშნავად გაართვა თავი და სულ უმოკლეს დროში საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა იურიდიულმა კომისიამ მოიპოვა სათანადო ავტორიტეტი.

10 წელიწადზე მეტ ხანს (1959 წლის თებერვალი — 1969 წლის ივნისი) მუშაობდა მ. ლომიძე საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული იურიდიული კომისიის თავმჯდომარედ. მას დიდი ღვაწლი მიუძღვის საქართველოს კანონმდებლობის განვითარებაში. იგი მეტად აქტიურად მონაწილეობს უმნიშვნელოვანესი საკანონმდებლო აქტების შემუშავებაში. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს მისი დაუღალავი მუშაობა საქართველოს სსრ სისხლისა და სამოქალაქო სამართლის, სისხლის სამართლის საპროცესო და სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსების, საქართველოს სსრ საქორწილო და საოჯახო კოდექსისა და რესპუბლიკის ბევრ სხვა საკანონმდებლო აქტების მომზადებაში.

მ. ლომიძე აქტიურად მონაწილეობს აგრეთვე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის საქმიანობაში, არის იურიდიული ფაკულტეტის სამეცნიერო საბჭოს წევრი, ლექტორი და იურიდიული ფაკულტეტის სახელმწიფო საგამოცდო კომისიის თავმჯდომარე.

მ. ლომიძე ავტორია ოცზე მეტი სამეცნიერო შრომისა. მის კალამს ეკუთვნის მაგალითად ბროშურები: „საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის ახალი კანონმდებლობა“ (1961 წელი), „სიახლენი საბჭოთა კავშირის სამოქალაქო კანონმდებლობაში“ (1965 წელი), „საბჭოთა სამართლის როლი კომუნისტური მშენებლობის ამოცანების განხორციელებაში“ (1965 წელი). საბჭოთა კანონმდებლობის აქტუალურ საკითხებზე მ. ლომიძეს ბევრი საინტერესო სტატია აქვს გამოქვეყნებული სხვადასხვა ჟურნალებში. მისი სტატიები დაბეჭდილია მოსკოვში, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის სახელმწიფო და სამართლის ინსტიტუტის თეორიულ ჟურნალში «Советское государство и право»-ში, სსრ კავშირის პროკურატურის და სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს ჟურნალში «Социалистическая законность»-ში.

განსაკუთრებით აღსანიშნავია მ. ლომიძის დიდი ღვაწლი და დამსახურება ქართული იურიდიული ჟურნალის აღდგენაში. მ. ლომიძე 1957 წლიდან 1963 წლამდე იყო ჟურნალ „საბჭოთა სამართლის“ რედაქტორი, ხოლო მას შემდეგ იგი განაგრძობს ამ ჟურნალში მუშაობას, როგორც სარედაქციო კოლეგიის წევრი.

იუსტიციის პრაქტიკულ და თეორიულ დარგში დიდი დამსახურებისათვის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1966 წლის 12 მაისის ბრძანებულებით მ. ლომიძეს მიენიჭა „საქართველოს სსრ დამსახურებული იურისტის წოდება“. იგი აქტიურ მონაწილეობას იღებს პარტიული და საბჭოთა ორგანოების მუშაობაში, საქართველოს კომპარტიის მე-15 და მე-16 ყრილობაზე არჩეული იქნა საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის წევრობის კანდიდატად, ხოლო მე-17 და მე-18 ყრილობაზე — საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის სარევიზიო კომისიის წევრად. მ. ლომიძე რამდენჯერმე იყო არჩეული თბილისის საქალაქო საბჭოების დეპუტატად.

კომუნისტურმა პარტიამ და საბჭოთა მთავრობამ ღირსეულად დააფასეს მისი ერთეული შვილის, კრისტალური ადამიანის მ. ლომიძის დიდი მოღვაწეობა სამშობლოს წინაშე. დაჯილდოებულია იგი შრომის წითელი დროშის ორი ორდენითა და ხუთი მედლით.

ამ ცოტა ხნის წინათ ჩვენი რესპუბლიკის იურიდიულმა საზოგადოებამ, საქართველოს



სსრ უმაღლესმა სასამართლომ, საქართველოს სსრ პროკურატურამ და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა იურიდიულმა კომისიამ საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სხდომათა დარბაზში დიდი სიყვარულით აღნიშნეს იუსტიციის ღვაწლმოსილი ვეტერანის, საქართველოს სსრ დამსახურებული იურისტის მიხეილ ყარამანის ძე ლომიძის დაბადების სამოცდაათი წლისთავი, ხოლო საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1969 წლის 3 დეკემბრის ბრძანებულებით — პარტიულ, სასამართლოსა და პროკურატურის ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მოღვაწეობისათვის, დაბადების სამოცდაათ წელთან დაკავშირებით იგი დაჯილდოებულ იქნა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

მიხეილ ყარამანის ძე ლომიძის 70 წლის ცხოვრება ეს არის ნათელით მოსილი გზა, რომელიც მან უმწიკვლოდ და შეუბღალაგად განვლო. მან ხანგრძლივი, დაუღალავი და ნაყოფიერი შრომის შედეგად დამსახურებული ავტორიტეტი მოიპოვა რესპუბლიკის პარტიულ-საბჭოთა აქტივისა და იურიდიულ საზოგადოებაში.

განუსაზღვრელი ახალგაზრდული ენერჯია, ინიციატივის უნარი და მაღალი პარტიული პრინციპულობა, ნათელი გონება, თანამოღვაწეთა მიმართ ფაქიზი, ყურადღებიანი დამოკიდებულება, დიდი პრაქტიკული და ცხოვრებისეული გამოცდილების გაზიარების მუდმივი სურვილი კოლეგებთან — ეს არის თვისებები, ასე მდიდრად წარმოდგენილი და ჰარმონიულად შერწყმული მის ადამიანურ ნატურაში.

მ. ლომიძე ამჟამად კვლავ ჩვეულებრივ ენერგიით განაგრძობს მუშაობას საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში, როგორც უფროსი რეფერენტი. იგი დიდი მონდობით გადასცემს თავის დიდ გამოცდილებას და ცოდნას ახალგაზრდა იურისტებს. ჩვენი რესპუბლიკის იურიდიული საზოგადოებრიობა, ყველა ისინი ვისაც მასთან უმუშავნია და ამჟამად მუშაობენ გულწრფელად უსურვებენ მ. ყ. ლომიძეს ჯანმრთელობას, ხანგრძლივ სიცოცხლეს, ბედნიერებას და ახალ-ახალ წარმატებებს მის კეთილშობილურ მოღვაწეობაში.

ზ. რატიანი,
მ. კომახიძე,

იურდიულ მეცნიერებათა კანდიდატები

კანონი და აღიანი



თბილისი. ათარბეგოვის 32. საქართველოს სსრ პროკურატურა. დიდი ექვსსართულიანი შენობა, ფართო ვესტიბიულები და ორმხრივი კიბე. ვინ იცის რამდენი ახალგაზრდა სპეციალისტი აპყოლია ამ შენობის საფეხურებს, რამდენს გაუტარებია აქ შეგნებული ცხოვრების ნახევარზე მეტი. ესაა შენობა, სადაც წყდება ასობით ადამიანის ბედ-იღბალი და ეს ბედ-იღბალი იმ პირთა ხელშია, რომელთა საპატიო მისიაა მართლმსაჯულების უანგარო სამსახური.

გიყვარდეს კანონი, ზრუნავდე მისი განუხრელად განხორციელებისათვის, ნიშნავს აკეთებდე ყველაფერს რაც ადამიანისთვის სასარგებლოა, ეს ნიშნავს ადამიანის უმწიკვლო სიყვარულს. საინტერესოა ამ ადამიანთა ცხოვრება და საქმიანობა. მათ დიდი მოვალეობა აკისრიათ: ებრძოლონ ბოროტე-

ბას და ემსახურონ ხალხის სიკეთეს. რა რთული და ამავე დროს კეთილშობილი მისიაა. ამ პროფესიის ადამიანები განსხვავებული ალღოთი, რკინისებური ლოგიკით, მართალი გულით და ნათელი გონებით უნდა იყვნენ დაჯილდოებულნი. ისინი ერთი შეხედვით სულაც არ განსხვავდებიან სხვა პროფესიის ადამიანებისაგან, მაგრამ მათთან საუბრისას ყოველთვის ცდილობ რაიმე განსაკუთრებული, მხოლოდ ნათთვის დამახასიათებელი ამოიკითხო.

ალექსანდრე ხარიტონაშვილთან საუბარში მე ყურადღება მივაქციე მის გატაცებით საუბარს, თავის საქმიანობაზე როცა ლაპარაკობს. ეს იყო საუბარი ადამიანისა 30 წელი რომ ემსახურება სიმართლეს.

— დამნაშავე აუცილებლად ტოვებს კვალს დანაშაულის ადგილზე, — დინჯად თქვა მან და გაიხსენა ბევრი საინტერესო შემთხვევა თავისი მოღვაწეობიდან.

განსაკუთრებით აღშფოთებით ლაპარაკობს იგი ლოთობაზე, ამ დიდ მავნებლობაზე, რომელიც ხშირად დიდი ბოროტების მიზეზია, ნარკომანებზე, რომელთა არსებობა საზოგადოებისათვის დიდ ტრაგედიას წარმოადგენს.

სიმთვრალე დიდი დანაშაულია, მას ყოველი ფეხის ნაბიჯზე უნდა ვებრძოლოთ, მისასალმებელია ჩვენი მთავრობის მიერ 1966 წელს მიღებული კანონი, რომლის ძალითაც ლოთობა, სიმთვრალე დანაშაულის ჩამდენ პირთათვის დამამძიმებელ გარემოებად ითვლება. მართლწესრიგის დამრღვევნი კანონისა და მორალური კოდექსის კეთილ-

შობილური პრინციპების აბუჩად ამგდებნი უფრო ხშირად ლოთები და მუქთახორები არიან. ამ სენით დაავადებული ადამიანების განკურნება გადაუჭრელი პრობლემა როდია, ყველა პატიოსანი ადამიანი მეტი პასუხისმგებლობით უნდა მოეკიდოს ლოთობის წინააღმდეგ ბრძოლას.

— ლაქა სინდისზე ეს ჭრილობაა, — მესაუბრება ალ. ხარიტონაშვილი, — თვითიველი დამნაშავე, თუ ის შეიგნებს თავის უღირს საქციელს, ხვდება, რომ მისი სინდისი შებლალულია, ეცდება მეორედ აღარ შერცხვეს თავისი თავის წინაშე, ოჯახთან, მეგობრებთან, მაგრამ სასჯელი უნდა მოიხადოს და ამით თავის დანაშაულს ერთგვარად გამოისყიდოს. ეს უდავოა. სასჯელმა შეიძლება დაიგვიანოს, მაგრამ იგი არ აცდება ბოროტს.

30 წლის მანძილზე ბევრი სიხარულის, ბევრი გულისტკივილის მომსწრეა საქართველოს სს რესპუბლიკის პროკურატურის სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლოში განხილვის ზედამხედველობის განყოფილების პროკურორი ალ. ხარიტონაშვილი.

მისი ღვაწლი აღნიშნა საქართველოს სს რესპუბლიკის პროკურატურამ, რომელმაც შრომითი მოღვაწეობის ოცდაათი წლისთავი გადაუხადა თავის ამაგდარ მუშაკს. ბევრი კარგი ითქვა. ჩვენ არ შევჩერდებით მისი ბიოგრაფიის დეტალებზე, ვიტყვით მხოლოდ იმას, რომ ის კარგი მუშაკია, საჭირო კაცია, პატიოსანი იურისტია, საქმის ერთგული, ადამიანისა და სიკეთის მოყვარული.



ი. მ. ჯინჯიხაშვილი

სანმოკლე და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული იურიდიული კომისიის უფროსი კონსულტანტი, საქართველოს სსრ დამსახურებული იურისტი, სკკპ წევრი 1944 წლიდან იპაკოზ მემარის ძე ჯინჯიხაშვილი.

ი. მ. ჯინჯიხაშვილი დაიბადა 1911 წლის 9 იანვარს ქ. ცხინვალში. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ 1940 წლიდან 1951 წლამდე მუშაობდა საქართველოს სსრ პროკურატურაში განყოფილების პროკურორის თანამდებობაზე, 1952 წლიდან 1957 წლამდე მუშაობდა ამიერკავკასიის რკინიგზის თბილისის უბნის პროკურორის თანაშემწედ, 1958 წლიდან 1959 წლამდე — საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის იურიდიული განყოფილების კონსულტანტად, ხოლო 1960 წლიდან გარდაცვალებამდე — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული იურიდიული კომისიის უფროსი კონსულტანტის თანამდებობაზე. ამასთან ერთად თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში შეთავსებით ეწეოდა პედაგოგიურ მოღვაწეობას. იაკობ მეერის ძე ჯინჯიხაშვილი იყო მაღალი კვალიფიკაციისა და დიდი ერუდიციის მუშაკი,

აქტიურად მონაწილეობდა საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის, სამოქალაქო სამართლის საპროცესო და საოჯახო კოდექსების და სხვა ნორმატიული აქტების პროექტების მომზადებაში.

ი. მ. ჯინჯიხაშვილი ნაყოფიერად თანამშრომლობდა პრესაში, განსაკუთრებით კი გაზეთ „კომუნისტში“ საბჭოთა სამართლის პროპაგანდის საკითხებზე. მას დიდი დეაწლი მიუძღვის საბჭოთა კანონიერებისა და მართლმსაჯულების განმტკიცების საქმეში.

პარტიამ და მთავრობამ სათანადოდ შეაფასეს ი. მ. ჯინჯიხაშვილის მრავალწლიანი უმწიკველო საქმიანობა. იგი დაჯილდოებული იყო სსრ კავშირის მედლებითა და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

როგორც მოქალაქე ი. მ. ჯინჯიხაშვილი ყოველთვის გამოირჩეოდა იშვიათი მოკრძალებით, იყო უადრესად თავაზიანი და დამსახურებული ავტორიტეტით სარგებლობდა ქართველ იურისტთა შორის.

ი. მ. ჯინჯიხაშვილის ნათელი ხსოვნა სამუდამოდ დარჩება ჩვენს ხსოვნაში.

ამხანაგების ჯგუფი

ა. ნ. მიქაძე

სანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა სკკპ წევრი 1928 წლიდან, ქ. გორის იურიდიული კონსულტაციის ადვოკატი, პერსონალური პენსიონერი ალექსანდრე ნიკოლოზის ძე მიქაძე.

ა. ნ. მიქაძე დაიბადა 1908 წელს, ხონის რაიონის სოფელ დანიჩ-ქვიტირში, გლეხის ოჯახში. 1920 წლიდან იყო ალკვ ორგანიზაციის წევრი. 1922-25 წლებში სწავლობდა ქართველ მეთაურთა სკოლაში და აქტიურად მონაწილეობდა მენშევიკების ავანტურის წინააღმდეგ ბრძოლაში.

ა. ნ. მიქაძე 1930 წლიდან მუშაობდა ქ. გორში სხვადასხვა საპასუხისმგებლო თანამდებობაზე — იყო პარტიის გორის რაიკომის ინსტრუქტორი, სახალხო სასამართლოს თავმჯდომარე და გორის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე.

ა. ნ. მიქაძე სამამულო ომის პერიოდში მუშაობდა ქ. თბილისში სასხედრო განყოფილების გამგედ და გამანადგურებელი ათახეულის კომისრად, ხოლო ომის დამთავრების შემდეგ მიღებული იქნა ადვოკატთა კოლეგიის რიგებში, სადაც გარდაცვალებამდე მოღვაწეობდა. ადვოკატად მუშაობის პერიოდში სხვადასხვა დროს არჩეული იყო საქართველოს ადვოკატთა კოლეგიის პრეზიდიუმის წევრად და სარევიზიო კომისიის თავმჯდომარედ. იგი დაჯილდოებული იყო მედლებით და სიგელებით.

ალექსანდრე ნიკოლოზის ძე მიქაძე იყო სხეუტაკი კომუნისტი, მაღალი კლასის იურისტი, თავდადებული მეგობარი და ჰუმანური ადამიანი. მისი ნათელი ხსოვნა მარად დარჩება ამხანაგებისა და მეგობრების გულში.

ამხანაგების ჯგუფი.

ავტორთა საყურადღებოდ!

1. მასალები რედაქციაში წარმოდგენილ უნდა იქნას ორ ეგზემპლარად, მანქანაზე დაბეჭდილი ორ ინტერვალზე, ხელმოწერილი ავტორის მიერ. სტატიას, წერილს, კორესპონდენციას აუცილებელია დაერთოს შემდეგი ცნობები, ავტორის გვარი, სახელი, მამის სახელი, მუშაობის ადგილი, მისამართი, ტელეფონის ნომერი.

ჟურნალის რედაქცია მკითხველებს აწვდის მოკლე ცნობებს ავტორებზე. ამიტომ მასალასთან ერთად რედაქციამ უნდა მიიღოს საჭირო დემოგრაფიული ცნობები ავტორის შესახებ (დაბადების წელი, როდის მიიღო სამეცნიერო ხარისხი ან წოდება, რამდენი შრომა აქვს გამოქვეყნებული, სად ეწევა სამეცნიერო-კვლევით, პედაგოგიურ ან პრაქტიკულ საქმიანობას).

2. თეორიული წერილის მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს მანქანაზე ნაბეჭდ 12 გვერდს, სხვა მასალისა 8 გვერდს. რედაქცია დაინტერესებულია მიიღოს მოკლე ცნობები და შენიშვნები ადმინისტრაციული ორგანოების მუშაობის პრაქტიკულ საქმიანობაზე.

3. ყველა ციტატა, რომელიც გამოქვეყნებულია მასალაში, აუცილებელია გულდასმით შედარდეს პირველწყაროებს და ვიზირებულ იქნას სტატიის ავტორის მიერ. სქოლიოში წიგნის ავტორის დასახელებასთან ერთად, უნდა აღინიშნოს მისი გამოცემის წელი, აგრეთვე ციტირებული მასალის გვერდი.

4. აუცილებელია მასალა დამუშავებული იყოს ლიტერატურულად. თან დაერთოს სათაური და რეზიუმე რუსულ ენაზე.

5. რედაქციაში შემოსული მასალები, როგორც წესი, ავტორებს უკან არ უბრუნდებათ.

6. თბილისში მცხოვრებ ავტორებს პასუხები წერილობით არ ეგზავნებათ.

7. იმ ნაშრომზე, რომელიც შესრულებულია სამეცნიერო-კვლევითი გემის შესაბამისად ჰონორარი არ გაიცემა.

8. სტატიები, რომლებიც გამოქვეყნებულია ან გადაგზავნილია სხვა პერიოდულ გამოცემაში, არ გამოქვეყნდება.

9. ამ პირობების დაცვის გარეშე გამოგზავნილი მასალა არ გამოქვეყნდება.

8260 50 333.

ИНДЕКС 76185

04106930

0084010100

СОВЕТСКОЕ ПРАВО № 1

(На грузинском языке)

Орган Верховного Суда ГССР, Прокуратуры ГССР
и Юридической комиссии при Совете Министров
Грузинской ССР